ტარტაროზი
კვირა, 8 სექტემბერი, 1929 წ. № 37 (221)
წელიწადი მეექვსე ფასი 10 კაპ.

# ბიუროკრატიზმის ორი უკიდურესობა:

მლიქვნელი („პოდხალიმი") — გულზვიადი.



ის კი ისე ტყდება წელში,
ვერ გაარჩევთ იფნის წნელში,
მისართმევი ამ „ბურჯისთვის"
მას მუდამ აქვს კრძალვით ხელში!..

ეს ბურჯია ქვეყნის ცხადათ,
თავს გვიჩვენებს ერთი ათად,
მხოლოდ ვიცნობთ ბიუროკრატს
მკვეხარად და გულზვიადად!..

# ანთიმოზ კვახიძმარიაშვილის აზრი

— ახირებული დრო დადგა, ბატონო ნიკიფორე, თქვენმა მზემ, ახირებული. სწორედ რომ ძალა წაიღეს და ეს არის: მოკვდება, ბატონო, ვინმე და—გამოდი დემონსტრაციაში, ეგლაჯუნე მთელი დღე ამ გასურებულ ქვებზე... რომელიმე ჩინელ გენერალს მოეგუნებება რაცხა, შენ ხარ ჩემი ბატონი, და — გამოდი მანიფესტაციაში, იარე ქუჩებში და იძახე: „ძირს ჩემბერლენი, მუსოლინი, ჩან-კაი-ში!... გაუმარჯოს კარახანს!.. ბატონო ჩემო? რისთვის, რათა? მე ყველა აგენს, შენ ხარ ჩემი ხელმწიფე, მხოლოთ გვარებით ვარჩევ და არ ვიცი, ღმერთმანი, რა გამიკეთა მაგალითად: კარანახმა და რა დამიშავა ჩემბერლენმა, გინდ ჩან-კაი-შმა?!. „სადღაც, აღმოსავლეთი ჩინეთის რკინის გზა წაიღო“-ო. გზის წაღება ერთ კაცს კი არა, არაფერ ძალას არ შეუძლია. აგერ გზა და აგერ მე. მართალია, გენერალი მე არ ვარ, მაგრამ ისე ჯერ მაინც არ გამოვსულელებულვარ ეს დროული კაცი, რომ ამ გზის ზურგზე წამოგდება და სადმე წაღება ვსცადო, და დავიჯერო ახლა გენერალი კაცის იმდენად გამოტვინება, რომ ასეთი შეუსრულებელი საქმე ინება?!.. არა, შენ არ მოუკვდე ჩემს თავს. მოგონებაა, ბატონო ჩემო, ყველაფერი. თეატრია, თქვენ ნუ მოუკვდეთ ჩემს თავს. აგერ გუშინაწილე ტფილისი უულია. ვიღაც „ლურჯებსაო“. მერე და ახლა ესეც უნდა დავიჯერო? ისე რავა მასულელებენ ამ მჟავე მხალივით დამწნილ კაცს, რომ მოვიდენ ვიღაც „ლურჯი მტრები“, აიღეს ამხელა ქალაქი და ერთ თოფის ხმას არ შევუწუხებივარ, ერთი ზარბაზნის გასროლა არ გამოიგონია, ერთი ტყვიამფრქვევის კაკანი არ გაჰკვრია ჩემს ყურს?!. ამას წინად უბრალო ვარჯიშობა რომ იყო აგერ ლაშის ტბასთან, თითქმის მთელი ერთი კვირა ყური წართმეული მქონდა თოფისა და ტყვიისმფრქვევლების კაკან-ქაქანით. მოდი ახლა და დაუჯერე მაგინს, რომ „ლურჯებმა“ ქალაქი აიღეს, ხოლო მე, ანთიმოზ კვახიძმარიაშვილს, ჟამობის დროინდელ კაცს და, მგონი, ათეული ომიანობის მომსწრეს, ერთი თოფის გასროლაც არ გამიგონია!...

არა, არ მინდა ყოველივე ეს დაგიჯერო და არ ვიცი, რას მერჩი!.. მოძალე ხარ? ჩემი ჭკუა მინდა ჩემსავე გოგრაში დარჩეს მთლიანად და ხელშეუხლებლათ. ვერაფითარი თქვენი თვალთმაქცობა მე აზრს ვერ შემაცვლევინებს!..

მაგრამ ერთი კი არის. მოლა მასრადინამ რომ ფლავი მოჰპარა და მთელი სოფელი რომ შეუყენა დახარიგებლად მოპარული ფლავის გზას, ხოლო შემდეგ თითონაც რომ გული შეექნა ფლავისთვის და კოვზით ხელში უკან დაედევნა მისგანვე გაბრიყვებულ სოფლელებს, სწორედ ისეა ჩემი საქმე: არა მჯერა მაგათი არაფერი, მაგრამ ამ დემონსტრაციაში რომ მეც ქე დავჯლაყუნებთ სხვებთან ერთად!... მეც რომ ვაქნევ თავს წუნეთელი ვირივით და ყველა მათ დაძახილზე „ვაშას“ თუ არ გავყივი, თავის კანტურით მაინც ხომ ვუდასტურებ ყველა მაგათ ოინებს!..

მარა რას იქ, აბა!... თუ ვაშკაცი ხარ და პირში სული გიდგია, ნუ ირბენ და ნუ დუუდასტურებ რაც მაგათ უნდა!.. დიდი გვარისშვილს, კაი ცხოვრებისა და პატივის გამოცდილს, იმდენ ქონებაზე ძალად ხელდაბანილს და ასე უნებურად — გაპროლეტარებულს ახლა უმცროსი რეგისტრატორის უმცროსი თანაშემწის ადგილი მიკავია აგერ, ჩვენი პოლიკარპ ედემიკოვიჩის წყალობით, და ახლა ხომ არ გინდა, რომ ისიც აგაპუწკნონ ზედ?!.

ერთხანს სანესვეზე გამოსულ ნაპატიებ ქალბატონივით ვიბზუებდი მეც ტუჩს ჩემს ადგილზე, მაგრამ დღეს ფრჩხილით და კბილით ვათრინდები მას. მისი შერჩენის გულისთვის ქუჩაში დემონსტრაციაზე კი არა, ჯანდაბის ორლოპეშიც კი არხეინად გავიელი, თუნდაც, რომ თვითონ რეჯებ ეშმაკიც ამომიყენონ გვერდში!.

მართალია, თითონ სამსახურში დიდათ არ ვიწუხებ თავს. განსაკუთრებით ამ ზაფხულის სიცხეში მთელი ჩემი მუშაობა გამოიხატება ჩემი სამუშაო მაგიდიდან შკაფამდის, ხოლო შკაფიდან — მაგიდამდის მიჩოჩმოჩოჩებში. ერთსადა იმავე ქაღალდს დღეში ათჯერ, ხოლო ზოგ დღეში ოცჯერ მაინც კი გადმოვიღებ და ისევ შევდებ შკაფას თაროზე, რათა კანონით სავალდებულო რაღაც ექვსი საათი ისე გავიდეს, რომ ნიადაგ უძრავად არვინ შემნიშნოს სკამზე, თორემ ეს „სუნბუქი კავალერისკია“-ო, ეს „მუშგლეხინია“-ო, ეს „გეპეუ“-ო და რა ვიცი, კიდევ რამდენი რა. ჰო და, რომელ ერთს გინდა, რომ გადაურჩე?!.

ახლა გამოიგონეს კიდევ ე რაღაც „ჩისტკა“-ო. ბატონო ჩემო, „ჩისტკა“ მეც ქე გამიგონია, გაწმენდა რომ არის. მარა ყოველგვარ გაწმენდას რომ საშველი ადგია, ხოლო ამ „ჩისტკას“, რომ აღარ, ეს კი პირველი გაგონება და ნახვაა ჩემს ცხოვრებაში.

ჯერ ერთი, ორი, ხშირად სამი და ოთხი თვიდან ასტეხეს განგაში: „არიქა, ესა და ეს „ჩისტკა“ მოდის“-ო.

მართალია, მაგათი არაფერი გრწამს, მაგრამ შენც ხომ სხვასავით კაცი ხარ. ყველა თუ აწრიალდა, შენ რაღა მოგასვენებს. ჰო და. ცდილობ: წელებზე ფეხს იდგამ, იგივე—ხშირად ფეხს ადგამ მაგიდიდან გინდ შკაფიდან ძირს დაცვივნულ ქაღალდებს, შემდეგ მოკრძალებით ჰკრებ მათ, ალაგებ რიგზე და ისევ მაგიდაზე აწყობ, ან შკაფში სდებ. ერთი სიტყვით, ნერვიულობ კაცი, სცდილობ,— საერთო ტაფაში იხრაკები.

მაგრამ ტაფაც არის და ხრაკვაც. ასე დაუსრულებელი კი, მგონი, ჯოჯოხეთის თაკარაში ხრაკვაც არ უნდა იყვეს. იმეორებ ამ გაიცადინს დღიდან-დღე, კვირიდან-კვირე, თვიდან-თვე. ის გულისგამწყალებელი „ჩისტკა“ კი არა სჩანს და არა.

ჩვენ კი ვმუშაობთ და ვმუშაობთ თავწაგდებ, ხელაღებ, შეუსვენებლივ... ამ ყაირათიან შრომასთან, „ჩისტკის“ მოლოდინი რომ იწვევს, მიქარვა არის მთელი შენი სოციალისტური შეჯიბრი. აღარ ვიცით, შრომაში ვინ ვის გავუსწროთ, ვინ ვის ვაჯობოთ, ვინ ვის მოვაწონოთ თავი!..

და აი, ჩვენს პატარა დაწესებულებაში რომ ასეა საქმე, რაღა იქნება ახლა დიდრონ „უჩრეჟდენიებში“, ქარხნებსა და ფაბრიკებში. იქ, ალბათ, მთელი დოლია გამრთული ერთმანეთის წინ წასწრებაში. ყველა „ჩისტკას“ ელის და, აბა, როგორ იქნება ერთმანეთის ჩამორჩენა!..

ერთი სიტყვით, შტუკაა რაღა. მე და ჩემმა ღმერთმა და ნიკიფორეს თავს ვფიცავარ, ეს ხანგრძლივი მოლოდინი უფრო სწმენდს და ახალისებს ხალხს, ვიდრე თითონ „ჩისტკა“. თორემ, მე რომ პარტიის „ჩისტკას“ დავესწარი, თვითონ საქმე არც იმდენად საინტერესოა. ჩამოჯდება, ბატონო ჩემო, მაგიდასთან სამი კაცი და „ტროიკა კომისია“-ო. მერე მოყვება ხალხის გამოძახება, მათი ბიოგრაფიები, ცოდვების გამომჟღავნება, ყინული, ჩხუბი და დავიდარაბა და ქია პირღიათ მთელი დაწესებულების დარაბა: შრომაზე აღარავინ აღარ ფიქრობს; ერთმანეთს სხვადასხვა შარებსაც კი უგონებენ.

ერთი სიტყვით, თუ ხელმძღვანელებს ჭკუა კი აქვთ, რაც შეიძლება უნდა გაახანგრძლივონ ეს „ჩისტკა“, რომ ხალხი ცოტას არის მაინც შრომაში ჩააბან.

თუმცა „გაყეყილს გატეხილი სჯობია“: მე რომ ამ „ჩისტკის“ გახანგრძლივებას ვეტრფი, ტყუილად კი არ არის: ჩემდენი ცოდვა ვის უნდა ედოს კისერზე? ყველა იმას, რაღა თქმა უნდა, ამ „ჩისტკაზე“ ისე გამომიღარღალებენ, როგორც ღელის წისქვილი. ჰო და, ავად არის თუ კარგათ, ისევ ეს მიჩოჩ-მოჩოჩება მირჩევნია ამ ჩემს სამსახურში. ამ ორ დღეს, თორემ მოვა „ჩისტკა“ და მშვიდობით „ფინჩხტრესტის“ უმცროსი რეგისტრატორის უმცროსი თანაშემწის ისედაც ძუნწო ადგილო!..

ონისიმე.

## ბიუროკრატის მოსწრებული ხერხი



— მოდი, ამ „ჩისტკის" დროს ამ პროთფელში დავიმალები; მოთავდება „ჩისტკა" და, მეც ამოვძვრები აქიდან უვნებლად!..

## ვინ არის

ვინაა, რომ საკუთრად ყავს ეტლი და ავტო,
თვით ექვსი აქვს შუბა და ცოლს ხუთი მანტო,
ვინ არის, რომ მუდამ იცვამს რჩეულ-რჩეულს,
რაც რომ ეცვა შარშან, აღარ მოსწონს წრეულს
ვინ არის, რომ ხარჯავს ფულებს უთავბოლოდ
(ვის ეყოფა, აბა ჯამაგირი მხოლოდ?)
„პარტიული არის, პარტმაქსიმუმს იღებს,
ან ობლიგაციით მუდამ ფულებს იგებს?
არა, ძმაო, არა, ცდები, მაგას ამბობ,
„მაშ, სპეცია დიდი და შენ რაღას დარდობ".
გეუბნები: არა, არც „სპეცია" რამის...
„მაშ ღმერთის მიუცია მისთვის შნო ქამის".
ეგ კი მართალია: ქამაში აქვს ხუთი.
გასცალა სალარო და მაგიდის ყუთი.
ვინ არის, რომ მიყავთ გამსახლისაკენ მარტო?
რად არ მიყავთ ეტლით, ან სად არის ავტო?
რად არ მისდევს ცოლი, მკლავში მკლავ-გაყრილი.
ან სად არის ეხლა ბანოვანნი წყვილი?
ისევ ის ყოფილა, რომ ავწერეთ ზემოთ,
ერთი თვეა თურმე არ უნახავს გემოდ
ძველებური სუფრა და ზედ ათასგვარი
საჭმელების გროვა, მოხარშულ-შემწვარი.
ვინ იქნება აბა, გამოიცანით მალე,
თორემ მის სახელ-გვარს, წაიკითხავთ ხვალე.

პ. ბლაყუნა.

# ბიუროკრატის ჩივილი

(ხმა სამარიდან)

დედა, დედა, დედა! რა გოუთავებელი ყოფილა, კაცო, ეს ჩისტკა. ამისთანა გინახავთ! ტიფი მქირდა — მევერჩინე, მალარია, ხოლერას გოდურჩი და ამ ჩისტკას ვერ მოვრჩი! სადაც წაველ, რა საქმესაც მოვკიდე ხელი, შინ და გარეთ, ყველგან ჩისტკა?!.. პარტიის ჩისტკა იყო და სამი თვის წინეთ დამაწყებია ციებ-ცხელება! ავიღებდი მანდატს, შეუსომდი ხელს, გადავფურცლავდი და ვეალერსებოდი. რავარც იქნა, მოაწია აი ჩისტკამ და ქე ამაშველიპეს მანდატი უწმოდ! ჩამომართვეს ოქროსტატიანი ლივერი და ამომისვეს ნიახური! ვიფიქრე, პარტიიდან გამჩისტეს, მარა ჯანაბას იგენის თავი,, ქე მაინც დევისვენებ პატარა ამ კრებებიდან-თქვა, თვარა ძილი აღარ მქონდა და მოსვენება- მაინც და რა ეშმაკად მინდოდა პარტწევრობა, რაღაი სამსახურში კი დამტიეს.ქე მაინც საილში დავჯდები კაცი ნაშუადღევს და ოჯახს დოუბრუნდები, თვარა აწდენმა მიდღემში კრებებზე სიარულმა თელათ მომწყვიტა ოჯახს და უბედური ჩემი მინადორა სწორეთ დავაქვრივე ქალი! კაცი რომ ქალიზა თვეში ერთხელ ძლივს მეიცლი, ის ქალი ქვრივია, აპა რა ჯანაბაა! ღვთის წინაშე, პარტიიდან გამოგდება არც ქე მწყენია დიდათ. ვიფიქრე: ავად იყო, თუ კარგათ გოდურჩი ამ ჩისტკას და მევისვენე-თქვა, მარა აგერ მეორე ჩისტკა წამომეწია თავზე!

პარტიულ ჩისტკას აპარატის ჩისტკა მოაყოლეს და იქიდანაც ქე არა მკრეს პანღური, იქაც ქე არ გამომიფსკვნეს კუდი! ვფიქრობდი კაცი: ლივერი კი დავკარგე, მარა ეს პორთფელი რაღაი შემრჩა, ჯანაბას ყორისფელი-თქვა, მარა ეს პორთფელიც ამაფცქვნეს და სამსახურიდანაც ამიკრეს გუდა-ნაბადი! რაღას ვიზამდი, წევედი და ჩევეწერე შრომის ბირჟაში, რავარც უმუშევარი! ბირჟის გამგე მიცნობდა, ნაპურ-მარილევი ბიჭი იყო და ვიფიქრე, ალბათ, გეიხსენებს ჩემს ძველ პატივისცემას და საცხა კაი სამუშაოზე გამიშვებს-თქვა, მარა მისთანა თქვა თქვენმა მტერმა! აქაც ჩისტკა არ დამინიშნეს!! „უმუშევრები უნდა გავწმინდოთ, რომ ულირსი ხალხი არ გაგვეპაროს სამუშაოზეო"...

დაიწყეს ბეზრაბოტნების ჩისტკა და პირველ ოჩერედში მე არ გამომჩისტეს და არ გამომაბუზღურეს უკან! გამწვა წელში, დამეცა თავზე მეხი, მარა რას ვიზამდი, წაველი სახლში კუდ-ამოძუებული! მოვედი და მიურახუნე მინადორას კარები, მარა ვინ გცემს ხმას! ვიფიქრე. იქნება ამ ჩემმა უბედურებამ ჩემი სახლი დამავიწყა და სხვის კარებს თუ მივადექი-თქვა! დავაკვირდი, ვხედავ ნამდვილათ ჩემი სახლია. დოუკაკუნე კიდო ჩემს მინადორას და რავარც იქნა გამიღო კარები და შევედი სახლში.

— „სადა ხარ, კაცო, აქამდის, ახლა ხომ მაინც არა ხარ სამსახურში და ადრე ვერ მოდიო?!" შრომის ბირჟაში ვიყავ, ჩემო მინადორა, სამსახურის საშოვნელად და იქაც ჩისტკა მიქნეს და გამჩისტეს-თქვა!

— „რაიო, რაიო, რაიო, იქაც გაგჩისტესო?!"

—გამჩისტეს ბოშო და რა ვქნა-თქვა, დევიწყე ზლუქუნი! „ეიკარი ახლავე ბარგ და წადი სახლიდან, ჩემგანაც გაჩისტული ხარო! პარტიამ გაგჩისტა, აპარატმა გაგჩისტა, ბირჟამ გაგჩისტა და ახლა რავა გგონია შენ, მე გოუჩისტავი გაგიშვებ თუ? იმენზე ნაკლები გამჩისტავი შევარცხვინე. ქვეყნის გაჩისტული ქმარი მე არ მინდა"-ო!. მკრა პანღური კუკუპხოში და სულ ჩინდრიკ-ჩინდრიკით ჩამომაგდო კიბეზე! რას ვიზამდი! ჩასიძევებული ვიყავი მე უბედური და ყორისფელი მინადორას ეკუთვნოდა: სახლი, კარი, ვეშჩი და ყორისფელი! წამევედი ეს ყოველ კუდრით წინ და უკან გაჩისტული კაცი და ჩადავვარდი წყალში. დევირჩვი თავი, მეტი რა ჯანი მქონდა! მიველი საიქიოს, მარა შიშით სულ დრინგან-დრინგინი დეიწყო გულმა!.. ვაი, თუ აქანაც გამტისჩონ-თქვა, მარა ააშენა ღმერთმა გოუჩისტავათ მიმიღეს ალიენად!

ამხანაგო, ბიუროკრატებო, ვაცხადებ თქვენს საყურადღებოთ, რომ, ალბათ, ბევრს მოგიწევთ აქეთკენ წამოსვლა და მანდატების წამოღებით ნუ შეიწუხებთ თავს. შეგიძლიანთ გოუჩისტავათ მობრძანდეთ და დეიმკვიდროთ თქვენი ადგილი. ეს ერთად-ერთი ადგილია, სადაც ჩისტკა არ დაგჭირდებათ...

გოგია.

# ბეჯითი ბიუროკრატი



— მოქალაქევ, ამ თქვენს განცხადებაში აი, აქ მძიმე აკლია, გესმით მძიმე!!!!.

# მოტყუებული ქურდები

**კრილოვის „პატარა კოლოფი"- სებური**

იქ ჰგონიათ ქურდ-ბაცაცებს
საძნელო და დახლართული, —
სადაც საქმე ადვილია,
არაფერი არ აქვს რთული.

—:—

ბუშტსაპრესტში შუაღამეზე
შეიპარა ორი ქურდი.
(დარაჯს ჩამოსძინებოდა...
უფარავდა სახეს ქურდი).
და სალაროს ფეხაკრეფით
ადგენ და.. უტრიალეს,
უამრავი გასაღები
იქით-აქეთ ატრიალეს.
შედებდენ და ხვრელში კლიტეს
აღარ ჰქონდა გასაქანი;
ბევრ გასაღებს მოსარგებად
შეუთხელეს ქლიბით განი.
მაგრამ მაინც სალაროს კარს
ვერ გაუღეს ცოტათ პირი...
და ის იყო მიდიოდა
ცარიელი ორი „გმირი",
რომ სალაროს ერთმა მათში
შეაგინა და ჰკრა ხელი:
„ვინც შენ აგრე გამოგკეტა,
მას გაუხმეს ორივ ხელი".
ხელი ჰკრა და.. სალაროსაც
გამოიღო თვისით კარი,
თითქოს კარებს გამოენთქა
უჩინარი მძლავრი ქარი.
ქურდებს კიდეც შეეშინდათ:
„დაგვიდგესო, ალბად, მახე"...
მაგრამ, არა.. მშვიდობაა...
გაუბრწყინდათ ისევ სახე...
და მივარდენ... ოთხივ ხელებს
ალოცებენ სალაროში...
მაგრამ არის ცარიელი...
შიგ ვერ ნახეს ერთი გროში.
შეიგინეს კვლავაც ქურდებმა:
„ოი, თქვენი მამის სული"...
თურმე წინდღით თვით მო-
ლარეს
გაეფლანგა მთელი ფული,
და ცარიელ სალაროსთვის
აღარ დაეკეტა კარი:
„ჰაერის გამოსაწმენდათ
იქროლებსო შიგნით ქარი".

**ზმუკი.**

## აგარაკ ცემის რამე-რუმე

(წერილი მეორე)

ცემის ზემო უბანში—
საწვრიმალო დუქანი,
სისუფთავით გამხდარია—
სიბინძურით მსუქანი.
ქვემო უბნის დუქანს კი
მეგარმონე ესტუმრა,
მოქეიფე ძმა-ბიჭთა
ჯიბეებს „წაეხუმრა".
დღე და ღამ აჭყვიტინებს —
არ - არის მოსვენება;
ვინ არის ყურისმგდები—,
ანუ ვინ მისცა ნება?
კოოპერატივი მხოლოდ —,
ნავთის რიგებს უნდება,
ვინც მივა, მთელი დღე დგას—
ცარიელი ბრუნდება.
ბევრ მოაგარაკებს—
ხეეწნით ყბა მოექცია,
მაგრამ უყვარს გამგესა
ლამაზი პროტექცია..
ზოგს აძლევს და ზოგს არა-—
მასზე ბევრი იქვია...
რა ქნას ქალებში იწვის—
ახალგაზრდა ბიჭია..
აქეთ რძეს სულ ვერ ნახავთ—
გაფიცულან ძროხები...
თითქოს მათ არ ჰყოფნიდეთ—
ამ ტყის მწვანე ნოხები.
ზოგი მოაგარაკე—
სიმინდს ჰპარავენ გლეხებს;
თუ მოასწრეს, პირიქით.
უბრახუნებენ ფეხებს.

**ტარზან.**

## სოფლად ალეგრების მოტრფიალეებს

ორშაბათით შაბათამდე,
უძგარუნე მიწას თოხი,
კვირა დილას გზას დავადექ,
წავიბიჯე ტფილის ჯოხი.
მივიარე, მოვიარე,
სად არ ვიყავ ვინა არ ვნახე,
ჩვენს სოფლებსაც გადაკვრია
ქალაქური ფერის სახე:
ქალებს ტუჩი შეღებილი,
უსაცვალოს ოქროს კბილი,
ჩლუქი გრძელი, კაბა მოკლე,
თმა ჯორივით შეკრეჭილი.
ვაჟებს, ფაფარ-გადაყოილებს,
მოუხვინწკავსთ წვერ-ულვაში,
დილას ჩაცმა დავიწყიათ,
პერანგაი დარბის ხალხში.
სტუდენტები, კურსისტკები,
სტუმრებიან ძველ საბუდარს,
არშიყობა ურჩევნიათ,
ლექციებს და გლეხთ საუბარს.
სტუმრებმა და დამხთურებმა
ერთმანეთი რომ გაართონ,
შეთანხმდენ და გარდასწყვიტეს
ალეგრები ხშირათ მართონ.
დღეს—ლანჩხუთში, ხვალ— ჩი-
ბათში,
შუხუთში და ორაგვეში,
თუ ყოველდღე არ მიერთო,
სამხელ-ოთხელ მაინც თვეში.
ხუთი - ათი უცხო ხალხი
მოგვადგება გლეხებს კარზე,
ხარკზე ტკბილათ გვირიგდება:
კვერცხზე, გოჭზე და ქათმებზე..
მეორე მხრით ოხრათ მოდის
საპატიო ბარათები,
გინდ კვდებოდე შინ შიმშილით,
ხალხში ხომ ვერ გამოკვტები.
მიხვალ, ნახავ რა სანახავს?
გავიწყდება თავის დარდი:
ასვარიე, დასვარიე,
დამა, კარტი, ლოტო, ნარდი...
აგერ ჩრდილში ეტმასნება
უულიაშოს გულ-მკერდ-ღია,
ხვალ მუცლის წამობერვა,
აბორტი და ქაჯაია!..
აგერ — სუფრა, აგერ—ლხინი,
აგერ—ხუთი, ეგერ—ათი,
ჩხუბი, კრივი, ლანძღვა, კირცხვა,
ჯიბის ყელის ფალარათი..
შიგ გლეხებიც ჩათრეულა,
გაჰყვირიან: ამხანაგო,
შენ ეგება ცოლშვილი გყავს,
უხეფსო და უპერანგო?!.
და შემყურე ნორჩ თაობა,
რა თქმა უნდა, გაიწვრთნება...
(ძველ. გაკიცხულ ქელეხებთან
ამას რა აქვს განსხვავება?)
შემოსავალს რომ დახედავ,
გაიკვირვებ გუნებაში,
სოფლის გოჭ-ქათმების ფასი
აღარ ურჩებათ კასაში.
წამკითხველო, თუ ტყულს ვამბობ
და არ მეთანხმები აზრში,
მართლის თქმისთვინ, ჰო, დამსა-
ჯეთ:
ჩამაკვრიეთ ცხვირი თაფლში!..

**შხანკოლა.**

# კოხტად მოპარული რევოლუცია



— ხედავ, რა სქლად დასწოლია იმ მანდილოსანს ტუჩებზე წითელი სადებავი?!.
— ალბად, რომელიმე დიდი ბიუროკრატის რევოლუცია იქნება., სხვა რა?!.

## წკიპურტები

— რა გამოიწვია სოფლად პარტწმენდამ?

— პარტწმენდამ სოფლად გამოიწვია ბრჭყვიალა ავტომობილები!..

—

— ძილს რა იწვევს?

— ზოგი საბჭოს წევრობა!..

—

— რით აიხსნება ამდენი პორტფელის დაგროვება ბაზარზე?

— რა'ს ამბობთ? ნუ თუ ესეც ძნელი გასაგებია? აღარ იცით ორი წმენდა ზედი-ზედ რომ მიმდინარეობს: პარტიისა და საბჭოთა აპარატის?!

# მამის „წინააღმდეგი“



დედა: საით მიეშურები, შვილო?
შვილი: არ იცი, რომ „მსუბუქი კავალერისტი“ ვარ და დღეს სწორედ მამაჩემის დაწესებულებაზე მიმაქვს იერიში!...

# მთლიანად და სავსებით

ზღვის პირისაკენ მიმავალ სწრაფი მატარებლის კუპეში ისხდნენ ორნი: მსხვილი და წვრილი ანუ უკეთ რომა ვსთქვათ — შემთხვევით გამსხვილებული და შემთხვევითვე გაწვრილებული.

მატარებელი ადგილიდან დაიძრა. წვრილმა, რალაც მიზეზით, ღრმად ამოიოხრა, შემდეგ სარკმლიდან სივრცეს გაჰხედა, შემდეგ ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო, თავზე გადაისვაგადმოისვა და შეეკითხა მსხვილს:

—ზღვის პირისაკენ მიეშურებით?.. დასასვენებლად?..

— ნაწილობრივ დასასვენებლად— მიუგო მსხვილმა — ნაწილობრივ კი, მართალი მოგახსენოთ, საქმეების გამოც. თქვენ კი! ალბად, დასასვენებლად?..

წვრილმა გაჯავრებით ჩაიქნია ხელი:

—აბა, რა დასვენება, რისი დასვენება!.. ჩვენს დროში და აგეთები? ჩვენი მდგომარეობა ამას ითმენს? ახლანდელი კურსი ამის ნებას იძლევა? აბა, სად ჯანდაბაში უნდა იფიქრო კაცმა დასვენებაზე!..

— ეს თითქმის ასეა — დაეთანხმა მსხვილი. — დრო მართლაც დიდათ არახელსაყრელია...

და, მცირე პაუზის შემდეგ, ოდნავის ღიმილით დაუმატა:

უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ხუთიოდე წლის შემდეგ მდგომარეობა უფრო შემჩატდება. მაშინ მოვასწრებთ დასვენებასაც.

— ხუთი წლის შემდეგ? არა, გეთაყვა: გაცილებით უფრო ადრეც! ბეჯითად მოსჭრა წვრილმა.

— თქვენა გგონიათ? — დამცინავი ღიმილით გაიოცა მსხვილმა.

— მგონია და მეტიც, — წარმოსთქვა წვრილმა:

— ჰმ!.. დ-დიახ!.. თქვენ აი, თურმე რა თვალთახედვით და რა მოსაზრებით ამოკლებთ ვადებს!..

— აბა, რომელი მოსაზრებით კიდევ? — წარმოსთქვა ხმაში ცოტა სიანჩხლის დატყობით წვრილმა. — თქვენის აზრით, ეს ასე არ არის?..

— სწორე გითხრათ, რასაკვირველია...— დაეთანხმა მსხვილი. — კულაკობაზე იერიშის მიტანა, კერძო მწარმოებელზე დაწოლა, ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპი, „დაწევა“ და „გასწრება“, ყოველივე ეს — ერთობ მყვირალა საქმეებია, მხოლოდ სიტყვებს იქით...

— პუპლუც, სიტყვებს იქით! — გაცხარებით ახალა პირში წვრილმა. — ფანტასმაგორიაა და მეტი არაფერი!...

მსხვილმა ხელები გაშალა, მხრები აიჩეჩა:

—რესურსები არ არის, გესმით? მე მომწონს: დავბეგროთ კულაკი, მას გაზრდის უნარი წავართვათ, თუ, რაღა თქმა უნდა, მდიდარი სანოვაგის რესურსები მოგვეპოვება... მაგრამ ამ ჟამად, როცა ჩვენ მარცვლეულში დიდ საჭიროებას ვგრძნობთ, განა, სულ ერთი არ არის: კულაკისაგან თუ არა კულაკისაგან მივიღებთ მას? ოღონდ კი მივიღოთ და...

— და, აი, მეც ვამბობ—უთხრა წვრილმა.

— ავიღოთ ისევ და ისევ კერძო მწარმოებელი: ვსქთვათ, თუ რომ აშკარა სპეკულიაცია, რა თქმა უნდა, მაშინ სხვა საქმეა, მაშინ დავკრათ ფეხდებში და ისაა... მაგრამ თუ რომ მწარმოებელი გინდ ვაჭარი [illegible] ლოიალურია, ხელისუფლებისათვის სრულიად უვნებელი და მისაღები, ანვითარებს საღსა და მტკიცე საქმეს, მაშინ ვის რა ზარალი აქვს ასეთისაგან? არავის არავითარი, გარდა სარგებლობისა ისევ ჩვენსავე სახელმწიფოს.

მსხვილმა, თანხმობის ნიშნად, თავი დააქნია:

რასაკვირველია, რასაკვირველია... სწორედ ასევე ითქმის კულაკებზეც... კულაკი—მევახშე და ჩარჩი, რაღა თქმა უნდა, მავნებელია და მიუღებელი. მაგრამ შეძლებული, მაგარი გლეხი, ფართო მეურნეობის პატრონი, კულტურული მწარმოებელიც იმავე დროს—ეს სულ სხვა საქმე გახლავთ! ეს...

— აშკარა და ნათელია, როგორც ლიმონათის პრობკა!—გააწყვეტინა სიტყვა წვრილმა.—მე თქვენის მხრით ამაში დაჯერება აღარ მესაჭიროება. მე და თქვენ, რასაკვირველია, სრულიად გასაგებია, რომ საქმეს ასე ვუყურებთ. ჩვენ მთლიანად და სავსებით ერთმანეთს ვეთანხმებით!

— დიახ, მე და თქვენ შორის აქ, ვჭედავთ, სადაო არაფერი რჩება, —დაეთანხმა მსხვილი.

— მაგრამ, აბა, ერთი გაბედეთ სხვებთან ასეთივე მსჯელობა... ასე ვსთქვათ, სხვა პირობებში, ვიდრე ამ ჟამად ჩვენ ვართ,—იმავე წუთს თქვენ მემარჯვენე გადახრაში დაგდებენ ბრალს, წვრილ-ბურჟუაზიულ სარჩულსაც ზედ ამოგაკერებენ, ყველა დამხრჩვალ ძაღლს ყელზე ჩამოგკიდებენ!

— ჩამომკიდებენ რა... დამიფურთხებია მე მათზე,—გაცხარებით წამოიძახა წვრილმა.

— როგორ თუ დაგიფურთხებიათ?

— დამიფურთხებია და მეტი არაფერი...

— როგორ, ამ წმენდის დროს?— გაიოცა მსხვილმა.

— წმენდის დროს, თორემ ჩვენ რა მერე?—აიჩეჩა მხრები წვრილმა...

— როგორ თუ თქვენ რა?

— ისე! მე რაში უნდა მეკითხებოდეს?..

— მაპატიეთ, მაგრამ თქვენ, განა...

— მე საკუთარი ფეხსაცმელის მაღაზია მაქვს. მე წმენდა სულაც არ მეხება.

— არ გეხებათ?

— არა! თქვენ კი, ბოდიშს ვიხდი ამ შეკითხვისათვის, თქვენ განა...

მაგრამ მსხვილი უკვე აღარ უსმენდა იმას: მას საშინლად დასცხა, და, ამ „სიცხის“ გასაფანტავად თუ სხვა რაიმე უსიამოვნო გრძნობისა, მას ფანჯარაში თავი გადაეყო და მატარებლის სისწრაფით გამოწვეულ მინდვრების თვალის მომჭრელ ბრუნვასა და ტრიალს აჰკვიატებოდენ თავიდან იმისი ფიქრები.

რუსულიდან გადმოკეთებულია.

[illegible] იუმორესკა.

# „სულიწმიდის“ გადმოსვლა

ბორჯომის I სანატორიუმის ხელმძღვანელებზე



— რა ვაჭამოთ დღეს ავადმყოფებს, რა?!.
...და სამი საათის ბჭობის შემდეგ იმათ თავებში, უცბად იელვა ბრწყინვალე მოსაზრებამ:
— სტაფილოს კატლეტი!

# პირი სოფლისაკენ

მამაჩემო! წერილს დაპირებისამებრ
გიგზავნი და ვიცი რომ გაგეხარდება,
რაღა ბევრი ვსთქვა, გთხოვ მათხოვო ყური,
გსურდა ვყოფილიყავ მე „გლავნი“ დოხტური.
მარა მგონი ახლა „დვორნიკადაც“ დავდგე...
(ვაი თუ „ატესტატი“ არც იქ გამომადგეს!)
„მშვიდობით ვიმგზავრე“, რადგან მარელისში
ფეხსაცმელი წყვილად ამაცალეს ძილში!
(არ იფიქრო, რომ ის მქონოდეს გახდილი).
ფეხზე მეცვა, მაგრამ ხომ იცი ეს ძილი...
ჰო და, როცა თვალი მე გამოვახილე,
ეს ჩემი ფეხები ნასკებით ვიხილე.
დეტეჩეკას ვთხოვე დახმარება, მარა
ერთ ვაგონში შემყვა, მერე გამეპარა...
ვაგონში ვერ ნახავ „პროვოდნიკს“ ვერც ერთსა,
(გალეშილნი სძინავთ თავიანთ კუპესა),
და ასე „მშვიდობით“ ჩავალ ტფილისამდე...
იცის ღმერთმა, მამა, მართალი ვარ ცამდე!..

—:—

მივადექი ნათლიას, როგორც შენ მითხარი,
მაგრამ მიპასუხეს, რომ ის შინ არ არი.
მივხვდი: დამემალა... ფუი, მის მოყვრობას!
(ჩვენც ხო დავემალეთ ერთხელ გიორგობას).
იქიდან გავსწიე ტროფინეს ძმის წულთან,
(რაღა მექნა, თვარა იქ მისვლაც ქე მძულდა),
არც ის დამხვდა სახლში „სადღაც წასულიყო“.
მერე შემხვდა ჩვენი დიანოზეს ნიკო,
და მან წამიყვანა (ააშენა ღმერთმა).
ვფიქრობ გუნებაში: გამიღიმა ბედმა!
და მისმა მეუღლემ ჩვეულებისამებრ
ქე გამათევეია ერთი-ორი ღამე.
ახლა ქე გადადი, შვილო, აფხანაკთან:
ქალიშვილს მოველი, დილოშია ქმართან.
რომ არ მოველოდე, მაშინ სულ სხვა არი,
ვარს რავა გეტყოდი, ღმერთო კი მომკალი!
ყველას ვეხმარები, შვილო, ვისაც უჭირს,
თან წამომიყენა მან საკითხი კუჭის,
ეს სასმელ-საჭმელი ანგარიშით არის:
აწი დაზამთრდება, გინდა შეშა, წყალი,
— ვაი ჩემი ცოდვა, საშველი არ არის,
ავდექ და წამოველ ძმაო, ცოცხალ -მკვდარი,
მივადექი ბეკოს (ბიძიათ მეოგება),
(ო რა „გეეხარდა“? და გამომეგება),
იმანაც სხვებსავით ამიბზუა ცხვირი,
„სასტუდენტო“ კაცი დავიწვი სირცხვილით,
ლუკა სემაფორთან პოსტზე მდგარი ვნახე,
როცა სათხოვარის მე თქმა განვიზრახე,
თითქო მიმიხვდაო და დამასწრო თითონ:
„პროტექციისათვის ხალხს ჩვენ იქით ვსჯითო“,
სოკრატიეც შემხვდა მე იმ წასულ კვირეს,
საწყალობელს დანა არ უხსნიდა კბილებს,
აღარ ქონდა თავი იმას ლაპარაკის,
(წმენდას შეუწირავს თურმე აპარატის),
ბესოც ვნახე, ჩვენი ანუსიეს სიძე,
ავტოთი მიქროდა გუშლამ ვერის ხიდზე,
„დამოჩკები“—გვერდით უჯდა სამი „პარა“,
გავყურებდი, ვიდრე თვალს არ მიეფარა,
ნეტაი, ვფიცოდე სადა აქ ეს ფული?
მაგრამ გამჟღავნდება „სიბრძნე“ დაფარული...
დათას ხომ იცნობდი, ზოსიმეს სიმავრს,
(ვერ გააგდებიაბ მას ხელიდან შაურს).
მუშკოოპის გამგეა, ქე მაინც არ ქონდეს,
საქონელი ჩუმად რომ არ გამოქონდეს,
მაშინ სხვაა, და მეც ვერ დავემდურები,
მაგრამ თვალით ვხედავ და ვისმენ ყურებით.
რისი ჩამდენია და რისი მომქმედი,
მაგრამ ასე არის: კაცს თუ წყალობს ბედი!
მის ძმისწულმა მითხრა „არალეგალურად“:
„გაუმასქნია“ რვა ათასი ფულად,
(რევიზიამ ეს საქმე ქე მიაფუჩეჩაო,
და დავითას ეს ფული ხახვივით შერჩაო).
იპოლიტე ახლა ხომ სულ არვის კადრულობს,
თუ რამეზე მიდი, წყრება და დიდგულობს,
უჭირავს პორთფელი „ეშმაკებით“ სავსე,
არ მინახავს კაცი მე ჯერ, მაგის მსგავსი,
უი მართლა, ბეჩა, ახლა გამახსენდა:
რა რისხვა ყოფილა აქოური წმენდა,
ვინ არ გინდა, რომ არ მოყვა ამ „ჩისტკაში“?
დიდი დიდი, ერთი თუ გადარჩა ასში!
ამ ჩვენ ოლიფანტეს და წვინტლაძე ლადიკოს,
(ჩვენში ქე რომ ერთხანს სკოლის გამგეთ იყო),
როცა ორივესათვის გაუსინჯავთ კბილი,
(ან კი რა არის დღეს, მამავ, გასაკვირი!)
ერთი თურმე ძველად ყოფილა ხუცესი,
(ვაი რამდენისთვის აუგია წესი),
მეორე „პოლკონიკი“ ნიკოლოზის დროსა,
მენშევიკების დროს კი გვარდიის უფროსად.
ახლა ამ ტფილისში რომ შეუფარავთ თავი,
ხომ დაუდგათ განკითხვის დღე, უბედურებს შავი,
ქე შეიძლებოდა კვლავ ბევრი რამ მეთქვა,
მაგრამ მე მაწუხებს ჩემი მუცლის გვრემა,
ჩემ ნაამხანაგარ კონსომოლ კლემენტომ,
ხალხში დამიძახა: „ვრედნი ელემენტი“,
ეს რომ ჩაეწვეთა კომისიას ყურში,
არ ჩაიგდო ჩემი თხოვნა აინუნში,
შენ არა მშრომელი ელემენტი ხარო,
ჩვენი ქვეყნისათვის მეტი ბარგი ხარო.
რა ვქნა, მამაჩემო, ახლა შენ მითხარო,
თორემ კაპეიკი არა მაქვს ჯიბეში.
ჩამეშალა მამი, სტუდენტობის საქმე,
და მინდა ეხლა ვქნა პირი სოფლისაკენ...
ახლა ას ჩემს ცოდნას გავცვლი თოხში, კაჟში,
მაგრამ მისი ფასი რა ყრია ამ თავში?!.

**დონ-კიხოტი.**

# ბიუროკრატი მექრთამე



ის ულვაშქვეშ ბუზს არ იჭერს,
არც შრომაში ოფლს არ იღვრის,
მხოლოდ, ქრთამად მას რომ ეყვის,
თქვენ იშოვით ძნელად იმდენს!..

# მკვეხარა ქოთანი

(მიბაძვა)

ნიკიფორე გამგე არის
ანუ, რომ ვთქვათ—დირექტორი,
კაბინეტში გვერდს უმშვენებს:
„მაშინისტკა“ ზარე ორი.
— აბა, ჩემო ნიკიფორე:
ხან ერთი და ხან მეორე!
„მერსედესი“ მოაყენე,
ორივ შიგნით ჩაიგორე.
— ჩაგორებას ვინ ასწავლის,
კაბინეტში როცა გორავს.
არად აგდებს მუშა მთხოვნელს:
კარებს ცხვირწინ გამოხურავს!
სამსახურში მთლად ჯალაბობს:
ზოგს კიცხავს და ზოგს უწყრება,
თუ შეასწრო თვალი ვისმეს,
მის რისხვას ვერ გადურჩება.
ქედ-მაღლობს და თანაც ფიქ-
რობს:
ითქოს ჰქონდეს ოქროს ძირი...
ჰა, წმენდაზე გამოჩნდება:
ავუშვეოთ უნდა პირი!

—:—

რება იყო წმენდისა და
ალხი ესწრო: ვით ფუტკარი:
ზოგს გაეხსნა ღიმით შუბლი,
ზოგს შეასკდა ოფლის ღვარი,
ნიკიფორეც რიგში იდგა,
წმენდის ჰქონდა შიში მასაც...

...ვინ არ იცის: მას მოიმკი,
რაც შენ თვითონ დაგითესავს..
...და ცდილობდა ნიკიფორე,
ის მოემკო, რაც არ თესა,
მაგრამ ხერხი მას, ამგვარი,
აღარ გაუვიდა დღესა.
— სიტყვა მისცეს, ისიც ადგა,
აიწია მაღლა ცხვირი:
— თქვენ რა იცით: „სპეცთ-
სპეცი“-ვარ,
და ოქროსი მაქვს მთლად „ძირი“,
თვითკრიტიკას ვაწარმოებ;
მუშაობა კისრად მადევს...
ამის შემდეგ ნებას ვაძლევ
თავს, ავტოთი გავგულავდე!..
პროტექციას ვინ დამწამებს,
ან ვინ მეტყვის: ბიროკრატს?
თუ კი მე არ დამიჯერებთ,
მოადგილეს კითხეთ: სოკრატს.
აქ გამოჩნდა უცბათ ციცხვი,
თავს წაადგა მკვეხარ ქოთანს:
ნიკიფორეს გააცივა,
შიშის ქარი მთლად გაოფლავს.
იგი იყო დაზგის მუშა,
შრომის ოფლით განბანილი!
გააშავა ნიკიფორე
და შეახმო პირში ტყვილი!

**ბახრო.**

# დეპეშები

ჭიათურა. სასწრაფოდ „ტარტაროზი“-ს რედაქციას. ასლი ჯანმრთელობის კომისარიატს. დაიწყო პარტიული ჩისტკა. სიცხემ ერთბაშათ აუწია დაავადებულებს. საავადმყოფოს მთელი პერსონალი ფეხზეა დამდგარი და ზომებს იღებს სიცხიანების წინააღმდეგ, მაგრამ ტერმომეტრები არ ყოფნით. საჭიროა სასწრაფო დახმარება. მოგვაშველეთ სიცხის საზომები, თორემ ბევრნი სიცხის გაუზომავათ კვდებიან. მოგვაწოდეთ სიცხის საწინააღმდეგო წამლები, ოფლის მოსაყვანი წამლები არაა საჭირო, რადგან ისედაც ოფლში არიან გაწუწულები.

**იქიდანვე** — ჩისტკა გრძელდება: გავრცელდა საშინელი სენი — ენის ქავილი. ძველი ბოღმები სულ ახლა ითხევა. კლუბის ეზო აღარ იტევს. საჭიროა საჩქარო ზომების მიღება, თორემ მუშათა კლუბს წალეკა მოელის.

**იქიდანვე** — ჩისტკა გრძელდება. დაშავდა მოტრფიალე ქალთა ჯგუფი. ბევრი ტაშის ცემით ნადიას, ანეტას, ნინუცას, ელენას, ესაკიას და სხვათა ხელები შიგ მაჯაში აქვთ გადამტვრეული. მოგვაშველეთ დოსტაქართა რაზმი.

**იქიდანვე** — სტაჟიანი კომუნისტი კოტე მძიმე ავადმყოფია. ცხრაას ჩვიდმეტ - თვრამეტ წლებში სოფელ ხრეითში, გვარდიაში ყოფნის დროს, აჯანყებულ უმწეო გლეხისათვის რომ ერთად-ერთი მარჩენალი ძროხა დაუკლავს და შეუჭამია, იმისი რქები აქვს უბედურს გაჩხირული კისერში და იხრჩვება კაცი. ამას ზედ დაერთო: მარჯვნივ - მარცხნივ გადახრის ეპიდემია და ხელიდან გვეცლება ეს ძველი „რევოლიუციონერი“, რომელიც მისი თავდაბლობით და კაცთმოყვარეობით თავს არ იზოგავდა და თვით თავმჯდომარე აღადვილკომის, სრულიად დაუზარებლად დაწესებულებაში ყმების მსგავს უკეთებდა გაჭირვებულ კომკავშირელს. საჭიროა სწრაფი დახმარება, რომ არ დაგვიბნელდეს მზე და ხელიდან არ გამოგვეცალოს ეს უბადლო სოციალისტი.

**იქიდანვე** — ჩისტკა გრძელდება. კომუნისტი ყაველაშვილი გამომახვებულია მწმენდელი კომისიის მიერ, მაგრამ ვერ ნახეს ჯერ. ცხრაას ოთხიდან დამალულია, თურმე და ეძებს „პრავიზიის“ „კარზინკას“ და გაშტრიკინებულ თოფს.

**იქიდანვე** — ჩისტკა გრძელდება. ეძებენ რიჟამაძეს წმენდაში გასატარებლად, მაგრამ, მოუცლელობის გამო. ვერ ცხადდება, რადგან გასასესხებულ საპროცენტო ფულებს ითვლის და პროცენტში აღებულ ხალიჩას კიდებს კედელზე.

**კანდიდატი.**

## ბიუროკრატი-პროტექციონისტი



ამ გოგრას, კი აზ სიდიდეს,
ზნედ აქვს: გასცდეს უოველ რიდეს.
მას უფლებაც კი ვერ ზღუდავს.
პროტექციის გადამკიდეს....

## უსაფუძვლო შებრალება

— ვაი ჩვენი ბრალი, რა ბიჭი მოკვაკლდა — ამოოხვრით სთქვა ამირანმა, როცა ბავშთა კომისიის სასადილოში შევედით ლუდის დასალევად.

— რა იყო, ბიჭო, რა მოხდა—შევეკითხე მე.

— რავა რაი, ბიჭო, ამ მუშგლეხინმა პირდაპირ გაგვანადგურა კაცი. რაც კაი ბიჭები იყო, ყველა ჩაყარა.

—ვინაა, კაცო, ვიზე ამბობ? — შევეკითხე მე.

— კაცო, არ წაგიკითხავს „საბჭ. აჭარისტანი", რა ეწერა სოც. უზრ. ყოფ. კომისარიატზე? ჩაყარეს, ბიჭო, მშვენიერი ბიჭები, ჩაყარეს. — ნაღვლიანად სთქვა მან და ცივი ლუდი ისე გადაუშვა ყელში, როგორც ზედაშე.

— კი, მარა ვინაა ასე შესაბრალებელი იქინე?

— ვინაა, კაცო და ყველა, მაგრამ კალანდაძე ხომ სულ უბრალოდ ზის. რაღაც შვიდასი მანეთი გაუცია, ვითომ შეშისათვისო, ვიღაცას კიდევ 1800 მანეთი შეუჭამიაო. მერმე ასე უბრალო, სულ რაღაც ორი-სამი ათას მანეთიზა კაცი უნდა დაილუპოს. — სთქვა მან და კიდევ გადაკრა ლუდი. ისე გრძნობით ამბობდა ის ამ სიტყვებს, რომ მეც მეწყინა ასეთი კაცის უბედურება. ჩვენ ორივემ დიდი მწუხარება გამოვთქვით, ერთიორი სადღეგრძელო დავლიეთ, უსურვეთ მალე გამოსვლა, შეუკურთხეთ ერთი მუშგლეხინსაც და ცივი ლუდი გადაუძახეთ ყელში.

— ჩვენ აქ ცივ ლუდს ვსვამთ და ის კი... — სთქვა კიდევ ამხანაგმა.

— ეხ, ძმაო, სადაა სამართალი, მართალია ვერაფერს ვეხმარებოდით ამ უდანაშაულოდ დასჯილს, მაგრამ ჩვენი თანაგრძნობა საკმაო იყო მის გასამხნევებლადაც. — რომ იცოდეს ეხლა, რომ ჩვენ მას თანაუგრძნობთ, ვადღეგრძელებთ, როგორ გაეხარდებოდა, ვფიქრობდი მე და თან ვნატრობდი იმ დღეს, როდის გამოუშვებდნენ მას და გადავცემდი ჩვენს ამაღამდელ მოგონებას.

— რა ამხანაგი იყო მერე ჩემი? სადაც შემხვდებოდა, აგერ იმასავით მომესალმებოდა — არ ისვენებდა ამირანი. ორი ბოთლი ლუდი დავცალეთ და ის იყო ადგომას ვაპირებდით, რომ ვიღაც პურის ცომივით აპუნცულებულ „დამოჩკით" შემოვიდა და კაბინეტისაკენ წავიდა.

— „რა ქორფაა", — ჩავილაპარაკე მე, როცა ქალის გამოხვეული თეძოები დავინახე.

— დროს ტარებაც მასეთი უნდა— ჩაილაპარაკა ამირანმა.

— კაცო, მაგი დაჭერილი იყო, მეგონა, და ქე დადის? — შეეკითხა ერთი ამხანაგი მეორეს, მეორე მაგიდაზე.

— ვინაა მაგი! — შეეკითხა ამირანი.

— მაგი კალანდაძეა, კაცო, გუშინდელ გაზეთში რომ ეწერა, — სთქვა უცნობმა.

— კალანდაძე? — ჩაილაპარა ამირანმა და გაშეშდა. მერე სალამი რატომ არ მომცა — ნაღვლიანად სთქვა ამირანმა და შერცხვა. მე მივედი სახლში, ამოვიღე „საბჭოთა აჭარისტანი" და ამოვიკითხე: „კალანდაძის მიერ გაცემულია თანხები ვინმე ქორქაძეზე და შაქარიშვილზე. სულ შვიდასი მანეთი, მაგრამ არავინ იცის ამ პირების ვინაობა. ეს თანხები არ სჩანს, რას მოხმარდა"

პ. ოგოლი.

## ლენტორ და ტარასი
### (გაღდათი)

**ტარასი:** გამარჯობა, ლენტორ, რამ დაგალონა, კაცო!

**ლენტორ**—რავა რამ დამალონა, კაცო? მივატოვე ოჯახი დილას და აგერ დაღამდა და საკრედიტოში თავმჯდომარე კიდევ არ მოსულა.

**ტარასი** — რომელი, კაცო, არქიპიე?

**ლენტორ**—ოო! ჩვენი არხიპო რომაა. იმე, ორივე ხელები ავწიე ზევით მის გაყვანაზე და, ნეტავი, ხელები კი არა, ფეხებიც დამტეხოდა.

**ტარასი** — ნუ ჯავრობ, ძმაო, შენ ეცადე, რომ კვირეს მიხვიდე საკრედიტოში, თვარა არხიპო დანარჩენ დღეებში ქუთაისშია და რატომ უცდი აქანე?

**ლენტორ**—ვაი ჩემო დღეო, მე, კაცო, მომშივდა დღეს, შევედი კომპერატიეს სასადილოში და, რომ ჩევიდევი პირში მესამე ლუკმა, მეცა გამგე შაშუკი და გამომგლიჯა ლუკმა პირიდან.

**ტარასი** — გედეირია, კაცო, თუ რაშია საქმე?

**ლენტორ** — არა, გათავდა მუშაობა და აწი არ შეიძლება ჭამაო, გამომაგდო გარეთ.

**ტარასი**—რავა წახდა მაგი უბედური თლად. უნდა ამოუსვათ ნიშადური ისევ.

ხლისტი.

# „კურუკრის" მოანგარიშე კაჭარავა
## ჯანსახკომის ავტოზე



— თუმცა ამას წინად ცხვირ-პირი კი მიმანტვრიეს ვერის ბაღში, მაგრამ ვლადიკავკავამდე ტფილისიდან, ხოლო იქიდან ტფილისამდე ერთს დროს მაინც კარგად გავატარებ ამ „ტურფა ქალის" გვერდში!..

მაშ, გასწი, ავტოვ! შენსა ქროლვას არ აქვს საზღვარი!..

---

# ქუთაისის ერთ-ერთ კომისიის
## სანიმუშო მუშაობა

**ალე** — ამხანაგებო! თუმცა კომისიას უნდა ესწრებოდეს შვიდი წევრები, ესწრება კი მხოლოდ ორი, მაგრამ მე მაინც სრულიად კანონიერად ვაცხადებ დღევანდელს ჩვენს კრებას.

**მარო და ნოვე** — (თავს აქნევენ) სრული კანონიერია, არ გვინდა დანარჩენი, შენი სიტყვები, ალე, ჩვენთვის კანონია!

**ალე** — მაშ, ასთე, ამხანაგებო! ხელოსანთა ამხანაგობა — მართალია, ვალდებულია ამხანაგურად იმუშოს, ამასთან, ჩვენ შორის საიდუმლოდ დარჩეს, და გულახდილად უნდა გითხრათ, რომ დღემდის სხვა იყო ჩვენი მუშაობა, დღეის იქით სრული ნება გვეძლევა სხვა პოლიტიკით ვიმუშაოთ. კაცმა ყოველივე დროით და გარემოებით უნდა ისარგებლოს, თავის თავიც იცნას. ამას რატო ვამბობ, თქვენც კი მიხვდებით. საჭიროა ეს იმიტომ, ამხანაგებო, რომ აწ საშიში აღარასფელი გვაქვს: პარტწმენდა გავიარეთ — მეორედ წმენდა ათ წელიწადს აღარ იქნება და, თუ ჩვენი საქმეები ჩვენვე არ მოვაგვარეთ, სხვას ჩვენ, აბა, რას გავახსენდებით?!.. პირველად, ამხანაგებო, არტელებში ჩვენ ჩვენი მოყვრები და ნათესავები დავნიშნოთ, თუ ვინმე იკითხავს: რატო ქიქცევით ასთე, ერთხმად ვუთხრათ: „ასთე იმიტომ მოვიქეცით, რომ ჩვენ ვისაც დაახლოვებით ვერ ვიცნობთ და მისი მუშაობა არ ვიცით, ვერ დავუშვებთ მუშაობაზე, — რადგან არ გვინდა არტელებში შრომის ნაყოფიერება დაეცეს- თქვა. ისთე, ამხანაგებო, მე ორი ჩემი მოყვარე თქვენი დახმარებით ქე მოვაწყვე ადგილზე: ნუცუბიძე არტელ „კონკურენციაში" და ლომინაძე — „აბრეშუმის საქსოვში". თქვენ კარგათ იგიც იცით, თუ რა ოფლი დავღვარე მათ დანიშვნაზედ, რა ბრძოლა არ დამჭირდა, მეტადრე არტელ — „კონკურენციაში", სადაც ხელოსნებმა გამიშრეს სისხლი, ერთხმად განაცხადეს: „არ გვაქვს ცხოვრების სახსარიო, ვალებში ვართო, წარმოება ვერ აიტანსო. ჩვენთან ხელოსანი მეთაური თუ არ იქნა, არა ხელოსანს, ჯამაგირს ვერ მივსცემთო, ჩვენი ბალანსი გადასინჯეთ ჯეროვ და ასეთ. უადგილო თავხედობას იჩენდენ. კიდევ მეტი: „ჩვენ გვყავს ძველი კომკავშირელი ხელოსანი და ის იქნება ჩვენი ხელმძღვანელიო". მაგრამ, თქვენი დახმარებით, საქმე ისთე დავუყენე, ისთე დავამიწე ყველანი, რომ ჩოქვით მოვიდნენ ჩემთან და თვითონ ითხოვეს ნუცუბიძის დანიშვნა. აი, ამხანაგებო! ასთე დაკვრითი წესით და თავგანწირულად თუ არ ჩავატარეთ მუშაობა, სირცხვილს ვჭამთ და წარმოება ჩვენ არტელში დაეცემა!..

**მარო და ნოვე** — მოხერხებული კაცი ხარ, ჩემო ალე, ჩვენთვის კანონია შენი სიტყვები!

**ალე** — ამხანაგებო! ეხლა ხელმძღვანელი კაცებია დასანიშნავი შემდეგ არტელში: „წითელ სხივში", „წითელ ვარსკვლავში", „ბამბეულში" და „ჩვენ ცხოვრებაში". გთხოვთ დაასახელოთ თქვენ-თქვენი ნაცნობები და მოყვრები, მუშა რომ იყვეს, არ არის საჭირო, მხოლოდ უნდა იყვეს მოლაპარაკე — და ჩვენი მასზედ შრომა დააფასოს.

**მარო და ნოვე:** — გვყავს! გვყავს! ჯერ ჩემი დავნიშნოთ! არა, ჩემი! (ასტყდება ჩხუბი, ალე ზარს რეკს. ჩამოვარდება სიჩუმე).

**ალე** — ამხანაგებო! ჩვენ სახელმწიფო საქმეს ვაკეთებთ და ჩხუბი და აჩქარება აქ უადგილოა. ჯერ თქვენ კიდევ უნდა მოითმინოდ, მე კიდევ მყავს ჩემი კაცები დასანიშნავი. არტელის დახმარებისთვის სამტრედიიდგან დავიბარე ერთი ნათესავი, მას მოვაწყობ და შემდეგ კანონად დავსდვად თითო ჩვენგანმა სამ-სამი მოყვრები მოვაწყოთ ადგილებზე. შემდეგ კიდევ თავიდან დავიწყოთ.

**მარო და ნოვე** — თანახმა ვართ. ალე, თანახმა. სანამ სული პირში გვიდგია, თქვენი სიტყვა ჩვენთვის კანონია!..

**ალე** — ამხანაგებო! თქვენ ამას ახლო მომავალში დაინახავთ, რომ ჩვენ ჩვენს საქმეს და ჩვენი მოყვრებისასაც კარგად წავიყვანთ, მაგრამ ჩვენ ანგარიში უნდა გავართვათ ერთ გარემოებას. ერთ წუთსაც არ უნდა გავივიწყოთ, რომ ეს ბაღნები ხელოსნების შვილები, კომკავშირლები, თქვენც, მაგრამ მეტადრე მე მემტერებიან, თუმცა პირადად მე მათი მტრობა ფეხებზე მკიდია, მაგრამ ვშიშობ თქვენ არ მოგდევან შაირი. ამიტომ ისეთი პოლიტიკით უნდა ვიმუშაოთ, რომ ისინი დარწმუნდნენ, რომ მათ სასარგებლოდ ვმუშაობთ. თქვენ ქე იცით, რა დღე დავაყენეთ მათ უჯრედის მდივანს, კვიცარიძეს და კაშიას ქალს. ორი თვე სრულდება, რაც უმუშევრად დადიან და გადაწყვეტილი მაქვს ერთ თვეს კიდევ ტკეპნონ ქუჩა, რომ ამით უფრო დაგვაფასონ და გვიცნან ჩვენ. თქვენ, ალბად, გახსოვთ, რა თავხედობას იჩენდნენ უწინ. ეხლა ერბოსავით დნებიან და, დამინახავენ თუ არა, მიწამდის მიკრავენ თავს. ამასთან, ამხანგებო, მაფიქრებს კიდევ ერთი გარემოება, მაგალითად, რომ გაგვიგოს ზემდგომმა ორგანომ ჩვენი ასეთი პოლიტიკით მუშაობა.. მაგრამ, თუ ჩვენ ერთი მეორის მხარის დამჭერი ვიქნებით, ერთი აზრით და მიზნით შევხვდებით ყოველივე დაბრკოლებებს, ვერაფერს ვერაფერს ვერ დაგვაკლებს. ამიტომ მოვითხოვ იყვეს ჩვენში სრული სოლიდარობა!

**მარო და ნოვე** — ვიცით, ვიცით, ჩვენო ალე! თუ ასთე გეგმიანად ვიმუშავებთ, ვერავინ ხელს ვერ გვახლებს!..

**ანასა.**

## სიტკბონი ჰამაკისანი
## ან ვით მოსთვალოს ენამან!?




ბიუროკრატმა ჰპოვა ის,
ჩაწვა და განისვენა მან!..

# პირადი ინტერესი

ჯამლეთ ლაყუჩაძე აქტივისტის სახელს ატარებს. ჯამლეთიც იმშვენებს ამას და ყველასთან, ვინც არ უნდა შეხვდეს, მსჯელობს პოლიტიკაზე. ჯამლეთი, რაც არ უნდა მოუმზადებელი იყოს ამა თუ იმ საკითხში, ის მაინც გახსნის მოხსენების „კვანძს“, ვინაიდან თავში აქვს ბაგაჟი, „ერთ - ერთ კრებაზე მუშავდებოდა საკითხი სოციალისტურ შეჯიბრის შესახებ; ჯამლეთს პირველად ესმოდა ეს კითხვა, თუმცა გაზეთი კი ეჭირა ხელში, მაგრამ წაკითხვა იყო საქმე; ჩაიწერა მოხსენების თემა, და ჩაეწერა კამათში, მიეცა სიტყვა ჯამლეთს; ჯამლეთი დინჯათ მივიდა, წყალი მოწრუპა, გაშალა შავზე გაქრილ თხოვნის ქაღალდები და დაიწყო:

— ამხანაგებო და ძვირფასო აუდიტორია“! მე თქვენს ყურადღებას დიდხანს არ მივიპყრობ. მე მინდა შევეხო ზოგიერთ გამოჩენილ საკითხებს. აქ მომხსენებელმა სთქვა, მარა გამორჩა კიდეც; მე მინდა ცოტა დაუმატო... მაშ, გაუმარჯოს, ჩვენს ქვეყანას და ქვეყნის ასინიზაციას! ჯამლეთი ჩამოხტა... ზოგან სიცილი ისმოდა და ზოგან კი ქება. ჯამლეთი ტრაბახობს:

— ხო გავაძვრინე, ბიძი, ტრუბაში! საკითხების კანალიზაცია არ იციან და ისე გამოდიან საასინიზაციო მოხსენებაზე. დადგა საბედისწერო წუთი: პარტიის გამწმენდ კომისიამ დაიწყო მუშაობა. გულუბრყვილო მაყურებელი დაინტერესებულია ჯამლეთის გამოსვლით და, იძახის:

— ეხლა უყურე შენ რავა დააფანიერებს ამ კომისიას!..

ჯამლეთი ლაყუჩაძე გამოიძახეს. გამოკითხეს პოლიტიკური მრწამსი. კომისიის ერთ - ერთი წევრი შეეკითხა:

რას გვეტყვი მემარჯვენე გადახრაზე.

ჯამლეთმა ჩაახველა და დაიწო:

— მემარჯვენე გადახრა, ეს არ არის მისაღები სუბიექტიურად—და ობიექტიურად, ის უნდა კანალიზაციაქმნილ იქნას, ქვეყნის მაშინიზაციის სფეროში ავიაციის გაძლერებით.

— რა არის კლასი?

— ხო, ეს რთული კითხვაა, რომლის დამუშავებას მოცემულ დროის განმავლობაში ვერ შევძლებ, მაგრამ ვეცდები, კლასი ეს ობიექტი წარმოადგენს ალკოგოლიზმის ინდუსტრიალიზაციას ან ემანსიპაციას ან კიდევ მუნიციპალიზაციას, ასინიზაციის სფეროში; გასაგებია. მე მგონია. მაშასადამე, გაუმარჯოს კლასს, და კიდევაც გეიმარჯვებს.

— დაბრძანდით, ჯამლეთ ლაყუჩაძე! საკმარისია. ჯამლეთი გარიცხეს პარტიიდან, უბრალო ლაქლაქისა და პოლიტიკურ ბეცობის გამო. ჯამლეთი კი იძახოდა:

— ძმაო, ამ პარტიას თავი შევსწირე, მარა ამას არ ვსჩივი. მეუბნებიან პოლიტიკურ მომზადება არ გაქვსო; კაცო, აპა რა არის, ამ თავში, რომ ყრია, ენაზე, რომ ცვინდება სიტყვები! მარა კერძო ინტერესია, კერძო, კომისია რომ „ჩაჯაეინე“ პოლიტიკურ ცოდნაში, ჩოუვარდა ჩემი კერძო ინტერესი და რა მიქნეს; მარა კიდევ დამიძახებენ პარტიაში.

ზაფ—ა.

# სამტრედია

ტატიშვილის „პროვოდ“-მა
შექმნა აყალ-მაყალი!
ღვინო, ქათამ-იხვები,
იყო თავზე საყარი.
აღარ აკლდათ ჩიტის რძე —
თმა-ხუჭუჭა ქალები!
შეზარხოშდენ, იმღერეს:
„მე შენ გენაცვალები“.
მაგრამ დილით ჩამწარდათ,
რაც ილაღეს ღამითა!
ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა;
თითქოს სითამამითა.
მონაწილე „პროვოდი“-ს
ირეცხავდენ ნაღველსა!
არც ერთი არ გასულა
სამსახურში სამ დღესა...

ჰაგნელი ბზიკი.

# ალმასკომის თავმჯდომარე და
## მსუბუქი კავალერისტი
(სადგური ჯუმათი)



— ამხ. სამსონ, თქვენ რათ გეშინიათ წმენდის?
— იკითხონ იმათ, ვინც რამეს აკეთებს, თორემ მე რა?!.

## ქორეთის გმირები

სასოფლო კოპერატივი
გვიდგას ტარტაროზ, ქაობში
და საქონელი ოხრდება
ნესტიან საკუჭნაოში...

ვაჭრებმა ტყავი გაგვაძვრეს
აყროლებული ხორცითა.
ტარტაროზ წამოგვეშველე
შიგ მყოფ „ბატკნების“ ხოცვითა...

კოპერატივი არ ზრუნავს
აქ სასადილოს გახსნაზე,
ორი დღის ხელფასს „მიართმევ“,
მიკიტანს მცირე „ვახშამზე“.

ალმასკომს ხელს და მუხლებში
სიზარმაცე სჭირს დიდია,
ერთი თუ რამე გაკეთდა,
სხვა მას ფეხზე ჰკიდია.

სად გზაა გაფუჭებული,
სად ჩამტვრეული ხიდია,
ქოხ-სამკითხველო გვენგრევა:
ხეებზე თოკით ჰკიდია.

კულტურულ მუშაობაზე
აქ არის „გაწამაწია“:
საქმის დროს ყველა გარბის და
რჩება მარტოკა „კაწია“.

აქვე ქარხანა არსებობს,
მასაც ბევრი აქვს ნაკლია,
სახვაძეს ბოქაულამდის
მარტო კაკარდა აკლია.

სალარო გვქონდა, შეჭამეს,
სადღაც გაქაფეს ფულია;
ამ ფულის მიმთვისებელი
ზოგი აქ პარტიულია...

ლექსომაც „ზორბად“ ჩვენი ქარხკომის თანხაო,
ბევრჯელ ყანწები ამ ფულით
ერთმანეთს შეაჯახაო.

ბევრჯელ მიწაზე გაგორდა,
ქვებზე მოილო ბრახაო
და ბევრჯელ კამპანიაში
მაყრული შემოსძახაო...

თაგვების საზრდოთ გამხდარა
ძველ სამკითხველოს წიგნები,
კერძო პირებმა „ჩასტრახეს“
გიტარა, მანდალინები.

აქვე გიორგი ბრძანდება,
ერთ - ერთ მაგიდის გამგეთა,
ქარხნისთვის პარაზიტია,
თავდადებული ქალებთან!

ტარკორი.

# ტელეფონთან
(დიდი-ჯიხაიში)

ძლაბო!.. ძლაბო!.. გესმის? ა? გაფიცებ საბედოს, გადამკიდე ჯიხაიშს... ჯიხაიში?.. აა? გესმის... რომელი „უჩრეჟდენიე“ ხარ ა? ფოსტა?!! არა, ბიძია, არა, არ მინდა მაქანე მოცდა, შარიანი ხალხი ხართ, იასონი აბესალომს არ ასვენებს, დღე და ღამე ეჩხუბება და მე რა ხეირს დამაყრის! გადამკიდე, ჩემი ძამიე, ალმასკომს... გატოვა!... ა? გატოვა! ალმასკომია.. ვინა ხარ ტელეფონთან? რომელი ხაარ!.... რომელი?. რომელიო... გამაგონე, შე კაცო, რავა კანკალობ... ა? რომელი? თავმჯდომარე ვასილი? რავა ხარ ვასილ? გამარჯობა, გამარჯობა... გოდოურჩი წმენდაას? ა? გაძვერი, ბიძია, გაძვერი!?. მომილოცავს, მომილოცავს, მალარიჩი გეკუთნის, ბევრი სალაპარაკო მაქ, მარა შენ ვერ გენდობი: ცოდვებიანი კაცი ხარ, დამიძახე ერთი, თუ ძმახარ, საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარეს... აგერაა?!. ა? რომელი ხარ, ისიდორე? გამარჯობა, გამარჯობა... რავახარ, გენაცვალე სიპაში, ხმაზე გეტყობა: კოჩალათ დახვედრიხარ წმენდას.ჯიხაიშში რავაა საქმეები, მემიყევი, თუ ძმახარ, მერე ან შენ გემეიარე ან მე გემევიარ და ჩავამაკარიჩოთ ერთი დაშხოშურათ! კლასი რომ იყო მაქანე დაწყებული, არ ეღირსა კიდო მოთავებას!?. ა? რაიო?.. გაგაძვრენ ტყავი კუდის რიკამდის!.. სამჯერ ჩამოკრიფენ ფული? მერე და რამ ჩაყლაპა ამდენი ფულიო?!. კომისიამ? შნო ქონია ჭამის,ვენაცვალე სიფათში! მეოთხეჯერ გაგაწერენ ახლა? მერე და მეიკაკვეთ, ბიძია?! ეილეთ და გოდოუშვით ვირის აბანოში; ეი კომისიეებია, თუ რაცხა მქადი. ბიჭო, ერთი ეს მითხარი შენ: ვასო და კოლე კიდო ისე უმოწყალოდ ასხამენ? ა? კიი? ქოთნით სვამენ ქუჩაში?! წადი, გეიპარე საცხა... მერე და აპარატის წმენდის არ ეშინიათ მაგ ოხრებს?!!. კოპერატივში, ბიჭო, ფართლის გაყიდვაზე პროტექცია ყოფილა, მართალია? ა? გამგეობა კულაკებს წყალობსო, მართლაა? ა? აბა თქვენ იცით, ეგი წმენდაც მოგადგებათ სადაცაა, და დაუჭირეთ ლაგამი, ნოე რას შვება ბიჭო, ნოე? ა? რაა? კერძოთ ვაჭრობს. ოი გამათავე ახლა ქაშვეთის მადლო, წინედ უცოდინრად მიქონდა თავი და ეხლა სპეკულიანტობა დაიწყო? შეარცხვინა ღმერთმა. ბიჭო, მართლა აგრო-ტეხნიკუმის საქმე რაღა გაქვთ, ა? გამგემ გაანიავა ყველაფერი!. არავის არაფლდ აგდებს!.. იარაღებს „ძმაბიჭებზე“ ანათხოვრებს? ოდა მაგას ნდომებია ახლა ქონიანი ნიჩაფი. უთუოდ. გეჩქარება? კაი, ნახვამდის,

ბრაგუნა.

# ჯოჯოხეთის კუთხე

## ეს ალექსი ქავჭავაძე თავნზეც არის და ნამთავნზეც

„კვიცი გვარზედ ჰხტის"-ო, ნათქვამია. მართალია, ალექსი ქავჭავაძე უკვე ისეთი ასაკის პიროვნება გახლავთ, რომ მისი კვიცობა ახლა ერთობ ძნელი წარმოსადგენია. მაგრამ ანდაზას რა არ შეუძლია? იგი ხანშიშესულ ალექსისაც კი „გააკვიცებს", როცა საქმე მის გვარზედ მიდგება. გვარი კი, როგორც ხედავთ და გაყურებათ, დიდი ქავჭავაძეებისა აქვს ჩვენს ალექსის. არვინ იცის ამ გვარის ძირი ანუ წარმოშობის ასავალ-დასავალი. იქნება უბრალო ქავქანიძეც კი ბრძანდებოდა ოდესმე მისი ძველი. მაგრამ აქ, ბუკისციხეში (გურიაშია) ყოველივე ეს ბურუსითა და წყვდიადით არის მოცული. ახალგაზრდა ანუ უკეთ ჭაბუკი — ალექსი შემობრძანდა ბუკისციხეში თეთრი ცხენით, როგორც რომელიმე პრინცი, ერთ აქაურ ოჯახში ზედსიძეთ შესასვლელად და, რაღა თქმა უნდა, მას ქავჭავაძეობაც იმ თავიდანვე უდაოთ და უცილობლად შერჩა.

მაგრამ ისეა თუ ასე, ნამდვილი ქავჭავაძეა ალექსი, ქავქანიძე თუ ბოლოს ჭიჭინაძე, საქმისთვის ამას არ აქვს იმდენი მნიშვნელობა, გარდა იმისა, რომ ანდაზაც ჩვენდა სასარგებლოდ აალაპარაკოს. ძველი დრო რომ ყოფილიყო, ანდაზის ამ ალაპარაკებასაც ალექსი თავისადა სასარგებლოთ გამოიყენებდა, მაგრამ ახლანდელ დროში კი მას გაუჭირდება არა მარტო ეს, არამედ იმ ნამთავნების ისე ადვილად შეგროვება და მოხელება, რომელთაც ის ისე ადვილად იღებს გაჭირვებულ სოფლელებისაგან მისესხებულ ფულების სარგებლად. (თუ კორესპონდენტ „რატატა"-ს დაუჯერებთ, ყოველ ათ მანეთზე სამ მანეთ სარგებელს ანუ ნამთავნს).

თუ არ ვსცდებით, თავის დროზე ალექსი ქავჭავაძე, მგონი, ხალხს მკურნალობდა. აქედან ამჟამად სოფლის უბრალო მევახშის დონემდე დასვლა ისევ ძველი დიდი წოდების დღევანდელ წარმომადგენელს თუ შეეძლო, როგორც ალექსის, ქავჭავაძიანთა გვარის ამ ერთად-ერთ წარმომადგენელს ბუკისციხეში, სადაც გვაროსან მევახშის ალექსი ქავჭავაძის კლიენტები ერთავად სოფლის გლეხები არიან, მყოფნი პირველთან ისეთსავე დამოკიდებულებაში, როგორშიც ადრე წინაპრები იყვნენ, ალბად, თავად ქავჭავაძეების განკარგულებაში.

აი, რატომ მოვიყვანეთ ჩვენ ის ცნობილი ანდაზა კვიცისა და გვარის შესახებ წერილის დასაწყისში!

ამრიგათ და ამნაირად დევ, ალექსი ჭავჭავაძემ იხტუნოს თავის გვარზედ, ოღონდ ხტუნვის სიხანგრძლივე კი სავსებით თანამედროვე წესებზეა დამოკიდებული. სამწუხაროა მხოლოდ, თუ ამ წესებმა რაიმე მიზეზით დაიგვიანეს.

## რაში მცხელა გოდოგანი? მომიყვანეთ აქ არღანი!...

გოდოგანი სოფელია ქუთაისის ახლო. ვის არ მოუსმენია სიმღერა: „ეს სოფელი სოფლად მინდა, ქუთაისი ქალაქათო"?!.

მართალია, ეს სიმღერა ძველია ისე, როგორც ქუთათური ქეიფი და მოქეიფე ყმაწვილები, ცნობილნი ოდესმე თავიანთი დროს - ტარებით და სასიმღერო „ნომრებით". ახალი დრო კი სულ სხვა მოთხოვნილებებს უყენებს როგორც ქუთაისს, ისე თანამედროვე ყმაწვილებსაც. ამიტომ არის, რომ დღეს ქუთაისს ვეღარ იცნობთ: ძველი სმა-ჭამის მიმყოლ, მცონარე ქალაქის ნაცვლად, დღეს ქუთაისი ნამდვილ ინდუსტრიალურ ქალაქს წარმოადგენს. მან სავსებით იცვალა სახეც და შინაარსიც, თანახმად საბჭოთა ქვეყნის ბუნებისა.

სამწუხაროდ, ყველაფრის გამოცვლა ერთბაშათ ძნელია და ძველის ნაშთი აქა-იქ სჩანს, ჯერაც მოიპოვება. ამის უტყუარ საბუთს წარმოადგენენ ქუთაისის კირის ქარხნის ხელმძღვანელები: სევერიან მურღულია, გოგელაძე, გაბელია და შალიკო ძაგანია. ამ მოქალაქეებს შესაძლოა გაგონებული ჰქონდეთ სადმე, რომ საჭირო არის ქალაქის სოფელთან „სმიჩკა", და, ალბად, ამ „სმიჩკის" განხორციელების საპატიო იდეა თუ უხიცინებლათ ილლიაში, როცა ისინი ერთ მშვენიერ დღეს, ქუთაისის სამიკიტნოებში დროს გატარებისა და ძალზე შეზარხოშების შემდეგ, უცბათ ეწვიენ სოფელ გოდოგანს, სადაც აღნიშნულ დღეს კულტურულ მიზნით, საღამო იყო მოწყობილი ადგილობრივ ძალების მიერ. მოსვლის უმალ მათ მიჰყვეს ხელი ქალებში გართობას და, როცა ძარღვებში სისხლის ჩქროლამ ამ მიზეზით კიდევ უფრო იმატა, „არღანიო" — დაიძახეს: —„თავსჯდომარევ, არღანი მოიყვანე ამ წამს ქუთაისიდანო".— აუტეხეს აყალმაყალი თავმჯდომარეს. თავმჯდომარემ მათ დაუწყო წყნარება და დასაბუთება მათი მოთხოვნილების სრული შეუფერებლობისა, მაგრამ არ შეგჭამათ ჭირმა, არაფერმა გასჭრა. პირიქით, გასჭრა მურღულიას ნაგანმა, რომელმაც იგი თავმჯდომარეს მიუმიზნა, მუქარით: „კოწიავ, თუ ამავე წამში არღანი არ მოგიყვანია, გაგცვეთო!..."

მშვენიერი სანახავი იყო ამას შემდეგ ეს „კულტურული" ქალაქელები გლეხების მიერ დაძალებით გაკეთებულ წრეში მოცეკვავენი. საღამო, რომელსაც შეიძლება ბევრი კულტურული საგანმური მიეცა სოფლელებისათვის, ამ ოთხი ძალად-მაცხოვნე სტუმრის მეოხებით, გადაიქცა ძველებურ ცეკვისა, არღნისა და სხვა აზარტების სათარეშოდ.

## ხევის-წყალას წისქვილში შანიძე სულს სცვლის ფქვილში.

განა, ფქვილში სულის გადაცვლაც კი შეიძლებაო? —იკითხავს გაოცებული მკითხველი. არა, არ შეიძლება, რადგან სულის არსებობა ჩვენ არასოდეს არ გვწამებია. მხოლოდ, თუ ვამბობთ, ვამბობთ თანახმად ხალხური გამოთქმისა: „სულს გასცვლის ამა თუ იმ საგანშიო". რაღა თქმა უნდა, საგანი ფრიად საჭირო უნდა იყვეს, როცა კაცი მასში „სულს სცვლის", ესე იგი, არ დაერიდება, ამ საგნის შეძენის მიზნით, არავითარ ცოდვის ჩადენას, სხვანაირად, ბოროტმოქმედებას. ამ სანოვაგის სიძვირის დროს კი რაღა უნდა იყვეს ფქვილზე უკეთესი. მეწისქვილე შანიძემაც (ხევის-წყალაზე არსებული წისქვილი, საჯავოხოს (გურია) ახლოს), ეს მშვენივრად იცის. ამიტომაა, რომ გლეხობას დასაფქვავად მიტანილი სიმინდი აღნიშნულ წისქვილზე, აღნიშნული მიზეზით, ვერ დაუტოვებია: დატოვებულ საფქვავს თითქმის ნახევარი უცნაურად დააკლდება. ამიტომაც ახლო-მახლო გლეხობა გამოუვალ განსაცდელშია: დასტოვებ საფქვავს შანიძესთან — ვაი (ფქვილი დაგეკარგება!); არ დასტოვებ — უი (სამუშაო დროს დაკარგავ საფქვავის დარაჯობაში!).

— დიახ, არ ვიცით, რომ კრიზა ზოგიერთთათვის სასეირნო ადგილად იქცევა ხოლმე? ...ბით, ბაღზე უკეთესია კრების დარბაზში სეირნობა: ნაცნობებსაც ნახავ და მუსაიფსაც დაისრულებ...

**ძმუნტი.**

# მოჭორილი სიყრუე



— რისთვის აგიკრავთ ეს ყბა!..
— ყბა კი არა, ყურები მაქვს ახვეული, თორემ ჩვენი გამგე სულ დაჭრილ დათვივით ღრიალებს ხოლმე...

## ვაი კონცერტებისგან

(ჭიათურა)

გამოვლენჩდი ამდენი
„კონცერტების“ ყურებით...
(„მომღერლებო“, გენაცვათ,
გთხოვთ ნუ დამემდურებით:)

—

ამდენი „სოლისტები“?!
ან კი... სწორეთ მაკვირებს
როგორ გაჩნდენ?! მოედვე
აქ მდინარის ნაპირებს.

—

„ნინიკო“, „ვალენტინა“,
და სხვა კიდევ მრავალი,
სწორეთ გითხრათ: „ხრინწაძის“
გაჩაღდა კარნავალი...

—

საჯირითო მოედნათ
თეატრი გაიხადეს.
ჯიბის „ბენეფისები“
ყველამ გადაიხადეს.

**შაკო.**

## თანამედროვე საკითხებზე

— რომ იცოდე, ჩემმა კრიტიკამ როგორ იმოქმედა სიკოზე!..

— როგორ, ასე მალე გამოსწორდა?

— კი არ გამოსწორდა, გამოსწორდა: გუშინწინ მოსახვევში შემხვდა და ისეთი სილა გამაწნა, რომ ლოყა ეხლაც მეწვის.

—:—

— ოჰ, ჩემო გიორგი, რა პარტბილეთი დავკარგე?

— მერე, შე კაცო, ვერ გააცხადე გაზეთში?

— რას ამბობ, კაცო? ეგ მაკლია კიდევ, ჯერ ის მიკლავს გულს, წმენდაზე, რომ ამდენი ხალხი ესწრებოდა, დუნია ხალხში მომჭრა თავი და გაზეთშიდაც გამომეცხადებია!?

—:—

— სასეირნოთ არ დადიხარ ხოლმე ხშირად?

— ეს ერთი ხანაა კრებაზე აღარ ვყოფილვარ და...

— კრებაზე კი არა, სასეირნოთ-მეთქი!

# ტერტერ მანუკიანი

ერთი თვის უკან ლენინაკანიდან, ტფილისს ესტუმრა ერთი ტერტერა, (რასაკვირველია, მე-9 რაზრიადის ხალხში) მესროპ მანუკიანი. რასაკვირველია, ის გეახლათ თბილისში საეკლესიო საგნების შესაძენად. როგორც არის: სანთელი, საკმეველი, ოლარი, და საზედაშე ღვინო, (იმას გაუწყრეს მისი მადლი). ტერტერამ ანუ მესროპ მანუკიანმა შემოიარა ტფილისი თავის ლამაზ გამზირებით, და ქალებით. დიდხანს დგებოდ ხოლმე ტრამვაის ვაგონებთან და ათვალიერებდა — წვივ-ტიტველა ქალებს, რომელთაც ტრამვაის ვაგონში ჩაჯდომის დროს აუცილებლად ცალი ფეხი ნახევარ მეტრზე უნდა აეწიათ და ზოგს ან ტიტველი ხორცი და ან კრუჟავოიანი პერანგის ამხანაგი უჩნდებოდათ ხოლმე. საწყალ მესროპს ანუ ტერტერას ამათ დანახვაზე ცივი ოფლიასხამდა — კისერზე, რომელსაც ყოველ წუთში იხოცდა თავისი გაზეთილ გამურულ ცხვირსახოცით.

მესროპმა გულში ბევრი რამ გაიტარა. ამ ტფილისში ვერავინ მიცნობს. ლენინაკანში კი ასეთი „დამოჩკები“ თავის დღეში არ გამომეცხადება. ეხ, უნდა ჩავსქესობრივდე — რაც იქნება, იქნება. ლენინაკანიდან აქ ღმერთი (ასვაცი) მაინც ვერ დამინახავსო. თქმა და ასრულება ერთი ქნა. ის იმ საღამოსვე დაუმეგობრდა ვინმე ალასო აირაპეტოვს, რომელსაც ტფილისში ყავდა ერთი იმ ტოლთაგანი, ვისთვისაც ალასო მარტო ქმრის სახელია, თორემ სახრავად სხვისი იყო. აი სწორედ მესროპ მანუკიანმა ასეთ ადამიანთან დაიკმაყოფილა სქესობრივი „ტრებოვანი“-ე. იცით, რა დაუჯდა ეს მესროპს? ქალმა 25 მანეთი გადაახდევინა. ქმარმა კიდევ მოთხოვა ფული და როცა მესროპმა უარი უთხრა, შეიქნა ხელჩართული ბრძოლა. სხვისი ქონებით გასუქებული მღვდელი მარჯვე გამოდგა და ქალის საყვარელი ქვეშ მოიქცია, მაგრამ ქალის საყვარულმა მესროპს მუცელში სამართებელი მოუქცია. ლენინაკანის მრევლს კი ოჯახი დაუქცია! მესროპი ბალნიცაში (ხოლო იქიდან კი ზეცაში გოუქცია). მე, როგორც ტარტაროზ კორს, მინდა სანუგეშო სიტყვა უთხრა ლენინაკანის მრევლს, მაგრამ სწორედ ეს სიტყვა ვერ გამომინახავს.

**ძნელოღლი.**

# ცნობათა მიღება



**ყვიბისი, ბორჯომის მხარე. გზის პირელს.** თქვენი ფსევდონიმი გაცილებით მეტს ამბობს, ვიდრე თქვენი ლექსი, რადგან გზის პირელი მართლაც ადვილად შეამჩნევს, თუ რა შემოაქვთ სოფელში ან რა გააქვთ იქიდან. ცხადია, ეს მოსაზრება ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ სოფელ ყვიბისში, გარდა ღვინისა, ალბათ, ბევრი რამ სხვაც შემოაქვთ. თქვენ კი გვწერთ მარტო ღვინის შესახებ. ისიც ცხადია, რომ ღვინო კაცს ათრობს. ამაზე უცხადესია კიდევ ის, რომ თრობას ჩხუბი მოსდევს. ამისთვის კორესპონდენციის წერაც არ იყო საჭირო. კორესპონდენციები ტარტაროზისთვის უნდა იწერებოდეს ისეთ შემთხვევებზე, რომელთაც საბჭოთა საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის საზიანო ან მიუცილებელია. აი, როგორც, მაგალითად, თქვენი ლექსი. „ტარტაროზისთვის“.

**ქობულეთი. ძირულელ თალას.** გეგიძის შესახებ მართლაც აღარ ღირს წერა. მასზედ ბევრი დაიწერა და, გვგონია, საკმაოა.

რაც შეეხება მურად ნემსაძეს, კომკავშირელს, მაგრამ ძველ კონტრაბანდისტს, მის შესახებ, როგორც დაინახავთ, თქვენი ლექსიდან ვათავსებთ შესაფერ ადგილს.

**სად. შულავერში. ქესატს,** თქვენი მოზაიკური სურათი მართლაც რომ ქესატი აღმოჩნდა ყოველივე იმით, რითაც მოზიაკური სურათები განირჩევიან ხოლმე სხვა სახის ნაწარმოებთაგან.

**აქ, თუ სადმე. მამზერალს.** მამზერალი თუ ხართ, თანაც ისეთი მამზერალი თანამედროვე იუმორკორს, რომ შეეფერება, დაგიჯერო, რომ ნად „დგიმის“ გარეშემო, თუ მისი ცხოვრებიდან უფრო საინტერესო რამე ვერ დაინახეთ, ვიდრე ეს თქვენთვის ყოველ მხრივად „განყენებული“ თემა? მამზერალს მეტი კონკრეტულობა და ადგილობრივ ცხოვრების დაკვირვება მოეთხოვება.

**სამტრედიის რაიონში. გამკრიახს.** თქვენი ამ ლექსიდან: „ჩვენი სოგრატი“ სრულიად არ სჩანს თქვენი გამკრიახობა, გარეშე იმის დანახვისა, რომ გომის კოოპერატივის ნოქარს. სოკრატის, მიუხედავად პურისა და სიმინდის სიძვირისა, მაინც ყოველდღე ბლომად ეზიდება თურმე ასეთებს თავის სახლში იდლიაში ამოჩრილად. რას იზამთ? ასეთია ზოგი კაცის ბუნება. რუსული ანდაზა ხომ გაგიგონიათ: „თაგვიც კი თავის სოროსაკენ ეზიდება ქერქიზსო“ მაშ, სოკრატი რა თაგვზე ნაკლები გგონიათ თქვენ? იმასაც აქვს, ალბათ, თავისი და სხვისი სოროს გარჩევის უნარი!..

**ზესტაფონში. ივანე ლაშისპირელს.** მშვენიერია თქვენი წინადადება შესახებ ფაშვ-გამხმარ ნიკალასთვის ჩანგლის ამოკვრისა და მისთვის მისი კუდის, მიხაკოს, მიყოლებისა. მაგრამ ერთი-ღა გვაქვს საკითხავი: რისთვის? აი, ამისი მოწერა დაგვიწყიათ, რაც საქმის უფრო არსებით მხარეს შეიცავს, ვიდრე ჩვენი წაქეზება. წაქეზება ჩვენ აღარ გვინდა, ოღონდ თქვენ ეცადეთ ცნობის სისრულესა და აზრის სისავსეს!... არც ის ვიცით, თუ ექიმ მიშას ხელის ფოთიალი რაში იხატება. ამ საპატიო მიზეზით, არც მისი შეწუხება შეგვიძლია ჯერჯერობით.

**ბათომში. მიხაკალას.** „ჩვენთვის კანონი არ არის, ვართ ყველა წყალწაღებული“-ო, რომ იწერებით, ზედვე ეტყობა, რომ ეს მართალია: ესე იგი, „წყალწაღებული“ რომ ყოფილხართ. მაგრამ რომ „კანონი არ არსებობდეს“, ამას კი ვერ დაგიჯერებთ. თქვენ თითონ ამბობთ ქვევით: „მოდით, კერძო მწარმოებლებო, კოლექტიურად შევკავშირდეთ და მაშინ ყველაფერი გვექნება“-ო. თუ კი ეს იცით, აიღეთ და თქვენც შეადგინეთ კოლექტივი. ეს არის სწორედ დღევანდელი ხანის მიერ დასახული გზა და, რაღა თქმა უნდა, რომ კანონებიც ასეთი არსებობს დღეს: შესაფერი კოლექტიურობისა, ხოლო ცოტა შეუფერებელიც, თუ გნებავთ, ყოველი კერძოსი და, მაშასადამე, დროსგან უკვე განწირულისათვის.

**გომი, ქუთ. მაზრა, „ტრიელს“.** თქვენ იწერებით: „ცნობები რომ მოგაწოდო, ამისი ნება არ მაქვს“-ო და სამ კომკავშირელზე კი გვაძლევ ცნობას.

თემკომის მდივან ნიკალაზე ამბობთ, რომ ის „გზაში უსაფრდება კომკავშირელ ქალებს, რათა გაიგოს მათი აზრი თავის თავზე“-ო.

ვერაა კარგი ქცევა, თუმცა არც იმდენად მომაკვდინებელი, როცა ამას შედეგათ ამ გზით დაჭერილ აზრის მხოლოდ მხილება და მასზე შესაფერი პასუხის გაცემა მოსდევს შედეგათ.

უჯრედის მდივნ კიკაბიძეზე სწერთ, რომ მას არ სწამს „ამხანაგობა“: „ტკბილ სიტყვას ვერ ეტყვიო“.

ამხანაგობა რომ არ სწამდეს, კომკავშირელიც არ იქნება „ტკბილი სიტყვა“ რას მიქვია ან რა საჭიროა? კარგსაც შვრება. თუ „ტკბილ სიტყვით“ თავს ვისმე არ აბრიყვინებს. მეშჩანიზმის ნატეხია ეს თქვენი წუწუნი.

ალბათ, ასეთივეა თქვენი მსჯელობა მესამე კომკავშირელზედაც.

მხოლოთ ჩვენ ერთი გვაქვს შესაკითხავი: „თქვენ თითონ კომკავშირელი ხართ თუ არა?“ საინტერესოა ვიცოდეთ, თუ საიდან, როგორი „წყაროდან“ მოდის თქვენი „ასპროცენტიანი სიმართლე“...

**გუბი, ქუთ. მაზრა, მაიაკს.** რადიოს თუ ელოდა ხალხი და მიიღო, მეტი რაღა გინდათ? წესრიგი თუ ვერ დაიცავით და შესაფერი სიჩუმე, ეს საერთოდ თქვენს უკულტურობას მიეწერება. თქვენ ვერ გვისახელებთ პირდაპირ დამნაშავეს ამა თუ იმ შეუფერებელი ქცევისას.

**სადმე. ფერსათელს.** გვწერთ: „ეს წერილი დამიბეჭდეთ ახლა, ჩვენს სოფელში ბევრია სატარტაროზე ხალხი, რომელთა შესახებ შემდეგ მოგწერთო“.

არა. ჩვენ ჯერ იმ სატარტაროზე ხალხის შესახებ მოგვწერეთ, ვიდრე ამ განყენებულ და ცოტა არ იყვეს შეუფერებელ წერილის დაბეჭვდას გვთხოვდეთ.

**ს. გუბი, გუბელ ჭახრაკს.** ალექსი ივანეს ძე სვანიძე თუ ქვრივებს სცემს და აწიოკებს, სად არიან ხელისუფლების ორგანოები? თუ აღნიშნული ალექსი მოსამართლეებს თავს უქონავს, რათა თავისი დამნაშავე თავი სასჯელს დააძვრინოს, საწყრი და საყვირალი ასეთ მსაჯულებზეც არის და არა მარტო ალექსიზე.

**ხონში, დ. ხონელს.** თქვენს „გაწმენდილების ქირვარამს“, მართალია, ვერ ვათავსებთ, მაგრამ შეიძლება გამოვაყენო. მხოლოდ თავს ვერ ვიჭერთ იმისაგან, რომ აქვე არ მოვათავსოთ თქვენი ბოდიში იმათ წინაშე, ვისზედაც თქვენ სწერთ. ერთნაირი სანიმუშოც იქნება, თუ გნებავთ:

„ჩემზედ ცუდი არ იფიქროთ:
მე არა ვარ თქვენი მტერი,
თვითონ კომისიამ გარიცხათ
თითო ბოთლი სლაპიტელი“.

აქ ყველაფერი თავის ადგილზე და გასაგებია, „სლაპიტელს“ გარდა.

**ს. საწირეში, გიორგი ნესტორის ძე დევიძეს** ამით გიდასტურებთ, რომ წარსული 1928 წლის ივლისის № 162 „ტარტაროზში“ ცნობათა მიღებაში მოთავსებული ტაბიკი ლამაზი ცოლის შესახებ სრულიად არ შეეხება ნიკო ცქიფურაშვილს და მით უფრო მის ოჯახობას, რადგან ლამაზი ცოლი სხვასაც ეყოლება.

# უვნებელი პარალელიზმი




— ამბობენ: პარალლელიზმი მავნებელიაო...

— ყოველთვის არა: აი, დაწესებულება, სადაც ერთსა და იმავე დროს მიმდინარეობს ორი სხვადასხვა წმენდა: გარედ საზამთროდ — საკვამლე მილებისა, ხოლო შიგნით — საბჭოთა აპარატისა!..

პოლიგრაფ-ტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქ. 68.

წლიწადი მეექვსე

კვირა,
15 სექტემბერი,
1929 წ.
№ 38
(222)

# ნიანგი

ფასი 10 კაპ.

ბრძოლა მხოლოდ გამარჯვებისათვის

ახლა



ჩვენ ისევ ვიბრძვით!... და მძიმე ინდუსტრიის განვითარებით, მისი მტკიცე კავშირით სასოფლო მეურნეობასთან გავიმარჯვებთ კიდევ!

# გიტოს სკეპტიციზმი

— კიდევ კარგი, ჩემო ალფესი, რომ ერთი დღით ცალად გამოვალთ, თორემ, მთელი კვირა, როკ დავიწიშნაი და დაერქმიათ „ინდუსტრიალიზაციის კვირა“, და არა დღე, მე შენ გეტყვი და, უარს ეტყოდი, ვეპიტუბეზოდი: „არ შევასრულებო!“.

— განა, მარტო შესრულებაზეა საქმე? ხელფასიც უნდა გადაიდოს!... ხომ იცი, მრავალ მილიონიანი კოლექტივი ბრძანებს ამას ასე!...

— ჰო და მეც იმას არ ვამბობ? კიდევ კარგი, რომ მარტო ერთი დღით იოლად გამოვდივართ-თქვა.

— მერე და, შენა გგონია, მართლაც მარტო ამით დაკმაყოფილდებიან? განა, სხვა რამეს კი ვერ გამოიგონებენ?—

რატომაც ვერა! ძალაც მათ ხელშია და გამოგონებაც. სხვა რომ არა იყვეს რა, განა, მომავალ წელშიც კი ვერ გაგამეორებინებენ ამავეს? რაც ერთხელ ბეგრად დაგედო, მორჩა: შეიდა „პაგრამაში“ და ისაა.

— არა, გიტო, არც სულ მასე არის. გამეორება და ერთისა და იმავეს დაჩემება მუშათა ხელისუფლებას არც ისე უყვარს, როგორც შენა გგონია. მას უფრო ახალ-ახალი გამოგონებები სჩვევია.

— ახლის გამოგონებაზე არც ძველს შეუშვებენ ხელს, ნუ გეშინია...

— ესეც მართალია, მხოლოთ, რაც „ინდუსტრიალიზაციას“ კი შეეხება, სხვა თუ არა, იგი ერთი ხუთი წლით მაინც დაბეგოებულად უნდა ჩაითვალო, სანამ თავიანთ ხუთი წლის გეგმას არ მოასრულებენ.

— მართლა, ეს ხუთი წლის გეგმა რიღას მაქნისია, ეს კი ვეღარ გამიგია.

— გეგმა, არ იცი, რაა თუ? გეგმა—პლანია შე კაცო! პლანი გაჰყავთ სოციალიზმისაკენ, აი, როგორც უწინ გზის პლანი გაჰყავდა ხოლმე, ლევანა „ლაზირატელი“ რომ იყო.

— მართლა, ლევანა რომ ცოცხალი ყოფილიყო ახლა, დიდ მოწონებაში კი იქნებოდა ამათგან. მისთანა „პლანის“ გაჰრა თვითონ „გლანი“ ინჟილერს უჭირდა, აი!

— როგორ გგონია შენ? ახლა კი ნაკლებია ლევანასთანა უსწავლელი ხალხი, ინჟილრებს რომ სჯობია „პლანის“ გამოგონებაში? თვითონ ეს „ინდუსტრიალიზაციის დღეც“ ხომ უბრალო მუშის წინადადებაო, როგორც ამბობენ.
რომ ვსთქვათ?

— რატომაც? ერთი „ლიშნი“ დღე წელიწადში თუ კი ერთმა მუშამ კი გამონახა, მეორე, რომ მეორემ გამონახოს, მესამე—მესამემ, როგორ გგონია, რამდენი „ლიშნი“ დღის გამონახვა შეიძლება ამ ხუთი წლის განმავლობაში?

— მართლა, ამ საგანზე მე არასოდეს არ დავფიქრებულვარ.

— ჰო და დაფიქრდი და იანგარიშე, თუ კი ასე გინდა შეტყობა.

— შენ კი დაფიქრებულხარ?

— დავფიქრებულვარ და გამომიანგარიშებია კიდეც.

— მერე რამდენი მოდის?

— მთელი ერთი „კენკრეზი“ წელიწადი!

— რას ამბობ? მართლა?!.

— მართლა კი არა, მეტსაც გეტყვი: ახლა რომ „შეუჩერებელ სამუშაო წელიწადს“ ამბობენ. იცი იგი რამდენ დროს გამოიყვანს ამ ხუთი წლის განმავლობაში? იმ ჩემ მიერ ზევით ნაჩვენებ ანგარიშით, სრულ თვრამეტ წელიწადს!

— აი, ამას კი ვერ დაგიჯერებ!.

— შენი ნებაა: დამიჯერე გინდ ნუ დამიჯერებ, მხოლოდ ანგარიში კი ანგარიშად რჩება. იგი მაინც თავისას აკეთებს.

— მოდი ერთი ამიხსენი, თუ ღმერთი გწამდეს, რანაირად გამოვა თვრამეტი წელიწადი?

— ჯერ შენ ის მითხარი, ზევით მოყვანილ ანგარიშზე დამჯერდი თუ არა?

— ეს, რომელ ანგარიშზე?!...

— აი, ხუთი წელიწადი რომ ერთ წელიწადს მოიმატებს, თუ რომ „ლიშნი“ დღეები, ე. ი., ეგრედწოდებული კვირა-უქმეები გავაუქმეთ და ისინიც სამუშაო დღეთ ვაქციეთ?

— ჰო, დაახლოებით ეს მართლაც ასე უნდა იქნას.

— დაახლოებით კი არა, ეს ბეჯითად ასეა. ახლა მოდი და ჩამომყევი შეუჩერებელ სამუშაო წელიწადობით ანგარიშშიც!

— ინებე, ყურს გიგდებ!

— ეხლა სომ რვა საათის მეტს არ ვმუშაობთ, ზოგან შვიდ საათზეც ყრიან გადასულნი.

— დიახ, ეს ასეა.

— ახლა შეუჩერებლად, ე. ი., მთელი ოცდა ოთხი საათის განმავლობაში რომ გრძელდებოდეს სამუშაო დღე, ეს ხომ სამჯერ მეტი იქნება საბოლოო ანგარიშში?

— ესე იგი, ყოველ წელიწადში სამი წელიწადი? დიახ, სწორედ ასე, ძმელო, ხუთის მაგივრად, თუ კი შენ ექვსზე მე უკვე დამეთანხმე, სამჯერ აღებული ეს ექვსი წელიწადი იქნება სრული თვრამეტი წელიწადი!.

— მართლაც და ეს რა ჯადო რამეა, შენი ჭირიმე!.. მხოლოთ ერთი კია: ხალხი ვერ აიტანს ამ რამეს. თვრამეტი წლის განმავლობაში დაუძინებლად, შეუსვენებლივ მუშაობას ვინ გაუძლებს?!..

— ხა-ხა-ხა-ხა!... რა გულუბრყვილო ვინმე ხარ შენ, ჩემო გიტო! ხალხს ამისაგან ხომ კიდევ მეტი შეღავათი მიეცემა, ყოველ დღის აქვს!... მას კიდევ მეტი დასვენების შესაძლებლობა გაუჩნდება...

— როგორ?

— როგორ და სრულიად უბრალოდ. შენა გგონია, შეუსვენებლივ ადამიანები იმუშავებენ?

— აბა, სხვამ ვინ უნდა იმუშაოს?

— სწორედ ეგ არის, რომ ყველაფერი უკუღმართად გესმით. ინდუსტრიალიზაციის კრიტიკას ყოველმხრივ ადვილად ჰკიდებთ ხელს, ხოლო მისი ბუნება კი ისე იცით, როგორც მე აი, ჩინური ანბანი!..

— რა ბუნებაა ეს ასეთი რომ მისი ცნობა გასჭირდა?

— რაა და ის, რომ ინდუსტრიალიზაცია და განვითარებული ინდუსტრია გულისხმობს ადამიანთა სამუშაო ენერგიის დიდი ნაწილის მანქანებით შეცვლას. მაშასადამე, შეუსვენებლივი მუშაობა იგულისხმება, როგორც მანქანათა შეუსვენებელი მუშაობა და არა ადამიანთა. ამ უკანასკნელთათვის სამუშაო დრო იმდენადვე იკლებს, რამდენადაც იმატებს მანქანათა რიცხვი და მათი მუშაობა. მანქანას კი, როგორც იცი, არც ძილი უნდა, არც დასვენება მაინცა და მაინც და არც სხვა რამე. გაცვდება, გამოსცვლიან, მორჩა და გათავდა: იტრიალებს ჩარხი, იმოთქმებს ქმედი და, ხუთი ჩვეულებრივი წლის ჩვეულებრივი მუშაობის ნაცვლად, ამ წესით მოსჭრის მთელ თვრამეტ წელიწადს!..

— რაღაც ზღაპრულად მეჩვენება ეს ამბავი, ჩემო ალფესი, თუმცა უნდა გამოტეხით მოგახსენო, რომ რაღაც სიმართლესაც ძალიან ჰგავს.

— ჰო და ამ ჩემს ხალას ანგარიშში თუ შენ სიმართლის მსგავსების მეტი ვერაფერი დაინახე, სრულიად არ მაკვირვებს შენი მსჯელობაც ინდუსტრიალიზაციის შესახებ. როგორც სჩანს, ამ საქმეში შენ თვალთმაქცობათ და ეშმაკობათ გეჩვენება ყველაფერი, როცა მასხარა ნაღდი და საიმედო ადამიანს თვით საკუთარი [illegible] ნიც კი არ აქვს.

— როგორ, განა, საკუთარ მარჯვენზე ნაღდი ინადიურაა?!.

— აბა, კარგათ დაუფიქრდი, რას ამბობ? ერთი ეს მითხარი, თუ ღმერთი გწამდეს, რომელი მარჯვენა შესძლებს დღეს იმ საქმეს, რასაც უბრალო მანქანა გააკეთებს? გამოსჭედე შიშველი მარჯვენით თუნდაც ერთი უბრალო ლურსმანი.

— ლურსმანი ცალიერი ხელით ვის გამოუჭედია?..

— ჰო, და მანქანა კი მას წუთში ათობით და ასობით გამოსჭედს და გამოისვრის ხოლმე.

— მართალი ხარ, ალფესი, მართალი.

— მართალი ვარ არა მარტო მე, არამედ მართალი არიან ყველა ისინი, ვინც მანქანათა მუშაობას, საერთოდ ინდუსტრიასა და ინდუსტრიალიზაციის იდეას უჭერენ მხარს. ნასწავლი ხალხი ამას ადვილად იგნებს, ადვილად ხედავს. იმათზე არას ვამბობ: მხოლოთ ქება და დიდება იმ უბრალო მუშებს, რომლებიც სხვადასხვა გამოგონება - მოფიქრებებით უწყობენ ხელს ამ მოძრაობას. ინდუსტრიალიზაციის დღის იდეაც ერთი ასეთი მისაბაძი და სამაგალითო იდეაა ამ სფეროში.

— და შენ ამბობ, ის ვიღაც უბრალო მუშის წინადადებააო?!.

— დიახ, უბრალო მუშის!...

— დიდი გონების პატრონი კი ყოფილა ის კაცი...

— დიდი გონებაც არ უნდა ზოგ უბრალო რამეს, საჭიროა მხოლოდ იდეითა და რწმენით გამსჭვალვა, საჭიროა საქმის სიყვარული, ერთგულება და მოსაზრებაც მოვა.

— მართალი ხარ, ალფესი, მე შევიგენი ახლა ამ უბრალო ერთი დღის დიადი მნიშვნელობა. ფიქრი ამაზედ მე ახლა აღარ მამძიმებს უკვე. ამჟამად მე უკვე გამიჩნდა მეორე უფრო სამძიმო და სავალალო ფიქრი.

— ეს რის შესახებ?

— იმის შესახებ, რომ მე ამ მშვენიერ და დიად გამოგონებათა სფეროში სრულიადაც არ მინდა ჩამოვრჩე იმ უბრალო მუშას, ვინც პირველად გამოსთქვა აზრი ამ ინდუსტრიალიზაციის დღის შესახებ.

ონისიმე.

# საუბარი სხვადასხვა ენაზე



ღარიბი გლეხი: ამბობენ, სოფლად წითელი ბეღელი უნდა დაარსონო!..

კულაკი: მე კი ბეღელი რახანია უკვე წითლადა მაქვს შეღებილი?..

# „ღირსეული" მუშაკები

(ჭიათურა—მუშკოოპი)

მიიღე ჩემგან, ტარტაროზ,
ჩვენება შეუცდომელი,
მოგითხრობ ჩვენში უმსგავსი
ვინ არის ანდა რომელი.
უნდა გიამბოთ რა ხდება
კოპერატივის ხაზითა.
სიმართლეს ვიტყვი ენაც რომ
ამომაგლიჯონ გაზითა.
მუშკოპის საჩაიეში,
ყველა ყოფილხართ, მგონია,
იქ გამყრელიძე ანიჩქა
როგორ არ გაგიგონიათ?..
მას მიმართავენ „მოგვხედე,
აქ მოგვიტანე პური",
კუთხიდან ისმის: „გიყურებთ,
გვშივა" ან კიდევ „გვწყურია"...
პასუხი არის ასეთი:
„თქვენ გარდა სხვებიც არიან,
მე უფრო ვხედები თქვენზედა
ვის უფრო შივა ძალიან".
ამ დროს მოდიან გამგენი:
საწყობის, კოპერატივის,
ანიჩქა მიხვდა ეს ხალხი
ღირსი არიან პატივის.
მათ რაც უბრძანეს, იმ წუთში
მოვიდა სისრულეში.

მადლობა გადაუხადეს
ხელი ჩაჰკიდეს ხელშია.
დეისაძე და მელქაძე
სიამოვნებით ხვდებიან
იმ ამბავს, სხვას რომ სტოვებენ
და იმათ ეგებებიან.
მუშამ სთქვა ყურს არ მიგდებენ,
ალბათ, რომ ცუდათ მაცვია,
აქაც საჭირო ყოფილა
რაღაც რეკომენდაცია.
კომედიაა ცხოვრება,
ცრუ არის წუთი-სოფელი,
მთელი ქვეყანა მისია,
ვისაც უჭირავს პორტფელი.
წამოდგა ზეზე, წავიდა-
სამართლიანად გამწყრალი,
ორი საათი შესრულდა,
ჩაის უცდიდა საწყალი.
ეხლა გიამბობთ რას სჩადის
მეორე თანამშრომელი,
ვალიკო პაქსაშვილია
თუ რომ იკითხავთ რომელი!..
„კანტრალიორის" ადგილზე
გადმოიყვანეს მდივანი,
აქ მოუმუშდა ქრილობა,
თემში რომ ჰქონდა მტკივანი.

სოფელში ყველამ იცოდა
ამ ვაებატონის რაობა,
ახლა ქალაქშიც დაიწყო
თაღლითობ-ხელგამკრაობა.
ვაგონის მუშას ყიფიანს
და ვინმე კაპანაძესა,
წონით სიმინდი დააკლო,
სჩივიან, განაცხადესა.
ისეთებს აძლევს სიმინდსა.
რომლებსაც მიაქვსთ ყიდიან
ფულს იქ აძლევენ ოთახში;
კერძოთ იმასთან მიდიან.
— „ღამე წაიღე სიმინდი;
ძმაო სხილაძე კაკოვო,
თორემ ამბარგვენ აქედან,
მერე მე რაღა ვყლაპოო".
ღარიბებს თითო ფუთს აძლევს
შეძლებულთ—ერთი სამადა,
რადგან მათ სახლში ვალიკო
ბევრჯერ ყოფილა თამადა.
ესე ამბავი არ არის
ლიტონ სიტყვათა რახუნი,
არც სხვისგან მოჭორილია
ჩემი თვალით მაქვს ნახული!

საჭამლავი.

# მაკ პრემიერი

## შექსპირის ახალი ტრაღედია ინგლისის — თანამედროვე ცხოვრებიდან

### მოქმედი პირნი:

რონალდ მაკ—პრემიერი
გიორგა — მეფე ინგლისისა
ბოლდუინი — ყოფილი პრემიერი.
ჩემბერლენი — ყოფილი მინისტრი.
ლოიდ - ჯორჯი — ხუმარა მეფისა
კერზონის აჩრდილი.

### I.

**ლონდონი. მოედანი პარლამენტის წინ. არჩევნები დასრულდა. ხალხი ზღვასავით ღელავს.**

მაკდონალდი (კონსერვატორებს):
მაშ, რა გეგონათ, ყურუმსალო კონსერვატორნო!?
როგორიც უნდა, ბიჭები ვართ სწორედ ისეთნი,
ჩვენ ასე ვიცით. დიახ, ასე!... გეამათ ხომ კი?!
იქით დადექით... იქით, იქით და გზა მოგვეცით.
რაკი მთავრობის სავარძელში ჩავჯექით ჩვენა, —
აწ ძნელი არის წამოგდება ჩვენი იქიდან.

**ბოლდუინი და ჩემბერლენი**
ნუ, ნუ ტრაბახობ... დაგავიწყდა 24 წელში
საბუდარიდან როგორ უცბად გადაგაფრინეთ?

**დონალდი მაკ:**
მაშინ სხვა იყო... შემდეგ ჭკუა ბევრი ვისწავლეთ,
ვიცით: ბატონებს სამსახური როგორიც უნდათ!
საწინააღმდეგოს არას ვიზამთ მათი ზრახვების;
ვემსახურებით, ვით მონები, ყურებ-დაჭრილნი.

**ხმები:**
გიორგა მეფე... გზა მიეცით მეფე გიორგას!

**გიორგა მეფე** (მოდის და მიულოცავს მაკდონალდს):
სალამი შენდა, ჩემო მაკო, და გამარჯვება.

ბოლდუინი (უჯიქებს ჩემბერლენს);
ეს ბებრუხანა მაიმუნი სიბერის ჟამსა
მელაჲ გარდიქცა... ოი, ბრიყვმა ნუ თუ არ იცის,
რომ მაკდონალდი არის მისი მოსისხლე მტერი?!

**ჩემბერლენი:**
ბრიყვი შენა ხარ, თუ გგონია, რომ აგრე არის,
გიორგამ იცის, რომ დონალდი მტერი კი არა,
მოყვარე არის და ერთგული: ტახტის, გვირგვინის.

**მაკ** (გიორგა მეფეს):
ოი, მეფეო! დავიბადე მე თუმცა წინედ,
როცა პირველად მოველ ქვეყნად დედის საშოდან,
მაგრამ ნამდვილად დავიბადე მე აი, ეხლა,
როცა ვემხობი თქვენს ფეხებში და ვკოცნი მე მათ!
**(დაემხობა და მეფეს ფეხებზე ეამბორება).**

**ლ. ჯორჯი** (ღიღინებს):
ერთხელ, ერთხელ მეც ვიყავი
მინისტრი და პრემიერი,
და მაშინ მეც ამათსავით
ლუკმა მქონდა გემრიელი.

—:—

მგელო, მგელო, ან რა გიშავს
მსახურად გყავს მელიაო;
ვარიებსა არ მოგაკლებს,
თუ არ შემოელიაო.

**გიორგა მეფე** (მასხარას):
ეი, შენ, ხატავ, რას ბუტბუტებ გიჟივით შენთვის?!

**ლ. ჯორჯი:**
ჰე! გიჟობისა ვერ-რას გეტყვი... სულელი რომ ვარ,
ამაში ეჭვი არც თქვენ შეგდის, მით უფრო არც მე,
გასაკვირველი არც ეს არის, რომ სულელი ვარ...
**(მღერის):** „ხარი ხართანო დაბმული
ფერს იცვლის ანდა ზნეხაო".
კუდში რომ დასდევ მეფესა,
მეც მომივიდა ესაო.

**გიორგა მეფე:**
ბევრსა ნუ ლაყბობ. მძულს მე კაცი ენა-ტანტალა:
სიტყვით სხვას ამბობს და საქმით კი აკეთებს სულ სხვას.

**ლ. ჯორჯი:**
მაშ, მეუფეო, მაკდონალდი არ გყვარებია?
(საერთო ხარხარი. მაკ ბრაზობს).

**მაკ:**
მართლაც მასხარა, საქანელა და წოწიალა.
ხან აქეთ არის და ხან იქით; ცვალებადია.

**ლ. ჯორჯი:**
ფრთხილად, ყმაწვილო, თორემ თითო თუ დავსწი ქაქათ: —
მაგ შენი ცხვირიც მას მიჰბაძავს — ძირს დაეშვება.
ყურუმსალო, მე გარგუნე, შენ გამარჯვება,
შენსკენ სასწორი გადმოვხარე და აგწი ზევით...
ისე მიყვარხარ, რომ შეგითხზავ ლექსსაც ექსპრომტად:

მაკდონალდი, მაკდონალდი —
ჟანგიანი ბლაგვი წალდი.
ყელს უმშვენებს დიდი ბანტი,
კაცი არის ყალთაბანდი.
ეს ჩემი ლექსი თუ არ მოგწონს, აუხტი ზევით,
მაგრამ ისე, რომ არ აუხტე შენს ქიპსა ზემოდ.
**(სიცილ-ხარხარით მიდიან).**

**მაკ:**
საწყალი ჯორჯი! რით დაიწყო და რით ათავებს
თავისს ცხოვრების კარიერას ეს დიდი კაცი!

### II.

**საიქიო, კერზონი გაკვირვებული გადმოჰყურებს საქაოს. ეტყობა ათვალიერებს ინგლისს და მის ახალშენებს.**

**კერზონი:**
ტყუილი არის, რომ იტყვიან: „ადამიანი
სიკვდილის შემდეგ მოისვენებს საიქიოში".
მე უკვე მოვკვდი; გადმოვსახლდი აქ საცხოვრებლად,
მაგრამ არა აქვს სულსა ჩემსა აქაც სიმშვიდე...
აქაც არა მაქვს მოსვენება ჩემს სამშობლოზე:
ხან ეს ამბავი, ხან ისა, ხან სხვა... ათასი ხათა...
ჩვენი ბიჭები მთავრობიდან დაუფერთხიათ
და კაბინეტი კვლავ მაკდონალდს შეუდგენია.
ეს ამბავია განსაცდელის წინამორბედი.
სოციალისტი და მუშების ბელადი კაცი
ინგლისს დაამხობს... ვაი, ვაი, რა გვეშველება!?
ველარ ეტევა დარდისაგან გული ბუდეში.
ლამობს ამოჰხტეს და გადახტეს ჩემს სამშობლოს,
უნდა წავიდე, მოვიარო, ჩემი სამშობლო,
ახალშენები ჩვენი ქვეყნის და ყველაფერი.
**(გაფრინდება საქაოსაკენ.**

### III.

**დედა-მიწის სხვადასხვა მხარე. ინგლისის ახალშენები. კერზონის აჩრდილი. პალესტინაზე შეჩერდება და სიხარულისაგან სახე უბრწყინდება.**

**კერზონის აჩრდილი:**
ნუ თუ მოჭორეს, მომატყუეს ასე სასტიკად:
„მაკდონალდმაო შეადგინა ისევ მთავრობა"?!
შემოვიარე ყველა ჩვენი ახალშენები
და ყველგან არის ძველებური მდგომარეობა.
ეს პალესტინა სევდიან გულს ისე მახარებს,
თითქოს ჭაბუკი ვიყო, ასე, ოცდახუთი წლის.
დაჰკათ ერთმანეთს, ებრაელნო და არაბებო!
გისურვებ ორთავ ერთმანეთზე გამარჯვებასა.
სიამოვნებით დავიბანდი ხელპირს თქვენს სისხლში,
მაგრამ, ვაი, რომ აჩრდილი ვარ მე უხილავი.
მადლობა გამჩენს ყველგან არის ისევ ინგლისი.
ალბად, მოჭორეს, მომატყუეს ასე სასტიკად:
„მაკდონალდმაო შეადგინა ისევ მთავრობა"!

# ამერიკელი ძია



ეს რკინის გზა, ჩან,
მე მომყიდე,, ჯან!...
,..თუ ჯერ სხვისთვის უკვე არ მიგიცია...

# დეპეშები

(ახალდაბა)

ახალდაბის კულტკომისიას გადა-რახული აქვს ამ რამოდენიმე დღის შემდეგ მსოფლიო გამოფენაზე გაგზავნოს თეატრის ფარდა, რომელიც პირველ ჯილდოს მიიღებს დახეულობაში.

ახალდაბის ხე-ტყის სახერხ ქარხანამ შეჯიბრში გამოიწვია სხვა ქარხანა, შედეგები ასეთია: ქარხნის გაჩერება (ნედლი მასალის უქონლობის გამო) გაიზარდა 20 პროცენტით. დაზგების მტვრევა (სიძველისაგან) 10 პროც.-ით მომავალში განზრახული აქვთ პროცენტების ბევრად გადიდება.

ახალდაბის სასოფლო კედლის გაზეთის „მებრძოლი"-ს რედკოლეგია ღღეს იხდის პანაშვიდს, კედლის გაზეთის გამოუცემლობის ერთი წლის თავის შესრულების გამო.

ახალდაბის ქოხ-სამკითხველოს გამგე ეკატერინე ბლიაძე აუწყებს მძინარა ალმასკომს და საბჭოს წევრებს: სამკითხველოს თავსახურის დალპობას და კიბეების უდროოდ დანგრევას.

ახალდაბის გლეხობას განზრახული აქვს ისევ აკრიფოს ალმასკომის მიერ დაგებული ქვა-ფენილი გზაზე. რადგანაც იგი ხელს უშლის მსვლელობას; მოელიან ბორჯომიდან ტეხნიკ ხუჭუას, რომელიც დანგრევაში, ალბად, უფრო სპეცი იქნება, ვიდრე გაკეთებაში.

ტარკორი.

---

ჩვენვან დაპყრობილ, დამონებულ უამრავ ხალხებს,
ის ხომ მისცემდა ცოტას, მაინც თავისუფლებას?.
ასე იქნება, სწორედ ასე.. ვაიმე, რა ექნა..,

IV.

**მაკდონალდი** (თავის კაბინეტში):
ბდღვირი ვადინეთ ჩვენ გააგაში სნოუდენითა.
ვინ დაიცავდა ჩვენს კაპიტალს აგრე ერთგულად?..
**(გამოვა კერზონის მოჩვენება)**
**მოჩვენება:**
თუმცა კარგად ვხედავ, მაგრამ მაინც მე არა მჯერა,
რომ შენ ეგ იყო — მაკდონალდი, ჩვენი მთავრობა.
**მაკ:**
ვინ ხარ? ხმა ისმის. ლაპარაკობ, თვით არა სჩანხარ.
ღვთის გულისათვის ამიხსენი: ვინ ხარ? საიდან?.
თორემ შიშისგან ლამის არის დავკარგო ჭკუა.
**მოჩვენება**
ნუ გეშინია! არაობა არა იკარგვის.
მე კერზონი ვარ... ჰა, შემხედე... ეხლა ხომ მიცან?
**მაკდონალდი (მუხლმოდრეკით და ხელებ აპყრობით):**
შამულიშვილის სულო წმინდავ, პატიოსანო.
ჩემს მუდრეგ თავსა ღირსად არ ვსცნობ თქვენი მადლობის.
**მოჩვენება:**
აოა, ღირსი ხარ, პრემიერო, ნამდვილად ღირსი,
მე შემეშინდა. გავიფიქრე: მაკდონალდმა-თქო,
არ დაანგრიოს სახელმწიფო ბრიტანეთისა;
არ აღადგინოს კავშირი-თქო „წითელ რუსეთთან",
არ დაბეგროს-თქო კაპიტალი,.. მუშებს არა-თქო...
**დონალდი მაკ:**
ბატონო ჩემო, განა, ღირდა თავშეწუხება,
და ამისათვის აქ ჩამოსვლა საიქიოდან?!.
ეგებ გახსოვდეთ, გაგეგონოთ ჩემი სიტყვები,
(ეს იყო, როცა გამოსცვალეს ჩემი მთავრობა);
მაშინ ვსთქვი: „ჩვენ კვლავ დავბრუნდებით მთავრობაში-თქო,
მაშასადამე, უნდა დავრჩე კიდევაც დიდხანს,
და ამისათვის თუ რა არის საჭირო, ვიცი:
ტრადიციული პოლიტიკის კვლავ გაგრძელება,
მხოლოდ კი უფრო სისასტიკით, მაგრამ სიფრთხილით.
**მოჩვენება:**
დამშვიდდა სული, სული ჩემი, აღელვებული.
აწ მოვისვენებ, რაკი ვიცი, რომ დიდბრიტანეთს
მისი ახალი პრემიერის მადლიერ ხელით
არ შეერყევა ნიადაგი ძლიერებისა
და კვლავ იმონებს მრავალ ხალხებს კვლავინდებურად!
**მაკ:**
მაღალმა ღმერთმა ნუ მოგაკლოს, ბატონო ლორდო,
სულის სიმშვიდე, მოსვენება და ნეტარება!...
**მოჩვენება:**
იყავ კურთხეულ უკუნითი უკუნისამდე!..
**(მოჩვენება ქრება).**

ისელი.

# თვალის სიხარბე



— პეტრეს რომ კაცმა შეხედოს, იტყვის: „საწყალი კაცი, რა მძიმე სამუშაოთი არის დატვირთული, რომ ასე მძიმედ გატენილ პორტფელს დაათრევსო“!.. ის კი არა, პორთფელი შაქრით, სუხარით, კრენდილით და ხმელი ხილით აქვს „დატვირთული“!..

# დეპეშა

**ხენაკი:** ძაღლებისა და სანიტ-კომისარ მურზას ბრძოლამ სერიოზული სახე მიიღო. ძაღლების ბრიგადას შეუერთდა ღორებისა და სხვა ოთხფეხა ცხოველთა ბრიგადაც. ძაღლებისა და ღორების ბრიგადას ხელმძღვანელობს დუდუჩავასი და მეცე კინწურეიშვილის ღორები. ღორებმა და ძაღლებმა გუშინ აიღეს სადგური. მურზა თავისი რაზმით უკან იხევს. ძაღლებისა და ღორების რაზმი მიიწევს ალმასკომისაკენ, სადაც მათ ხვდება მურზას მიერ ახლად შექმნილი რაზმი. ჯერ - ჯერობით მურზას მიერ მოკლულ იქნა მხოლოდ ერთი მურია ძაღლი. ბრძოლა გრძელდება.

იქიდანვე. დამატებით გაცნობებთ, შემდეგს: მურზას რაზმი უძლური აღმოჩნდა. მთელი ქალაქი ძაღლებისა და ღორების ხელშია. მურზა ადგენს რაზმს, ამ მიზნით მან გამოიწვია 1927 წელს დაბადებულნი. დღეს ქალაქში სიწყნარეა. მხოლოდ ხანდახან ისმის ძაღლების ყეფა და, ღორების ღრუტუნი. ამ მოვლენამ მურზა ძალიან დააფიქრა.

მ. ველისპირელი.

# ვაი მის პატრონს!

უყურე ამ გლახის ქარს, ეს ვინცხა ჩანკაიშია, რავა ხვარხვალობს, რავა იჭყანება ის უბედური! ვის იწვევს ჩხუბში, ვის, ის ძლინკიანი! ხომ არ უნდა ის დაპწნილი კოსა სულ ღერღერ დავაბდღვნა! ვაი, ჩემო დღეო, ასტეა, განა, საქმე! მოგიკვდეს მაშვინ სილიბისტრო პიმპილაძე, რომე სულ ვირთხასავით არ გაწრიპინო ის რაცხა ჩანკაიშია, თუ ქაკი თხაი! რომ მოვკიდებ ხელს, მუხიანის ხაბურძაკივით გავთხრეშ შუაზე! იმას ჩემი ჩხუბიზა არ უყურებია!... შარშან მამობას რომ ვიშიშვლე ხანჯალი და გადავირიე ამ ჯარ ხალხში, სულ ქათმის ჭუჭულებივით მივრეკ-მოვრეკე ყველე! სამოცდა ჩვიდმეტი პოლიციონერი მიპრაწავდა თვალებს, მარა ვერც შინ ნუ მომიკვდე!... ისე ჩავყავ ას ხალხში დასობილი, რავარც ... ის სტოლბა! ჩხუბზე თუა საქმე ... ები ჩემი მოგონილია! მე რომ დევიბადე, იქიდანვე დევიწყე ქანჩყლი!... ერთხელ, თურმე, ფეხებით რომ მიკოჭავდენ აკვანში დევიწყე წისლების დრიგინ - დრიგინი, სამი დღის ნაყიდი შიბაქი თლათ მარილივით დავფშვენი! მერე დამესიენ, თურმე: დედაჩემი, მამაჩემი, ბიცოლა, ბიძია, ბებია, ბაბუა, ჯიმადე, დეიდა, მამიდა; მეზობლები და რავარც იქნა შემკოჭენ! აგი, პატარა რომ ვიყავ მაშვინ, და ახლა გამიბედავს ვინმე ჩხუბს? ვაი, მანამ არ ადგა იმ ჩანკაიშის გვერდები, მანამ არაფერი ჭამა მისმა ღრანქებმა! კაცს ორმოცდა ცხრამეტი ქალი მყავს მოტაცებული, ოთხმოცი კნიაზი გალახული, აზნაურს, ხუცესს, დიაკონს, მამასახლისს, ნაცვალს და ბორჩიკს, ხომ ანგარიში არა აქვს! მე რომ ჯარში გამევიდოდი, ხალხი ერთიმეორეს აჯდებოდა შიშით! ერთხელ ჩემი ჩხუბის დროს ერთს ფოფოდიას მისთანა ვაჟის მუცელი წოუხდა შიშით, რომე ხუცესის ტირილმა თელათ გადააყრუა იქოურობა! თურმე, უბედურს თერთმეტ ქალიშვილში ერთი ბიჭი ძლივს მოეხლაფორთებია სიბერის დროს და ეგიც ჩემის მიზეზით წოუხდა საწყალ ფოფოდიას! რაც მე ამბავშ გადამხედია, ვერც ერთი ჩვენი უჩრეჟდენიის საქმისმწარმოებელი ვერ ასწერს ერთ წულიწადს, მე რომ იგენის მუშაობა ვიცი, ვაი, ჩემო დღეო, რის მომსწრე ვარ, რა მინახავს და რაი არგადამხედია! ერთი წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა ჩემ თავზე, თვარა სხვაში ყორისფელში პიატი მიწერია! გამოსულა აგი ქიამკვდარა ჩანკაიში ვარო, თუ ბუს კვერცხები და ჩხუბს გვიტეხს! ვაი, რეიზა ღმერთი არ გაიცინებს, მარა რომ აღარავის სწამს ეს ღმერთი! იცინოს მისდა და იყოს, ვინ აქცევს ყურადღებას! ჩხუბზე ნუ წავა საქმე, თვარა, იცოცხლოს სილიბისტრომ, მე იგი დავაუთოვო გემოზე! გლახის ქირი ჩანკაიში კი არა, მისთანა დევივით ბიჭებთან მქონია საქმე, რომ იმ ჩანკაიშის ყორისფლიანა შეყლაპავდენ! ვაი, ჩემო დღეო, ვინ მიბედავს ლაპარაკს, მარა ჩვენი ბრალია ისტეულე ყორისფელი! „არ გვინდა ჩხუბი, არ გვინდა“-ო, რომ გევიძახით, გეიგონა იმ კაცმა და იმიზა გეიწია პადიომში! არა, ბიძია, მაგი არაა მართალი. მეზობელმა რომ შემოგიქვიროს, უნდა შოუყვირო შენც. შემოგაფურთხოს — შენც უნდა შეაფურთხო, თვარა უპირო ეგონები და იფიქრებს, რომე ნურწყვი არა აქვს პირშიო! აპა, რავა გგონია შენ!... მე, ქეც რომ მიაწიოს ამ ამბავმა ჩვენი მთავრობის ყურამდი. უნდა გამოვტყდე, რომე იმის საწინააღმდეგო დემონსტრაციაზე არ გავსულვარ, რაც მართალია, მართალია! იქინე რავა წევიდოდი, რავა გეკადრებათ! მე რომ იქინე წავსვულიყავ, ხომ მიუტანდენ ამბავს იმ ჩანკაიშის, რომე სილიბისტრო პიმპილაძე არ კისრულობს ჩხუბსო! არა, ბიძია, მე რომ ჩხუბზე ვარს ვიტყვი, მაშვინ კვტარი ვიქნები! არ შეგჭამოს ქირმა, რომე სილიბისტრო პიმპილაძემ მაგი არ ქნას! თუ ბიჭია, მევიდეს ის ვინცხა ჩანკაიშია და ვნახოთ ვინ გეიტანს ლელოს! ისტე დოუზილო ის გვერდები, რავარც ღომის-ღომი! მაგას რომ უნახავს იგი... ის არ ვეგონო!... სმოლოჩ მის საქმეს!...

გოგია.

# „პასუხისმგებელი მუშაკი“

— ამხანაგებო!—ლაპარაკობს „მსუბუქი კავალერია“, დაახლოებით დილის 10 ნახევარი საათი იქნებოდა, როცა ჩვენ ვეწვიეთ ს.პ.კ.ს. კულტგანყოფილებას, შიგ არავინ დაგვიხვდა („სხდომაზე“ თუ იყვნენ), მაგიდებიდან ოქმები „პერპრიზონულად“ გამოიყურებოდნენ, იქვე იდგა ცალივერდა ჩასაფურთხებელი ყუთი, რომელიც ალკოჰოლის „წინააღმდეგ“ მებრძოლ „პროფ[illegible]ბოტნიკს“ მოგვაგონებდათ. კარებთან ცალფეხა სკამს ეყრდნობოდა „ფხიზელ“ მილიციელივით და აგრეთვე იყო შკაფი, შკაფი სავსე „საქმიან“ რეზოლიუციებით. რომლის კარებიც ისე გამოიყურებოდა, სამოქალაქო ომის ინვალიდს ჰგავდა. კედლებიდან პლაკატები ისე გამოიყურებოდა, როგორც დოქნაკლული ბიუროკრატი წმენდის წინ.

და იატაკზედაც ეყარა უთვალავი, რა? რეზოლიუციები და ტრაილებდა ატმოსფერა სპეციფიური...

შემოაღებს კარებს ერთი სუბიექტი. ჩვენ ყურადღება მიიქცია მისმა „მკერმეტყველურ“ გამოხედვამ და ფიზიონომიამ, რომ იგი არის „პასუხისმგებელი მუშაკი“. ჯდება მაგიდასთან, იღებს ბლოკნოტს, სწერს რაღაც უმნიშვნელოს. პაუზა... შემდეგ თავს ასწევს, შემოგვხედავს და თავევ განაგრძობს „წერას“, „წერას“ საქმიანსა და „მნიშვნელოვანს“. დაფიქრება აღიბეჭდა შუბლზე ,რომელიც მაყურებელს არწმუნებს, რომ ის შუბლი ცენტრია აზროვნებისა და კულტრევოლიუციის... ტელეფონის ზარი რეკს... ალო! გისმენთ „კულტოტდელ“ სოვპროფა... გავარიტ... და .. არ მცალია მეგობარო, ჩერეზ პოლჩასუ მეხია სავეშჩანიე... დაჰკიდებს მილაკს და განაგრძობს წერას... გაიღო კარები, შემოიჭრის, სუნი დუხისა და სხვა ამდაგვარ სურნელების... რომელსაც შემოყვება მანდილოსანი ექსტრაორდინალურ პოზით და მოროთულობით...

პირველ შეხედვისთანავე შევატყობთ, რომ ეს უთუოთ მომღერალია, ან „ბალერინა“, რომლის შემოსვლამ გამოიწვია „პასუხისმგებელ მუშაკის“ სწრაფი ნაბიჯით კარებისაკენ წასვლა.

— ამხანაგო, ჩვენ თქვენთან ვართ, —ვეუბნებით ჩვენ.

— არ მცალია, ამხანაგო, „პრასმოტრზე“ მიმეჩქარება... შემოიარეთ ხვალ.

— ხვალ ჩვენ არ გვცალია.

— თქვენ არ გცალიათ, მე სულ არ მცალია... ვინა ხართ თქვენ?

— ჩვენ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციიდან ვართ. უპასუხებს ერთი.

— მერე რაო!

— თათბირი გვინდა მოვიწვიოთ სოფლად კულტმუშაობის შესახებ და თქვენი დასწრება სავალდებულოა, ამხანაგო.

— მეტი არაფერი?.. დავესწრები, თუ დრო მექნა... შენ რა გინდა?

— მეც ამავ ასოციაციიდან ვარ და წესდება გვინდა შევადგინოთ კლუბებში ლიტერატურულ მუშაობის შესახებ,—თქვენთან შეთანხმებით.

— ჩვენ, ამხანაგო, უკვე შევადგინეთ იგი...

— ეს ჩვენთან შეუთანხმებლად?

— ვინ ხართ, კაცო თქვენ, თქვენ არ იცით, რომ პროლეტარული მწერლობა სადაა?..

— მე, ამხანაგო, ის ვარ, პიესა რომ შემიკვეთეთ დასაწერად. მე იგი უკვე დავსწერე... ეხლა როგორ მოვიქცე!

— ახლა დაჯექი და იკითხე... ვინ ხარ შენ, ამხანაგო?

— კომკავშირელი მწერალი.

— ჩვენ ჩემო ძმაო, სერგო კლდიაშვილს ვაწერიებთ ,რა უყოთ ,რომ ჯერ არ დაუწერია, ავანსი აქვს აღებული 200 მან. და რა გზა აქვს რომ არ დასწეროს?

— ჩემი პიესა თქვენ არ წაგიკითხავთ...

— არც წავიკითხავ, ამხანაგო, გესმით? თქვენ ვერ გიცნობთ და რა საჭიროა თქვენი ნაცოდვილარის კითხვაში დროის დაკარგვა.

— ამხანაგო დღეს „პრასმოტრი“ გვაქვს, უნდა დავესწროთ.

— რის „პრასმოტრი“ ბალეტის?!

— არა, უმუშევარ აქტიორთა კოლექტივის.

— მოგცლიათ ერთი თქვენ, ა ხომ ხედავ აგერ „ღმერთივით“ ქალი მელოდება—მისი „პრასმოტრია“ დღეს და რომ არ დავესწრო, ეს საქმისადმი გულგრილობის გამოჩენა იქნება.

მშვიდობიანად ჩატარდა მომღერალ ქალის საჩვენებელი კონცერტი. მოეწონეს. მიულოცეს. მისცეს „ვიზა“ და თან დასძინეს: თქვენ უსათუოდ საჭირო ხართ მუშათა კლუბებისათვის. თქვენი რეპერტუარი ყოველმხრივ გამართლებულია, როგორც იდეოლოგიურად, ისე მხატვრულად...

გავიდა ხანი... მომღერალი ქალი მეძებდა თუ მერამდე კონცერტს მართავს ერთ-ერთ მუშათა კლუბში...

აქაც დიდი ოვაციებით ხვდება მუშათა აუდიტორია მომღერალ ქალს. „პასუხისმგებელ მუშაკს“ რაღაც აწუხებს, შფოთავს, ვერ ისვენებს, თან ასე ფიქრობს: კაცმა ყოველივე დროით და გარემოების მიხედვით უნდა ისარგებლოს. და ერთ მშვენიერ დღეს იგი კატეგორიულად უცხადებს მომღერალ ქალს:

— ამაღამ თქვენ ჩემთან წამობრძანდით ფუნიკულიორზე,—კარგი ჰაერია... (ალბათ საყვარელს სოციალისტურ შეჯიბრში იწვევს).

— ეგ საქციელი თქვენ ქალებს დაუყარეთ —უპასუხებს ქალი.

— მე მსურს და ასეც იქნება... წინააღმდეგ შემთხვევაში მე თქვენ არ მოგცემთ კლუბებში კონცერტების გამართვის უფლებას...

ასეც მოხდა... აკრძალეს მომღერალ ქალის გამოსვლა, რადგან მისი რეპერტუარი ყოველმხრივ მიუღებელია გამოდგა, როგორც იდეოლოგიურად, ისე მხატვრული თვალსაზრისით!

პრინციპიალურია თვალსაზრისი. მაგრამ საინტერესოა ამ საქმეზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის თვალსაზრისიც!

**დონ-კიხოტი.**

# ცრუმორწმუნე



— ქალო, აქა სწერია: „თუ ცოლი ღალატსა ჰფიქრობს, თავზე სარქე ადგილები გქაოდესო. მეც აგერ ერთი ხანია სწორედ ეგ ადგილები მქავა. .

— ჰმ!.. ტყუილია, არ დაიჯერო! ეს რომ მართლაც ასე იყვეს, ამდენ ხანს რქებს კიდეც უნდა ამოეტესა!..

# მუხა „ასწლოვან“ ღორის ქვეშ



— ეი, შენ, მოქალაქევ, ამ სიმაღლეზე რისთვის ასულხარ?!.
— სადღაც აქ ამ უბანში ქარხანა არისო. მე კი დურბინდშიაც ვერ დავინახე ის...

# მარის გასაჭირი

(სურათი ალბომიდან)

რა ავანსი იგდო მარიმ,
ჰიწაზე არ უდგას ფეხი,
ფიქრობს: „მაცათ, ჩემო მტრებო,
დაგათხლიშოთ თავზე მეხი!“.
პასსაჟისკენ გაეშურა,
მუნ მუშკოპის მაღაზია.
სთქვა: „ვიყიდო ტანსაცმელი,
არაფერს არ ვნახავ ზიანს!“.
შეიძინა ლაქის ტუფლი,
(ხომ არ იცის, აბა, ქოშით?)
ერთი წყვილი ხელთათმანი,
და რეზინის „მაკინტოში“.
სთქვა: თუ: „უნდა ქმარს ვუჩვენო,
რომ განმტკიცდეს ტრფობა ჩვენი,
ნახოს ერთი, ტანზე „პლაშჩი“,
ფეხზე ლაქი როგორ მშვენის“!.
ჰა, მივიდა და ამაყად
ქმარს მიჰმართა: „პროშუ, არსენ!
დაჰკრა ფეხი: უცებ ტუფლი
გადიხლიჩა ზედ შუაზე“!
უცქერს მარი სინანულით:
„დამპალია, ალბად, ლაქი!“
დაიხარა და... მოერღვა
პლაშჩს სახელო და ფოლაქი.
გადაავწნა თითი - თითზე:
„ეს რასა გავს, ჩემო თაო!“.
და თითები ხელთათმნიდან
გამოსცვივდენ სათითაოდ...
„ეხლა რა ვქნა?“ და მტირალი
მოსხლეტით სკამზე დაეცა.
ლაწ!— და სკამი მარელისის
ნაჭუჭივით გაილეწა!..
აქ კი ეძგერა საწამლავს:
„სასიცოცხლო არ მაქვს პირი,
უნდა მოვკვდე და სიკვდილით
მოვიშორო გასაჭირი!“.
შესვამს, ეტყვის ქმარს: მშვიდობით!“,
და ლოგინზე მიეგდება,
გადის დრო, და გადის ხანი,
მაგრამ მარი არა კვდება!..
ელის სიკვდილს, ელის თითხანს,
უცებ.. ღმერთო, ეს რა არი?!.
საპირფარეშოსკენ გარბის,
საიქიოს ნაცვლად, მარი!..

მაკროშკა.

# სტრიუკა

ყველაფერს ვიფიქრებდი კაცი, ჯანდრის სოციალისტობას, ეფისკოპოზის ტერორისტობას და ბებია ჩემის გაცოცხლებას, მარა თუ ქალები თმებს შეიპარცავდენ, ეს კი აღარ მეგონა სწორედ. არა, ყველაფერი უცნაური მოდა რომ უწინ ქალებმა უნდა შემოიღონ, იგი მაკვირვებს სწორედ. ჯერ იყო და დეიწყენ კაბების დამოკლება და იქამდინ ამოკლენ, სანამ მუხლის კვირისტავს არშინით არ დააშორეს ზემოდან. მერე მიადგენ კოფთას და მანამ არ მეეშვენ, სანამ შიშველი მკლავები და გულბოყვი ვისტავკაში არ გამეიტანეს. ბოლოს, რომ ველარაფერი ნახეს დასამოკლებელი, ეცენ თმებს და სულ ძირს დააფინენ ეზეკიას კორიდორივით. ახლა კაი დაკვირვება გინდა კაცს, რომ გამეიცნო კაცებში ქალები, ისე არიენ თავ შეკრეჭილები. აფსუს რა დრო დადგა! უწინ ქალი დიდი თმით ფასობდა და კაცი კიდე გძელი ულვაშებით. ახლა კი სადღა ნახავ ასეთებს! ხო, იმას მოგახსენებთ, ამ ახალ მოდას აღარც ჩემი ალექსია ჩამორჩა. ერთ დღეს ჩამილაპარაკა: „მთელმა ჩვენმა სოფელმა ქალებმა შეიპარცეს თმები და მე რა იმათზე ნაკლები ვარ, რომ გრძელი თმით ვიარებიო“.

— ვერე ვინ გეუბნება უარს. მომიტანე მაგრატელი და სამარიტელის ცხვარივით გაგკრიჭავ —მეთქი!

— სამარიტელის ცხვარივით გასაკრეჭი შენი დებია და ისინი გაკრიჭე, ხოლო მე კი მანეთიანი მომე პარიკმახერს უნდა გავაპარცვინო.

ვიცოდი მისი ხასიათის ამბავი: უარის თქმა ჩემი თავის გატეხით დამთავრდებოდა და მივეცი ფული იმ ფიქრით, რომ მისი გული სამუდამოდ მონადირებული მექნებოდა, მარა არ შეგჭამოს ჭირმა. არ გასულა ერთი კვირა და მეუბნება: „კისერის ამოსაწმენდი ოთხი აბაზი დაამზადეო“.

— კისერს რაღა სიკვდილი დაემართა-მეთქი.

— რა და ახალი თმა ამევიდა და თუ არ გავაწმენდიე პარიკმახერს, სტრიჟკა დამიუშნოვდებაო!

ახლა საგონებელში ვარ ჩავარდნილი: ყოველ კვირაში რომ ოთხ-ოთხი აბაზი ვაძლიო, თვეში კაი თექვსმეტ აბაზს გამოუყვანს წაღებას, ხოლო წელიწადში კი ჩერვონცებს. ხო და ახლა ნუ შეუკურთხებ ამ სტრიჟკის მომგონს, რომლისგანაც გიდარიენ ქალები და უფრო მეტად მათი ქმრები?!

კირილე საფიჩხიელი.

# გაპვრით
## (ჩოხატაურისათვის)

შერცხვენილი ვიყო ყველგან,
თუ უმართლოდ ვინმე ვძრახო,
ან თუ პირად მტრობისათვის
გულში შური ჩავისახო.
ერთი კია, მარა რა ვქნა,
როცა დამყვა ესრედ ჯიში,
და არც არვის — არ მაქვს შიში,
დე, იმუქრონ.. ვისაც-კი სურს,
მუდამ მზად ვარ გავყვე „დუელში“;
არც ენების მეშინია,
ფუთობით რომ ზიდონ ხვრელში!.
დიახ, ეხლა ალმასკომზე
მიწევს უდნავ კბილთა კრეჭა,
საქმეებს რომ აცოდვილებს...
უყვარს მისი დიდხანს ღეჭა
(კარგი არის, რომ ამ ბოლოს
გზები მაინც მოგვიკენჭა!..)
დაბას ფერი შეუცვალა,
(რაც არ გვახსოვს თავის დღეში),
წინეთ თუ რომ ლაფი იდგა,
ეხლა ქუჩებს ამკობს ხრეში!. .
ბაზარს თავში თეატრი აქვს
და ბოლოში შვენის კლუბი,
აწ საშიშიც აღარ არის,
აფთიაქში მოხდეს ჩხუბი...
მუშტით მჯობნი, ვერ გავიგეთ;
გამგეა, თუ ფარმაცევტი,
(ალბად „წმენდა“ გამოარკვევს,
რომელია გასახვეტი!..)
ბანკშიაც-კი „სახიფათოს“
რაღაცაებს მოვჰკარ ყური,
ვითომ ჩუმად ჩაეყლაპოს,
ყოფილ გამგეს „ნიშადური“,
მარა როცა მოხდა კვლევა
და ეს დარჩა მტრობა-შური,
ყოფილს დიდი მადლობა და...
მყოფს ამოცხეს ნიახური!..
მარა მაინც აირია საქმე
ბანკის, არის მწარე,
(ძალლი პატრონს ვერ ცნობილობს
რომელია თავმჯდომარე!..)
—შეჯიბრშია ორი „ეპო“,
ვერ ეტევა თავის კანში,
სეფე თუ აქ „იცრემლება“,
არჩილ ცეკვობს ხიდისთავში...
მეცინება... მეგობრულად,
რომ თვალთმაქცობს არჩილ სეფეს
და პრესტიჟის ასაწევად,
ზოგ საქონელს აიაფებს!..
—„მუშაკები გადიდკაცდენ...
აღარ რეცხდენ ჰაქა-კოვზებს
და სადილს რომ მოათრევდენ...
სწევდენ გრძელ-გრძელ პაპიროსებს.
თუ ბიჭი ხარ, შენიშნავდი,
ან ეტყოდი „მხგავსად“ ისეთს,
თვალის ბლვერას ვინ ჩიოდა,
თუ მთლად არ მოგტეხდენ კისერს!.
წელხი, „ბორშით“ განასუქი,
აღარ-ებდენ თავს ძველ მეფეს
და ერთხელად შენიშვნისთვის,
კიდეც სცემეს თავში სეფეს!..
ვაჭრობა-კი დიდი იყო,
ჰყიდდენ; ღვინოს, ხორცს თუ ტა-
რანს,
მარა „ეპო“-ს ბუღალტერი
მუდამ სწერდა წიგნში ზარალს!..
ამიტომაც „მუშაკებთან“,
ორ გამგეს იქ: ბარნაბ, ილოს,



ჰქნენ წოწი... და ბოქლომი
ჩამოჰკიდენ სასადილოს!!.
ეხლა, კერძოთ იორდანე,
ტარნაობს და კიდეც ილობს,
„სწუხს“ ნამეტანს... ან-კი რა ქნას,
ყველანი რომ იქ სადილობს?!.
— ამბობენ, რომ „ვითომ“ გვყავდეს,
ჩვენ გლეხკორი, ჭკუით მოკლე,
(ვერ გავიგეთ ვინაობა,
თუ მიხვდება.. ისევ პროკლე...)
ვითომ ისე გათამამდა...
(მთელი დაბა ჩივა ამას),
რომ ქორებზე იყოს ჯილდო,
შვილს ეკუთვნის, ვინემ მამას!..
რას დავეძებ ამ ბედოვლათს,
ქორის გუდას, როგორც ასეთს,
რომ მკითხველს არ აძულებდეს
ტყვილებით — ჟურნალ-გაზეთს!..
(მგონი, გუშლამ ამისათვის
წორიდანაც-კი გამოაგდეს...)
— საწყენია „პაწა“ კაცი
რომ გადიდდა... გახდა კუზა,
აღარ ახსოვს ლეკის შალის
მოსვლის დროს, რომ ეცვა „ბლუზა“?!
ვით აფხაზი, თავწაკრული
იყო ნარმის ყაბალახით,
და დონ-კიხოტს უფრო ჰგავდა,
ვინემ „თვის თავს“ ერთის ნახვით!..
ეხლა, როცა „შტაცკათ“ იცვამს
და „პანამის“ ხურავს ქუდი,
როცა უკვე „კოსტუმებათ“,
ხან ტრიკო აქვს, ხან მაუდი,
„მკლავზე უმსხვევს“ მათრახს
იჭერს,
ვით ტარიელ დახტის ცხენით, —
დაავიწყდა თავაზობა...
ლაპარაკობს სულ სხვა ენით!..
„ვინც მეტს მომცემს, მას მოვარჩენ,
შეუყვირებს ასე გლეხებს, —
ვინც არა და... რას დავეძებ,
გაწყდეს ყველა ამ ჩემს ფეხებს!..
ხოლო, ჩემო ტარტაროზო„
გეხვეწები ამას ძმურად,
აეტუზე „რაინდს“ გვერდით
ისე რალა! შენებურად,
და უბრძანე: ამხანაგო,
არ გარგია ამაყობა,
არც „გაქცევით“, დამუქრება,
არც უზომო ტრაბახობა.
არ წაგებ თავდაბლობით,
მომაკვდავს სძულს კაცი-კუზა...
ტყავს ნუ აძრობ ღარიბ გლეხებს,
გაიხსენე ძველი „ბლუზა“!..
წაველა

# მოსწრებული პასუხი

**ფაქტი.** (საქ. ბინად - კავშირს) კაცო, პარტჩისტკა რომ არ ყოფილიყო, სანამდე უნდა გყოლოდა აპარატში კონტრრევოლიუციონური ინსტრუქტორი — დუნდუა, რომელსაც მენშევიკების დროს 5 კომუნისტი დაუხვრეტია?

**ბინად - კავშირი.** ამხ. ფაქტო. ეს კითხვა წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა და, ჩემის აზრით, ამ კითხვაზე კომუჯრედმა უფრო უნდა გიპასუხოს, ვიდრე ბინათ-კავშირმა.

**ფაქტი (მასვე)** თქვენა გყავთ ოთხი ინსტრუქტორი, თვითეულ მათგანს აძლევთ თვეში 150 მანეთს და ტრამვაის წლიურ ბილეთს უფასოდ. ახლა გვიპასუხეთ: თქვენმა ინსტრუქტორებმა საქმის წარმოება იციან?

**ბინად - კავშირი.** არ იციან, მაგრამ მაინც ატყობენ. საქმის შემოწმებას პრაქტიკულად უდგებიან. მაგალითად: გუშინწინ ერთმა ინსტრუქტორმა მომახსენა, რომ ამა და ამ ფაქტში უკანასკნელი თვის საქმეები ჩაუკერებელი არისო.

ფაქტი (მასვე). თქვენმა ინსტრუქტორებმა ანგარიშწარმოება იციან?

**ბინად - კავშირი.** რა თქმა უნდა, ანგარიშწარმოებისა და ბუჰლალტერიის არაფერი გაეგებათ რა, მაგრამ ყოველთვიური ბალანსები, რომელთაც ფაქტებში ადგენენ, ინსტრუქტორებს თავის დროზე მოაქვთ ბინათ-კავშირში ჩასაბარებლად და სწორედ ტრამვაის უფასო ბილეთებიც ამიტომ ეძლევათ, რომ გამოგზავნილი ბალანსები თავის დროზე ჩამოიტანონ ჩვენამდე. თუ გინდათ, ერთი წუთით დავუშვათ, რომ ინსტრუქტორებს არ მივეცით ტრამვაის უფასო ბილეთი და ის წამოვიდა ფეხით, მას დაეჯახა ავტომობილი და წააქცია გზაში. ამ დროს ხომ შეიძლება, რომ პორტფელიც ხელიდან გაუვარდეს და ფაქტიდან წამოღებული ბალანსიც გაიბნეს სადმე? აი, ასე პრაქტიკულად უდგებით ჩვენ საკითხს.

ფაქტი (მასვე). თქვენ დაგვირიგეთ ფაქტებში წიგნები, რომელშიაც თქვენმა ინსტრუქტორებმა თავიანთი მითითებანი უნდა ჩასწერონ ფაქტების სახელმძღვანელოდ; შეუძლიათ თუ არა თქვენს ინსტრუქტორებს, რომ ეს ზოგადი ოპერაცია მაინც გააკეთონ? არა აქ საწყენი არაფერი უნდა იყოს, მაგალითს მოგახსენებთ: ერთხელ თქვენი ინსტრუქტორი გვეახლა ფაქტში და თავისი მჭერმეტყველი მითითება ჩაგვიწერა წიგნში. ჩვენც მოვინდომეთ ჩანაწერის წაკითხვა, მაგრამ არამც თუ ჩვენ, თვით გამგეობის რავმჯდომარემაც ვერ შესძლო გარჩევა და წაკითხვა მაჟიოებისა. ბოლოს ვსთხოვეთ ინსტრუქტორს: შეიძლება თქვენ წაგვიკითხოთ-თქო. მაგრამ, საუბედუროდ, ვეღარც თვითონ გაარჩია თავისი ნაწერი, რამაც ის უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, ალბათ, რომ მითითება, რომელზედაც ორი საათი მიალია, ამოხია და დახია, ხოლო სარევიზიო კომისიამ ეს ამოხევა ჩვენ დაგვაბრალა და კინაღამ მთელი ფაქტი არ დაგვიჭირა.

**ბინად - კავშირი.** ამხ. ფაქტო! რაშია საქმე? ჩვენს ინსტრუქტორებთან თქვენ რა ხელი გაქვთ? ბოლოს და ბოლოს ასედაც უნდა იყოს, რომ ინსტრუქტორებს უფრო ნაკლები უნდა ესმოდეთ, ვიდრე ჩვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ორგადელსაც კი მოუნდომებენ ხელმძღვანელობის გაწევას.

ფაქტკორი.

# წყლის საკითხი თბილისის ზოგიერთ სახლებში



(გამოცანა)

ქვევით შხუის,
ზევით სტყუის!...

# უსტარი საიქიოდან

ძმაო ქაიხოსრო!

ჰაი, შე ყურმუსალო შენა?! ქე კი დოუძვერი ამ ჩისტკას, აჰ?!... თუმცა ჰო, პარტიის წმენდის დროს შენც ქე მოყევი ჩემთან ერთად სანაგვე ყუთში, მარა ამ აპარატის წმენდას რაფერათ გოდოურჩი, სწორეთ ძალიან მაკვირებს, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს.

მე, რომ თვითმკვლელობა ჩევიდინე, ამ ერთი კვირის წინეთ. შენც ქე მოკრავდი საცხა ყურს (თუმცა ჩემი ცოლის გადამკიდე ქე, რას გეიგებდი, რავაც გადმომცეს რიმიგტონზე დოუბეჭდია თურმე ჩემზე სამგლოვიარო განცხადებები. ჰო და, ასე, საცხა მაინც მოკრავდი ყურს, ჩემო ქაიხოსრო, ჩემს უბედურე... არა უბედურებას კი არა, ბედნიერებას.

მომიარა ხოშმა, ჩემო ქაიხოსრო, ვბრიგე ამ ჩემ დურაკ თავშ ლივერველი და მომენტალნათ, უპერესიატკოთ თავი ამოვყავი აქ, საიქიოში;

ჯერ იყო, შე კაცო, და ეს გაშანშალებული პარტბილეთი ქე ამაშვლიპა გამწმენდმა კომისიამ.

რაცხა ორი სახლი ვიყიდე ამას წინეთ ქალაქში... ჰო, კიდო მოჯამაგირეები რეიზა გყავსო. სულ ეს იყო და ეს ჩემი გაწმენდის მიზეზი; რა ნახეს, შე კაცო, ჩემში?! ცუდი? ქონება შევიძინე, ხომ არ დამიკარგავს რამე?! თუმცა მართალი, რომ სთქვას კაცმა, არც ძალიან მწყენია პარტიიდან გამოგდება, მომსპო, კაცო, ამდენმა კრებებმა. გედევირიე კაცი. ქალებში საკვინტრიშო დრო სულ აღარ მრჩებოდა. მარა, ვინ გაკმარა ეს წმინდა! დეიწყო აპარატის ჩისტკა, ამიხირდენ იქაც: რაცხა ძველათ გაფლანგული ფულები მქონდა, იმ უჩრეჟდენიეში კი არა, სხვაგან. გამიხსენეს უჲცხვათ ძველი ცოდვები, მაინც რაფერ ურცხვათ გამოდიოდენ ჩემს წინააღმდეგ? ერთმა, კაცო, პარტწმენდის დროს გვერდში ამომიდგა კაი მეგობარივით და მოყვა ჩემს ლანძღვას ხო და, იმას ვამბობდი, იმ აპარატის წმენდაშიაც გამომაპანღურეს, არც სალიკვიდაციო, არც კამანდიროვოჩნი, არც საკონფესაციო... რაღას ვიზამდი? მეტი გზა არ იყო, მივადექი შრომის ბირჟას. არ გასულა სამი დღე და იქაც ქე არ გამოცხადდა წმენდა- ეს კრუგომ გაჩისტული ადამიანი აქაც გამჩისტეს, რაღას ვიზამდი გედევირიე კაცი თლათ, შევიპრიტე ჭკუიდან. მივარდი სახლში გაგიჟებული. ცოლმა რომ გეიგო ეს პასლედნი ჩისტკაც, კინწის კვრით გამომაგდო გარეთ. მეტი რაღა საშველი იყო, როგორც ზევით ვწერდი: ლევერველის ტყვია შიგ კეკალ შუბლში დევიხალე. ახლა ქე ვარ აქ ჩემთვის არხეინათ და ვაყვლიპინებ თვალებს.

შაკო.

# ახალდაბის სატყეოში

სოფელ ახალდაბაში სატყეოსა განაგებს
სკელი ჩინოვნიკი და ნიკოლოზის მოხელე
გეხვეწები ტარკორო, ტარტაროზო, ქირიმე,
დაგვავალე, ჩამოდი, კარაშეგოვს მოხედე.

—:—

უპატრონოთ გაუშვა საკურორტო სახლები,
იხრდებიან ბალები და ისპობა ხეხილი,
მიხეილი არ ჯავრობს, რა ფეხებზე ჰკიდია,
თუ დასჭირდა, მიუდა სახლში მას დაკრეფილი.

—:—

საქმეს აჭიანურებს, გლეხებს აცდენს ხვალობით",
ზოგჯერ ყვირის კიდეცა, უყვარს ჩხუბი-„კამათი",
მიხეილმა გასულ წელს თავის „დიპლომატობით",
აზარალა სატყეოს ხუთასამდის მანეთი.

—:—

იქვე მას მხარს უმშვენებს ბუღალტერი მჭედლიძე,
გლეხებს ისე უცქერის, როგორც მონას ბატონი,
ცუღლუტია საქმეში, არაფრისა მაქნისი,
მოსცხე ისე ჩანგალი, დაინახოს „კანტონი".

—:—

საშაც მოვინახულოთ, მათი თანამშრომელი,
ქურდაძეა გვარადა, ლოთი, გადარეული,
ვერ იხილავთ მას ფხიზელს, დადის მთვრალი დღე და
ღამ,
ტარტაროზო, ამოსცხე ეგ შენი რქა ქებული.

ტარკორი.

## სევდიან ფონზე

გამოცდების რომ გათავდა სერია



თავო ჩემო, ბედი არ გიწერია!..

# მომავალი სტუდენტობა

(გამოცდებზე)

ცხელა...

საქართველოს პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში აუარებელ „სტუდენტებს" მოუყრიათ თავი (ნახევარზე მეტი პორთფელიანი ხალხი ურევია, საპროტექციოთ მოსულები).

სიცხე ისედაც ტვინ - გაცხელებულ სტუდენტებს უფრო უცხელებს თავებს.

— ამბობენ: ძალიან დიდი კონკურსი იქნებაო, მართლაა? — შევეკითხე ერთს.

— კონკურსი, ბიძია, ჩვენში კი არა, ამ პორთფელიანებშია, ერთმანეთს ეჯიბრებიან: ვინ ვის მიაღებინებს.

ვათვალიერებ შორიდან საგამოცდო აუდიტორიას. არის ერთი ვაი უშველებელი და ღრიანცელი...

— რა მიიღე, ბიჭო? — ეკითხებიან გამოსულს.

— ხუთი... — ისმის მოკლე პასუხი.

— რა მიიღე?

— ხუთი!

— რა მიიღე?

— ოთხი! — არავინ ცუდს არ „უსურვებს" თავის თავს, ყველა „ზეთს" ყვირის, ალაჰმა უწყის, სწორეა თუ ტყუილათ იძახიან.

„ბოროტი ხმები" დადის, თითქოს პირველ დღეს 220 სუსტი დაიწერა მარტო მათემატიკურ საგნებშიო.

— არ ვიცი, სწორეთ ვიღამ მიიღო ეს სუსტები—შევეკითხე ერთ „მსუბუქ კავალერისტს".

— ისემც აუშენდათ ცხვირი მაგათ... ნახევარზე მეტი იჭრება და მაინც „ხუთებს" იძახიან.

— რა მიიღე, ამხანაგო?—ეკითხება ერთი გამოსულს.

— რა მივიღე და ფლავი!

— როგორ, ჩაჯექი თუ?

— ვინ დამაჯენდა, ბიძია, იქ! რო დამდეს ქონიან ნიჩაბზე, სრიალით გამოვარდი გარეთ.

ეს იყო ერთად ერთი, რომელმაც სრული სიმართლე აღიარა, რისთვისაც მას დიდი ავაციები გააუმართეს.

შევდივარ ქართული ენის კაბინეტსაკენ. იქ საერთო გამოცდაა ქართულ წერაში. იქიდანაც ყველა „მჩიარული" გამოდის.

— რა თემა დასწერე? — ვეკითხები ერთს.

— ნაპერტანი ზორბა თემა შემხვდა, „ქაქალი" ხუთი დამიწერა...

— ფხუუ.. — წამსკდა სიცილი.

— ბიჭო, ასე ჩქარა როგორ გადაათვალიერა ნაწერი?

— ნაწერს ერთი შეხედვითაც შეატყობენ, ძამია...

— ისე აგიშენდა ოჯახი — ვფიქრობ გულში — ჩვენი ცხრა წლეულამთავრებულების ნაწერს ერთი შეხედვით კი არა, სამი დღე რო უტრიალო, ასოს ვერ გაარჩევ.

— არა, მაინც რა დასწერე — ვეკითხები ისევ. დამაინტერესა მისმა „ნიჭმა", რომელსაც ავანსათ „ხუთი" დაუწერეს.

— რა და ალ. ყაზბეგის „ელისო"-დან იყო თემა. ავდექი და მთელი კინო ნანახი სულ ქაღალდზე გადმოვწერე.

— ჰოო... ალბად მიტომ დაგიწერეს „ხუთი". ბიჭო, მაგაში ხუთს ვინ დაგიწერდა? — როდის იყო, რომ სახკინმრეწვის გადაღებული კურათის შინაარსი და ნამდვილი მოთხრობის შინაარსი ერთმანეთსა ჰგავდა?

— წაი, ბიძია, მაი ბაბუა შენს ასწავლე — არ იტეხს გულს. რას იზამ: სტუდენტი თუ არა, მომავალი „სტურენტი" ხომ მაინც არის.

ყველა რაღაცას ხლაფორთობს: იზეპირებენ, ადგენენ „შპარგალკებს"...

— თუ ძმა ხარ, ერთი ეს ამიხსენი: რას უდრის „ტრაპეციის" ფართი? — კითხულობს ერთი.

— მაი არ იცი? როდემდის უნდა იყო მაგრე „დუპლეტი"?!...

— „დუპლეტიც" შენ ხარ და ჩერჩეტიც. თუ იცი, ამიხსენი, თუ არა და, რა თავს იგდებ?

— კაი, ჰო, აგიხსნი. ასე უთხარი: „ტრაპეციის" ფართი უდრის-თქო პროტექციას, პლიუს ნათლიმამობას-თქო.

— ხა..ხა..ხა.. — წასკდა სიცილი ყველას. მოვშორდი იქაურობას, მაგრამ სად წახვალ? ყველგან ასეთი მდგომარეობაა. ასე აბარებს გამოცდებს ჩვენი მომავალი სტუდენტობა.

„ლიუტაქო".

# უბრალო მიზეზი




— რა ქენი, ჟორჟიკ, მიგიღეს უნივერსიტეტში?
— არა!
— რატომ?
— ჩემი „ნაცნობი“ (იგულისხმეთ საგამოცდო კომისიის წევრი!) წასულა სადღაც!..

# ოზურგეთი

პარტწმენდას გვერდით მოსდევს „აპწმენდა“
და აჩოჩქოლდა ყოფილი ხალხი:
ზოგი ბეჯითობს, ზოგი ლაქუცობს,
ზოგი კი, მგონი, კედელს თავს ახლის...
საბაპარატში ბევრი გვყავს ხიზნად,
მღვდელი, ბერი, თუ ძველი პრისტავი...
მუდამ ნატრობენ: ძველი დრო დადგეს
და ძველებურად გლეხს აძრონ ტყავი...
„ჩვენს“ ბარნაბს, მგონი სულ ყველა იცნობს,
უყვარდა ძველად: მენდლები, ჩინი,
აწ თურმე მაზრის „სოცუზრუნველკომს“
სათავეში ყავს ეს „ბლალოჩინი“.
ლავრენტიც ეხლა არ სჩანს აშკარად...
მოწყენილი ზის ის პოლიტგანში,
ამბობენ: დავით არობელიძე
მზიან დარებში გულაობს ბაღში.
სოლომონი თუ „ძაქვა“-ს „პატრონობს“
და არის მისი ხორცი და სული...
ალექსანდრე კი ფოსტაში არის,
შემოქმედში რომ „გაქაფა“ ფული.
თუ ჩოხატაურს ვერ პოვა ბინა,
მღვდელ მელიტონს ეს სულ არ აშინებს
პედტეხნიკუმში სულ მოკლე დროში,
მასწავლებლობის ადგილს აიჩენს!
თუმცა პარტწმენდამ მოსდრიკა წელში.
და დაალოხა აბრამი ჩვენი,
მაგრამ ეხლაც სჭრის იმასთან თურმე
„მალარიჩები“, პურლეინო, ძღვენი!,
მესმის ბუხგალტრის თოიძის ქება:
„მის ფერი მაზრას არა ჰყავს ორი.
ის არის ძველი სპეკულიანტი,
გამოქნილი და კომბინატორი“,
სარეწკოოპში თავს ლაღათ რომ გრძნობს,
ნეტა, რას ფიქრობს ჟლენტი ანტონი,
საბაპარატის წმენდის დროს ცოცხი
მასაც მოუწევს, „ტარტაროზ“, მგონი!

ყლაპაძე.

# წერილი მეგობრისადმი

(ოზურგეთისათვის)

დღით — ცხადათ, ღამით—სიზმრათ, დაუვიწყარო და მოსაგონარო, ძმაო სერაპიონ!

უპირველეს ყოვლისა, გისურვებ, რომ შენი მიზნები მალე განხორციელებულიყოს.

მივიღე შენგან გამოგზავნილი წერილი, რომელშიაც იწერებოდი სამტრედიის ავ-კარგს. იწერები, რომ მეტად გაგჭირვებია ამ ბოლო დროს ცხოვრება, რადგან ხმა ჩამოურთმევიათ და სამსახურში არ გღებულობენ.. ამასთან ერთად იწერები, რომ ექიმ რაჟდენ ნანიეშვილს ხმა ჩამოართვეს იმისთვის, რომ „კერძო პრაქტიკა აქვსო“.

შე მამაცხონებულის შვილო, მაქ თუ ასე არის საქმე, რატომ აქ არ ჩამოხვალ; მასეთი უბრალო რამესთვის, როგორიც არის „ყოფილი ოფიცრება“, რომ ხმა ჩამოერთმიათ, ეხლა ერთიც აღარ ვიქნებოდით აქ სამსახურში. კერძო პრაქტიკისთვის და „ექიმობით ვაჭრობისთვის“ ვინმესთვის რომ ხმა ჩამოერთმიათ, არც ერთ ჩვენს ექიმს ხმა არ ექნებოდა, განსაკუთრებით ექიმ ავთანდილ ინგგოროყვას, რომელიც პირდაპირ სპეკულიანტობს ბათომ - უზურგეთ შუა ექიმობით.

იწერები „მშვიდობიანობა თუ არის მაქო“. მშვიდობიანობა კი არის, ყველაფერი თავთავის რიგზე არის. მხოლოდ ქურდობა და ცარცვა - გლეჯა გახშირდა; ამას წინათ მიმინოს დასაჭერათ მადიოდნენ საირაოზე ტიტიკო თოხაძე, თომა ძნელაძე, იაშა თოფურია, ვალიკო თაყაიშვილი, შოთა ვაშალომიძე და მიხაკო ნაკაშიძე. როგორც კი გაშორდენ ოზურგეთს, დახთენ გზაში და ხელები ააწევიეს ზევით. ტიტიკო თოხაძის საცოდაობით პირდაპირ ქვა დაიწვოდა, როდესაც ხუთი სამსამ კაპეიკიანები ამოურიჩხინეს ჯიბიდან. შოთა ვაშალომიძეს 2 გირვანქა პური და ერთი ჩეთვერი კარაქი წაართვეს; მხოლოდ დანარჩენებს ცოტ-ცოტა აადვეს, რადგან არაფერი აღმოაჩნდათ. ჩვენს შოთას, რევოლვერი სულ რომ ხელში უკავია, როცა მაზრაში დადის, იმ დღეს თურმე წინათგრძნობა ქონებოდა და სახლში დაეტოვებია.

კლუბის ამბები გაინტერესებს, როგორც ვხედავ, და უმჯობესია, რომ არ იკითხო. ან კი რა საკითხავია. ის კლუბი , რომელიც გაირზა თალაკვაძე და მისი შაიკა განაგებს. არიან გამომდგარი კლუბის წინ და ლანძღვა - გინების მეტს არაფერს აკეთებენ. თვითონ ნამდვილი გამგე სახთლით საძებარია კლუბში.

ეხლა, ალბათ, გაინტერესებს: ვინ არიან კლუბის ხელმძღვანელები და აქტივები? სულ ვაჭრის და ხმა - ჩამორთმეულების შვილები. ერთ ღარიბს შიგ ვერ ნახავ. პირდაპირ, ჩემო სერაფიონ, შენი სამყოფი ადგილია ეს ოზურგეთი. თუმცა ხმა – ჩამორთმეული ხარ, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს; ოღონდ ერთი ჩამოდი და ადგილი გინდაც ხელში გეკავოს. სხვაგან თუ არა, მასწავლებლათ მაინც მოეწყობი (როგორც ყოფილი ოფიცერი), ცხრაწლედში ან ტეხნიკუმში.

სწორეთ ეხლა არის კარგი დრო: აპარატის წმენდა მიდის, ვინმე „საწყალს გასწმენდენ“ და შენთვის ადგილი მზათ იქნება.

მეტს ეხლა არაფერს გწერ.

ჩამოდი მალე, რომ ადგილი არ დაგეკარგოს.

შენი მეგობარი

იაკინთე შევარდენი.

# ჯოჯოხეთის კუთხე

## კერძოა საპარიკმახერო პეტრესი, მაგრამ მაინც სადაურია ეს წესი?

რამდენადაც ვიცით, საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს საზოგადოებრივ ჰიგიენას; ებრძვის ყოველგვარ ბოროტებას ამ სფეროში, სცემს სავალდებულო წესებს სისუფთავისა თუ სხვა ჰიგიენურ პირობათა დაცვის შესახებ და აკეთებს ყველაფერს, რაც მოქალაქეს უზრუნველჰყოფს გადამდებ სნეულებათაგან. ერთ - ერთ საფრთხილო ადგილად, სადაც შესაძლებელია გადამდებ სნეულებით დაავადება, ითვლება სადალაქო - საპიროფარეშო (საპარიკმახერო). ‡ არსებობს სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით პარიკმახერებს ეკრძალება ერთი და იმავე ფუნჯით ორი მოქალაქისთვის გასაპარსავად სახის გასაპვნა. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მან უნდა იხმაროს სტერილიზაციაქმნილი ფუნჯი. (მოთავსებულია საგანგებო ბანდეროლიან კონვერტში), მაგრამ ახალდაბაში, ალბათ, ახალი სხვა წესები არსებობს, რომ პარიკმახერ პეტრე ქიმერიძეს არავინ სთხოვს ამ სავალდებულო წესის დაცვას. ის იღებს ათასჯერ გათხუპნულ ფუნჯს და მეათას პირველად თხუპნავს წვერის გასაპარსად მის საპარიკმახეროში შესულ მოქალაქეს, თითქოს „ათას ერთი ღამის“ შესაფერ დროსა და პირობებში უხდება ამ პროცედურის ჩატარებაო.

## საჯევახოს წარმოდგენა, ხომ გსურთ ბილეთის შეძენა?!..

„საჯავოხური ხუმრობა ნახევარი მართალია“–ო, ნათქვამია. ვინც ეს სთქვა, ალბათ, გათვალისწინებული არა ჰქონდა ის დიადი ცვლილება, რომელიც განიცადა საჯავოხოს ცხოვრებამ ამ უკანასკნელ დროს.

რა ცვლილებაა ეს?

ჯერ უნდა ითქვას, რომ ხუმრობისა და გართობისათვის საჯავოხო უკვე აღარ წარმოადგენს მთლიანსა და გაშლილს ასპარეზს, როგორც ეს, ალბათ, ყოფილა უწინ, როცა ზედით ჩვენ მიერ მოყვანილი ანდაზა წარმოშობილა. ადამიანთა ცხოვრებით ეს დარგები ამჟამად სავსებით უკვე კონცენტრაციაქმნილ არიან, ეგრედწოდებული საჯავოხოს თეატრში. მართალია, თვითონ თეატრი შეიძლება არც კი არსებობდეს, მაგრამ ის, რაც თეატრს ახასიათებს, ე. ი., წარმოდგენები კი აქ ხანდახან იდგმება.

მოგეხსენებათ, რომ წარმოდგენებს ბილეთები ესაჭიროება, ხოლო ბილეთებს მყიდველბი. აი, ეს მყიდველებია ძნელი საშოვარი, თორემ ბილეთების ჩამოწერა დიდ სიძნელეს არ შეიცავს. სიძნელე იწყება მხოლოდ ბილეთების ჩამოწერის შემდეგ.

მაგრამ მოგეხსენებათ, ისიც, რომ სიძნელეს ხუმრობა აიოლებს და აადვილებს მის გადალახვას. და აი, წარმოდგენის განზრახვის, უფრო კი — ბილეთების ჩამოწერის დღიდანვე იწყება ეს „ხუმრობა“, რომელიც ნახევრად კი აღარა, უკვე მთლიანად სიმართლეა, ხოლო ეს სიმართლე ყოველ მართალსა და პატიოსან კაცს დიდ გასაჭირ განსაცდელში აგდებს ხოლმე.

მერე არ იკითხავთ, რაში მდგომარეობს ეს უკანასკნელ დროს საჯავოხოში დამკვიდრებული „ხუმრობა“?!.

ბილეთების გაყიდვაში!

ორად ორი სიტყვა, მაგრამ გგონიათ, რომ ერთისა და იმავე წარმოდგენისათვის ბილეთის ორჯერ შეძენით თავდება ის?

არ შეგჭამოს ჭირმა!

იწყება ეს ყოველთვის ასე: გაიხედავ და ერთ მშვენიერ დღეს თქვენს ეზოს მოადგება წყვილი. — შეიძინეთ წარმოდგენისათვის ბილეთი! ხუმრობითა და პირზე ღიმილით გაძლევენ ისინი მტკიცე წინადადებას.

შეიძლება თქვენ გაჭირვეულდეთ და გეგონოთ, რომ „საჯავოხური ხუმრობა ნახევარი“... მაგრამ ნურას უკაცრავათ, თუ აქ ნახევრობით ვერ გამოხვიდეთ და მოგიწიოთ მთელი ერთი მანეთის გადახდა.

მერე? გგონიათ მორჩით?

მარტო ეზოში თუ აჭოგხდებათ სული, ან „ხუმრობა“ რაღად გინდათ და ან წარმოდგენა. ხოლო თუ კი ეზოდან ფეხი გადმოსდგით, მაგალითად, ბაზარში ან ყანაში მიგეჩქარებათ, იცოდეთ, რომ გზაში ან იგივე ან ახლა უკვე სხვა წყვილი გადაგეყრებათ და: — შეიძინეთ წარმოდგენისათვის ბილეთი! —გესმისთ იგივე პირზე ღიმილიანი ხუმრობა...

„საჯავოხურ ხუმრობა ნახევარი“...

— უკაცრავად, მოქალაქევ, მანეთიანი ბილეთი თქვენთვის სრულიად შეუფერებელია. თქვენთვის წინა ადგილი გვაქვს ჩვენ განზრახული!...

და ორ მანეთიანი ბილეთი ჩავიდა თქვენს ჯიბეში.

მაგრამ ბაზრიდან ან ყანიდან თქვენ ხომ სახლისაკენ უნდა დაბრუნდეთ ისევ? აი, აქ გზაში ისევ შეგეფეთებათ ახალი წყვილი და ისევ იწყება „საჯავოხური ხუმრობა“, რომელიც თავის დროზე უკვე არა ნახევარი ან არა ასი პროცენტით, არამედ მთელი სამასი პროცენტით იყო თქვენთვის გამართლებული, ხოლო თქვენ მიერ განაღდებული...

არ ვიცით, რამდენ პროცენტს აღწევს ეს „საჯავოხური ხუმრობის“ ძალიან სიმართლედ განაღდება. ყოველ შემთხვევაში მისი დაბალი მიჯნა ხომ ასი პროცენტია, ეს ომის დროინდელი დონე. ამ დონეს როქ გადალახავს ის, შემდეგ უკვე გზა გახსნილი აქვს თუნდაც ათას პროცენტ ..ლე .ა იმას ზევითაც.

ტემპია, მა რა ჯანდაბაა?!

## ჩიქვანის ქალი ნადია, ცემაში დარდიმანდია

ჯერაც არ იციან კარგათ: ნადია ჩიქვანის ქალია თუ გიორგაძის, რადგან ორივე გვარს ისე ატარებს, როგორც ორ ტუფლს. გლეხმა დომენტი ტურაბელიძემ ის მოიყვანა ოჯახში რძლათ, როგორც გიორგაძის ქალი: უქალო ოჯახს მიხედავს და ფეხზე დამიყენებსო. მაგრამ ნადიამ ოჯახში მიყვანის დღიდანვე დაუწყო ჩხუბი როგორც ქმარს, ისე სიმამრს: მე ჩიქვანის ქალი გახლავართ: კრებდიშინ - ფაიდიშინის კაბები ტანზე, ხოლო ფეხებზე ლაკის ტუფლები ჩამაცვით, თავზე მოდნის შლიაპა დამხურეთ და ისე მატარეთო. არაო და... გაუსვა მჯიღებს ნადიამ: ერთიც მიბეგვა და მეორეც.

როგორც ხედავთ, საომარი ფხა და უნარი ნადიას ნამდვილ გიორგაძისა აქვს, ხოლო სხვა მოთხოვნილებანი და „ვკუსები“ კი—პირდაპირ ჩიქოვანისა.

„შეუკერავს, არ ჩაუცვამსო“, მღეროდენ ოდესმე ჩიქვანის ქალზე. მაგრამ ის თუ, შეკერვის შემდეგ, ჩაცმას გადაგაყოლებდა, ნადია უკვე შეკერვამდე აღარ მიგიყვანს ცოცხალს და მჯიღებით გაგასიებს... ძნელი ყოფილა ჩიქოვანის ქალის ოჯახში შეყვანა.

# ექიმ ასილოვის მტკიცე სიტყვა



— მიშველე, ექიმო, წამომყევი: იქნება სულზე მაინც მივუსწროთ ჩემს ავადმყოფს!..

— არ შემიძლია, სანამ ლაზიშვილის ავტოს არ მომიყვან!..

## სცენა ტელეფონთან

(სამტრედია)

გოგო!.. გოგონია!.. გოგო!.. ერთი გენაცვალე ყარყანტოში, მაშაპა სამტრედიას, სამტრედიაა!?.. აი!.. სამტრედია... ხოო... გესმის... გოგო! ა?.. გესმის!.. ჩამამაყურჭე ერთი ეპოს კანტორას, ა!.. რაიო?!.. რაი!?.. ა?!. ხმა ამეიღე, ბოშო, რას წრიპანებ... არ გესმის... ა? რაიო?!... ახლა გეიგონე?... დეგექცა კარაბაღინი... შენ არშიყობაში ხარ გართული, და მე ქე დავამტვრიე ტელეფონი ამდენი ჯაჯგუნით ა?... მისმეენთ... ვინახარ, რომ მისმენ! ა? დათიკო!... „ზრასტი" დავით... „ზრასტი" „სპრიეზდომ", გენაცვალე „სპრიეზდომ"... რა ქენი, ბიჭო, დაცხე მუშკორების კონფერენციაზე სამტრედიელ „ჩაწოვნიკებს"... ა?.., დაცხე მარა გექადნება „ოპტომ" ყველა?!!!... ხაჯა არ დაგაჭრან ყურებზე... ბიჭო, მართლა კოოპერატივის მაღაზიის ნოქრები ყველა ლაპარაკში აკვდნენ დროს? მერედა გამგეობა რას უყურებს, ა?! ვალიკოს „ჩისტკის" მერე ორმოცი გრადუსი სიცხე აქვს ყოველდღე... უშველეთ, ცივი ტილო დააფარეთ თავზე მაგ ობერს, არ დაგეწვას კაცი... ბიჭო-ბიჭო... დათიკო შიდიხარ... გეძახიან.. კაი აპა... წკრრ... გოგონა... გოგო!... მიმაშველე ალმასკომს, ერთი შენ გენაცვალე... ა?... ალმასკომია?!. გარსევან გამარჯობა, რავაა საქმეები, რა ქენი, შე კაცო, ილორის უბანში, კლასს ვერ მოუნახეთ ადგილი კიდო!?.. ა? კაცო, ასე საქმის გაჭიანურება შეიძლება? თუ ძმა ხარ, ნუ აპრაექტორებთ მა საქმეს, წეიყვანეთ ერთი მაქანე, „მოჯაჯღანე" ტეხნიკი რომ გყავენ, თევზაძე და გადაზომეთ ერთი აქეთ, ერთი იქეთ და სდღუზეთ შუაში ეგი სკოლა, მორჩა და გათავდა... გარსევან, ერთი ეს მითხარი: ილორში ჭანდრის ხეები რომ იდგა, წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, ფსხვილ - ფსხვილ ტანიანი, რეჭქნა?!... სა გეიპარა იმაში აღებული ფულები?!... ა? ჩასანსლა უფკსეროჯრიბაში... და მერე მიაფუჩეჩეთ ეს საქმე?.. არც მასეა საქმე, ჩემო გარსევან, რაიცაც შენ გადაგეფსკვენი ახლა, ერთ მშვენირ დღეს ისე გადევეფსკვნები მუშგლეხინს და ქე ჩაუმარგალიტებ ყველაფერს, მერე ვნახოთ რავა გამოუვა მაგ ჩვენ გმირებს პარაკლისი... ა? რა იყო?!... შენ არაფერი ბრალში ხარ?... მაგი არაფერია... შაგან გევიგეფთ... რავა არ გასქდები გულზე კაცი, ამ სულძაღლებმა არც ძირი დაგვიტოვეს, ძირიანფესვიანათ მიაყიდეს და გოუყვნეს გზას... კაცო, სამკითხველო ილორში ხომ არ არის და არა... და აგი სამტრედიის (ქალაქის) სამკითხველოში ვინცხა საკანდელიძე მოგიყვანიათ... არშიყობის მეტს არაფერს აკეთებსო, მუშა, ბოშო, თურმე ქირივით ეზარება, „პიონებში" აქვს საქმეო. მუშამ ძველი გაზეთის ნომერი რომ მოსთხოვოს თურმე, მის წესდებაში არ ნაწერა... და ამისთანა გამგე მუშათა სამკითხველოს არ გამოადგება, ჩემო გარსევან... ხოდა მაგას ხომ იცი, რა უნდა.... კულტ საქმეები სხვა მხრივ რავაა ილორში? ა? ჩხუბის მეტს არაფერს აკეთებს არავინ?... კაი საქმეა... კაი შენმა მზემ... კაცო, საშა მთლად ჩაეფლო ობლიგაციებში, ვენაცვალე სულში... მერე კიდო რა?... სხვადასხვა კომისიებშია არჩეული? ვაი, ბიძია, უფრთხილდით იმასაც არ ჩამეეყვინთოს ხაზოის ძირში, როგორც სხვებს... გარსევან, ათწლედზე მაქ სალაპარაკო მარა. მერეიზა გადავდებ... ეხლა ერთი ანიჩქას დამიძახე... ცოტა ხანს იმას ვეჭუკჭუკო... ააა..., სალამი ანია... როგორ გრძნობ თავს, ა?!... სიცხე გაწუხებს?! არა უშავს, იანვარში აგრილდება... ა? გამაგონე... ხმა მაღლა, შე ქალო, ყბა - ყური ახოვილი მაქ კოლექტივის საპარიკმახეროში გამატყაეეს... ა: სისხლი არ მემეწამლოს, ნუ გეშინია, გენაცვალე... რა იყო... აა? არ გცალიააა?... რა ცალი გკიდია, ბოშო, მთელი დღე ტყვილა ხარ და ახლა გამოგიჩნდა საქმე?!... ბეჩა, შენთან ჩამაყურჭებიზა ორი ფოშტა გზაი გემევიარე და შენ ქე მირბიხარ... მეიცა, გოგო, საჭირო საქმე მაქ საკითხავი... ა? რაიყოო?!.. „სვიდანიაზე" უნდა წახვიდეე?... უკაცრავად... გენაცვალე, უკაცრავად.. ბოდიში... დიდი ბოდიში... მოგიკვდა ჩემი თავი, შეგაწუხე, ნახვამდის...

ბრაგუნა.

## შემთხვევაპი

1929 წლის აგვისტოს 16-ს სუფსის საკრედიტო ამხანაგობის თავჯდომარეს, ამხ. მელიტო გურგენაძეს ენა ჩაუვარდა, რის გამო, ხალხს პასუხი ველარ გასცა, აპარატის გამწმენდმა კომისიამ დროზე გაანთავისუფლა ამხ. გურგენიძე.

სუფსის საკრედიტო მოანგარიშე არონ დოლიძე 20 აგვისტოს უგუნებოთ შეიქნა: მასზე დიდათ მოქმედობს კრიტიკა. საჭიროა დახმარება გამწმენდ კომისიისაგან.

შანცი.

# ცნობათა მიღება



**სოფელი შროშა, „კუნტრუშას“.** კუნტრუშა —ხბოს მოძრაობად გაგვიგონია. ეს თქვენი „აკუნტრუშებაც“ სასიამოვნო მოვლენაა იმდენად, რამდენადაც თქვენს ლექსში რითმა მაინც მოხდენილად არის მიწყობილი: „აკეთებს“, „პაკეთებს“, „უგაზეთოთ.. საგაზეთოდ“. „ჩანგალი... კანკალი“ და სხ. ეხლა შინაარსზედაც მოგიწევთ ცოტა წამუშავება და საქმეც გაიჩარხება...

**ახალდაბაში, ტარკორს.** თქვენი „გაწმენდილის სიმღერა“ იმიტომ კი არ დაგვიწუნებია, რომ ის ვითომ სინამდვილეს არ შეიცავდეს, არამედ იმიტომ, რომ მეტის - მეტად ზოგადი ხასიათისაა და რამდენიმედ ფორმითაც სუსტი ნაწარმოები. წერილის საერთო მოხაზულობა კი ისეთია, რომ ის ვილაც კონკრეტულ პიროვნებას უნდა ეხებოდეს. ჰო და, თუ ასეა, თქვე მამაცხონებულო, დაგვწერდით უფრო კონკრეტულად, მიკიბვ-მოკიბვა ამ შემთხვევაში საქმეს ვნებს, როგორაც ხედავთ.

**ს. ნიგოითი, მამია ბარამიძეს.** თქვენი პირველი შარადა, ქე რომ „სალამურს“ ეხება, არ ვარგა, არც ფორმით, არც შინაარსით და არც იდეოლოგიით.

თქვენი მესამე შარადა ჩვენ არსად შეგვხდეს შარადა, არ ვარგა არადა: დაწერილია მძარადა (იგივე მდარედა) და აგრეთვე მცდარადაც.

თქვენი მესამე შარაა ჩვენ არსად შეგვხდეს შარადა...

მაგრამ დავანებოთ შარადებს თავი ავიღოთ ლექსი „სიმღერა მოწაფეებზედ“. ვერ გავიგეთ: ეს ჩინელ ხუნხუზებს შეეხება თუ ჩვენებურ მოწაფეებს!

სხვა არამზადობათა შორის, საინტერესოდ არის აწერილი კიტრის ქურდობა:

„განზედ მივედ და რა ვნახე?
დიდი კიტრი დავინახე
მოვინდომე გამოკრეფა.
მაგრამ ვილაც დავინახე“...

(ეს დანახვა ეხება მეორე მოწაფეს, იმასაც ქურდს).

აბა, რა დიდი „გამოკრეფა“ უნდოდა ერთ კიტრს? ასწევდით, მოსწყვეტდით და გზას ბარაქას დააყრიდით. არც ჩვენი შეწუხება უნდოდა ამას, არც სხვების და მით უფრო — არც თავისი თავის.

**ახალდაბა — ლეჩხუმელს.** თქვენ სწერთ პეპოს შესახებ:

„მეზობლებსა ის აწუხებს,
ემუქრება ყველას მუჭით:
„მე თუ პეპო ბლიაძე ვარ,
გაგიხეთქავთ თავსა ქვით“-ო.

გამოდის, რომ მუჭით კი არ ემუქრება პეპო მეზობლებს, არამედ ქვით. ყოველ შემთხვევაში—ქვიანი მუჭით და არა მარტო მუჭით, მაშასადამე, ოთხი სტრიქონის მანძილზე თუ ასეთი შეუსაბამობა გვხდება თქვენს პოეტურ ნაწარმოებში, რაღა იქნება თითქმის ოცი სტრიქონის მიყოლებაზე?!. რა ძალა გადგიათ, რომ თავს ჯაფას ატანთ, სწერეთ დაკვირვებით და, რაც მთავარია, სწერეთ პროზათ. ლექსი აუცილებელი და სავალდებულო არ არის.

**იქვე, ხეჩოს.** რადგანაც არც „ხეჩოს“ უვარგა ლექსი და ზოგი გამოთქმა, მაგალითად: „ქარხნის გამგე ბლიაძე, მუშებს უყვირის და არის ბიუროკრატორი“-ო, ამიტომ ჩვენ ლექსით ვაძლევთ მას ასეთ შენიშვნას:

„ამხანაგო ხეჩო,
არ გივარგა ეჩო:
ლექსის წერას დაეთხოვე,
პატყლი უნდა ჩეჩო!“..

**მარან-ჭალაში, მარანჭალელს.** თქვენ გვწერთ მარან-ჭალის გლეხკომის სასადილოს ხელმძღვანელებზე ისეთ რამეებს, რომ ამის შემდეგ თქვენი მოწოდება:

„ტარტაროზო, გენაცვალე,
ცნობას გწერამ,
იმედია, შემოიღლი

და აგენს აჩანგლამ“-ო — რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, რადგან ჩვენ ჩვენს ჩანგალს ასეთ სასადილოში ვერ შევიტანთ. ისევ თქვენ შებრძანდით და იხმარეთ ადგილობრივი ჩანგალი.

**აქ თუ ახალციხეში. 1+0-ს.** ვწონეთ, ვზომეთ, ვსაჯეთ და მაინც ვერ გავანაწილეთ თქვენი ფსევდონიმი თქვენსა და თქვენ ნაწარმოებს შორის: 1 დაუსვათ თქვენს ნაწარმოებს, მაშინ თქვენ იგრძნობთ თავს შეურაცხყოფილათ: 0 როგორ მკადრაო. 0 დავუსვათ ნაწარმოებს და მაშინ ჩვენ ვიგრძნობთ თავს შეურაცხყოფილად: რაც არ ერგებოდა, იმდენი რისთვის დავუსვით-თქო. ამიტომ ვამჯობინეთ ისევ გაუნაწილებლად ძათი გოდორში მოთავსება.

**გამოჩინებულში, ნიჩას.** თუ სკოლის გამგემ შალვამ ეზოსი და ბაღის სარები ცეცხლში დააწვევინა მოწაფეებს ზამთარში, აქამდის სად იყავით? ისე თქვენი დავალების შესრულება ჩვენგან მეტის - მეტად ძნელია. თქვენ გვთხოვთ:

„ტარტაროზ“, ჩემო ძმობილო,
დავიწყოთ შალვას ძვირია,
რომ შენი მჭრელი ჩანგალით
მას აუმტვრიო ცხვირია“-ო,

მჭრელი საგნით ცხვირის ამტვრევა რაღაც შეუსაბამო საქციელია, როცა შეიძლება ცხვირის სრულიად ათლა და აცლა.

**გამოჩინებულში, მღელვარეს.** თქვენი ნაწერიდან სჩანს, რომ რაღაცას მართლაც აუღელვებიხართ, მაგრამ სასულდობრ: რას? — ეს ჯერ-ჯერობით რჩება გამოურკვეველი.

# პასუხისმგებლობა



აი, კაცი, რომელიც პასუხისმგებლობიდან პირდაპირ პასუხისგებაში მოჰყვა!...

P-7188

## ბრძოლა მხოლოდ გამარჯვებისათვის უწინ:



ვიბრძოდით მაგრამ „დავმარცხდით"...

ესე იგი: ვისწავლეთ ბრძოლა და გავიმარჯვეთ კიდეც ახალი ბრძოლისათვის!

# ტარტაროზი

ფასი 10 კაპ.
წელიწადი მეექვსე

კვირა, 29 სექტემბერი, 1929 წ. (224) № 40


## ამაო შეშფოთება



— ხედავ, მარკოზ, რომ ვარდება? ვუშველოთ... არ დაიმტვრას...
— ცოცხალი ადამიანი ხომ არ არის..., ბიუროკრატიზმია.., კისერიც უტეხია!..

# აგიტ-კალონა სოფლად

ნასალდათევი კაცი ვარ, „კალონა“ გამიგონია, ჯარის დაწინაურებულ ნაწილს ჰქვია, რომელიც წინ მიიწევს, მტრის შესახვედრათ და, რომ გავიგონე: „სოფელში აგიტ-კოლონა მოდისო“,—ვიფიქრე მტერი გვესხმის თავს-მეთქი; მაგრამ ვინ უნდა იყვეს ეს მტერი?

არ ვიცი, სანამდის მიმიყვანდა ეს ჩემი შეშფოთებული ფიქრი, რომ უცბათ არ გამეგონა: „მოდის, აგიტ-კოლონა მოდის! აი, კიდეც გამოჩნდენო!“

ვხედავ, რომ არავინ გარბის, არავინ იმალება და, მე რომ ერთმა ავსტეხო შეშინებულ ხმასავით ფუნდრუკი, ვაი თუ სხვების გამკიცხავი დაცინვა გამოვიწვიო-თქვა!..

ვდგევარ ცოტა მოშორებით, სხვების უკან და მეც მივჩერებივარ სოფლისაკენ მომავალთ.

მოდიან დინჯათ, მუსიკით, გულდამშვიდებით. მებრძოლთ და ავის განმზრახველთ რაღაც არა ჰგვანან. ხალხი, ნამეტნავად ბავშები და ახალგაზრდები, უცბათ მოსწყდენ ჩვენს რიგებს და მტრედების აშლილ-აფორიაქებულ გუნდივით მიეგებენ ხელგაშლით წინ მომავალთ.

— გაუმარჯოს!.. გაგიმარჯოსთ!.. ვაშააა!.. გაისმა აქეთ-იქიდან.

კალონა სოფელში შემოვიდა და დადგა. დადგა კი არა, ხელად დატრიალდა ჯარასავით, თითქოს ჩვენი სოფლის ანასხ-ანარეკლი წინდაწინ გადაუღიათ ჩუმად იმათ ჩანუტებს და ყველაფერი ქარტებითა და პლანებით აქვთ უკვე შესწავლილი, როგორც ეს ომში შვენის ჯარის ნაწილებს.

ხელად აღიმართა ტრიბუნა ჩვენ თვალ წინ და ერთმა მოსულთაგანმა გააცნო ხალხს კალონის დანიშნულება.

მე ვდგევარ ჩემთვის განზე და რაღაც არა მჯერა ყოველივე ის, რასაც ორატორი ამბობს.

— სიტყვა ეძლევა ამხანაგ ექიმს—გაისმა მისი ხმა.

— აი, ნაძალადევი თავმჯდომარე! — გავიფიქრე მაშინვე მე. კაცი არავის არ აურჩევია და მიტინგის ხელმძღვანელობას კი ჩემულობს.

თან ისიც მაკვირვებს, რა უნდა სთქვას ექიმმა, რა სალაპარაკო უნდა ჰქონდეს მას? ექიმი ძველად მე გამიგონია ავადმყოფისათვის: მოვა, გასინჯავს, დასწერს რეცეპტს... თუ ცოტა რაიმე დარიგება მოგცა ავადმყოფის მოვლის შესახებ, ისიც დაჟინებული შენი თხოვნის შემდეგ, ღმერთს თაყვანი ეცი, რადგან ყველაფერ ამაში იგი ფულს იღებს, გასამრჯელოს, ხშირად იმდენად უდიერს, რომ ავადმყოფის ჰირისუფალი მზად ხარ შეურიგდე ავადმყოფის სიკვდილს, ვიდრე მისთვის ექიმის მოყვანას. მაშასადამე, რა სიტყვა უნდა ჰქონდეს ჩვენთან ექიმს. ექიმი მე გამიგონია დინჯი, თითქმის სიმუნჯემდის სიტყვა-მომჭირნე, ამაყი და სოფლელ, გაუნათლებელი ხალხისათვის მაღლიდან სათვალეებით მოთვალთვალე. მაგრამ...

— ამხანაგებო!—გაისმა ამ უჩვეულო ექიმის უჩვეულო თბილი და რაღაც ახლობელი კილო.

—ამხანაგებო, მე ვხედავ, თუ თქვენ სოფელს როგორ აწამ-აწვალებს ციებ-ცხელება. ნამეტნავად ბავშები განიცდიან მისგან დიდ შევიწროვებას...

და გაყვა ზოლივით... ისე ლაპარაკობს, თითქოს საერთოდ ჩვენი სოფელი კი არა, ჩემი ოჯახური ამბავი საკუთარი ხელის გულივით ჰქონდეს წინ გადაშლილი.

— უეჭველად მე ვყევარ სახეში, ამას რომ ასე ლაპარაკობს— გავიფიქრე მე.

— ამხანაგებო, აი, თქვენი მტერი!

და ექიმმა ხელი გაიშვირა ჩვენი სოფლის ბოლოზე მდებარე ჭაობისაკენ...

— მტერი კი არა, თუ სადმე ორი ფეხი ღორი გამოიზრდება ან იხვი და ბატი, ყველა სწორედ ამ ჭალიან-ჭოჭიანი ადგილების წყალობით არის და ეს კი „მტერიო! ჯაიძახი“—გავივლე მე გულში და ჩემს წინ მდგომ მეზობელს ხელი ავკარი იდაყვზე.

მეზობელიც მიმიხვდა გულის ნადებს და ბრონწეულ ღიმილით გადმომხედა.

—ამ ჭაობში—განაგრძობს სოფლის „სამტროდ“ მოსული ექიმი—იზრდება და ბუდობს ციებ-ცხელების გამავრცელებელი კოღო.

—რაო, კოღოო?! სად გაგონილა კოღოსაგან გავრცელებული ციებ-ცხელება? კოღო კი არა კამეჩის ძგერება არაფერია ამ ავადმყოფობის მოსვლასთან და ამან კი კოღოს გადააბრალა ის?

მაგრამ...

— კოღოს ხორთუმი ციებ-ცხელების უხილავი ჭიებით (ბაცილებით) არის მოცული და როდესაც ის იკბინება, ნაკბენში ეს შხამიანი არსებანი ჩადიან...

— ბიჭოს, რას ამბობს ამას ეს ექიმი?.. კოღო მართლა უამრავია ჩვენს სოფელში. მისი გაბმული წუილი საღამოობით შორეულ ზარის რეკასავით მივლის ყურში. ჩემი პატარა ბავში ამას წინად რაღაცამ შეაშფოთა აკვანში. საკმაოდ მოზრდილი ძუძუთა ბავშია, მაგრამ, მოგეხსენებათ, მოუცლელობის გამო, სოფლის ქალი მას მაინც ხშირად აკვანში აწვენს ხოლმე. ჰო და სანათით რომ მივვარდით აკვანს, ვნახეთ: ბავშს არტახებიდან ხელი დაეძვრინა და საფეთქელთან გამწარებით იცაცუნებდა თითებს. გავსინჯეთ და კარგი ალუბლის კურკის ოდენა ძირკვი აჩნდა. არ გასულა სულ ორი დღე და ბავში შეაგდო სიცხე-თაკარაში რაღაცამ. ანუსიამ, სოფლის ექიმბაშმა, დაიჩემა: „უემურია“-ო. მაგრამ ჩუ!.. აი, ექიმმაც ახსენა „უემური“.

— უემური და სხვა ასეთი სოფლური გამოთქმანი, ეს ამ ციებ-ცხელების ნამდვილი სახელებია...

— აჰა, რაში ყოფილა საქმე!—გამიელვა მე გულში უცბათ ყოვლად ნათელმა აზრმა... გენაცვალე ცოდნისა და სინათლის ძლევავ! მართალს ამბობს ეს ექიმი.

დავემოწმე ახლა მე, უკვე სავსებით დარწმუნებული მის ნათქვამში.

მაგრამ ყველა იმისი ნათქვამის მოყვანა აქ მე სად შემიძლია. მან ილაპარაკა დიდხანს საქმიანად და დამარწმუნებლად. თვალ წინ მზის სინათლესავით გადაგვიშალა ყველაფერი, რაც ამ საგანს შეეხება. ამიტომ, მეორე დღეს, როცა სოფელმა მოილაპარაკა და გადასწყვიტა ჭაობის ამოშრობა, მე დილიდანვე უკვე ფეხზე ვიყავი და ყველას წინ მივუძღოდი ხელში ბარითა და თოხით ამ მავნებელი მიდამოს მკერდის გასაპობათ.

ჭაობი ამოვაშრეთ. სოფელს ერთი ათი დღიური მშვენიერი სახნავ-სათესი მიწა შევსძინეთ, მაგრამ, რაც მთავარია, შევსძინეთ სიჯანსაღე და ავაშორეთ ყოველწლიური აუწერელი ტანჯვა და წამება დაწყევლილ ციებ-ცხელებისაგან.

მაგრამ, განა მარტო ამით განისაზღვრება აგიტ-კოლონის სოფლად მუშაობა? ეს „სამტროდ“ მოსული ხალხი ჯარასავით ტრიალებდა სოფელში მთელი ერთი კვირის განმავლობაში და რა გინდა, რომ არ გააკეთეს? გზები, სათესი მინდვრები, სოფლისათვის წყალი, შკოლა, სამკითხველო, ვაზი და ხეხილი, — ყველას ხვდა მათი მადლიანი ხელი თუ ცოდნა.

სოფელიც აღარ დარჩენია უმადურად: გავიღეთ გასასყიდ-გასამეტებელი პური მთლიანად, ავკრიფეთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და, რაც ყველაზე უფრო სასიამოვნოდ მრჩება, არ დაგვრჩენია სოფლად თუ სადმე ქვრივი და ობოლი იყო, რომ იმათი ყანა თუ ბახჩა არ მოგვეთეს-მოგვეთავებინოს.

კიდევ, მომავალ წელშიც ისევ გნახე ჩვენს სოფელში, ასე „სამტროდ“ შემოსულო, აგიტ-კოლონავ! ახლა მაინც კი ვსცანი შენი ნამდვილი მიზანი და დანიშნულება! ერთი ათი ასეთი მოსვლა და სოციალიზმიც გამოჩნდება ზოგი ბრმებისათვის.

ბაზირა.

# შეჯიბრება

„ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენ გადავწყვიტეთ სოც. შეჯიბრებაში გამოგიწვიოთ თქვენ. ჩვენი პირობებია: -. შემოკლება ხარჯების 80 პროცენტით. 2. გაუქმება ზოგიერთ ისეთ შტატის, რომელიც არაა საჭირო. 3. ფინანსიურ საკითხის მოგვარება და სხვა“ — ასე სწერდა ბათომის სოც-უზრუნველყოფის კომისარიატი ერთ თავის მონათესავე დაწესებულებას მეორე ქალაქში. მეორემ მას სიამოვნებით უპასუხა და ზოგიერთი ახალი მუხლიც დაუმატა. საქმე გაიჩარხა, ხელშეკრულებას ორივე მხარემ მოაწერა ხელი და საქმე შესრულებაზე მიდგა.

— აბა, ამხანაგო მოლარევ, გააუქმე სალარო დღეიდან — უბრძანა გამგემ მოლარეს. რა საჭიროა მაგოდენა ყუთის დაყუდება მაქ და დარაჯობა, სულ ერთია, ფულებს მაინც არ ვაყენებთ შიგ. რაც შემოდის ჩვენს იქით სად უნდა წავიდეს? ბარემ ჩვენი ფულები ჩვენს ჯიბეში ეწყოს. სოცშეჯიბრებაც ამას გვიკარნახებს. შენც, ამხანაგო ბუხგალტერო გააუქმე ეს სხვილ ტანიანი წიგნები, რა საჭიროა სწერო შიგ ის, რაც ჩვენს საკუთრებას შეადგენს? ან ორდერები ვის რათ ესაჭიროება? ზედმეტი ვოლოკიტაა. შემოვიდეს ფული, გადმომეცი მე, მორჩა და გათავდა.

— ორდერები კარგა ხანია გავაუქმე ამხანაგო, — უპასუხა ბუხგალტერმა. — ეს მთავარი წიგნი დამრჩენია და იმას იმიტომ ვინახავ, რომ გავიგო, სწორად გამინაწილებია თანხა თუ არა. მაგრამ თუ მიბრძანებ, მაგასაც გავაუქმებ. ბლოკნოტშიც შემიძლია ჩავიწერო ყველაფერი.

— ხო, ხო, კარგია — უთხრა გამგემ. იცი მერმე სახელმწიფო რა სარგებლობას ნახავს ამით? ჯერ ერთი, რომ ქაღალდების ეკონომია და მეორედ ამდენი ვოლოკიტა. — შეთანხმდნენ ამნაირად მთელი შემადგენლობა და შეუდგნენ საქმეს. დაიწყო შეჯიბრება. მართალია, სოციალისტური არ ყოფილა ის, მაგრამ „სპეციალისტური“ კი იყო. ფულებს ღებულობდა ყველა, შიკრიკიდან დაწყებული გამგემდე. იშვიათ შემთხვევაში ხელწერილსაც იძლეოდნენ, თუ ამას რომელიმე „ურწმუნო თომა“ მოითხოვდა. გაუქმებულ იქნა სალარო და ის გამოყენებულ იქნა მემანქანე ქალის სატუალეტო მასალების შესანახად. შეჯიბრი ინდივიდუალური იყო და ერთმანეთის ხალისით ეჯიბრებოდნენ. ბუხგალტერი ყველას სჯობნიდა შეჯიბრში, მას ყველაზე მეტი თანხა გაჰქონდა, მაგრამ არც სხვები იყვნენ გულნაკლული. სულ რაღაც სამ-ოთხი თვის განმავლობაში 38 ათასი მანეთის „ეკონომია“ უქნეს დაწესებულებას და ამით ასწიეს თავიანთი ცხოვრების დონე. ას იყო შეჯიბრი უმაღლეს საფეხურზე ადიოდა, რომ წერილით აცნობეს თავის მეგობარ მეორე დაწესებულებას: „ჩვენ შევძელით შეჯიბრის პირნათლად შესრულება და გვიპასუხეთ, როგორ მიდის თქვენთან საქმეო“. ეს წერილი იყო. ფოსტამ მიიღო, რომ პოლიტსამმართველო დაეცა თავზე ამ ხალხს და ეს სოციალისტურ შეჯიბრში ჩაბმული ხალხი უცებ არივ-დარია. წარმოიდგინეთ, იქამდე გათავხედდა ეს ხალხი, რომ აუსვა ხელი და გამსახლისაკენ გაუყენა. არც მოჯიბრე ჩამორჩა თურმე ბათომის სოც. უზრუნველყოფის კომისარიატს და ორი ათასი მანეთით ზედმეტიც წაიცილა. იქაურ პოლიტსამმართველოსაც ისეთი ჩვეულება ქონია, როგორც ბათომისას, და ისინიც გამსახლისაკენ გაუყენეს. ამ დღეებში გამსახლში შემდეგი შინაარსის წერილი მოვიდა: „ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენ შევასრულეთ ყველა მუხლები ხელშეკრულების. დღეს ყველა ერთად ვზივართ. ეკონომია 40 ათასს უდრის ჩვენს ჯიბეში, გვაცნობეთ როგორაა თქვენთან საქმე“?

ციხის უფროსმა ულალატა თავის მოვალეობას და აქედანაც ასეთი წერილი მიაწერინა:

„ჩვენც არ ჩამოგრჩით, 38 ათასი ბევრად არ განირჩევა 40 ათასიდან. აქ პირობების ბრალია და თან პოლიტსამმართველოსიც, რომ მეტი ვერ მოვასწარით, თორემ არ ჩამოგრჩებოდით. მიიღეთ მხურვალე სალამი და სხვ...“

ამრიგად სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა ბათომში შეასრულა თავისი მოვალეობა შეჯიბრის საქმეში. რომ პოლიტსამმართველოს არ შეეჩერებია ეს ერთგული ხალხი, ვინ იცის, კიდევ რამდენ სარგებლობას მისცემდნენ თავიანთ ჯიბეს?!.

პ. ოზოლი.

# ვინც წითელ ბეღელს
## უთხრიდა ორმოს




ორმოში თითონ ჩავარდა

# გადაკვრით უპასუხა



— რამდენია თქვენში წერა-კითხვის უცოდინარი?!.
— აი, საზოგადოება—„წერა-კითხვის“ დაარსების შემდეგ რომ არ ემატნა, ძალიან ცოტა იყო.

# განკითხვა

დარბაზი სავსეა ხალხით.

— შეხედე, შეხედე ჩვენს გმირებს, რა უბრალოთ გამოწყობილან- — ჩაჩურჩულა შიკრიკმა მეკარეს.

— ეგ რა არის! ის კი არა, დღეს გამგემ ხელი ჩამომართვა, ცოლშვილის ამბავიც მკითხა — უპასუხა მეკარემ.

— შენც ჩამოგართვა? მე ხომ დიდი სალამ-ქალამით შემხვდა დღეს, უწინ შემოხედვასაც არ კადრულობდა.

დაიწყო აპარატის წმენდა.

— განყოფილების გამგე ურგებაძე! — გამოიძახეს კომისიიდან.

ურგებაძე გავიდა წინ. ვერ ვიტყვით, რომ მას შიშით შეუბღალავი სახე გაყოლოდეს. პირიქით, მღელვარების გამო ცალი ულვაში სულ ქვევით ჩამოვიდა და ცალი კი უჩვეულოთ აიწია ზევით.

— აბა, მოჰყევით! — შესთავაზა კომისიამ.

— მე დავიბადე...

— ბუნება იალღიში მოსულა, — გაისმა ვიღაცის ხმა.

— სიჩუმე, ნუ უშლით!

— გავიზარდე...

— მაგას ვხედავთ, თქვენ ის თქვით, როგორ მუშაობთ რას აკეთებთ დაწესებულებისათვის?

— მე ვდგევარ საბჭოთა პლატფორმაზე.

— ეგ ცოტაა.

დაიწყო კამათი.

— მე ვამტკიცებ. რომ მაგას არ შეფერის გამგეობა,— იძახის შიკრიკი.—ბიუროკრატიზმი მაგის ღვიძლი მამა, პროტექცია — სატრფო, ხელშეგლილობა — ბიძა, დაუდევრობა — ბიცოლა უსაქმობა — მამიდა და სხვა და სხვა. ასეთ ხალხში მყოფი კაცი, განა, სავარგისია ჩვენთვის?

— მართალია, რასაც ამბობენ თქვენზე, მოქ. ურგებაძე?

— რომ ვთქვა ტყუილია-თქო, მაინც არ დამიჯერებთ. რადგანაც ყველა თქვენს მხარს იჭერს, ჩემი ჯავრი სჭირთ... ძველი ინტერესი აქვთ ჩემი... რა ჩემი ბრალია, პოლკოვნიკი თუ ვიყავი.. მომცეს ჩინი, ხომ არ მიმითვისებია... ჩვენს წინაამდეგ იბრძოდიო, — მიბრძანებდა ის მამაძაღლი გენერალი და არ მებრძოლა? ახლა ხომ არ ვიბრძვი... პლოტფორმაზე ვდგევარ, ელემენტიც ვარ..

— საკმარისია, თქვენ თავისუფალი ხართ ამ დაწესებულებიდან.

— სამნეო ნაწილის გამგე — ჭამაძე!

გამოდის ჭამაძე. არც მაზე შეიძლება ითქვას, რომ სავსებით დამშვიდებულია. პირიქით: თვალის ქუთუთოები ისე უთამაშებს, თითქოს ჩარლსტონის სათამაშოდ ემზადებიან.

— მე არაფერი არ მიმითვისებია... ის, რაც მაკლია, მოლარის ბრალია, მაგან შემომახარჯა მთელი ფული, ნივთებიც მაგან გამაყიდვინა და ეს უვარგისი ინვენტარიც მაგან მაყიდვინა. თუ არ გჯერათ, კითხეთ ჩემს თანაშემწეს, ჩემი ბიძაშვილია, — პატიოსანი კაცი, — ტყუილს არ იტყვის, ერთად ვმუშაობდით.

— მაინც რამდენი გბრალდებათ?

— ეგენი იძახიან, თითქოს ორი ათასი მაკლდეს, მაგრამ მაგის ნახევარიც არ იქნება. ან საიდან უნდა იყოს, ექვსი თვეა, რაც აქ ვმუშაობ, ამდენს როგორ მოვასწრებდი?...

— კმარა, თქვენ დათხოვნილი ხართ და პასუხს აგებთ სასამართლოში!

— ვიცოდი ამას მეტყოდენ, — ღუღღუღებს ჭამაძე, ასე მიქნეს სხვა დაწესებულებებშიაც, ყველგან მე უნდა ვაგო პასუხი, ამას ქვია სამართალი?..

— მოლარე წაპნაშვილი!

— მე ვარ ნამდვილი ელემენტი! მამა ჩემიც ელემენტი იყო, ნამდვილი პროლეტარი. თვით პაპა ჩემიც არ იყო დიდი ქონების პატრონი, რადგანაც კარტის თამაში უყვარდა, მამაჩემსაც არ სძულდა კარტი და მეც იმან გამანადგურა. კაპიკი აღარ გამაჩნია, სათამაშო ფულს ვსესხულობ,

—ის როგორ იყო, ფულები რომ მიითვისე სალაროდან? — ისმის აუდიტორიიდან.

— მე არ მიმითვისებია, ჭამაძის ბრალი იყო, მან მითხრა: მივითვისოთ და ერთად წავიდეთ, მაგრამ მერე შევავსეთ სალარო... მე მითვისება არ მიყვარს, ფული ჩემიც ბევრი მაქვს...

— თავისუფალი ხართ, თქვენც სასამართლოს წარუდგებით.

— მოდი და სიზმარს ნუ დაუჯერებ, — ბუტბუტებს სახლში მიმავალი წაპნაშვილი, — წუხელ დამესიზმრა, ვითომ სასამართლოს თავმჯდომარე ვიყავი და მოლარეებს ვასამართლებდი. ახლა ცხადია, რასაც ნიშნავს ეს სიზმარი...

— არ შეიძლება მეც დამკითხოთ? — იკითხა შიკრიკმა.

—თქვენ არ გეხებათ წმენდა.

— მაინც დამკითხეთ!

— გაქეთ რაიმე სათქმელი?

— როგორ არა. — აბა, მოჰყევით.

— მე ვარ ზეინკალი პროფესიით. ვმუშაობდი ქარხანაში.

— ალბათ, რამე დააშავეთ, რომ დაუსჯიხართ და შიკრიკად დაუნიშნავხართ.

— დაშავებით არაფერი. პირიქით. ქარხანაში შემაფასეს როგორც კარგი და აქტიური მუშა და დამაწინაურეს... — ჰმ! მერე?

— მერე და გადმომიყვანეს აქ. გამგემ აიღო და მეკარედ დამნიშნა, თან მარწმუნებდა, რომ თანდათანობით ამწევს. მართლაც მოკლე ხანში „დამაწინაურა“ და უფროს შიკრიკად დამნიშნა. ახლა მე ვითხოვ უკანვე დამაბრუნოთ ჩემს ქარხანაში.

გამწმენდ კომისიას ეკუთვნის სიტყვა! **ტურისტი.**

# კოსტაიას ჩივილი

გადამეკიდა ჩემი ივლიტა ძველი ხვიოჯინივით და აღარ მომცილდა, „გინდა თუ არა, დაჩაში უნდა წამიყვანოვო"!. მაინც და რომ დეიჯინა, აღარ ვათქმე ვარი! უთხარი:: „ქალო, ფული არა მაქვს და რაფერ წაგიყვანო დაჩაში თქვა", მარა, შენც არ მომიკვდე, გააფიჩინა ფეხები და მორთო ღრიალი! რაღას ვიზამდი, შემრცხვა მეზობლების და დავთანხმდი. მაინც ქე ვიყავი გაყრონჭილი ვალებით და კიდო დოუმატე ზედ. მევეწყვე, ჩავჯედი მატარებელში, მევიჟინე გვერდში ჩემი ივლიტა და წევედით დაჩაზე. ჩასვლისთანავე დამიჟინა: „დვხტურს უნდა გავესინჯო, რომ მასწავლოს რავა მევიქცე"-ო მეც აღარ ვაწყენიე და, გავასინჯე დოხტურს. მაინც და ამ მამაცხონებულიშვილმა დოხტურმა მისთანა დარიგება მისცა, რომე იმას მე კი არა, სპეცი ვერ შეუსრულებდა! „დღეში ორი ბოთლი რძე უნდა დალიოვო, კარაქი ჭამოვო, წიწილები მიირთვაო, და რამდენიც შეგიძლიან კვერცხები ყლაპოვო!" რაღა კი გეიგონა ივლიტემ აგი დოხტურის დარიგება, როდილა მომისვენა, სულ ცეცხლზე დამდვა კაცი! გინდა, თუ არა კვერცხები მაყლაპეო! წიწილები და რძე გამოულეველი უნდა მქონდესო! ამ სახლკარ მოსაფშუკავს მიდღემჩი ჯიჯილაყა ფხალის მეტი არაფერი უჭამია სახლში და აქანა კარაქი და კვერცხები მომინდომა! ვიფიქრე, რაცხა, ორი გროში მაქვს წამოღებული, უყიდი სანამ მექნება და როცა დეილევა, მე წევიყვან უკან სახლში თქვა. უყიდე აგი ყორისფელი და შეუდექით ცხოვრებას. მე მეგონა აგი პრავეზია წასვლამდე მეყოფა-თქვა და ალხეინად ვიყავი. მაინც და რა სცოდნიათ ამ დაჩაზე! შეიკრიბება აგი: ქალი და კაცი, მოყობიან ტრაბახს და აქვთ ერთი ვაიუშველებელი! „მე ათი კვერცხი შევყლაპეო, მე თუთხმეტიო და გამართულია ჯიბრი, თუ ვინ მეტს გადაყლაპავს! ჩაერია აგი ჩემი ივლიტაც ამ მეზობელ ქალებში და აგერ ცოციალისტური შეჯიბრი რომ გინახავთ, ისტე შეეჯიბრენ ერთმანეთს. მოსდგა ჩემი ივლიტე და მეზობლების ჯინაზე ჭამის მეტს აღარაფერს აკეთებდა! ისტე გაკეთდა, ისტე გასუქდა აგი ფარგასავით გამხდარი ქალი, რომ მე დევს დაემგვანა! რეიზა არ გასუქდებოდა რა, მამამის ლობიეს ჭამამ თელად გადაალოტა ღრძილები და მისი ქალიშვილი აქანა წიწილებს მიირთმევდა და დღეში თუთხმეტ კვერცხს ყლაპავდა! მანდაიმაინც აღარც მე მწყინდა აგი ხარჯი, რაც მართალია, მართალია, რაღაი შრომამ ტყვილა არ ჩამიარა და მოუხდა. ვიფიქრე: ნამდვილ გავკეთდი შავა დედალივით - თქვა. აწი მაინც მსუქანი ქალი მეყოლება და მტერს თვალები დეეფსება-თქვა! ილოცხლე მე ამ დაჩაზე გადაქაჩული დევიარებოდი! მევიყენებდი გვერდში ამ ჩემ ივლიტას და თელი დღეი დავგულაობდი ამ სუფთა ვოზდუხზე! რაც დრო გადიოდა, სულ თანდათან სრულდებოდა ივლიტა და მეც სიხარულით ფეხზე აღარ ვიყავ კაცი! გევიდა აგერ ორი თვეი და დავაპირე წამოსვლა სახლში, მარა შენც არ მომიკვდე, როდი გამომყვა ივლიტა! „მე აქანა მირჩევნიაო"!! ვეუბნები: :ქალო, შე უკულმა დაბადებულო, რომ გირჩევნია, რავა, სიდან გაყლაპო ყოველდღე ათი და თუთხმეტი კვერცხი, აღარ შემიძლიან, გეიგონე, ყურში, გეიფხიკა ჯიბა - თქვა, მარა შენც არ მომიკვდე, როდი გამომყვა ივლიტა; კვერცხების მეტი რაია ამ დაჩაზე, რამ შეგაშინა შე გაჭირვებულო, ვიყოთ ერთხანს ამ სუფთა ჰაერზე და ვისიამოვნოთო. მე თუ მთვარის ვანები არ გევიკეთე, ისტე სახლში არ წამოვალო". — სთქვა აგი და მოკურცხლა მეზობლისას. ბიჭო, გედვირეე კაცი! ყორიფლის ვანები გამიგონია: წყალტუბოს, ახტალის, აბასთუმნის, პეტიგორცკის და აგი მთვარის ვანები სწორედ პირველი გაგონება იყო ჩემთვის! ვიფიქრე, რაცხა, პატარაზე აღარ ღირს ხელის შეშლა-თქვა და გადავწყვიტე ერთი-ორი კვირე კიდო დავრჩენილიყავი, რომე ბარემაც ეს რაცხა მთავრის ვანებია იგიც მოეთავებია. დადიოდა ასტე ყოველლამე ტყეში ჩემი ივლიტა და აგერ, მეორე ხელ რომ იყივლებდ მამალი, მაშინ მევიდოდა სახლში. შევეკითხე ერთხელ: ბოშო, რაია აგი მთვარის ვანა, რაფერ კეთდება-თქვა. „მთვარეს მივეფიცხებით ქალებიო და სანამ გოუძლებთ, ვართ ისტე ვკოტრიალობთო". ვიფიქრე, თუ არ ვნახე აგი რაცხა მთვარის ვანაა და არ გევიგე რაშია საქმე, ვერ მევისვენებ-თქვა და რომ წევიდა ივლიტა ვანის მისაღებად, მეც ცოტახნის შემდეგ დავედევნე უკან. მივედი და ვნახე ჩემი ივლიტე, მარა მისთანა დასანახი დეინახა მტერმა, მე იქანა ვნახე სანახავი! წამოგორებია იქინე ჩემს მეზობელს სოკრატია ოლვევიშვილს ამ მთვარიან ღამეში და კოტრიალობენ ერთად! რომ დავებდღვენი თავზე ქორივით და შეიქნა ბურხლი, იგი ჩემი ივლიტეს ვანის გამკე

# საფარს ეძებს



— ნეტავი, მეც პიონერთა ორგანიზაციაში ვიყვე...
— რატომ, მამილო?!.
— იმიტომ, რომ იქ წმენდა მაინც არ შემაწუხებდა....

თებელი ქე გამისხლტა ხელიდან, მა-
რა რომ ვსტაცე ქოჩორში ხელი ამ
ჩემს ქალბატონს, სულ თავრიზელი
ვირივით ვაყრყინე! დეიწყო ტირი-
ლი: „მაპატიე, მეტს აღარ ვიზამო!“
ამაზე მეტი რაღა უნდა ქნა, შე უნა-
მუსო-თქვა ვაი, ჩემო დღეო, თურმე
ვისთვის ვაყლაპებდი ამ კვერცხებს!
არა, ეს მთვარის ვანა სიდან მეიგონა
ამ უნამუსომ, იმან! მარა ქალის უქ-
ნელი რომ არაფერია ქვეყანაზე!
რავა დამიფსო თვალები, რამხელა
რქები დამასო თავზე!
 რა ვქნა ახლა, რაფერ წევიყვანო
სახლში, რაფერ ჩევიდე სოფელში
ასტე თავსლაფ დასხმული! შენს პურ-
მარილზე რომ სოკრატია ტოლუმბა-
შობდა, სად იყავით, არ მეტყვის ხა-
ლხი! ვაი, სირცხვილო, რავა მევიჯა-
ჯე კაცი! ჩემი ცოდვა მიეცა, ვინცხამ
ეს დაჩობია მეიგონა, თვარა რა მიჭი-
რდა, ქე ვიყავი ალხენიად კაცი! ფუ-
ლი-ფულად დავხარჯე და ეს უშვე-
ლებელი რქები ქე წამევიდგი თავზე!
ვაი, ჩემო ცოდვა!..

ბოგია.

# ოთხფეხიც კი ამეტყველდა



— ეეუჰ, როდის იქნება, რომ ჩვენმა სოფელმაც შეიძინოს ერთ-ორი-
ლაც ტრაქტორია!.. იქნება შემდეგ მაინც შევისვენო...

# სიმულიანტუს-ტყუილუს

(სცენა საექიმო - საკონტროლო კომისიაში)

საექიმო-საკონტროლო კომისია. ექიმები ავადმყო-
ფებს სინჯავენ.

ექიმი. ვინ არის შემდეგი?

(შემოდის შეფუთნული კაცი. ძლივს ფეხს ადგამს.
კვნესის, ოხრავს).

სიმულიანტი—მიშველეთ ხელი მომკიდეთ... აგერაც
წავიქცევი!

(ექიმები ხელს ჰკიდებენ და აჯენენ).

1 ექიმი — გაიხადეთ.

სიმულიანტი. — ვინ მომცა მაგის ღონე. ვერა ხედავთ,
მომაკვდავი ვარ!

— 2 ექიმი — რა გტკივათ?

სიმულიანტი — ყველაფერი!

— 1 ექიმი. — როგორ თუ ყველაფერი?

სიმულიანტი — როგორ და ისე, ყველაფერი!

2 ექიმი—გაიხადეთ.

სიმულიანტი. — აკი მოგახსენეთ, არ შემიძლია.

2 ექიმი — მაშ როგორ გაგსინჯოთ?

სიმულიანტი — რაღა ნახვა მჭირია? ექიმები ხართ და
ნუ თუ ავადმყოფს შეხედვით ვერ იცნობთ? ხომ მხედავთ,
მომაკვდავს ვგევარ.

1 ექიმი — გვჯერა რომ ავად ხართ, მაგრამ გასინჯვა
აუცილებელია.

სიმულიანტი — ენას გამოვწევ... ენა ნახეთ.. აი..

2 ექიმი — ენაზე არაფერი გეტყობათ.

სიმულიანტი — მაშ თვალი ნახეთ... სისხლის ნატამა-
ლი აღარ მაქვს... მაჯა გასინჯეთ... რა საჭიროა მაინც-
დამაინც გახდა!..

1 ექიმი (მეორე ექიმს) ეს მოქალაქე რაღაც უნდა ცუღ-
ლუტობდეს!..

სიმულიანტი — (თითქმის ყვირის). ოოი, ოი, ოღ!

ექიმი — რა დაგემართათ?

სიმულიანტი — გამკრა.. აქ გამკრა... აქაც... აქაც გამ-
კრა.. ლონივრად გამკრა.. ყველგან გამკრა.

1 ექიმი. — ძალიან გამკრავი ავადმყოფობა გქონიათ!

სიმულიანტი — ძალიან, ძალიან... არ მზოგავს...

2 ექიმი — დიდი ხანია ასე ხართ?

სიმულიანტი — დიდი ხანია...

2 ექიმი — მერე და, რატომ აქამდე არ მიმართეთ
ექიმს? რატომ არ მოდით საექიმო-საკონტროლო კომი-
სიაში?

სიმულიანტი — არ მინდოდა...

1 ექიმი—რატომ?

სიმულიანტი—სახელმწიფოსათვის არ მინდოდა ზარა-
ლი მიმეყენებია.

2 ექიმი — რა ზარალი?

სიმულიანტი — ზარალი... აი, ჩვეულებრივი ზარალი...
მე რომ გავცდენილიყავ, წარმოებას სხვა უნდა აეყვანა
ვინმე ჩემს მაგიერ და მაშინ იმასაც უნდა აეღო ფული
და მე კიდევ დამზღვევ სალაროდან. ეს ორმაგი ხარჯია...
სახელმწიფო ამით იზარალებდა. ასე ვიფიქრე, სანამ
შემეძლება ვიმუშავებ... ეხლა კი ისეთ მდგომარეობაში
ვარ, რომ აღარ შემიძლია მეტი...

1 ექიმი — აბა, გაიხადეთ, ვნახოთ...

სიმულიანტი—აკი გითხარით, არ შემიძლია...

2. ექიმი — როგორმე გაიჭირვეთ... ჩვენც დაგეხმარე-
ბით.

სიმულ. — ასე ზევიდან ვერ გამსინჯავთ?

1 ექიმი — ვერა.

სიმულიანტი — ახირებული წესია, თქვენ ნუ მომიკვ-
დებით! ეგ თქვენი კაპრიზია და მეტი არაფერი... ნუ თუ
საბჭოთა ხელსუფლების დროს კაცს არ დაეჯერება, რომ
ის ავადმყოფია?

2 ექიმი—თქვენ, როგორც სჩანს, არ გდომიათ გასინჯ-
ვა... შეგიძლიათ მიბრძანდეთ! ვინ არის შემდეგი?

**სიმულიანტი** — ეგ ბიუროკრატიზმი და ვოლოკიტა გახლავთ, ამხანაგო ექიმო! ჯერ ჩემი საქმე არ გაგითავებიათ და სხვას ეძახით! ეგ დაუშვებელია! ოი! ოი!

**ექიმები**—უკანასკნელი წინადადება: თუ გინდათ რომ გაგსინჯოთ, გაიხადეთ, თუ არა და, მიბრძანდით.

**სიმულიანტი** — არ მეგონა, თუ საბჭოთა მოქალაქეს ასე მოექცეოდით. კეთილი გავიხდი, გავიხდი.. ოი, ოი! დამეხმარეთ მაინც! (ექიმები ეხმარებიან. ათასნაირი რაღაც აცვია) ნელა, ოი, მეტკინა, ვაიმე, ვაიმე, ნელა, ნელა! დამაცადეთ ცოტა, სული მომათქმევინეთ!

(გახადეს. სიმულიანტი თითქმის მომაკვდავია. სინჯავენ).

**1 ექიმი** — ფილტვები ჯანსაღია!

**სიმულიანტი** — ჯანსაღი კი არა აღარც ერთი მაქვს.

**1 ექიმი** — როგორ თუ აღარ გაქვთ?

**სიმულიანტი** — აღარ მაქვს. ორივე კოხის ბაცილებმა შემიჭამეს.

**1 ექიმი** — მაშ რითი სუნთქავთ?

**სიმულიანტი** — პირით... მარტო პირით.. ვყლაპავ ჰაერს... ოო! ოი! ვაიმე, ვაიმე!

**2 ექიმი** — რა იყო?

**სიმულიანტი** — მეტკინა... ჭაჭები მეტკინა...

**3 ექიმი** — ჭაჭებს აქ რა უნდა?

**სიმულიანტი** — მაშ ფიჟვები იქნება...

**2 ექიმი** — ფიჟვებს აქ რა უნდა?

**სიმულიანტი** — მაშ ბუშტი იქნებოდა... სულ ერთია რაც არის... ერთი სიტყვით მეტკინა... ვაიმე, ვაიმე!

**1 ექიმი** — ვენერიული ავადმყოფობა არა გაქვთ?

**სიმულიანტი** — მაქვს... ყოველნაირი... შთამომავლობითია... ავად მყავდა პაპა, ბებია, მამა, დედა, ბიცოლა, ნათლია... ეს ცხვირიც მოჭმულია...

**1 ექიმი** — მრთელი რომ არის?

**სიმულიანტი** — წამოიზარდა... ხორცი შეისხა...

**3 ექიმი** — გადადევით ფეხი ფეხზე.

(სიმულიანტმა გადასდვა. ექიმმა მუხლთან ხელი დაარტყა).

**სიმულიანტი** — ვაიმე! რას შვებით?

**2 ექიმი** — ნერვიული სისტემის მდგომარეობას ვიკვლევ...

**სიმულიანტი** — ნერვები! სადღაა ჩემი ნერვები!... სულ აშლილი მაქვს... ხანდახან გიჟს ვგევარ... წამომივლის ხოლმე... აი ეხლაც ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ მალე წამომივლის... ცოტა ფრთხილად იყავით, თორემ თუ წამომიარა, ცუდ რამეს შემამთხვევთ...

**1 ექიმი** — კიდევ რა გტკივათ?

**სიმულიანტი** — ყველაფერი... ჯანსაღი არაფერი მაქვს. აი აქ მტკივა... აქ ხომ ბრმა ნაწლავია? (სხვა ადგილს უჩვენებს).

**1 ექიმი**—არა, ტყლიპია...

**სიმულიანტი** — ტყლიპი მე აქა მაქვს... აქ ან ბრმა ნაწლავია, ან ჭაჭები... ბუშტიც ძალიან დაავადებულია. ხანდახან ისე გამებერება, რომ მეშინია ჰაერში არ ამიტაცოს და არ გამაფრინოს. ერთი სიტყვით დამპალი ვარ, სრულიად დამპალი ვარ... ხომ გინახავთ დამპალი ნესვი? აი სწორედ ისე ვარ... ოი! ოი! ვაიმე! გამკრა, ისევ გამკრა! მიშველეთ! მიშველეთ! წყალი დამალევინეთ... ცოტა გამაგრილეთ... გამაგრილეთ, თორემ ვატყობ რომ ვგიჟდები... დედას გეფიცებით, ვგიჟდები.., ა, მეწყება... დაიწყო... ორათ მეჩვენება თითო კაცი.. დავამტვრევ, ყველაფერს დავამტვრევ! მე დევი ვარ! კაცებს ვყლაპავ... ყველას გადაგყლაპავთ! ჰარი არალე არალე!..

(ექიმები ერთმანეთს გადახედავენ).

**1 ექიმი**—(ირონიით მეორე ექიმს) რითია ავათ?

**2 ექიმი**—სიმულიანტუს ტყუილუს!

**სიმულიანტი**—ჰარალე, არალეე!

**1 ექიმი**—ამხანაგო, ამხანაგო! გესმით ამხანაგო? ჰოდიაღ, თქვენ გეუბნებიან!

**სიმულიანტი**—ჰარიარალე, არალეე!

# თანამედროვე ქამელეონი



მიმავალი შრომის ბირჟაში წმენდაზე. — მიმავალი სხვა დროს და სხვა მიმარ თულებით.

**1 ექიმი**—ჩაიცვით... თავი დაანებეთ მაგ ოინბაზობას. ჩაიცვით.

**სიმულიანტი**—როგორ თუ ოინბაზობას?

**2 ექიმი**—თქვენ შვებულება გინდოდათ ვერ?, მიიღებთიცით რა ქვია თქვენს ავადმყოფობას?

**სიმულიანტი**—რა?

**2 ექიმი**—სიმულიანტუს-ცრუპენტელუს!

(სიმულიანტი მრისხანეთ გადახედავს ექიმებს. შემდეგ საჩქაროთ იცვამს).

ექიმი—შემდეგი! (შემოდის ავადმყოფი).

**სიმულიანტი**—თუ თავიდანვე შემატყვეთ, რაღათ მამასხარავეთ ამდენი? (ჩაიცვა და რიხით მიდის კარებისაკენ) ვინც თქვენთან მოვიდეს, ცხვირი შეურცხვეს! (კარებისაკენ მიიჩქარის).

**ნიკორა.**

# გურული სცენა

**პოლინე**: ედუკი, შენ შემოგევლოს ჩემი თავი, ეს წამა მოდექი აგერ სალორიასთან.

**ედუკი**: აწი და რავა წინწრიხოში მეძახი, ბეჩა. ჩამობრძანდი ეზოში. სხვაი თვარაფერი გიშონე, აგი კვიჭიჭის კეკალი მაინც კი მეშოვნება.—აქეთ, მურიელა. გეცა წელკავი და გაგაფშეკა ფეხები. აქით, შენ მგლის არჩივო! დილა მშვიდობისა, პოლინე, ბატონო!

**პოლინე**: ღმერთმა მიცოცხლოს შენი თავი, თვითონ ბატონო. ბეჩა, რამდენი ხანია მინდა გავძღე შენთან ლაპარაკით, მარა ახლა კაცი ხომ ვერ მოიცლი მაგიზა. ხომ კარგად ბრძანდებით ედუკის ქირიმე?!

? **ედუკი**: წაღლოშელი ვარ, ქე ვარ გვარიანათ.

**პოლინე**: ბეჩა—კარგათ ყოფნა მქონდეს, თვარა რა მიჭირს. წუხელი ტორმეტი კვატიეს ჭუჭული რომ კაცს ავი თვალით არ შეეხედებოდა, ქე წამართვა ტურამ. გუშინ წინ ძროხამ ქე მომიგო, ბეჩა, ხბოი. გუშინ დილას ქორმა იმხელა დედალი წამართვა, რომ ბალანეს თავის ხელა კვერცხს დობდა. ბეჩა, კი გეიგებდი—ჩვენი ალმასკომის თავმჯდომარე ,რომ გამოუგდიენ პარტიიდან. იმ კომპერატივს ნოქარს თურმე სიქა გააცალეს კისერში: —შენო თართალს შენიანებს აძლევო! თურმე სახლში სამ წელიწადს არ გამეელევა ჩითი და ნარმა. გუშხამ რომ დაი გაათხუა, ქე მოუყვანია ისევლე უკან სახლში: სიძის მირა-მორე არ მომეწონა და ჩემ დას აქანე ვერ დავიტოვებო...

**ედუკი**: ვითამ და პრინცესა ხომ არაა — ვაცხონე აჰ კომუნისტების კვდრის სული, რომ ყველა ამპარტავანს ქურდს და უკუდო კაძახებს პარტიაში არ აყენებენ. ხი და ამეცრამ მთავრობამ კი უნდა გეიმარჯვოს!..

**ძნელ—ოღლი.**

# შტატების საკითხი სო

ა დ რ ე:



შტატები ძლიერ გაბერილი იყო და საქმეც წინ ძლივს კუს ნაბიჯით მიბობღავდა...

# ფლის მეურნეობაში

ეხლა:



მაგრამ მოხდა შტატების შემცირება და საქმესაც დაეტყო უჩვეულო სისწრაფე!.

## გუგუნაყათის კლუბში



— კლუბში მიდიხარ? კარგი გიქნია, რომ ჭრაქიცთან წამოგილია, თუმცა მაგარი ბოლი კი დაგვახრჩობს...

— რას ამბობ? ბოლი საიდან უნდა დადგეს, როცა კლუბის შენობას ჭერი არ გააჩნია და სახურავიც აგლეჯილი აქვს.

## გურული მასწავლებელი პახეთ, ში

მასწავლებელი — აბა, კაკოლაშვილო! წამოხტნი ერთი ზედ და კოდარასავით ჩაარაკრაკე შენი გაკვეთილი! (მოწაფე დგება) ხომ იცი?

კაკოლ. — რატო!

მასწავლ.—რატომო? რას მიქვია რატომო?! ვის უბედავ მაგას!!

კაკოლ.—ვიცი-თქო, მასწავლებელო და...

მასწავლ.—მერე და როცა გეკითხება მასწავლებელი,—რატომო—პასუხად გაგიგონია?

კაკოლ.—მე რა ვიცი, მა როგორ უნდა გითხრა!

მასწავლ.—დეეგდე, დეეგდე! ნუ გაქნიებს გამჩენი სიკვთეს! (ბავში მაინც სდგას) დეეგდე მეთქი ბიჭო!

კაკოლ.—ვერაფერი ვაგივე მასწავლებელო!

მასწავლ.—დაჯექი მეთქი.

კაკოლ.—ჰო, მესმის. (ჯდება. ბავშები კი იცინიან).

მასწავლ.—რა ხალხია, (თავისთვის) კაცს, რომ თავისი ენა არ ესმოდინება... (მიუბრუნდება ბავშებს) აბა, ბავშებო დაწყნარდით! (სიჩუმეა) აბა ვინ მეტყვის: რამდენი იქნება ორი გზობა ორი და სამი გზობა სამი?!

მოწაფეები—(ერთხმად) მე ვიტყვი! მე ვიტყვი მასწავლებელო!

მასწავლ.—გეტიაშვილი!

გეტიაშვილი—ორი ბზობა და სამი ბზობა იქნება ხუთი ბზობა!

მასწავ.—რაო? რის ბზობა ბიჭო!?..

მეორე მოწ.—შესცდა ბატონო, ბზობა ერთჯერაა წელიწადში.

მესამე მოწ.—არა მასწავლებელო, ბზობა გასულია!

მასწავლ.—(განცვიფრებული) ღმერთო, ამათ რას გადაეეკიდე?!

მეორე მოწ.—მა რამდენია მასწავლებელო?

მასწავლ.—ბიჭო, მე გეკითხებით: სამი გზობა სამი და ორი გზობა ორი, რამდენია ერთად მეთქი. ბზობა სხვაა, ის რელიგიურია და გზობა კი გამრავლებას ნიშნავს! რა არის აქ გაუგებარი?

მოწაფეები—(განცვიფრებით) გამრავლებაა?..

გეტიაშვ.—მე ისემე მეგონა მასწავლებელო... და იმიტომ ვერ გავიგე!

მასწავლ.—ისემე კი არა, რისიმე არ გინდა?.. არ გამაგონოთ მეორეხელ ასეთი ენა!

გეტიაშვ.—(თავისთვის) მა რა ჩემი ფეხებით უნდა ვილაპარაკო! (ჯდება).

მოწაფეები—ვერაფერი გავიგეთ მასწავლებელო.

მასწავლ.—არ გაგაგებინებს ღმერთი არაფერს, თქვენ ტუტუცებო, მასწავლებლის სიტყვას ვერ გებულობთ?

ერთი მოწაფე—(მოკრძალებით) მასაწავლებელო, რატომ ახსენებთ ღმერთს ასე ხშირ-ხშირად? აკი ჩვენ დაგვითხოვეთ!

მასწავლ.—(დაბნეულად) მე... ისე — ტყუილ უბრალოდ ბავშებო, ღმერთი კი არ მწამს, მარა ჩვეულება მაქვს ასეთი! ღმერთი გააჩინა ღვდლებმა...

მოწაფეები—ვაა, რა ვერანები ყოფილა ეგ ხუცები!..

მასწავლ.—მაშ, ხალხს ატყუილებენ, (აღელვებით) ივსებენ ჯიბეს, იძლებენ მუცლებს გუდასავით. გუდა კი თხის ტყავისაგან კეთდება ბავშებო და აი, ასეთ მუქთახორებს, როგორიც არის ღვდლები და დიაკვნები, უნდა უცქეროდეთ ზიზღით, როგორც ხალხის მატყუარებს. (ხმამაღლა) იმათ უნდა!...

მოწაფეები—(მოსწრებულად) მაშ იმათი!..

მასწავლ.—ს..უ.. სუუ.. სუუ.. რაო? ამას რას ვყურობ? სკოლაში გინება შეიძლება?!

ერთი მოწაფე—მაშ ქების ღირსები არიან თუ!

მასწავლ.—ბავშებო, გინება არის შედეგი გაუნათლებლობისა. თქვენ მოწაფეებმა უნდა შეებრძოლოთ ყოველივე ასეთს. თქვენი სწავლით უნდა გაჰფანტოთ ყოველგვარი სიბნელე სოფლად და ნაცარ-ტუტად უნდა აქციოთ ძველი ჩვეულებანი!

მოწაფეები—სულ თვალებს უტირებთ ყველას მასწავლებელო!

მასწავლ.—(გაშტერებით) ერთი უყურეთ ამათ!..

მოწაფეები—ზარი იყო მასწავლებელო! ზარი! ზარი!

გეტიაშვილი—კიდევ დაუძახეთ, დაადგეს იჭნება საშველი და...

მოწაფეები—ზარი იყო, მასწავლებელო, ზარი! ზარი! (მოწაფეები თავის თავად გადმოხტიან მერხებიდან და ედინებიან კარებში).

მასწავლ.—(მარტოდ დარჩენილი) არაფერი არ გამოვა ძამია აგენიდან; გინდა ასწავლე ამათ და გინდა აყარე კედელს ცერცვი!...

3. დ—ლი.

## გორჯომელი ილიკო

რაიონში მსახურობს
გვარამაძე ილიკო,
„ალახმა უწყს, ძველ დროში
ეს „ვაეკაცი“ ვინ იყო!
ეხლა ბუღალტერია,
დიდის ჯიბე სქელია
გლეხების ნაშრომი
ბევრჯელ მას შერჩენია.
არც ერთ გლეხს არ გაუშვებს
თუ არ მოატყუილოს,
რა ჰქნას? ფული, უყვარს და..?
ასეთია ილოო-
ჰკითხეთ, სოლო ლომიძეს
და მეხრიშვილ დათას,
არც ერთი არ დაფარავს,
ყველა გეტყვით მართალსა
ერთს ორმოცი მანეთი
გაუქაფა იმანა,
და მეორეს თუმნით..
მან ყელი ჩაიბანა
ბევრჯერ იყო გაზეთში
იგი გაწერილია,
მაგრამ ვიღაც მფარველობს,
დიდის გაბერილია. ტარკოშია.

# როდესაც მდგომარეობა შეიცვალა



— ელენე, ორიოდ გროშს მაინც აღარ მაჩუქებ მე, რომელმაც რვაასი თუმანი გადაგაგე?!.

— ეგ ხომ სულ სახაზინო ფულები იყო, თორემ, შენი საკუთარი რომ ყოფილიყო, ვინ იცის, იქნებ ცალ გროშსაც არ გაიმეტებდი!..

# „ნოეს ვაზი“

ეს იყო წინად.. რესტორან „ნოეს ვაზში“ დაგროვდა რუმბივით გაბერილი მიკიტანი; დაბაჯბაჯებდა რესტორანში, როგორც ფეხმომტვრეული ბატი, და გაქონილ ხელებს უბარტყუნებდა წინ გამობერილ ფაშვებს. მადლიერი მუშტრები თავს ირთობდენ მსუბუქი ყოფა-ქცევის ქალებთან და სვამდენ წითელ ღვინოს ჭინჭილებიდან. „პრიკაშჩიკები“ ტრიალებდენ ფეხის ცერებზე და უხვად ურევდენ რიონის წყალს თეთრ ღვინოში. ზორბათ მოსულმა მუშტარმა აიღო ხელში სავსე ჭიქა, ისე, თითქოს 9 ჩაფიანი ჭური უჭირავს ხელშიო. ღვინით სავსე ჭიქაში თევზის პატარა ლიფსიტა თამაშობდა. ეს საკმაო გახდა შეურაცყოფილ მუშტრისთვის, რათა ჭიქა ეთავაზებინა „პრიკაშჩიკისთვის“ სახეში.

— რიონს ურევთ ღვინოში, თქვენ ყურუმსაღებო?! და რესტორანი „ნოეს ვაზი“ ბრძოლის ველად იქცა. აირია ყველაფერი, როგორც ერთხელ ნოეს კიდობანში.

ასე მიდიოდა ცხოვრება „ნოეს ვაზში“, სანამ მას სხვა ცხოვრება არ წამოეწია. მსუქანი მიკიტანი დავარდა იშკილიდან და ვერცხლის ქამარი დაამოკლა ორი ტკაველზე. შეამოკლა „პრიკაშჩიკების“ შტატი და რესტორანი: „ნოეს ვაზი“ გადააკეთა სასადილო: „ამხანაგათ“. მაგრამ ეს გვერდის ბრუნება ხანმოკლე შეიქნა. ნალშენიკებთან შეგუება“ არც ისე იოლი გამოდგა. იბრუნა კიდევ გვერდი: სასადილოს მაგივრათ, პატარა სამიკიტნო „ძმობა“ გაალო. ხოლო, როცა ამ ძველი ბუნაგიდან კოოპერაციამ საბოლოოდ გამოასახლა, ფეხზე ვაჭრობას მიყო ხელი. დაეფუკა „კაი დროის“ ნაზარდი გვიზი. ათრევს ახალ ზაკონებს და აგინებს უხენწიფო ქვეყანას. უხენწიფო ქვეყანა კი თან დათან უჭერს და სულს ხთის. იგი ეხლაც ვაჭრობს ქუთაისში პატარა ყაფანში „ერთი“ დოქი ღვინოთი, რომელსაც თვითონაც ბევრს სვამს და სხვასაც ბევრს ასვემს, ხოლო დოქი მაინც მუდამ სავსე აქვს. უფროთხილდება: საკუთარ ტყავს და ეს ტყავი ისე დაუფაფუკდა, რომ ზაქსაც დაფარავს.

წინად „ნოეს ვაზში“ ღვინის სმას ხელს არ აკლებდა მამაჩემი. მოვიდოდა სახლში ღვინით გალეშილი და ყველაფერს ამსხვრევდა, რაც კი ხელში მოჰყვებოდა, მათ შორის მეც.

— ეეს ღმერთმა გგაუმარჯ... ჯოოს ჩემ ცოოლ-შვილს. ეეს ღმერ... თმა გგაუმარჯჯოს... იმ მმი...იკიტანს რომელმაც რომა..ა..ა.. ყყელი გამისვლა.. ა..ა..რსებაზე მომიყვანა. ცოტა წწყალსაც ქ..ქე ურევენ, მა..რა ნიჩავო..ო..ო.

— მე მმართველი ვარ?! მმე ვა..რ მმართველი?! ორ ჩჩაფს კიდოო დდ..ა ვლევ და მმთვრალი აარ ვი..ქნები. მომიტანეთ ღვინო, ღ..ვინო! ჩჩქარა! რააზ, დვა..ა... მე ვარრრ მთვ...რალი?.. და ამტვრევდა ყველაფერს, მათ შორის მეც, მაგრამ მე ვეფარებოდი დედის კალთას. გაწამებული დედა წყევლიდა გვიზიან მიკიტანს და კრულვას უგზავნიდა ღვინის მომგონს.

ერთ დღეს გაზეთში შენიშვნა დაიბეჭდა: „№ უბანში, ძველ „რესტორანჩიკს“, აქვს პატარა სამიკიტნო „ძმობა“. საჭიროა ხაპით ხუხულაშვილს დაუხურონ ეს სამიკიტნო. მასში კი იქნეს გახსნილი კოოპერატიული სავაჭრო. ამას მოითხოვს მთელი უბანი. „რეხვე“.

ისე გამახარა ამ პატარა შენიშვნამ, რომ დამავიწყდა რომ ამ პატარა წერილის ავტორი მე თვით ვიყავი. ეს იყო ჩემი შურისძიება. ბახრო.

# დგჯექი და ყვლიპე თვალები

ოჰ! დაგენაცვლეთ მანდამაინც ყარყანტოში საბჭოების ქვეყანა!!.. შენი წითელი „გულბოყვის“ ჭირი კი შემეყაროს. აი ინდუსტრიალიზაციის სეხსი რომ გამოუშვეს. ბერა, არ გამაკეთეს კაცი ამ ოჯახ აშენებულებმა? ჩამიბრუნეს სული და ეგია, აწიე წელი, შე გლახა პავლია მოხვაძე, მიაწევი ცხოვრებას, ყველეი შენ მხარეზეა, ხომ ხედავ ნამდვილი საარაკო კია ეგი ჩემი საქმე, სული ნუ წამიწყდება... იძახდენ — ინდუსტრიალიზაცია“, „ინდუსტრიალიზაცია“... შეიძინეთ ობლიგაცია, მუშებო და გლეხებოო. შეიძინენ ჩემმა აფხანიკებმა... იმე, მოკვტეს პავლიე, რომ სხვას ჩამოვრჩე. თუ მევოგე, ხომ კაი, თუ არა და ანასუნი. გამევიწვიე სილიბისტრო ჩიხლაძე — მარა არ შეგჭამოს ტარაკანამ! ამიბზუა ცხვირი. შევდექით ხუთმა კაცმა. მოვაწერეთ ხელი ოცდა ხუთ მანეთზე და შემევიტანეთ ობლიგანცია. გევიდა პაწე ხანი და მოვარდა მიხაკიე და მითხრა: „ბიჭო, პავლია, გაგკეთდით და ეგიაო, მევიგდეთ ფენთხში ათასი მანეთი“-ო. აქეთ ვეცით, იქეთ ვეცით და ევიღეთ ეს ფარა. შენ კი, ლიპიანო სილიბისტრო, დაჯექი და ყვლიპე თვალები!..

ბრაგუნა.

# დარჩელის გზებზე




— დემონსტრაციის დარბევა არავის ეგონოს: ახალგაზრდები ცხენებზე ვარჯიშობენ....

# მტრები

(არა კრილოვისებური)

ღროთა ტრიალმა რკინისგზელად გამხადა, რევიზორობაც გამოვცადე, დეჟპეს კურსებიც გავათავე და დღეს უკვე დამოუკიდებლად ვმუშაობ.

დიდი გაჭირვება და ტვინის შემჭანჯალებელი საკითხების გადაჭრა დამჭირდა, მაგრამ, რაც ამ ორი-სამი დღის უკან მე განვიცადე, ჩვენს დეჟპეებს იმას არავის უსურვებ.

კაცო, მომიყვანეს 16 ბატი ბაგაჟათ გასაგზავნი.

არ ვიცი, ჩემი ჟინი ჰქონდათ თუ როგორ იყო, მაგრამ მე კი ტუპიკში მოვემწყვდი. როგორ გავგზავნო, არ ვიცი, რაფერად გავნიხრო — ვერ მოვახერხე. ჩემი უცოდინარობა რომ ყველას არ გაეგო, გადავწყვიტე ეს ბატები ყველა შემეძინა — და შარიც მოცილებული მექნებოდა.

ასეც მოვიქეცი. სპეკულიანტი გახარებული წავიდა.

ეხლა თექვსმეტი ბატის მეპატრონე გახლავართ.

დიდხანს არ გაუვლია ჩემს ფარფაშს, ვიღაც მეორე სპეკულიანტმა ჩვენი სადგურის ეზო ბატებით აავსო.

ოხ! ღმერთი გაუწყრეს მას, ვინც ამის შემდეგ პამოშნიკობა ინატროს!

სადღა გაქვს ამდენი ფულები, რომ ეს ბატებიც შევიძინო, ან და რა ჯანდაბათ მინდა? ყოველ დღე რომ ორი, სამი ვკლა, ორ წელიწადს მეყოფა.

ამ ფიქრებში ვარ და ვიღაცამ კიდევ მოდენა ბატები.

გამოვითხოვო ვაგონები და გავგზა! ვნო ისე. არ წერია უსტავში, არა და ეხლა კი დავიღუპე კაცი.

გავჯავრდი, გაუხტი და სულ ღედის სული ვაგინე ამ სპეკულიანტებს. პირი შეთქვეს ამ მამაძაღლებმა, თუ როგორაა? უნდათ შემარცხვინონ? არ მივიღებ, არ ვიყიდი, წარეკონ მეზობელ სადგურზე, მორჩა და გათავდა.

ამრიგათ ჩემმა უცოდინარობამ ჯერჯერობით მხოლოდ თექვსმეტი ბატის პატრონი გამხადა, და სიმართლე უნდა გითხრათ, ვინმემ რომ ჩემი ბატების რიცხვს მეც მიმათვალოს, ჩვიდმეტ ბატს მიიღებს და დიდათ არაფრადაც შეცდება.

**სინდიოფალა.**

# პასუხი

(მიცემული მწმენდავ კომისიისათვის)

— მოსამსახურე.

— საშუალო.

— 1924-დან.

— თუმცა დაწესებულების უფროსი ვარ, მაგრამ ორ საათზე მეტს არასოდეს ვიგვიანებ.

— იმის გამო, რომ ბიუროს გამგე ვარ, არ უნდა მეწოდებოდეს ბიუროკრატი.

— იმიტომ კი არა, რომ უჯრედში სიარული მეზარებოდა, იმის გამო, რომ პირად ჩემს საქმეებში ერეოდა.

— მე კი არა, ჩემმა ცოლმა დაიქირავა ორი შინამოსამსახურე.

— ნიკო ჩემი ნათესავი კი არ არის, არამედ ჩემი ძმის. და საერთოდ რეგისტრატორი მე კი არ მემორჩილებოდა, არამედ ჩემს თანაშემწეს.

— მე თვითონ ვლადიმერ ილიჩი მირჩევდა პარტიაში შესვლას.

— არა, ლენინი კი არა, გელაძე.

— რას იზამ?.. პარტიულ ბილეთს დაგიბრუნებთ, მე კი სულით მაინც კომუნისტი ვიქნები.

**შავი.**

# ამაღლება

(გურია).

— 15 აგვისტოს, გათენებისას საღამოდან დაბრუნებულ (თითქოს შეზარხოშებულ) და მინდვრად მიძინებულ წოქრებს: გრიშას და პარმენს, ვიღაც უსინდისო ჯიბგირებმა ჯიბიდან ამოაცალეს 120 მანეთი. დაზარალებულის აზრით, ჯიბგირი მახლობელი უნდა იყოს.

— ამ დღეებში დასრულდა საგამომძიებლო პროცესი გლეხკომის დაწვის საქმეზე. ეჭვით დაპატიმრებული იყო გლეხკომის რამოდენიმე მტერ - მოყვარე და ერთიც სანავთე ბოთლი.

ბოროტი ენები ამბობენ, თითქოს ძაღლის თავი სულ სხვაგან იყოს დამარხული.

— ხმებია გავრცელებული თითქოს სამებას კვლავ წამოეყენებიოს პროექტი საკუთარი ავტონომიური ოლქის შესაქმნელად.

— ვინაიდან მოსალოდნელი შეიქნა ჯაპანის მიმართულებით ახლად გასაყვან გზაზე მოხთეს საშინელი კატასტროფა, ავტომობილით მიმოსვლის დროს, ამისათვის შეშფოთებულთა ერთი ჯგუფი მოითხოვს ინჟინერ ბენიაბეს პირველი ვარიანტის დამტკიცებას. (ამ ვარიანტით ნაგულისხმევია 2 ვერსიანი გვირაბის გათხრა).

— გუშინ, გაფართოებულ პლენუმზე, გაფართოებული მოხსენებით გამოვიდა რედ-კოლეგიის სახელით ამხ. სერგო. გამოირკვა, რომ სულ რაღაც 1 წლის განმავლობაში 3 ხელ ყოფილა სხდომა და ამდენჯერვე გამოშვებულა გაზეთი. სხდომას დასწრებია ერთხელ მდივანი, ხოლო 2 ხელ კორექტორი.

— ახლად ჩატარებულ პარტწმენდის დროს დაიღუპა 2 მანდატი, ხოლო რამოდენიმე მძიმედ დაშავდა.

**„უჩინ-მაჩინი“.**

# აგიტ-კოლონები

კატო, ამას რას მოვესწარ
  მოხუცებულიო.
დარდისაგან გული მქონდა
  შეწუხებულიო.
შარშან გუთანი გამიტყდა,
  დაძველებულიო.
გაკეთება ვერ შევძელი,
  არ მქონდა ფულიო.
დღეს კი მჭედელ-ხელოსნები
  კარზე მომადგენო.
გუთანი „დამიპაჩინკეს“,
  საქმეც დამადგენო.
ინდუსტრიის სესხზე ხელი
  მეც მოვაწერეო,
თესვის რჩევა-გაფრთხილებით
  გული ვიჯერეო.

**აპოლლონი.**

# ჯოჯოხეთის კუთხე

## გასაჭირი აქვს ზვბოს: იგი განაგებს „ვპოს".

და „ეპოს" გამგებლობის დროს ის უხეშად ეპყრობა თანამშრომელთ.

სჩვევია კომყოყოჩობა, მაგრამ ამავე დროს მეორე უკიდურესობაშიაც ხშირად ვარდება: „დიდკაცებს" თავს მდაბლად უკრავს და ძვირფას მატერიებს მათთვის ინახავს, მათთვის იმარაგებს. ეს საკმაო ცოდვებია წმენდისათვის. მაგრამ მარტო ამით არ თავდება ზებოს დამსახურება ტარტაროზის წინაშე. ნამდვილი ტარტაროზის და არა მარტო ჟურნალ „ტარტაროზის": ის მუშკორთა მდევნელია. მუშკორი ზებოს წარმოდგენილი აქვს, როგორც რაღაც კონტრრევოლიუციონერი. — „ვაჰ, მამაჯან, თვითონ სჩმახონ გაზეთებში და მერე თვითონვე იკითხონ"-ო. აი ზებოს აზრი მუშკორისა და პრესის შესახებ. ის არა ერთხელ ყოფილა გაწერილი გაზეთებში სხვა და სხვა ცოდვების გამო, მაგრამ მასზედ ყოველივე ეს ისე მოქმედობს, როგორც სახარება მგლის თავზე. საკვირველია, როგორც ამაგრდება ასეთი კაცი საზოგადოსახელმწიფოებრივ ორგანიზაციას, როგორც მეთაური, როგორც ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი. მაგრამ არ არის მოსვენებით ზებოს გული. 25 სექტემბერი გამოცხადებულია სურამის კომუჯრედის წმენდის დღეთ და ზებოსაც უკვე ამ თავიდანვე ემჩნევა მღელვარება. ცხადია, ამ მღელვარებას აქვს თავის საპატიო მიზეზები, რომლებსაც გამწმენდი კომისია, ალბათ, არ აპატიებს ზებოს.

## წესვბს ადგენს ყანდაურსა საიდან და სადაურსა...

მერე და ვინ არის ასეთი „საიდან და სადაური წესების" სოფლად დამდგენელი? — იკითხავს გაოცებული მკითხველი.

ვინ არის და საბჭოს თავმჯდომარე ფარსადანოვი, როგორც ამას გვაცნობებს ჩვენ ტარკორი გულშემატკივარი.

რომ ტარკორი გულშემატკივარი მართლაც სოფლის ცხოვრების გულშემატკივარია და არა უბრალო მოლაყბე, ეს სჩანს იმ ფაქტებიდან, რომელთაც ჩვენ გვაცნობს ის საბჭოს თავმჯდომარე ფარსადანოვის შესახებ.

აი, ეს ფაქტებიც:

წარსულში ფარსადანოვი და იმისი მამა ვაჭრები ყოფილან, გლეხებისათვის ტყავის მძრობელი. ასეთი მსხვილი ფაქტის დაფარვა, რა თქმა უნდა, ძნელია.

„ფარსადანოვმა მღვდლითა და მირონით ნათლა ბავშები, რაც მას უჯრედში ეპატია"-ო, — ამბობს ტარკორი. რაც უკვე ეპატია, იმაზე არც დავუწყებთ ვისმე დავას, მხოლოთ ფაქტის აღუნიშვნელობა კი მაინც არ ვარგოდა.

„გლეხ ქამიაშვილს რამდენიმე დღით ტყუილ-უბრალოდ გომს უკრა თავი", — დასძენს იგივე ტარკორი. ეს, ალბათ, დასჯის სახით აჰამა ქამიაშვილს ფარსადანოვმა. საჭიროა გამოკვლევა, თუ რამდენად სამართლიანი იყო ეს ქამა. „ვაი ამ ქამას"-ო, ხომ არ ითქმის ზედ.

„წარსულ წელს მან მოხერხებულად არ დაახლევა ძროხები და ამისგან სამი თუმანი მომჭირნეობა გააკეთა. თავის საკუთარ ჯიბეში"-ო, არ ისვენებს იგივე ტარკორი. დამზღვევ სალაროს წარმომადგენელს ევალება ასეთი ამბებისაგან მომავალში მაინც თავის დაზღვევა.

ასეთი წესები დაუდგენია ფარსადანოვს ყანდაურში. ეს წესები „საიდან სადაურად" იმიტომ მოვნათლეთ ჩვენ, რომ არა ჰგავს საბჭოთა წესებს.

## ექიმბაშობს ფენია, მას სხვა რა დარჩენია?!

ეს ამბავი შეეხება ფენია თელიევს, ოდესმე ბაქოში დიდი ბუფეტის პატრონის მეუღლეს, მდიდრულ ცხოვრებას დაჩვეულს და დიდ ხალხში მიღებულს.

ნათქვამია: „მიჩვეულსა ნუ მოაკლებ"-ო. მართალია, მიკლება-მოკლების ამბავი ჩვენ არ შეგვეხება, მაგრამ თითონ ფენია მაინც არ არის ჩამორჩენილი ცხოვრებას. ნაშთი ძველის დიდებისაგანაც რომ არა ჰქონდეს საკმაოდ შემონახული — შემომარაგებული, თანამედროვე ვითარებაშიც მშვენივრად ახერხებს შეგუებას. იგი ექიმბაშობს. უმეტეს შემთხვევაში ცრუ-კბილის ექიმობს.

საცნობად საინტერესოა ექიმბაშ ფენიას სამკურნალო მეთოდები. თუ მარცხენა ყბაში გტკივა კბილი, იგი მარჯვენაში გიდებს რაღაც წამალში ამოვლებულ ბამბას. აბა, ქვედა ყბაში ტკივილის დროს ხომ სულ ზევითა ყბას „აქიმობს".

— „მაშ, რით ისვეჭს კლიენტებს"-ო, იკითხავს მკითხველი.

აქაც თავისებური „შეგუების" მეთოდი აქვს მოქალაქე ფენიას. მან მშვენივრად შეისწავლა გლეხთა ფსიხიკა: „წამლობაში", ფულის ნაცვლად, რაც გლეხებს ნაკლებად მოეპოვება, იღებს ნატურით: ფქვილს, ყველს, კვერცხს, ქათამს და სხ. მშვენივრად იცის ბუფეტჩიცობიდან ექიმბაშობამდე „დაქვეითებულმა" ფენიამ, რომ ყოველივე ეს, რასაც ის გლეხებიდან ნატურით ღებულობს, „ხარჯის მენახევრეა" და ამ „ხარჯის მენახევრე" ხორაგით ფენიაც არხეინად არის, ესე იგი, ხარჯავს და არ ელევა კი.

დაულეველი აქვს მას აგრეთვე ძველიდან შემონახული რამე-რუმე, ოქროსი და ვერცხლისა, თუ სხვა რამ სამკაულის სახით.

ყველაფერი ეს სავსებით საკმაოა ოდესმე დიდებული ცხოვრების გამონაცადი ფენიასათვის ამ ორ დღეს. სანამ ეს ვერანი ბოლშევიკები „ახლიდან თავზე ქვეყანას". შემდეგ კი... პატივისცემული ექიმბაშიც ჩადგება, ალბათ, ბუფეტის დახლში.

## თვე გაივლის ვრთი ორი, კვლავ--„წითვლი პომიდორი"!

რას იზამთ? საერთოდ წითელი პამიდორის სეზონი არის ახლა და ამბავი რომ მართლაც ბოსტნის ამ ნაწარმოებს ეხებოდეს, ვის რა ექნება საწინააღმდეგო. მაგრამ მაგარიც სწორედ ის არის სიტყვა ეხება შორაპნის კლუბთან არსებულ დრამ-წრეს. ცნობილი არის აღნიშნული წრის უძრაობა ისე, როგორც იქვე გვერდით არსებულ სამკითხველოს წიგნთა უძრაობა. ასე გადმოგვცემს ამ ამბავს ჩვენი კორესპონდენტი ნიშადური. თვეში და ხშირად ორ თვეში ერთხელ გამოიფხიზლებენ ყურებს წრის წევრები, შეიქნება ფაცა-ფუცი, მზადება წარმოდგენისათვის და, როგორც იქნება, მოუთმენლობით მომლოდინე მაყურებელთ აღირსებენ ერთ ცალ წარმოდგენას. მხოლოთ ახლა „რეპერტუარი" აპირვებს საქმეს. არ იქნა და არ ეტყობა მას წინსვლა, ესე იგი, მოძრაობა. სულ „წითელი პამიდორი" ან კიდევ „ტიმოთეს ლელვი". აი, ამ წრის „ახალ-ახალი" დადგმები. მართალია, პამიდორიც კარგი სარჩოა და ლელვიც კარგი ხილია, მაგრამ სულ ერთი და იგივე კი მეტის მეტად მოსაწყენი, იდეოლოგიაზე რომ აღარ ვილაპარაკოთ.

უკვე დაიწყო ხელისმოწერა

# ოქტომბრისათვის

მასიურ მუშურ გაზ. **მუშა** -ზე

გაზეთი ღირს
თვეში 50 კაპ.

## ყოველკვირეულ იუმორისტულ

ჟურნალ 

-ის

## დამატებით 70 კაპ.

ტფილისში ხელისმოწერა მიიღება გაზ. „მუშა"-ს

## მთავარ კანტორაში

ჯორჯიაშვილის ქ. № 6—ადგილობრივად

პროვინციებში გაზეთზე ხელისმოწერას აწარმოებენ:

**განყოფილებები,**

**რწმუნებულები**

**და ფოსტა.**

იზრუნეთ გაზეთის დროზე ხელისმოწერისათვის.

# ცნობათა მიღება



**აქ, საიხვიელს.** საოცარია, თქვენმა მზემ: ფსევდონომა აწერა საიხვიელს და მტრედებზე კი სწერთ წერილს. ან ვის ეინტერესება დღეს ის, თუ რა ხდება ერთ ეზოში, მტრედების ქვებით დენის გამო, თუ ეს ქვები სასახურავზე როგორ რიხინებს და სხვა. მოგვწერეთ უფრო საზოგადო ხასიათის რამ.

**ლანჩხუთი, რ. ეკლასშვილს.** წინააღმდეგ თქვენი კეთილი სურვილისა—თანამშრომლოთ ჩვენს ჟურნალში—ჩვენ, აბა, რა გვეთქმის. რაც შეეხება თქვენს ლექსს—„ლანჩხუთის რკინის გზის ალეგრა“-ს, ფორმაც რომ მისაღები იყვეს ამ ლექსისა, იდეოლოგია და შინაარსი მიუღებელია. ალეგრა ვერ შემდგარა იმიტომ, რომ წვიმა მოსულა. ეს სასაცილო ამბავი სულ არ არის, თუ კი ალეგრა რაიმე კულტურული მიზნისათვის იყო განზრახული. მაშინ სათაურიც სხვაგვარი შეეფერებოდა ლექსს, თვითონ ლექსი რომ ვარგებულიყო, ესე იგი, ისიც რომ სხვაგვარი ყოფილიყო.

**ნაზახულევში, იქსს.** გეტყობათ დიდი გამოხახულება, რომ შარადის და იმასაც, თავსამტვრევ გამოსაცნობ ხუხულას სახით, გვაწვდით საკუთარ გვარზე საეარჯიშოს. არა, რა ასეთი საგულისხმო უნდა იყვეს თქვენი გვარი, რომ იმის შედგენას გადავაყოლოთ ჩვენი მკითხველები? როგორც სჩანს, საქმე უნდა გქონდეთ დალეული.

**ქ. სამტრედიაში, ს. მარწყვიშვილს.** საზოგადოთ მარწყვის სახელთან ბევრი ანდაზა არის შეკავშირებული. მაგალითად, ვის არ გაუგონია: „დედაბერმა იანვარში მარწყვი ინატრაო“; ან კიდევ: „მარწყვი მპირდება გასუქებასო““.

თქვენი „გაწმენდილის სიმღერაც“ უდგება სწორედ ამ მეორე ანდაზას: თქვენი ლექსით ჩვენი ჟურნალის დამშვენება ისევეა შესაძლებელი, როგორც მარწყვით გასუქება. მაგრამ თქვენი ლექსი მაინც მისაღები იქნებოდა, მარწყვის სიტკბო რომ მაინც ჰქონოდა.

**სიღნაღში, გიორგი ლეჟნიევს.** იწერებით მე გონორარი არ მინდა, ოღონდ კი გამაგებინეთ რათ არ თავსდება ჩემი სურათები ჟურნალში: იმიტომ, რომ ისინი ისე ვერაა შესრულებული, როგორც ეს საჭიროა, თუ სხვა რაიმე მიზეზითო.

სხვა მიზეზი რაღა უნდა იყვეს? ან სურათი უნდა ვარგოდეს, ან აშის წარწერა. ერთი და ერთი უთუოდ იქნება გამოყენებული.

**ს. ჯუმათი, ჩახუნდარიძეს.** თქვენი ლექსების მოთავსებას საზოგადოთ ჟურნალში წინ თითქმის არაფერი უდგას, მხოლოთ ექიმ გოგინეიშვილზე მოთავსებული ცნობის დამდასტურებელი საბუთების საჩქაროდ გამოგზავნა აუცილებელია თქვენ მიერ.

**ოზურგეთში, ფ. შროშანს.** თქვენი ლექსი „მუშათა ბინის მშენებლობა და სახლების მეპატრონეებთა მოთქმა“ განვიხილეთ, თანახმად თქვენი თხოვნისა. იდეის საწინააღმდეგო ვის რა ექნება: სწორი და მისაღებზე მისაღებია, მხოლოთ ფორმა არის მიუღებელი. ლექსი ვერაა მაინც და მაინც გაშალაშინებული, თანაც ერთობ გრძელია. საკმაოა იქიდან ორად ორნახევარ ტაეპის ამოღება და აქვე მოთავსება, რომ თქვენ მიერ აღძრულ საგანზე ჩვენ მიგველო ნათელი პასუხი. ამასთან ტაეპებს ჩვენ ვიღებთ სათაურის მიხედვით: პირველს—ლექსის ბოლო ნაწილიდან, ხოლო მეორეს—ლექსის წინა ნაწილიდან:

> ნურვის გიკვირთ, თუ თავისთვის
> ვაგებთ ბინას ჩვენ შვებისთვის!
> შორს, შორს ქარხნის მუშებიდან,
> აწი ვეღარ ნახავთ ხეირს,
> ჩვენ ნახევარ ხელფასს ფლობდით,
> დაგვეკარგათ, ვხედავთ სეირს!
> მწარედ მოსთქვამთ: „მუშებისთვის
> აი, აქ აგებენ ბინას,
> ვილუპებით: ვინღა მოგვცემს
> აწი ოთახების ქირას?-“.

აი, მოკლედ რისი ამოღებაც კი შევიძელით თქვენი ლექსიდან, რაც აზრს სრულიად ნათელ.ყოფს. მომავალში სწერეთ მოკლედ.

**ახალდაბაში, ტარჯორს.** თქვენი ცნობები პიროვნებებს ეხება, მხოლოთ საქმის ვითარებას კი—ნაკლებ. საჭიროა წინააღმდეგ. მაგალითად, მებორნე პაპიძის შესახებ გვწერ: „წამოეგება შენს ჩანგალსო“, ხოლო იქვე გვპირდები: „ტარტაროზო“ შემდეგ მოგწერ დაწვრილებით იმის ნაკლსო“. შემდეგ რათ გინდა, მოდი, ისევ წინ და წინ გაგვაცანი მას.

**სენაკში, მიხ. ველისპირელს.** გავხსენით კონვერტი დაზღვეული, შიგ ვნახეთ სულ ლექსებით სავსე რვეული, მოზაიკაა, მაგრამ სულ დამტვრეული, ჩვეულებრივ ფრაზებში არეულ-დარეული, გვეგონა: გვწერდა ვინმე გარეული. ვნახეთ: ველისპირელი, მთვარეული- შეგვექნა გული არეული და რვეულიც ესე საგოდრე მასალაში შეიქნა შერეული.

**ქ. ოზურგეთში, „გოგიას“,** ეს ფსევდონიმი უკვე ეკუთვნის სხვას. ასე, რომ მომავალში უნდა შეიცვალოთ ის, წერის სტილთან ერთად, თორემ მოგვიხდება ნაწერების გოდორში ყრა, როგორც ახლა მოუვიდა თქვენს „ამპავს ორთა ძმათა“-ს.

**ბათომში, ი. ფედოშვილს.** გარდა იმისა, რომ დაგვიანებული და, მაშასადამე, ინტერესს მოკლებულიც არის თქვენი კორესპონდენცია, ნაწერი ისეთია ის, რომ მისი გარჩევა „ტარტაროზმა“ გამადიდიბელი შუშითაც კი ვერ შესძლო. გასწორება რომ გვდომოდა ამ თქვენი ნაწარმოების, წარმოიდგინეთ, მოუხერხებელი იქნებოდა, პირველ ყოვლისა, უნდა სწეროთ გარკვეულად.

**ს. აკეთში, მზიკს.** თქვენს კორესპონდენციაში: „ტელეფონთან“ კარგია ის ადგილი, რომელიც სახალხო სახლს ეხება. თავისით ვერ იცდის სახალხო სახლი ერთ ადგილას თუ მას ხალხი არ ასვენებს? ხულიგნების შესახებ ცნობა არ არის საინტერესო. რაც შეეხება საბჭოს წევრ მილოსა ხუხუნაიშვილს, თუ იგი აგვისტოს ავანტიურისტი იყო, ეს სამწუხაროა, როგორც წარსული ლაქა მასზედ. მაგრამ შესაძლოა იგი ახლა ისეთი აქტიური სოფლის მუშაკი იყვეს, რომ ამ წარსულისცოდვას ამით ამართლებდეს. საინტერესო იქნებოდა მის აწმყოზე რომ რამე მოგვეწერათ.

**ქუთაისში, მარგალს.** „ამირან გულში მღეროდა და, ყმებო, ბანი მითხარითო“. თქვე მამაცხონებულო, ყველაფერში შეგვიძლია დაგეთანხმოთ: იმაშიაც, რომ ბაირამოვი აგურ-ხანჯის სამმართველოს დირექტორი წარსულშიც ყოფილა გაზეთში გაწერილი, იმაშიც, რომ იგი ახლაც იწერება გაზეთებში, ამისათვის იგი მუშკორს ეძებს და თუ ნახა, კაი დღეს არ დააყრის; ბოლოს იმაშიც, რომ იგი ბოკუჩავას ცემტერება, ათვალწინებული ყავს, როგორც მუშკორობაში ექვით შემჩნეული და ხშირად საყვედურებსაც უცხადებს, მაგრამ ბაირამოვის სურათის მოთავსება მაინც არ შეგვიძლია, რადგან თქვენ გამოგზავნეთ მხოლოთ სუფთა და არა სურათი. ბაირამოვის სურათი რომ გამოგეგზავნათ, იქნება მოგვეთავსებია შესაფერი კარიკატურა.

# ქალაქიდან სოფლისაკენ



შედის სოფელში აგიტ-კოლონა,
სიმწყობრით, თითქოს სამხედრო წესით,

რომ შეიტანოს: ცოდნა, გართობა,
წიგნი, ტრაქტორი და ურმით თესლიც!..

პოლიგრაფ-ტრესტის მე-5 სტამბა, კაშრს.-ქ. 68.

კვირა, 13 ოქტომბერი, 1929 წ. № 42.  ფასი 10 კაპ.




# „ქაჯალ გულში“

კულაკი: —უმადურნი! უწინ მე ვამუშავებდი... ეხლა კი ესენი კოლექტივშიაც არ მღებულობენ!

# სეხნიები

გიორგი წერწეტაძე და გოგია ცალქალამანიძე სეხნიები და მეზობლები იყვნენ.

ოჯახურ შეძლებით ისინი ერთი-მეორისაგან მაინცდამაინც არაფრით განსხვავდებოდენ, მარა, სამაგიეროდ, წერწეტარე აზნაურიშვილი იყო; ცალქალამანიძე კი — გლეხი.

ალბათ ამის შედეგი იყო, რომ წერწეტაძეს გიორგის ეძახოდენ, ცალქალამანიძეს კი —გოგიას.

როდესაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და თავად-აზნაურობის წოდება გააუქმა, მეზობლები და სეხნიები დარჩენ იმავე სახელწოდებით, მხოლოდ სხვადასხვა სულიერ განწყობილებით საბჭოთა ხელისუფლების მიმართ; გიორგი წერწეტაძე მეტათ განაწყენი, რომ აზნაურობის წოდება წაერთვა; გოგია ცალქალამანიძე კი — გახარებული.

სოფელი სიხალთოული, სადაც სცხოვრობდენ ჩვენი სეხნიები, დაშორებული იყო ქალაქიდან და რკინის გზიდან, ამიტომ იქ დაგვიანებით მიდიოდენ როგორც სხვადასხვა კამპანიები, ისე მისი თანამგზავრი სხვადასხვა ჭორიკანული ხმები.

გაზაფხულზე, თუმცა დაგვიანებით, მარა მაინც მიაღწია სიხალთოულში თესვის გაძლიერების კამპანიამ; მას თან მიჰყვა ხმები, რომ ზედმეტ დათესილ და მოყვანილ პირნახულს, სულერთია, მთავრობა ჩამოართმევს სოფლელებს და ამიტომ არ ღირს მისი განხორციელებაო.

გიორგი წერწეტაძემ არ დაუჯერა კამპანიას და დაუჯერა ხმებს.

გოგია ცალქალამანიძემ, პირიქით, დაუჯერა კამპანიას და ყურებში არ შეუშვა ხმები.

გიორგიმ გაფართოების მაგიერ შეამცირა ნათესების ხივრცე. გოგიას კი გასაფართოებელი მიწა არა ჰქონდა, მარა რაც ჰქონდა, — ერთი ტკაველი არ დაუტოვებია დაუთესავი.

შემდეგ მოვიდა აბრეშუმის დაჯენის კამპანია, რომელსაც აგრეთვე თან მოჰყვა ხმები, რომ აბრეშუმის პარკს, თუ მუქთათ არა, — ნახევრის ფასათ წაიღებენო.

გიორგი წერწეტაძემ აქაც ხმებს დაუჯერა და არა კამპანიას; გოგია ცალქალამანიძემ კი კამპანიას და არა ხმებს.

შედეგი კი ის იყო, რომ გიორგიმ თუთის ფოთოლში აიღო ხუთიოდე მანეთი მეზობლებისაგან, რომლებსაც აბრეშუმის ჭიის დასაპურებლად არ ეყოთ თავიანთი ფოთოლი; გოგიამ კი ჩერვონცებიც იჯიბა და ცოლშვილიც შემოსა პარკში აღებული ფართალით.

ამას თან მოჰყვა კონტრაქტაციის კამპანია სხვადასხვა ძვირფასი მეურნეობის შესახებ, რასაც უკან არ ჩამორჩა ხმები, რომ ეს რაღაცა კონტრაქტაციაა, თუ მისი ბელასინი, — სულ ხალხის მოსატყუებლად არის მოგონილიო.

გიორგი წერწეტაძემ ამ ახალ საქმესაც უნდობლად შეხედა; გოგია ცალქალამანიძე კი დაფაცურდა და კანაფის დასათესავათ პატარა ნაჭერი მიწაც კი ამოაჩინა სადღაც ღელის პირში, რომელსაც ადიდების დროს წყალი წალეკას ექადოდა, მარა ამას არ მორიდებია ის. მისდა საბედნიეროთ წყალი გადაჭარბებით არ ადიდებულა და კანაფმაც კარგა იკეთა, რაშიდაც შესაფერი ღირებულება მიიღო გოგიამ.

როცა სამეურნეო გადასახადის და ხორბლეულობის აკრეფის კამპანია ჩატარდა, გიორგი წერწეტაძემ საჩივარი შეიტანა, რომ მას უკანონოთ ჰქონდა შეწერილი ზედმეტი გადასახადი და ხორბალი.

გოგია ცალქალამანიძემ კი უსიტყვოთ შეიტანა შეწერილი რაოდენობა, რომელიც უდრიდა წერწეტაძის გადასახადის რაოდენობას.

შედეგი ის იყო, რომ წერწეტაძის უსაფუძვლო საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული და დაგვიანებისათვის ზედნართიც გადაახდევინეს.

ბოლოს კოლექტიურ მეურნეობის გავრცელების კამპანია ჩატარდა. ამის გარშემოც რაღაც გაურკვეველი ხმები დადიოდენ, მარა გოგია ცალქალამანიძემ მათ ჩვეულებრივ არავითარი ყურადღება არ მიაქცია და პირველსავე დაარსებულ კოლექტივში შევიდა წევრათ. აქ ის პირველსავე კრებაზე იქნა არჩეული გამგეობაში და შემდეგ ხელმძღვანელათაც.

გიორგი წერწეტაძე კი განაგრძობდა ალმაცერათ ცქერას ყოველივე ამ ახალი წამოწყებების მიმართ, თუმცა ბოლო ხანებში გრძნობდა, რომ ამითი ზარალის მეტს ვერაფერს სარგებლობას ხედავდა თავისთვის.

მიუხედავათ ამისა, სოფლის მეურნეობის გასავითარებლად გამოშვებულ სესხის ობლიგაციაც არ შეიძინა გიორგი წერწეტაძემ, რადგან მის კამპანიასაც უკან არ ჩამორჩენია ჭორიკანა ხმები.

გოგია ცალქალამანიძემ კი შეკრიბა კოლექტივის წევრები და გამოატანია დადგენილება შეეძინათ სესხის ობლიგაციები არა ნაკლებ ოცდა ხუთი მანეთისა თითეულ წევრზე.

პირველსავე გათამაშების დროს ერთმა ობლიგაციამ მოიგო ასი მანეთი, რომლითაც შემდეგი ობლიგაციები იქნა შეძენილი კოლმეურნეობის წევრების მიერ.

რადგანაც ამ კოლმეურნეობის საქმეების წარმოება უმთავრესად გოგია ცალქალამანიძეს ჰქონდა ნაკისრები, ამიტომ მას უხდებოდა სხვადასხვა ქაღალდებზე ხელის მოწერა გიორგი ცალქალამანიძის წოდებით. აგრეთვე იხსენიებოდა მისი სახელი კრებებზე და დაწესებულებებში.

მოსავლისა და კოლექტივიზაციის კამპანიის ჩატარების დღეს მოწვეულ სოფლის კრებაზე თავმჯდომარეთ ერთხმათ იქნა არჩეული... გიორგი ცალქალამანიძე.

მოხსენების გათავების შემდეგ არსებულ კოლმეურნეობის ერთმა წევრთაგანმა განაცხადა, რომ საჭიროა გაფართოება იმ კოლექტიურ მეურნეობის, რომელიც არსებობს სოფელ სიხალთოულშიო.

მეორე წევრთაგანმა განაცხადა, რომ მისი გაფართოება შესაძლებელია... გოგია წერწეტაძის მიწის იმ ნაკვეთით, რომელიც მას არ დაუხნავ-დაუთესია ამ უკანასკნელ წლების განმავლობაშიო.

საკითხის მოსაგვარებლად არჩეული იქნა კომისია, რომლის თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს... გიორგი ცალქალამანიძე.

როგორ მიუდგება გიორგი ცალქალამანიძე დაუმუშავებელ მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის საკითხს მისი სეხნია და მეზობელი გოგია წერწეტაძისაგან, — ამას დავინახავთ რომელიმე შემდეგი კამპანიის ჩატარების დროს.

ხ. თ—ია.



# „მავნუჯრედი“

**სოფელი** ქვიშნარა ერ-თი „ჩამორჩენილი“ სოფელია ჩვენში.

ეკონომისტები ამ გარემოებას იმით ხსნიან, რომ—ეს სოფელი დაშორებულია სამაზრო ცენტრს; მისი სათესი მიწები გამოუსადეგარია; სოფელს საურმე გზაც არ გააჩნდა დღემდის და წერა-კითხვის მცოდნეს ხომ იქ „წამლადაც“ ვერ ნახავდით.

სამაზრო ხელმძღვანელების აზრით მაზრის დარაიონების დროს საჭირო იყო ს. ქვიშნარას რომელიმე მოსაზღვრე სოფელთან გაერთიანება, რომ ამ უკანასკნელთან „ხელი-ხელ ჩაბმული“ ქვიშნარას მშრომელი ხალხი ეკონომიურად წინ წასულიყო.

მაგრამ გაერთიანებაზე ქვიშნარელებმა უარი განაცხადეს და მით „დამოუკიდებლობა“ შეინარჩუნეს.

ძველ დროს ქვიშნარელები წყევლით იხსენიებენ. ამ სოფლის მშრომელთ კარგად ახსოვთ წარსულის „შავი დღეები“, როცა მათ თავად - აზნაურები, მთავრობის მოხელენი, მღვდლები და ჩარჩები „ცხრა-ფენა“ ტყავს აძრობდენ.

ოქტომბრის რევოლიუციის სხივმა ამ სოფელშიც შეაშუქა. ჩარჩი სიმონა სადღაც გაჰქრა, როცა მის დუქანს კოოპერატივი დაეპატრონა. სოფლის შუა ადგილას მთავრობამ სკოლაააგო და მასწავლებლად ადგილობრივ საბჭოს თავმჯდომარის თედო ყლაპაძის შვილი დანიშნა; (თედოს „მოჭახრაკებით“ მისი შვილის დანიშვნა სოფელმა მოითხოვა). მთავრობის დახმარებით საურმე გზაც გაიყვანეს და კოლექტივიც დაარსეს. კოლექტივში უმთავრესად უმიწაწყლო და ღარიბი გლეხები ჩაეწერენ. მთავრობამ კოლექტივს ყოველნაირი დახმარება გაუწია.

— მარტო მთავრობამ რა უნდა ქნას, თუ სოფელი მას არ დაეხმარება! — ამბობდენ ამ სოფლის გულშემატკივარი გლეხები. და მართლაც, ადგილობრივად საბჭოთა თუ პარტიის ხაზით არაფერი კეთდებოდა, პირიქით, უკეთ რომ ვსთქვათ, ამ სოფელში ანტისაბჭოთა მუშაობა სწარმოებდა, რომელიც სოფლის მეურნეობის სოციალისტურათ გარდაქმნას ხელს უშლიდა...

ეს ამბავი ცენტრს ეცნობა, საიდანაც გაგზავნილ იქნა სპეციალური კომისია ამ სოფლის ვითარების გამოსარკვევად. კომისიამ გამორკვევა დაასრულა და მთავრობას მოხსენება გაუკეთა.

კომისიის მოხსენებიდან ჩვენ ვტყობილობთ შემდეგს:

ს. ქვიშნარში არსებობდა ორი უჯრედი: პირველი— „კომუჯრედათ“ წოდებული, მეორე — „მავნუჯრედი“ (ანუ მავნებელთა უჯრედი).

**პირველი** — შესდგებოდა ხუთი წევრისაგან (საბჭოს თავმჯდომარე თედო ყლაპაძე, მისი შვილი — სოფლის მასწავლებელი, მისი ბიძაშვილი — კოოპერატივის გამგე და ორი კულაკი).

მეორე-კი შვიდი წევრისაგან (სამი ყოფილი აზნაური, მღვდელი, ყოფილი მამასახლისი და ორი კულაკი).

ამ ორ უჯრედთა შორის ადგილი ჰქონდა „შეხმატკბილებულ“ მუშაობას. მათ შორის შეჯიბრსაც ჰქონია ადგილი (ცხადია არა სოციალისტურს), რომლის შედეგი ყოფილა ასეთი:

„**კომუჯრედს**“ ჰქონია ორი წლის განმავლობაში ორი სხდომა, „მავნუჯრედს“ კი—ათი. „კომუჯრედის“ პირველ სხდომაზე ერთი საკითხი განუხილავთ — უჯრედის ბიუროს არჩევა. ბიუროში ერთხმად აურჩევიათ უჯრედის მთელი შემადგენლობა. მეორე სხდომაზედაც ერთი საკითხი ყოფილა დასმული— ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატის არჩევა. კანდიდატათ ერთხმად აურჩევიათ თედო ყლაპაძე (იგივე კომუჯრედის „ხელმძღვანელი“, ანუ, როგორც მას უწოდებდენ, უჯრედის თავმჯდომარე).

„მავნუჯრედს“ კი გაურჩევია მრავალი საკითხები და მათ შორის, 1) კოლექტივისა და კოოპერატივის წინააღმდეგ ბრძოლა, 2) საბჭოს თავმჯდომარეთ თედო ყლაპაძის არჩევა, 3) კულაკებთან კავშირი, ტრაქტორის დაზიანება და სხვ.

ამნაირათ „მავნუჯრედ“-ს „კომუჯრედისათვის“ შეჯიბრში უჯობნია.

ვინ იცის რამდენ ხანს გასტანდა „მავნუჯრედის“ კონტრ - რევოლიუციონური მოღვაწეობა და „კომუჯრედის“ ანტიკომუნისტური მუშაობა, რომ ცენტრს ამ საქმისათვის არ მიექცია ყურადღება.

გამომრკვევ კომისიის მასალებიდან სჩანს, რომ „მავნუჯრედის“ თავმჯდომარეს ყოფილ აზნაურს შაქრო ნაგვაძეს „ციხის შიგნიდან გატეხა“ განუზრახავს. საბჭოს თავმჯდომარეთ შეძლებული გლეხის ყლაპაძის კანდიდატურისათვის მხარის დაჭერა სწორედ ამ მოსაზრებით იყო გამოწვეული. მასვე მიუნდვია ყლაპაძისათვის, რომელთანაც ნათესაური კავშირი ჰქონებია, ადგილობრივ კოლექტივში არევ-დარევის შეტანა და კოლექტივის მუშაობისათვის ხელის შეშლა. ყლაპაძე ამ დავალებას შესდგომია, მაგრამ მისდა სამწუხაროდ არ დასცლია და „კოვზი ნაცარში ჩავარდნია“.

ამ დღეებში ქვიშნარის „გმირები“ ტფილისში ვნახეთ. არავის ეგონოს, რომ ისინი სოფლის საქმეებზე ჩამოსულიყვნენ. მათი სურვილის წინააღმდეგ, ისინი ტფილისში „ჩამოაბრძანეს“. მათი საქმე გაარჩია საოლქო სასამართლომ, რომლის განაჩენით „მავნუჯრედი“ და ყოფილი „კომუჯრედი“ გაერთიანებული იქნა. სასამართლომ მათ სასტიკი სასჯელი გამოუტანა, რის გამო ქვიშნარას „გმირები“ უკმაყოფილო დარჩენ.

სასამართლოს განაჩენი გაზეთებმა შავ ანშლაგებით მოათავსეს. იმავე გაზეთებში თქვენ წაიკითხავდით დეპეშას ქვიშნარიდან:

„**მოხარული ვართ სასამართლოს განაჩენით**“. ქვიშნარის კოლექტივი „გამარჯვება“.

ნიანგი

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 18 **ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ** ᲓᲘᲚᲘᲡ 11 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲒᲐᲖ. „ᲛᲣᲨᲐ“-Ს ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲓᲒᲔᲑᲐ ᲥᲣᲠ. „ᲢᲐᲠᲢᲐᲠᲝᲖᲘ“-Ს ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ (ᲢᲐᲠᲙᲝᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ) ᲙᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲢᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲥᲣᲠ. „ᲢᲐᲠᲢᲐᲠᲝᲖᲘ“-Ს ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲔᲣᲚᲘ.

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲕᲡᲗᲮᲝᲕᲗ ᲓᲐᲒᲕᲔᲡᲬᲠᲝᲜ.




კახეთში გლეხები ზეიმით აბარებენ პურს „წითელ“ ბეღელს | მოხუცი ქალი: ვერაფერი გამიგია! მაყრები მიდიან, და პატარძალი კი არა ჩანს!

# სიკოს „კამპანიები“

სიკოს ისე დღეც კი არ გაჰპარვია,
რომ არ გაეგონოს რაიმე კამპანია.
იყო კამპანია „რეჟიმ-ეკონომიის“.
სიკომ ვაჟკაცურად მოიგო ომი ის:
ახალოხის კალთა რომ ჩამოეხა,
მოიხმო მან მეზობელი ქვრივი მზეხა
და სთხოვა საერთოდ ახალოხის შემოკლება;
ახალოხს ისევ შერჩება თავისი ახალოხობა,
და მეც მექნება ჩასაცმელი ტანზე!—
აი, როგორი დარიგება მისცა მან მზეხას ამისაგანზე!
შემდეგ, გაზაფხულზე
იდგა სიკო ჩაფიქრებით თავის ხნულზე:
[illegible] გაჭიმულიყო იმისი მიწა სახნავი,
იქვე მიწაში კი ესო სიკოს მგლოვიარე კავი,
რადგან უღელ ხარში ერთი გამოუკლდა,
ხანგრძლივ ზამთარში უჭმელობისაგან დასუსტებული მოუკვდა,
როცა სახნავს გაავლო სულ რამდენიმე კვალი,
და წყვილი ხარიდან დარჩა მხოლოთ-ღა ცალი.
რა ქნას სიკომ? ვერც ვერაფრის მქნელი და ვერც ვერაფრის მდომია,
მაგრამ აი, მოაგონდა ისევ რეჟიმ-ეკონომია:
მან მყისვე გადააკეთა თავისი კავი,
ესე იგი, მოამოკლა და მიაკრა ზედ ორი პარალელური გვერდსაკრავი,
შემდეგ წინ მათზე აღმართა ვეება ხის რკალი
და შეაბა შიგ ცხენივით თავისი ხარი ცალი!
მართალია, მიწას უწინ უღელი ხარიც კი ძლივს სჩიჩქნიდა,
მაგრამ ახლა, სიკო კავს რომ აწევბა აქეთ-იქიდან,
და ასე თუ ისე
კავზე ხის სასახნისე...
(რადგან ზედ ვერ ხედავს თითონ რკინის სახნისსა,
რომელიც ჟანგმა კაი ხანია უკვე გაცრიცა!)
მიწაში მაინც მიიპარება
და ოდნავ შესამჩნევ კვალებათ მიწაც იღარება...
ასეთი ნახნავი თუმცა კარგათ ვერც კი ჰფარავს თესლს,
მაგრამ მაინც ხომ „რეჟიმ-ეკონომია“ არის ეს!..
„რეჟიმ - ეკონომიას“ მოჰყვა შემდეგ „თვითკრიტიკა“.
სიკომ ამაზედ, რაღა თქმა უნდა, ბევრი იჭიკჭიკა:
ჯერ დაიწუნა თავისი ქალამნიანი ფეხი;
შემდეგ სარკეში დაინახა და სძრახა თავის ცხვირზე აზნექილი კეხი;
არც მოკლე ახალოხი მოსდიოდა ერთხანს ჭკუაში;
თოხსა და ცულსაც ჩაჰხედა იჭვნეულად ყუაში;
გვერდზე წახრილ ქოხსაც დიდხანს უტრიალა გარშემო;
ახლად შემოსულ ტყემალსაც კი გაუსინჯა გემო;
ეგონა, თუ თვითკრიტიკის ნიადაგზე
თავის ცუდ ზნეს ტყემალიც კი მიაგდებდა განზე,
და თუმცა შემოინახავდა ერთსა და იმავე სახეს,
შეიცვლიდა მაინც თავის ძველ სიწმახეს!..
მაგრამ ამას სიკო რას ხედავს?
ტყემალი ისევ ადრინდელ ტყემალსა შეგავს,
მჟავეს და აძმარ-აწმახებულს,
ყოველს ხილში გაწყვეტილ-გაბახებულს!..
თუმცა საერთოდ „თვითკრიტიკა“
სიკოს მიერ ხომ მაინც ჩატარებულ იქნა!..
„თვითკრიტიკას“ მოჰყვა გადახრების წინააღმდეგ ბრძოლა.

სიკომ ჯერ გაასწორა თავისი გადახრილი ბეოლა,
შემდეგ ვაშლის ხესაც შეუყენა აქა-იქ ბარჯგი,
და ამ რიგათ თავდადებული ცდითა და გარჯით
თავისი ეზო და ბაღი თითქმის მთლად მიასწორ-მოასწორა,
რითაც ყოველგვარი გადახრა თავიდან აიშორა!..
მაგრამ გადახრები მალე შესცვალა შეჯიბრებამ, სოციალისტურმა,
და სიკოს გულიც მოიცვა გამოუთქმელმა შურმა:
როგორ? მეზობელი გახა,
ეს ქვეყნის გლახა,
მიეშურებოდეს ყოველ კვირა ქალაქს,
იქ აკრეჭინებდეს თმასა და წვერს დალაქს,
ხოლო სიკო კი დადიოდეს წვერ-გაბურდნული?
ამას ვერ მოითმენს ვერც ჩიტის გული!
ადგა და შეუდგა სიკოც ქალაქის გზას:
გასასყიდელი ცხვარიც თან მიჰყავს მას...
მივა ქალაქს, გაჰყიდის ცხვარს,
გაიკრეჭს წვერსა და თმას,
დაბრუნდება სოფელში გახარებული
და სოციალისტური შეჯიბრიც იქნება ჩატარებული...
მართალია, ზამთარში კი დაგვირჩება უმატყლოდ,
მაგრამ კამპანია ხომ მაინც ჩატარებული დარჩება უნაკლოდ!..

ასეც მოიქცა სიკო.
იგი ქალაქში წვერის შესაკრეჭად უკვე იყო.
მხოლოთ ქალაქიდან დაბრუნდა სრულიად შეგნებული:
მან წარადგინა, სადაც ჯერ იყო, ანკეტა, შევსებული,
რომ კოლმეურნეობის კამპანიას იგი
სოფელში ჩაატარებს, ვით ითხოვს რიგი!
ამ შეგნებით სიკოც სახლში დაბრუნდა...
ატყდა სოფელში ის, თითქმის სულ მთლად აბუნტდა:
„კოლმეურნეობა“... „კოლხოზი“... „„კოლხოზი“...„კოლმეურნეობა“...
დასჩემდა ამ კაცს სოფლად ასეთი მოუბნეობა...
მეზობლებს ჯერ მოეჩვენათ მისი გაგიჟება,
მაგრამ ხედავენ: კაცი სახლში თითქმის არც კი ჯდება..
აბა, სამუშაოს ხომ სულ მთლად შეაშვა ხელი...
გაისმის სოფლად იმისი აგიტაცია ცხელი!
„კოლხოზი!..“ „კოლხოზი!..“ „კოლხოზი!..“
შეჰყარა ერთად მოსახლე ასე ოთხმოცი
და გაუშალა მათ წინ „კოლხოზის“ პლანი...
ხოლო კოლმეურნეობა რომ შესდგა, სიკომ მას პირველმა უქნა განი!..

ეგონა სხვებზე უფრო გამრჯე თავისი თავი...
ამიტომ, „კოლხოზმა“ რომ ტრაქტორი შეიძინა, სიკომ გამოაწყო თავისი ძველი კავი
და როდესაც ტრაქტორი აგუგუნდა „კოლხოზში“,
აქეთ სიკოსაც მოუვიდა ხვნა-თესვის ხოში!
მაგრამ ტრაქტორმა რომ ველ-მინდორი სულ მთლად გადახნა.

სიკოს კავმა ორიოდ კვალი ძლივს გაავლო ახლა;
შემდეგ ხომ ხვნა კიდევ უფრო გაძნელდა:
არა ერთი დღე გათენდა და დაბნელდა,
სანამ სიკო თავის სახნავს მორჩებოდა
და დარწმუნდებოდა, რომ ამ მარტოობაში იგი სცდებოდა...

არა, შრომით მართლაც ბევრი იშრომა,
მხოლოთ, როცა მოვიდა შემოდგომა
და „კოლხოზმა“ აავსო „წითელი ბეღელი“,
სიკომ თავის ყანაში უიმედოთ ჩაიქნია ხელი,
რადგან მას არა თუ არ აღმოაჩნდა გასასყიდი ხორბალი,
არამედ დიდია, ნახევრად თუ მაინც შეაბრუნა არსებობის ბორბალი!..
ახლა კი სცნო სიკომ კოლმეურნეობის მთელი უპირატესობა,
ახლა კი გულში მართლაც ეკლად ესობა
„კოლხოზის“ წარმატება და თავისი უარესობა,
მაგრამ აღარ იცის თუ წამხდარ საქმეს რაღა გაეწყობა!..
შედის „კოლხოზში“ წევრად?
რა თქმა უნდა, ეს უმჯობესი იქნება ბევრად,
რადგან ნათქვამია: „უმჯობესია გვიან, ვიდრე არასოდეს“..
ამ ანდაზის აზრი კი სიკოს კარგად უნდა ესმოდეს!..

ჰაზირა.

# ივანე და პეტრე



ივანე: ღმერთო, წვიმა მოიყვანე ძლიერი და შხაპუნაო!..



პეტრე (ივანეს):—ეე, ძია! წყალით მორწყე, თორემ ღმერთი ვერაფერს გიშველის!



ივანეც მუშაობს, მაგრამ... პეტრე ივანეზე უკეთესად ცხოვრობს.

---

## კოლექტიველი გლეხი

კოლექტიველი გლეხი
ვარ დელეგატი კრების.
კულაკს დაეცა მეხი,
და განიავდენ მტრები.
ჩვენს კოლექტივში ხოლმე
მოსავალია უხვი,
ხან ბრიგადებიც მოილენ,
ჩაქუჩის ჩახი-ჩუხით.
„მუშათა ბრიგადები“
არის სახელი მათი;
მანქანებს გვიკეთებენ
იყოს თუ გინდა ათი.
არც აგიტ-კოლონებით
ვართ ღარიბები ბარში,
და სოფლის გოგონები
ვაჟებს უდგიან მხარში.
მუშაობს ყველა ერთად
შეწყობილია ფეხი,
და გულის გასახეთქად
კულაკს დავადგით კეხი.
კონტრაქტაცია ვიცით
და წელსაც ჩავატარეთ;
არ უნდა ამას ფიცი
პურს სრულად ჩაგაბარებთ.
ტრაქტორი გვაქვს მაგარი —
ოსტატი ხვნა და თესვის,
ჩვენი რა ბრალი არი
თუ ვინმის რამე ეწვის!
რომ ნახოთ ტრაქტორისტი,
შეატყობთ — არის სპეცი;
გავტყდები: საქმე იცის,
რაღათ უწოდოთ ბეცი?
ჯეჯილი ჩვენისთანა,
ნუ იტყვით ჰქონდეთ სხვასაც,
და თუ კულაკს შურს ბევრი,
თვალი ახალოს ქვასა.
ჩვენ, კოლექტივის წევრებს,
საქმე გვაქვს ფრიად კარგად;
აგრონომს დაუჯერებთ
და მოსავალიც ვარგა.
ჩვენი ნათესი ყანა
უკლებლათ ამოსულა,
რა ფიცი უნდა ამას:
პურს ჩაგაბარებთ სრულად.

ტერსიტი.

# გიტო

იმის ფირქებში, თუ როგორ შეავსოს ცუდი მოსავლის გამო წლიური სარჩო, გიტოს ჩაეძინა.

ჩაეძინა და...

—X—

გარდაიცვალა.

მოეღო ბოლო მის გაჭირვებას.

მისი სული გაფრინდა საიქიოსაკენ.

გიტო დარწმუნებულია, რომ მას, როგორც მორწმუნეს, სამოთხეში გადაგზავნიან მუდმივ საცხოვრებლად.

სამოთხეში კი — ნეტარება და უზრუნველი ყოფნა. რა გინდა სულო და გულო, რომ იქ არ იქნება.

—:—

— გიტო ჭიჭილაყაშვილი! — გამოიძახა ღმერთმა შემდეგი მიცვალებული.

აქ გახლავარ! — და სამჯავროს წინაშე წარსდგა შუა ხნისა და ტანის გლეხი.

ღმერთი; — რა დაგემართა, რომ ასე გამხდარხარ? ალბად ურწმუნო იყავ და არ გწყალობდი!

გიტო: — რავა გეკადრებათ! ურწმუნო კი არა, ჩემისთანა მორწმუნეს სხვას ვერ ნახავთ.

ღმერთი:—აბა ასე რამ გაგხადა ძვალ-ტყავად?

გიტო: — რა ვიცი, რა! „მამაო ჩვენო"-ში მუდამ ხახადაღებული გევედრებოდი: „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს",— მარა ერთხელაც არაფერი გადმოგიგდია.

ქრისტე: — ჩვენ რა უნდა გადმოგვეგდო, როცა თვითონ ჩვენ არაფერი გაგვაჩნია! შენს თავზე შენ უნდა გეზრუნა. განა არ იცი ღვთისაგან როგორ გაქვს მისჯილი?: „ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა". მაშასადამე, უნდა გემუშავნა დღედაღამ.

ღმერთი (აცეტებული): — ჰო, ჰო! მახსოვს, მახსოვს, ეს მე მივუსაჯე ადამიანს.

ქრისტე: — აპა რა გეგონა შენ?

გიტო: — ახლა მეუბნები ამას? შენ არ იყავი, რომ გვეუბნებოდი: „არა იზრუნოთ ხვალინდელ დღისათვის, რამეთუ ხვალინდელი დღე თვითონ ზრუნავს თავისთავზე.... შეხედეთ ფრინველთა ცათა: ისინი არცა სთესავენ, არცა მკიან, მაგრამ მაინც არხეინად ცხოვრობენ"-ო. მეც ასე ვიქცეოდი. (თავისთვის) სიზარმაცეს შემაჩვია და ახლა მასწავლის ჭკუას!?

ღმერთი (ქრისტეს): — მართლა ჰთქვი, ბიჭო, ეგეთი სისულელე?

ქრისტე: —სტყუის, მიქარავს!.. მე არ დავურიგე ხუთი პური ხუთი ათას კაცს და ყველა გავაძღე!?

გიტო:—გიცხონდა სული! კი დაურიგე, მარა განაწილების დროს ისეთი ჩხუბი მოუყვიდათ, რომ ერთმანეთს თავპირი დაუმტვრიეს. რას ეყოფოდა იმოდენა ხალხს ხუთი პური!?

ქრისტე: — ეს ჩემი რა ბრალია!?

ღმერთი: — ყანებს ახალ სტილზე სთესავდი, თუ — ძველზე?

გიტო: — თქვენს სტილზე, ძველ სტილზე ვსთესავდი; თუმცალა მეუბნებოდენ: უკვე დადგა თესვის დროო. სხვები ახალი სტილით სთესავდენ, მე კი ვიგვიანებდი... მოსავალიც არაფერი მომდიოდა.

ღმერთი: — ალბად ეშმაკის გამოგონებული მანქანა რომ არის — ტრაქტაორი, იმით სთესავდი და იმიტომ!

გიტო: — არა, თქვენს თავს ვფიცავარ! ვინც იმით დასთესა, ყველას კარგი მოსავალი ჰქონდა,

ღმერთი: — კოლექტივში იქნები შენ და, ალბად, იმიტომ ხარ ასე საწყლად!

გიტო: — პირიქით! ჩემისანა ლარიბები ვინც კი შევიდენ კოლექტივში, ყველა გაიმართა წელში და ჯანზე მოვიდა.

ღმერთი: — ალბად სხვა რამე ცოდვა გაქვს... მარხვას თუ ინახავდი?

გიტო: — ჩემსავით ჩვენი ხუცესიც არ ინახავს მარხვას. ჩემთვის ყოველთვის მარხვა დყო, ერთხელაც არ გამიხსნილებია, რადგან ხორცის საყიდელი ფული არ გამაჩნდა.

ქრისტე: — რატომ დაგლახებულხარ ასე? რატომ აჩქარებულხარ და მიგიტოვებია ის ქვეყანა?

გიტო: — იმიტომ, რომ შენ გვეუბნებოდი და გვპირდებოდი: „ნეტარნ არიან გლახაკნი, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა... ნეტარნ არიან, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს, რამეთუ იგინი განძღენ ცათა შინა"... ჰოდა, ამას რა სჯობია? ჰა, მოვედი; მასვით და მაჭამეთ დაპირებისამებრ.

ღმერთი: — ჰეეე, ჩემო ძმაო, ჩვენს საკუჭნაოში თაგვები სიმშილობის ნიადაგზე თვითმკვლელობით ისპობენ სიცოცხლეს.

ქრისტე: —შენ ის გვითხარი, აქეთ რომ გამოემგზავრე, შენმა ჭირისუფალმა საგრძლად თუ გამოგატანა საკურთხი და ალაპი, რომ ცოტათი ყელი ჩავისველოთ?

გიტო: — სად ჰქონდათ, რომ გამოეტანებიათ!?

ქრისტე: — აბა, წადი, ძია, წადი საიდანაც მოსულხარ. მშივრები და საწყლები აქაც ბევრი ვართ. (უჯიქებს და ციდან საიქაოსაკენ გადმოაგდებს).

—:—

გიტო ლოგინიდან გადმოვარდა, გამოეღვიძა ცოლსაც.

— რა იყო? რა მოგივიდა? — შეეკითხა შეშინებული ცოლი.

— არაფერი... უკვე გათენდა.. ავდექი; კოლექტივში უნდა ჩავეწერო ამ დილით!

ისელი.

## „მოსავალი"



ჩვენში და კაპიტალისტურ ქვეყნებში.

# ქალის ჭკუამ აჯობა

— სადილი ყანაში ჩამომიტანე.— დაუბარა ცოლს გიორგიმ, შეაბა ხარები ურემში, დააწყო ზედ კავ-სახნისი და გაუყვა მინდვრისაკენ.

—კოლექტივი... ტრახტორი... ნახონ ერთი როგორ მოხნავენ. დაილოცა ჩემი ლომა და ტიგურა. გადავკრავ სახრეს, საითაც პინდა იქით მივაბრუნებ. — ჩაილაპარაკა გიორგიმ და შეუდგა კოლექტივის მიწების გვერდით მდებარე თავისი მიწის ხვნას.

მოწყენილი მინდვრები უცბად შეარყია უცნაურმა ხმაურმა. გიორგიმ ხარები შეაჩერა და მიიხედა.

— ტრახტორი.. ვნახოთ, ჩემმა ლომამ და ტიგურამ დახნას მეტი თუ შენ! — და თავმომწონედ გადაუტყლაშუნა სახრე ხარებს.

კოლექტივის თავმჯდომარე მივიდა გიორგისთან და მისალმების შემდეგ, უთხრა:

— კაცო, გიორგი, რას აწვალებ მაგ ხარებს და რას წვალობ შენც. შემოდი ჩვენთან კოლექტივში და მაგ მიწას ტრაქტორით დაგიხნავთ.

გიორგიმ ხარები შეაჩერა და კოლექტივის თავ-რეს დააცქერდა.

— კარგს გეუბნები, თუ დამიჯერებ. აი, ჩვენ კოლექტივში ათი კაცი კართ გაერთიანებული, დღეს მათი მიწა იხნება ტრაქტორის საშუალებით, ისინი კი სხვა სამუშაოს ეწევიან. ხელსაყრელია. ჩაეწერე შენც.

— თქვენ ჰქენით სიკეთე და ჩემზედ ნუ სწუხართ. — მკვახედ უპასუხა გიორგიმ, გადაჰკრა ხარებს შოლტი და განაგრძო მუშაობა.

ტრაქტორი ხმაურით ამოძრავდა და გიორგის მიმართულებით დაიწყო მუშაობა.

ხარებმა ტრაქტორის დანახვაზე ნერვიულობა დაიწყეს.

როდესაც ტრაქტორს გაუსწორდენ, თვალები სჭყიტეს, და...

გაიქცნენ.

კავი ხეზე მიამსხვრიეს და მოჰკურცხლეს სახლისაკენ. გიორგი უკან გამოედევნა ხარებს, მაგრამ ვერ დაეწია.

— რა მოგივიდა კაცო?, რატომ მიატოვე მუშაობა? — შეეკითხა ცოლი გიორგის.

— ხავი დამანებე!

— კავი რა უყავი?, რატომ არაფერს მეტყვი?

— რა უყავი და... გამიტეხეს ამ შეჩვენებულებმა.—და გიორგიმ ხარებს სახრე გადაუჭირა.

— რავა! გაცოფთენ, თუ რა ცოდვა ეწიათ?

— ჩამოათრიეს იქ კოლექტივის მიწაზე, რაღაც ტრახტორიაღ, და გადამირიეს ხარები...

—კაცო, შენც რატომ არ ჩაეწერები იმ კოლექტივში? რატომ გიყვარს, შე საცოდავო, თრევა და ტანჯვა? დახნავდენ ტრახტორით და აღარც შენ მოკვდები და აღარც ხარებს მოკლავდი!

— ააა.... აგი. მაკლდა ეხლა, რომ შენ ჭკუის წავლება დამიწყო!

—:—

თეკლემ, გიორგის ცოლმა, წამოისხა შალი და კოლექტივის სამუშაოსაკენ გასწია.

— ჩემო ესტატე, გიორგიმ გამომგზავნა და გთხოვთ: მეც ჩამრიცხეთ კოლექტივშიო, — განუცხადა თეკლემ, კოლექტივის თავ-რეს.

— კეთილი.— უთხრა ესტატემ და განაგრძო მუშაობა.

—:—

— გვემატოს, გვემატოს ახალი წევრი. შენისთანა მშრომელი და გამრჯელი ღარიბი გლეხი რომ კოლექტივში ამდენხანს არ ჩაეწერე, სირცხვილი არ არის? — უთხრეს კოლექტივის წევრებმა გიორგის, როცა ეს უკანასკნელი მიწის სახნავად ხარებით ჩავიდა თავის მამულში.

გგიორგის განცვიფრებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა კოლექტივის მიწებთან ერთად, მისი მიწაც დახნული დახვდა.

— თეკლე რომ არ გამოგეგზავნა, ჩემო გიორგი, ადვილი შესაძლებელია უარი გვეთქვა კოლექტივში შენს მიღებაზე! — განუცხადეს გიორგის

გიორგი მიხვდა ყოველივეს და რომ არ გამომჟღავნებულიყო მომხდარი ამბავი, თვითონაც დაადასტურა:

— კოლექტიურად შრომას რაღა ჯობია!

—:—

— რად მიატოვე მუშაობა გიორგი? მე სადილს გიმზადებდი სახნავში წამოსაღებად! — ირონიულად უთხრა ცოლმა, როცა გიორგი სახლში ადრე დაბრუნდა.

გიორგის გაეღიმა, თავი ჩაღუნა, ხარები გამოხსნა უღლიდან და მიუბრუნდა ცოლს:

— მაჯობე თეკლე, მაჯობე ჭკუით... სამი დღე უნდა ჩამეკლა ხარები იმ მიწის დასახნავად და მეც გავთავდებოდი... კარგი ყოფილა კოლექტივი.... ტრახტორი... ყოჩაღ ქალო!

ტოქსინი.



— გვეშველა! ჩვენმა სოფელმაც შეიძინა ტრაქტორი!



1. ორმოში პური ჩავყარე დასამალადაო,



2. ორმოში წყალი ჩამდგარა დასალპობადაო,



3. ორმოდანა ამოვყარე გასაშრობადაო,



4. ბიჭი ლობეზე შემოჯდა დასანახადაო.



5. ბიჭსა სახრე მოვუქნიე მოსაკლავადაო,



6. ალმასკომი წამომადგა ხათაბალადაო,



7. ჩამომართვეს და წაიღეს პური ხელადაო,



8. თავი ციხეს მაყრევინეს—იჯექ ბნელათაო!

# წყევამ ვერ უშველა

ვიღაცამ ამბავი მოიტანა, რომ სოფელ ხრიოკში კოლექტივი არსდება.

— რაო! კოლექტივი არსდებაო?! ხომ ვთქვი მე, არც ჩვენ დაგვაყენებენ-თქვა! ვიცოდი, ვგრძნობდი, რომ ხეირს არც ჩვენ დაგვაყრიდენ და აქაც კოლექტივს შემოგვჩრიდენ ხელში! — გაბრაზებით ამბობდა მოკულაკო გლეხი ხმიადაძე.

— როგორ! კოლექტივი ცუდი საქმეა თუ? — იკითხა მისმა მოჯამაგირემ.

— ციც, შე უტვინოვ! კოლექტივში რომ შეხვალ, მერე მორჩა შენი საქმე, ყველაფერს წაგართმევენ და შიმშილით ამოხოცავენ ხალხს! — გაცხარდა კულაკი.

— არ მჯერა, რომ ეგრე იყოს საქმე!—ჩაილაპარაკა მოჯამაგირემ და ახსნა - განმარტებისთვის წავიდა ალმასკომში.

ტყუილი იქნება თქმა, რომ მთელი გლეხობა ერთხმად და ერთსულოვნად ჩაეწერა კოლექტიურ მეურნეობაში: გლეხობის ნაწილი აჰყვა კულაკების პროვოკაციას და თავი შეიკავა კოლექტივში ჩარიცხვისაგან.

ასე მოიქცა მაგალითად, გლეხი მუხუდოშვილი. მას რაღაც დაუჯდა კულაკ ხმიადაძის დარიგება და გვერდი აუხვია კოლექტივს.

— მართლაც, თუ მთავრობას რამე გამოსარჩენი არა აქვს, რის გულისთვის აარსებს კოლექტივს?—მსჯელობდა მუხუდოშვილი.

— არ უნდა ლაპარაკი, რომ მაგათ რაიმე გამოსარჩენი და სარგებელი ექნებათ! — უკრავდა კვერს კულაკი ხმიადაძე.

ამ მსჯელობასა და კვერის კვრაში სოფლად უკვე დაარსდა კოლექტივი.

სოფლის მღვდელი (იგივე სოფლის მღვდელიც იყო, რადგანაც ვეება თემში ერთად-ერთი ხუცესი დარჩა) იმავე დღეს დადგა წირვად.

— კოლექტივების დამხობისათვის, ტრაქტორიზაციის განადგურებისათვის, მექანიზაციის ჩაფლავებისათვის უფლისა მიმართ ვილოცოო-ოთ! — ღრიალებდა ხუცესი კარფანჯრებ გამომტვრეულ საყდარში, რომელიც სოფლის კომკავშირელებს კლუბის შენობათ გადასაკეთებლათ ჰქონდათ მიზანში ამოღებული.

— ა-ა-ამინ!—ერთხმად უდასტურებდენ დიაკვანი, კულაკები და ყოფილი თავად-აზნაურები.

— ინდუსტრიალიზაციის ჩაშლისათვის, ხუთწლიანი გეგმის არ შესრულებისათვის, ნიადაგის გამოფიტვისათვის უფალსა ღმერთსა ჩვენსა შევედროო-ო-ოთ!

—მოგვმადლე უ-უფა-ა-ა-ლოო-ო! — აჭიანურებდა დიაკვანი, რომელიც იმავე დროს მნათეს და ეკლესიის დარაჯის როლსაც ასრულებდა.

— „რა გამოდის ამ წირვიდან, თუ გინდა ათასჯერ შეაჩვენე ეს კომუნისტები, მაგათზე არაფერი მოქმედობს“, — მწარეთ ფიქრობდა დიაკვანი.

— რათა ისმინოს უფალმა ვედრება ჩვენი და აძლიეროს მემარჯვენე და მემარცხენე ოპორტიუნიზმი-ი-ი!

— „ეს ვინ ოპორტუნიძეა ნეტავ“, გაიფიქრა ბურანში მყოფმა დიაკვანმა,— „მაგას რაღა ვუპასუხო?“.

— ჰა დიაკვანო! —მისძახა მღვდელმა.

დიაკვანი დაიბნა:

— უფა-ალო იმასგვიქენი-ი-ი! — სთქვა მან ყოველ შემთხვევისათვის.

— რა ღმერთი გიწყრება შე ჯოჯოხეთის მაშხალავ! — გამოსძახა მღვდელმა და განაგრძო წირვა.

არავითარმა წირვამ არ გასჭრა: სოფლის კოლექტივი დაარსდა და შიგ ხალისით ჩაეწერა ოცდაათამდე მოჯამაგირე, ღარიბი და საშუალო გლეხი.

— რათ უნდათ რომ ერთდებიან, რა სიკეთე გაარჩნიათ?, — სისინებდენ კულაკები.

კოლექტივმა ხვედრი მიწა მიიღო. ცოტა ხნის შემდეგ ტრაქტორიც მოგუგუნდა თავისი ტრაქტორისტით.

—რა სიკეთეს იზამს ეგ ტრაქტორი, მაგას რა შეუძლია, — კვლავ ჩურჩულებდენ სოფლის ბობოლები.

ტრაქტორი დღეში სამ-ოთხ დესეტინა მიწას ხნავდა, ყამირს ფატრავდა და ნიადაგს ამუშავებდა.

ჩამოვიდა აგრონომი და სათესლე ხორბლის მოსაწამლი მასალა ჩამოიტანა.

— ამ წამალში გავატაროთ ხორბალი და მავნებელი აღარ გაუჩნდება, — სთქვა მან.

კოლექტივმა მაშინვე აასრულა დარიგება.

— აჰ! თქვენს ანკესზე ვერ წამოვეგებით, — განაცხადა ხმიადაძემ,— თესლი რომ მოვწამლოთ, ხომ დაგვეღუპა მოსავალი! რაღა ხეირს იზამს მოწამლული თესლი?

— ალბად მაგათ ჩვენი დაღუპვა სურთ, — დაეთანხმა მუხუდოშვილი და მასთან რამოდენიმე სხვა გლეხიც.

— ნიადაგი გააწოყიერეთ, სასუქი მოაყარეთ, —იძლეოდა აგრონომი ახსნა-განმარტებას და კოლექტივიც ერთგულათ ასრულებდა ყველა დარიგებას.

— არაფერი საჭირო არ არის განოყიერება, ჩვენი მამა-პაპა როგორც გვირჩევდა, ისე მოვიქცევით, —ჯიუტობდენ კულაკები და მუხუდოშვილისთანა შეუგნებელი გლეხები.

დაიწყო კონტრაქტაციაც, რომელიც მთლიანად გატარდა კოლექტივში. მუხუდოშვილები და კულაკები აქაც განზე გადგენ და უარი სთქვეს კონტრაქტაციაზე.

— არც თქვენი ფული გვინდა და არც არაფერს გაძლევთ! — განაცხადეს მათ.

ნათესი ამოვიდა.

კოლექტივის მოსავალს კარგი პირი უჩნდა.

— კოლექტივის მოსავლის გაფუჭებისათვის, კონტრაქტაციის ჩაშლისათვის, და სხვა ამისთანებისათვის სულსა წმინდასა ვევედროო-ოთ! —განაგრძობდა მღვდელი წირვას დაცალიერებულ საყდარში, მაგრამ ამაოდ: იმ სოფლის ურწმუნოთა საზოგადოებისაგან დაშინებული „ყოვლად წმინდა“ ცხრა მთას იქით გადაფრინდა და უკან მოხედვისაც ეშინოდა.

მოსავალი მოვიდა. კოლექტივის ახლად აგებული საბძლები ხორბალს ვერ იტევდა. კოლექტივის წევრები სიხარულით ცას სწვდებოდენ.

აიღეს ხორბალი, კარტოფილი, ლობიო და სხვა მოსავალი.

— აბა, როგორ არის კონტრაქტაციის საქმე? — მოვიდა სოფლის კავშირის წარმომადგენელი.

— ვიანგარიშოთ, რამდენი გიწევთ, ჩვენ რამდენით შეგვიძლია გამოვიკვებოთ და დანარჩენ სიამოვნებით მოგყიდით! — ერთხმად უპასუხეს კოლექტივიდან.

სოფლის კავშირის წარმომადგენელი სხვა გლეხებშიაც წავიდა.

კულაკებმა, რასაკვირველია, გადამალეს პური, რადგანაც არაფრად ეპიტნავებოდათ სახელმწიფოსთვის პურის მიყიდვა. გადამალეს, მაგრამ კომკავშირელის თვალს რა დაემალება? ყველაფერი აღმოაჩინეს და კულაკის პურიც ქალაქისაკენ გაუყენეს. რას იზამ: წითელი ქარავანი იმდენათ სულგრძელია, რომ პურს, თუნდაც კულაკური მეურნეობიდან იყოს, მაინც წაიოიბს წითელი ბელღისაკენ.

იმ სოფელ ხრიოკში ამჟამად უკვე სამი კოლექტივია. ხოლო რაც შეეხება კოლექტივ „განთიადს“, იგი აღარ არიო...

— რატომ? — კითხულობთ თქვენ გულდაწყვეტილი.

— დამშვიდდით და ნუ ღელავთ: აღარ არის იმიტომ, რომ ის კოლექტივი კომუნად გადაკეთდა, ესე იგი უშუალოდ დადგა სოციალისტურ რელსებზე! ალლარ-ალლარსან.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲔᲑᲝ! ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲔᲗ ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ „ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ“-ᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

# შეპრეკილაძის ლექსები

ტაში, ტუში, რაშო-რერა!
ოდელია—ტუში— ტაში!
თავის ქალა ამიქავდა,
ამერია ტვინი თავში!
ოდელია! რაშო—ნანა!
ნანა-დილა! დელი-ლე—ი!
სულ სხვა იყო ძველი დრო და
სულ სხვა დროა ახლანდელი.
სულ ყველა ჩვენ გ... ...ნდა:
მემამულე,
ჩარჩი,
მღვდელი,
სხვა გვცემდა და,
სხვას მიქონდა
ნაოფლარი სრულად ჩვენი.
სულ სხვა იყო ძველი ორომაც,
სახნისით და ძველი კავით,
მაგრამ ახლა აღარ გვინდა
ისე ვიყოთ, რაც ვიყავით.

ტაში! ტუში!
რაშო-რერა!
მოვსპოთ ყველა
გაიძვერა,
ძმობა უნდა
დავამყაროთ
უნდა შევქნათ ერთი კერა;
ყველა უნდა შე...
ვანო,
ნიკო,
თებრო,
გიგო,
მატრონა და ეფროსინე—
უნდა შევქნათ კოლექტივი,
ერთად უნდა ვიმუშაოთ
სხვა ხერხით და სხვა მანქანით.
ტაში! ტუში! შენტი ნიკო!
დაუკარე! განი! განი!

ტაში-ტუში! რაშო-რერა!
ოდელია რეშო-რარო
გაუსვი და გამოუსვი
ეფროსინე, ნიკო, მარო!
ე ტრაქტორი რა ყოჩ...
ამოთხარა გული მიწის!
კოლექტივმა მოგვიტანა!
კოლექტივმა ახე იცის!
კოლექტივი სკოლას აგებს
კოლექტივებს არხი გაყავს
ელსადგურიც ააშენა;
რა ხუმრობაა ამ ხანახავს!
გენაცვალე
კოლექტივო,
„ღარიბების
ბედის წყარო“,
შენით უნდა მოვილხინოთ,
შენით უნდა გავიხაროთ,

ტაში-ტუში! რაშო-რერა!
ოდელია, რეშო-რარო!
გაუსვი და გამოუსვი
ეფროსინე, ნიკო, მარო!...

დაფტაპიტომ, დიფტიპიტომ!
ოდელია, დილა-რაშო!
ნათავადარ ანდუყაფარს
გაქცევია ცოლი მაშო...
ამ ჩვენს კულაკს ნიკიფორეს
ლორის დინგს რომ უგავს ცხვირი,—
ღარიბ გლეხის ჩასაყლაპად
დაუღია ხახა-პირი
ყველა იცნობს,
ყველამ იცის,
მსუნაგია, როგორც „მაშკა“
ვინაც ხედავს გაიძახის:
„არ გაუშვა: დაჰკა! დაჰკა!“
მალე უნდა საბოლოოდ
გადაშენდეს მაგის ჯიში:
როცა ნახა, რომ გლეხები
მიდიოდენ კოლექტივში,
რომ საერთო გაეჩინათ
შვებისა და შრომის კერა,—
ჰოზავებულ ჯავრით ლამის
გულზე გასკდა გაიძვერა;
„დედის სული უტრიალა“
ძის „მომტანს“ და ...ის „მამგონს“,
საიდუმლოდ ეთათბირა
ნათავადარს,
მღვდელს,
დიაკონს,
რომ როგორმე
ან მოსყიდვით,
ან ხრიკებით,
ან და ძალათ
ღარიბ გლეხთა კოლექტივს
საქმე იმათ ჩაეშალათ.
გაუგეს და „კოლეგებით“
მიაბრძანეს „აბანოში“,
ვიცი იქ არ მოაკლდებათ
ხიზილალა,
თართის დოში!

მერე ბიჭო, მერე! პერი!
გაიკარი ჯიბეს ხელი,
თუ შენ ძველი ვაჟკაცი ხარ,
ან გსურს ნახო სარგებლი:
წამო ჩემთან, ეფისტინე,
მაკრინე და ფაცია,
ნუ აყოვნებთ,— შევიძინ
ერთად ობლიგაციათ,
მოგება ხომ მოგებაა,
პროცენტიც გვაქვს ანწყით.
და სოფლისთვის ინდუსტ...
მიხწრებაა ძამიკო,
ჩვენ ვაშენებთ.
ეს არ არის
ოცნება და მირაჟიო:
აბა მალე! შევიძინოთ
ჩვენც მესამე ტირაჟიო.
დიფტიფიტომ! დაუკარი,
ჩაუბუქნე მარდათ შიო,
გენაცვალეთ ჯეელებო,
თქვენი სულის ვარაყშიო
მალე ხელის მოსაწერად
ქალი, კაცი,
დიდი, ბავშვი!
დაუკარე თებრო, მაკო,
ოდელია, ტაში-ტაში!,

მედუზა.

## ამაო ცდა



— წამო, ძმაო, ტყუილი იმედია, აქ ვერ შევძვრებით.

# ზაქარას სიზმარი

ზაქარა ბერტყიაშვილი ისე გაჯავრებული ჯერ არავის ენახა. ცოლ-შვილი დააწიოკა. ცოლს მაგრად შეუკურთხა; უფროს ბიჭს თედუას თავში ჩაარტყა და პატარა ლექსოს ისე უჩქმიტა ყურზე, რომ ცივი ხმით აყვირა.

ამან უფრო გააგიჟა ზაქარა, გამზადებულ სუფრას წიხლი ჰკრა, მთელი ვახშამი ძირს გადაყარა და დაამტვრია ჯამ-ჭურჭელი.

ყველამ ხმა გაკმინდა.

— რა მოგივიდა, შე დალოცვილის შვილო, ხომ არ გაგიჟდი? — ბოლოს, როგორც იქნა ხმის კანკალით წარმოსთქვა ზაქარას ცოლმა თიკომ

— ხმა ჩაიკმინდე, შე სამგლე შენა, თორემ ისეთს მიგაყოლებ, რომ...—ბრაზიანად წარმოსთქვა ზაქარამ და მუშტები ჰაერში შეათამაშა.

ამის შემდეგ ხმა არავის ამოუღია. ყველამ სული გატრუნა.

თიკომ აალაგა დამტვრეული ჯამ - ჭურჭელი, არავის არ უვახშმია, ისე ჩაწვენ ყველანი ლოგინში.

ზაქარა ზის ცეცხლის პირს.

ის ფიქრებს გაუტაცნია.

მოაგონდა, წინედ მოურავად იყო ერთ თავადის ოჯახში.

ბატონს ძალიან მიღებული ჰყავდა ზაქარა. სუფრაზეც კი ისვამდა. სამაგიეროდ ზაქარა ბატონისთვის თავდადებული იყო, გლეხებს მისი შიშით კრინტი ვერ დაეძრათ. აბა თუ ბიჭი იყო და გაებედნა ვინმეს ბატონის საყვედური, ზაქარა ხელად შეატყობინებდა ბატონს და ვაი მისი ბრალი. ჯაშუშობა, ორპირობა, მლიქვნელობა ზაქარას სული და გული იყო და იმიტომ უყვარდა ის თავადს.

ამ დროს ზაქარა კარგად, მდიდრულად სცხოვრობდა, ბატონის წყალობით სახნავ-სათესი ბლომად ჰქონდა, საქონელი ბევრი ჰყავდა, ბეღლები სავსე ჰქონდა და სცხოვრობდა არხეინად.

ზაქარა ლაღად სცხოვრობდა, სხვები კვნესოდენ.

ერთხელ მამასახლისადაც კი დააყენეს ბატონებმა, რადგან ის მათი ყურმოჭრილი მონა იყო და მათს საქმეს გააკეთებდა.

მაგრამ უცბად იჭექა. ძველი ცხოვრება აფეთქდა.

ბატონები ძირს ჩამოცვივდენ, აღიგავენ პირისაგან ქვეყნისა.

სოფელი განთავისუფლდა.

გლეხობამ თავისუფლად ამოისუნთქა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ სოფელს ძმურად ხელი გაუშვირა და მისი საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების მოწყობას შეუდგა.

გლეხებმა ჩქარა გაიგეს თუ რა იყო ახალი ცხოვრება, რა იყო ახალი მშენებლობა და ყველანი ჩაება საერთო ფერხულში.

გლეხებმა შეიგნეს, რომ მათი ცხოვრების გაუმჯობესება შესაძლებელი იყო მხოლოდ საერთო შრომით, კოლექტიური მუშაობის შექმნით.

აგუგუნდა ტრაქტორები.
გაისმა საერთო ჰოროველა.

გაიმართა კოლექტიური სახნავ-სათესი, ბაღ-ბოსტანი, გაიმართა კოოპერატივი.

აშენდა საერთო საცხოვრებელი სახლები.

გაჩაღდა ცხოვრება.

ყველა ჩაება საერთო ფერხულში, ცხოვრებამ სწორი გზა გამონახა და დიდის სისწრაფით წავიდა წინ.

მარტო ზაქარა ვერ შეურიგდა ამ ახალს ცხოვრებას. მან კარები ჩაიკეტა, ბრაზით და შურის ძიებით აღივსო.

როდესაც მო- ' სოფელს სიმღერითა და სიხარულით მიჰქონდა პური საერთო ბეღელში ჩასაყრელად, ის ღამით ჩუმად თავის ორმოებში ჰყრიდა და მალავდა.

მაგრამ დღეს აღმოუჩინეს ეს გადამალული პური და თავის ზურგით მიატანიეს.

სწორედ ეგ იყო ზაქარას განრისხების მიზეზი.

ის უცბად ფიქრებისაგან გამოერკვა, სინამდვილეს თვალებში შეხედა, სიბრაზისაგან კბილები გააკრაჭუნა და თითქო ვიღაცას ეძებს, რომ ჯავრი იყაროსო, აქეთ-იქით მიმოიხედა. მან უცბად თვალი მოჰკრა იქვე მწოლარე ძაღლს. ფარეხის ცეცხლის პირას. ფეხები წინ გაეშვირა, თავი ზედ დაედო და ტკბილად ეძინა.

სრულიად უმიზეზოდ ზაქარამ სახრეს ხელი დასტაცა და ისეთი ზდრუზა ძაღლს, რომ ის კივილით წამოვარდა, ეხეთქა კარებს და გარეთ გავარდა.

შეშინებულმა ბავშებმა თავები წამოჰყვეს და თვალები დააჭყიტეს.

თიკო ლოგინზე წამოჯდა და შეშინებული თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ვერ გამორკვეულიყო რა ამბავი იყო.

— დაეყარენით! დასჭყივლა ზაქარამ და სახრე ჰაერში შეათამაშა.

უცბად ყველანი საბნებ ქვეშ ჩაძვრენ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

დიდ ხანს იჯდა ზაქარა ცეცხლის პირს და შავი ფიქრები ბუზებივით თავს დასტრიალებდა. ბოლოს ჩასთვლიმა, რამდენჯერმე თავი დააკანტურა. წამოდგა. სახრე ლოგინთან მიიყუდა და ჩაწვა.

დიდხანს ტრიალებდა ლოგინში. ბოლოს როგორც იქნა ჩაეძინა და ხვრინვა ამოუშვა.

სძინავს ზაქარას.

კვირა დღე არის. ისმის ზარების რეკა. ხალხი ეკლესიისაკენ მიეშურება. ლამაზ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მიდის. მიდის და თვალებს არ უჯერებს; ყველაფერი ისევ ისე ძველებურად არის. მის ნაცნობ ძველ მეგობარ კერძო ვაჭრებს ისევ გაუჩაღებიათ ვაჭრობა, სადღა არის კოოპერატივის შენობა? ის უკვე დაუნგრევიათ. აღარ არის საერთო სახლი, საერთო ბეღელი. აღარა სჩანს ტრაქტორები. ყველაფერი სადღაც გამქრალა. გამვლელი გლეხები მოწიწებით თავს უკრავენ. დაცინვის მაგიერ ტკბილად ესალმებიან.

ზაქარა შევიდა ეკლესიის ეზოში.

ეზო მთლად გაჭედილია ხალხით. მინგრეულ - მოწგრეული ეკლესია შეუკეთებიათ, ახალი გუმბათი დაუდგამთ. ეკლესიიდან ისმის მღვდელის ლაღადი და ტკბილი გალობა.

ქუდ-მოხდილი გლეხობა მდაბლად თავს უკრავს. ზაქარას სიამოვნებას საზღვარი არ აქვს. ის დადგა, თვალი მოავლო ყველას ხელები წელზე შემოიდგა.

აქვს. ის დადგა, თვალი მოავლო ყველას. ხედით, ნუ სულელობთ, გატყუებენ, ნურაფერს დაუჯერებთ მეთქი. კერძო საკუთრება ღვთისაგან გაჩენილია. დიდის და პატარას გარჩევა უნდა იცოდეთ. ბატონს თავისი ადგილი აქვს და გლეხს — თავისი. თუ სხვებმა არ გიპატრონეს თქვენ არ შეგიძლიათ საერთო ცხოვრება მოაწყოთ. მოხვედით ჭკუაზე. აგრე არ სჯობიან?!

— შევცდით ბატონო ზაქარა, გლეხ-კაცს ჭკუა ვინ მისცა.

— ჰო-და, როცა თქვენ უჭკუონი ხართ, სხვებს უნდა დაუჯეროთ.

ზაქარამ თავი მაღლა ასწია და ამაყად წავიდა ეკლესიის კარებისაკენ.

გლეხებმა თავები ჩაღუნეს.

მაგრამ აქ მო! ა საკვირველი ამბავი.

მიმავალ ზაქარას წინ გადაუდგა მიხუანთ გიგუა, ის გიგუა, რომელიც მუდამ კრიჭაში ედგა მას და გასაქანს არ აძლევდა. ირონიულად გაიღიმა.

— რაო, რაო? რას გვიბრძანებთ ბატონო ზაქარო? თქვენ გვასწავლით როგორ უნდა მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება? განა თქვენ კარგ რამეს გვიჩვენებთ? განა თქვენისთანა „კულაკისაგან" კარგს რამეს უნდა მოელოდეს ღარიბი გლეხობა? თქვენ ყველაფერში ხელს გვიშლით, თქვენ ჩვენი დაუძინებელი მტერი ხართ, თქვენ ყოველივე საერთო საქმის წინააღმდეგი ხართ. თქვენ შურით და გესლით გული გევსებათ, როდესაც ხედავთ, როგორ სწრაფად მიდის წინ ჩვენი საერთო საქმე. გიცნობთ, გიცნობთ. თქვენისთანა კულაკები ბევრია ჩვენში, მაგრამ ჩვენ იმდენი ძალ-ღონე კიდევ შეგვწევს, რომ დაგბერტყოთ და ცარიელ ტომარივით შორს გადაგისროლოთ.

ეს კი საშინელება იყო ზაქარასთვის. ამას ის არ მოელოდა. სიბრაზისაგან გული ყელში მოებჯინა, თვალები ცეცხლივით აენთო, კბილები გააჩრჭიალა, [illegible] ძალა და ღონე ჰქონდა სახრე [illegible] და... მძინარე ცოლს თავში სდრუზა.

თავგატეხილი თიკო ლოგინიდან წამოვარდა და ცივი ხმით კივილი მორთო. ბავშებმაც გაიღვიძეს და ზიზინი დაიწყეს.

ახლად გამოღვიძებული ზაქარა ვერ გამორკვეულიყო — რა ამბავი იყო. ეგონა— ცეცხლი გაჩნდაო. თოფნაკრავივით ზეზე წამოვარდა და აფუებულ პურის ცომით სავსე ვარცლში მაგრად ჩაჯდა.

ჭინჭრაძე



კულაკი კოლექტივის სიმძიმის ქვეშ

## „ეს არ არის ჩემი საქმე; ამისთვის არ ვზივარ აქ მე“.

შანციანი.

ქუთაისის ძაფ-საღებ ქარხნის კანტორაში ბიუროკრატობას ვერავის დასწამებთ. არც მეტიჩრები სხედან შიგ. სხვებს რომ სჩვევიათ — სხვის საქმეში ჩარევა — აქ ასეთ მოვლენას ადგილი არა აქვს.

სხვის საქმეში ჩარევა კი არა, მაინცდამაინც თავის საქმეშიაც არ ერევიან. როცა ქარხნის მუშა მიმართავს, მათ მზად აქვთ:

— ეს არ არის ჩემი საქმე!

აი ასეთი თავდაბალი ხალხია კანტორაში.

მუშას უხდება უბრალო ქაღალდის აღების გამო, მთელი კანტორისა და შიგ მოსამსახურეთა შემოვლა, რომ ბოლოს „ამერიკა მაინც აღმოაჩინოს სადმე“, ე. ი. აღმოაჩინოს ის კაცი, რომლის საქმეც ყოფილა თურმე გასაკეთებელი საქმე.

ალბად წმენდის შემდეგ ბევრ მათგანს, მართლაც, აღარ ექნებათ საქმე.

## თავმჯდომარე მთვრალია, რადგან ღვინო დალია

სევ. ლო—დი.

ანტირელიგიურ კამპანიას, რასაკვირველია, ყველაზე უფრო საეკლესიო უქმეებისა და რელიგიურ დღესასწაულების დროს უნდა ვატარებდეთ და ვაცხოველებდეთ.

ეს გარემოება სცოდნია ჯურუყვეთის (ოზურგეთის მაზრა) აღმასკომის თავმჯდომარესაც და ზოგიერთ სხვა მესვეურებსაც.

ძველ კალენდარებში აღნიშნული იყო — 8 ენკენისთვეს (ახალი სტილით — 21-ს) ღვთისმშობლობა.

ჯერ კიდევ ამ პატივცემულ მანდილოსანს შერჩენია მოხუც იოსებსავით რამდენიმე თაყვანისმცემელი. მათ რიცხვში, წარმოიდგინეთ თქვენ, გახლავთ ჯურუყვეთის მესვეურნიც.

მოვიყვანთ ადგილებს მათ დაკითხვიდან:

— განა დასაშვებია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა საეკლესიო დღესასწაულში მონაწილეობა მიიღონ და დათვრენ?

— ჩვენ დავითვერით იმიტომ რომ... (ენა ებორკება, ფეხი ეშლება, ავიწყდება სიტყვები)... ჰო, იმიტომ, რომ.., თქვენც ხედავთ წელს მაჭარმა დაიგვიანა; რაც ხანია მალე ღადგება მაჭრობა. ძველი ღვინო უნდა გაგვესაღებია, თორემ დაძმარდებოდა და... და ძმარს ვინ დალევს?

— ჩხუბი და ცემა-ტყეპა დასაშვებია?

— მიზანი ამართლებს საშუალებას...

ჰო, ეს სთქვა, ამხანაგო, ენგელს ბე-ბე-ბერმ... ბებელმა... ენგელს ბებელმა. ჰო-და, ჩვენი მიზანი იყო ღვთისმშობლობა მორწმუნეთათვის ისე ჩაგვეშწარებია, რომ მომავალ წელს ველარ გაებედნათ ღვთისმშობლობის გადახდა. ჩხუბი და ცემა-ტყეპა ამისათვის მოვაწყვეთ. ცოტა თუ მაგარი ზომები არ მივიღეთ, კულტურული რევოლიუცია დაიგვიანებს!.. — ამბობს მირონ.

— ილიკო მურანიძეს ვინ სცემა?

— მე ვცემე! — მაშინვე წამოიძახა კოწიამ. — მანაც დამიპირა სამაგიერო გარტყმა, მარა რომ შემომხედა და მიცნო — თავმჯდომარე ვიყავ, ველარაფერი გამიბედა, მუშტი დაუშვა და ზურგი მიჩვენა საცემათ.

— კაცო, ასეთ წვრილმანზე ღირს ლაპარაკი? ჩვენ ერთმანეთს თავები დავუტეხეთ, ამაში ვის რა ეკითხება! — აცხადებს და წინადადებას იძლევა — წავიდეთ დარჩენილ ღვინის დასალევათ. (მიდიან სიმღერით):

**ეს სოფელი დუმა არის ცხვრისაო,**
**ვადღეგრძელოთ დედა მაცხოვარისაო.**

ჩვენ გვგონია, ეს გედის სიმღერა იქნება.

## მიყვარს ჩემი ცეკავშირი, შემაყვარა ცეკვა ხშირი

„მ“ № 2058

როცა ბათომში ფინსახკომის თანამშრომლებმა გაიგეს, რომ მათი ყოფილი თანამოსამსახურე დუდუჩავა, რომელმაც გაანიავა 25.000 მანეთი (დიახ, 25.000 მან. შეცდომა არ გეგონოთ) მოეწყო ტფილისში ცეკავშირში, ზოგიერთ მათგანს თავში გაუელვა:

— მოდი, მეც გავფლანგავ და ეგებ მეც მხვდეს წილად ასეთი დაწინაურება!

ერთი სიტყვით, ფლანგვის საღერღელი ბევრს აეშალა.

მართალია, საბჭოთა ხელისუფლება აფასებს სპეცებს და ჯეროვან პატივსაც სცემს, მაგრამ სპეციც არის და სპეციც.

ისიც მართალია, რომ ვანო დუდუჩავა სტაჟიანი და გამოცდილი სპეცია. (დიახ, სპეცია ფლანგვაში), მაგრამ ცეკავშირი თვალს უნდა ახელდეს და ბრმად არ უნდა ღებულობდეს ყველა იმათ, რომლებსაც პროტექტორები ხელში მიაჩეჩებენ თავიანთ ამქრებს.

ამის შესახებ დიდი ხანია პრესამ გააფრთხილა ცეკავშირი. ეს უკანასკნელი, თურმე, ასე ფიქრობს:

— ჯერ ჩვენთან დუდუჩავას არ გაუფლანგავს 25.00- მანეთი და ამ თანხის შესრულებამდე როგორ მოვხსნათო! დუდუჩავა კი ასე ღიღინებს თავის კაბინეტში:

**მე ვარ ვანო დუდუჩავა,**
**ჩემს ჯიბეში ფული ჩავა,**
**ჩავა, ჩავა, ბლომად ჩავა.**
**მიყვარს ჩემი ცეკავშირი,**
**შემაყვარა ცეკვა ხშირი.**
**ცეკვა ხშირი, ხშირი, ხშირი.**

რა უჭირს! რატომ არ იღიღინებს. ცეკავშირმა იკითხოს, თორემ მას რა ედარდება.

## მე გახლავარ ერისთავი, და მაქვს ჭკუით სავსე თავი.

„მ.“ № 2059.

ყოფილი ციხის უფროსი, თავადი და მემამულე, რომელსაც 300 მანეთამდე აქვს თვიური შემოსავალი, თქვენ როგორ გგონიათ, სად იქნება?

სახლში?

არა.

ეს გახლავთ (ჯერ გაიცანით) ვარლამ ერისთავი, რომელიც მსახურობს რიონჰესში სამნეო ნაწილის გამგედ.

როცა კოლეგები ჩუმად შეეკითხებიან ვარლამს, თუ რა ხრიკებით მოეწყო ასეთ თბილ ალაგას, უკანასკნელი ასე უპასუხებს:

**კაცი უნდა იყო ხერხი,**
**გაგქონდეს და გამოგქონდეს;**
**თანაც უნდა იყო ეშო,**
**რომ თავისკენ მიითლიდე.**
**თუ თავი ჩემი თან მახლავს,**
**ღარიბად არ ვიხსენები.**
**იქეთ სალაროს წიხლსა ვკრავ**
**შიგნით ფულებსა ყლაპს ვუზამ.**
**პროტექტორი თუ კი მწყალობს,**
**რას დამაკლებს მუშკორიო;**
**თუ კაცი კაცად არ ვარგა,**
**უშველის გვარიშვილობა.**

განა მარტო ერთი ვარლამია ჩვენს დაწესებულებებში? უამრავი! ისინი ისეთი ელასტიური, მოქნილი არიან, რომ წმენდის ცოცხსაც დაუძვრებიან ალაგ-ალაგ. მაგრამ კარგი მწმენდავი და დამგველი ის არის, ვინც გახვეტის დროს არ დასტოვებს ნაგვის ერთ ნამცეცსაც.

# ახალი აგრონომი



გლეხი (ახალ აგრონომს): —გვ უშველეთ რამე, ხეები გვიხმება.
— დამაცადეთ! სადლაც ამ წიგნში უნდა იყოს საამისო წამალი!

# წერილი ტარტაროზს

ტყიბული.

აქ არის ვიღაც ჩიტიძე—
ბიუროკრატი დიდია.
მუშების საქმის კეთება
იმას ფეხებზე ჰკიდია,
ჩიტაძის გარდა სხვებიცა
აქ კიდევ ბევრი არიან;
მუშებს გვიბღვერენ ქორივით
და ვეძულებით ძალიან.
ეხლა მოვძებნოთ „სადურგლო
სამექანიკო ცეხები“.
უნდა გითხრა, რომ აქ „ბრონებს“
ალარ აბიათ ფეხები.
რაიც არ უნდა ავიღოთ
სულყველგან მაი აგზავნიან
ერთი მითხარით—აბა იქ
ბრონები რას ისწავლიან?!
ჯამაგირები არ არის
და დროზე არ არიგებენ,
„ფული ისესხეთ სადლაცო“—
ამგვარად დაგვარიგებენ.
ამ ნაკლის გასასწორებლად
შენი ჩანგალი გვჭირია;
ამოდი, თან წამოიღე
და მოგვაშორე ჭირია.

გ. მედგარიძე.

## სუფსა (ოზურგ. მაზრა)

მშვიდობიანი მარცხი. აღმასკომის დამპალ კიბიდან გადმოვარდა აღმასკომის თავმჯდომარე და კისერი კინაღამ მოიტეხა. ამგვარად კიბის შეკეთების საკითხი ისევ გადაიდო, რადგან თავმჯდომარეს ნათქვამი აქვს: „სანამ ამ კიბეზე კისერს არ მოიტეხს ვინმე, მანამდე არა მაქვს უფლება ხარჯები გავიღო კიბის შესაკეთებლადო“.

გულის წასვლა. მოხარშული სიმინდის დანახვაზე გული წაუვიდა ტყავაძეს, რომელიც ძლივს მოაბრუნეს.

## ბანძა (სენაკ. მაზრა)

ლუკმის მოტაცება. გლეხკომის სასადილოში მოსადილეს ძაღლებმა ხელიდან გამოსტაცეს გასახრავი ძვალი. მოსადილის საყვედურსა და გაჯავრებაზე, სასადილოს გამგემ ასე დაამშვიდა მოქალაქე:

— რა გაჯავრებს, ჩემო ძმაო? ძაღლები აქ იმიტომ გვყავს შემოჩვეული, რომ მოსადილეებს ძვალი გამოსტაცონ, თორემ ყელში გაგეჩხირებათ და დაგახრჩობთ. ხომ ხედავთ — კერძში სულ ძვლებია!

აბაშისპირელი.

## ცხუნკური (ქუთ. მაზრა)

გამონაკლისი დღე. გუშინ აგრონომი გრიგოლ ბარველაია სკოლაში ფხიზლად გამოცხადდა და იმ დღეს სკოლაში ქეიფი არ გაუმართავს. ამბობენ: იმავე დღეს წითელ სასადილოში ნისიის გადახდაც დაეპირაო და გამგესთვის არ შეუგინებიაო, არც ავალიშვილის ოჯახში, სადაც ის ცხოვრობს, უწესოება არ ჩაუდენიაო.

სოფელში ამბობენ: ალბად ეს ამბავი დიდი რამ მოვლენის წინამორბედიაო.

ცხენის დაკარგვა. აღმასკომმა დაჰკარგა საექიმო პუნქტის ცხენი, რომელზედაც იჯდა აღმასკომის თავმჯდომარე. ცხენი ქურდებმა მოიპარეს. ვინაიდან ზედ მჯდომი კაცი გადარჩა მოპარვას, აღმასკომის მდივანმა ცხენის ძებნისა და გადარჩენილ კაცის მაყარიჩის ანგარიშში 30 მანეთის წაიქეიფა. ამგვარად დაკარგული ცხენი დაჯდა: 250 მან. + 30 მან. = 280 მანეთი.

არ ცდებიან. თემსაბჭოს არცერთ სექციას ჯერ სხდომა არ გაუმართავს, რადგან სექციის წევრები გაცდენას ერიდებიან და ზრდიან შრომის ნაყოფიერებას... საკუთარ ოჯახში.

ერთდროული დახმარება. გლეხკომის სასადილომ გასცა 600 მანეთამდე ნისია სხვადასხვა [illegible]რებსა და თავის მოსამსახურეებზე.

თვითმომარაგება. კოოპერატივიდან საქონელი პირველად ეძლევა ნოქარსა და მის ნათესავებს, შემდეგ კულაკებსა და შეძლებულებს. ნოქარი თავს იმართლებს: — ღარიბებს ფული არა აქვთ და მაინც ვერ იყიდიანო.

მოლი.



იქ, სადაც იყო ტყე და ბუჩქნარი

# ცნობათა მიღება

**ს. ლორდს** (ჯურყვეთი, ჯუმათი). ორი გარემოება გიშლის თქვენ ხელს გახდეთ ტარკორი: თქვენი „ლორდობა" და ლექსის წერის უვიცობა, თუ თავიდან მოიშორებთ ამ ორ ნაკლს, შემდეგ ადვილია ტარკორად გახდომა.

**„ფატერლიხს"** (ქ. ლანჩხუთი). ალბად თქვენც კარგად გახსოვთ, რომ თქვენს ლექსში ერთ ადგილას ასე სწერთ:

**გამიარა ვილაცამ, ყურში სილა გამაწნა,**
**დამანახვა მეგონა გალმა ნასაკირალი.**

ალბად ასეთი ლექსის დაწერისათვის გაუწნია სილა.

**ჯიკნარელ ბზიკს,** (აცანა) ფსევდონიმით მიბაძვას, სჯობია წერით მიჰბაძოთ ჩვენს თანამშრომელს. საუბედუროდ, ამ წერილსაც ასეთივე ბედი ეწია, როგორიც უწინდელ წერილებს.

თქვენ გვწერთ: — **ბუფეტში ყველაფერი ისე ძვირი იყო, რომ არავინ ეკარებოდაო.**

ამას შემდეგ არც ის არის გასაკვირი, თუ წარმოდგენა-სალამოს მომწყობ კომისიამ თვითონვე მიირთვა სურსათ-სანოვაგე და სკოლას არაფერი დარჩა. ჩვენც გეთანხმებით, რომ — შესაძლებელია განგებ დააწესეს ასეთი ნიხრი, რომ არავინ გაჰკარებოდა და მათვე დარჩენოდათ.

**ამირანს** (სოფ. ლილაძისეული) ეს ადგილობრივი ხელისუფლების საქმეა, და არა ჩვენი.

**ნათელას** (სამტრედია). წერილი ვერ არის ნათელი და ამიტომ ვერ ვბეჭდავთ. ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს შესახებ, იხილეთ მომავალ ნომერში „ჯოჯოხეთის კუთხე".

**ლადოიას**. თუ თქვენ ამ წერილის დაბეჭდვას ელოდებით, მართლაც „უნაყოფო იმედი" გქონებიათ. ყველაზე უკეთესი ადგილი თქვენს ლექსში ეს არის:

**ჩემო ნუგეშო დედმამავ,**
**ჩემო იმედო ოჯახო,**
**არ შეშინდეთ, მოკლე დროში**
**გიმფარველებ თქვენი დათო.**

პო-და, ეს რომ ყველაზე უკეთესია, სხვა რა იქნება?

**კიკოს** (ჭიათურა). გვწერთ, რომ „ეს ლექსი აგებულია სინამდვილეზე"... მარტო ეს არ კმარა; საქმე ის არის, თუ როგორ არის აგებული. თვითონ თქვენ დაუკვირდით და ვასინჯეთ:

**ორის ნახევარზე უკვე**
**ბარბაქაძე გარბის სახლში,**
**წუთითაც ვერ გააჩერებ**
**მოუნათლო თუ გინდ ბაგში.**

„მონათლა" თქვენს ლექსაც სჭირია.

**ბუტოს** (სოფ. გორისა, შორაპ. მაზრა) თუ კიდევ მეტი ფხა და უნარი არ გამოიჩინეთ განათლების განყოფილების გასლვიძებლად, ამაოა თქვენი:

**ლოდინი, რომ მასწავლებელს**
**გამოგზავნის მაზრა.**
**(კაცი ალბად ღრმა ძილშია,**
**და არ მოსდის აზრად).**

**ი. ბ. რატ-ნის** (ბათომი) გვატყობინებთ, რომ „ზაკტპო"-ს სავაჭროში.

**ნაცვლად წინა „ნაქებ" გამგის**
**ცენტრმა გვიძლვნა ასაშვილი.**
**ძველზე უხეში, თავხედი,**
**მოსაძებნელი ყმაწვილი.**
**გაქნილ ვაჭრებს ხელს უმართავს,**
**ამას ვიტყვი თამამათა.**
**მათთან ქეიფში ასაშვილს**
**ხშირად ნახავთ თამადადა.**

სწორედ თქვენზე ყოფილა თქმული: „ვაის გავეყარე, უის შევეყარე"-ო. ბარემ-და მაგ „შეჩვეულ ჭირს" გაუძელით, თორემ, ვინ იცის, შესაძლებელია, მაგაზე უარესი დანიშნოს ცენტრმა. (აკი ასე სჩვევია თურმე!).

**წიფნარელს** (ქუთ. ძაფ-სალ. ქარხანა) რას ერჩით, კარგი ამბულატორია და კიდევ უკეთესი წამლობა გქონებიათ თუ:

ექიმი ეტყვის ფერშალს ლათინოურად:
— მაგას დაალეუუს ტირ-ტორკუუს დესიტ წვეთიუს...
**— მაგას დაალეუუს ტირ-ტორკუუს დესიტ წვეთიუს...** მოუსიუს... მესამეს — გაანთავისუფლიუს სამიუს დღისიუს.

**ოლოლს**. იხუმრეთ, თუ მართლა დასაბეჭდათ გამოგზავნეთ ეს წერილი? ჩვენ არც ისე ცუდი შეხედულების ვართ თქვენზე, რომ ეს თქვენი თავგადასავალი სერიოზულად ჩამოგვართვათ.

**მომიზნეს** (ლანირ-ძუტირიწჯო.(შყ„ უვო ლშჩძ წერილი ვერ მოხვდა მიზანს, ასცილდა და გოდორში ჩავარდა.

**მიხლინსკის**. (ტყიბული). რა გენაღვლებათ, თუ თქვენი რადიო მოიპარეს! სულერთია, ქურდსაც არაფერში გამოადგება.

რაც შეეხება იმას, რომ:

**კლუბს ოთხმოცი გამგე ჰყავს,**
**ავვიშენდა აწ კერა.**
**ყველამ ვიცით და გვჯერა:**
**საქმენი რომ წინ წავა,**

ეხლა დაღუპულა თქვენი კლუბი. (როგორი გულუბრყვილო ყოფილხართ, თუ „80 გამგე" გიხარიათ!).

**ძიფაჩალას** (ს. ჯვარცხმა, გურია) ალბად კოოპერატივის ნოქარს ეხება ეს ამბავი:

**კვირაში სამჯერ ნახავთ**
**კოოპერატივში შალვას.**
**(გადაეჩვევა ნეტა**
**საქონლის გადამალვას?)**

თუ რითმის გულისათვის („შალვა", „მალვა") არ არის აქ გადაჭარბება, სრული ჭეშმარიტებაა, რომ თქვენს ნოქარს ყურის აწევა მოუხდება.

**მამწარალს** (ტობანიერი): — თუ თქვენი ალმასკომის თავმჯდომარე თავს იმართლებს:

**— სოფელი როგორ ნუდა შემოვიარო და დავათვალიერო, როცა ცუდი გზებია და გავლა შეუძლებელია:** — მოტივი მისაღებია. მართლაც და რა უნდა ჰქნას მან? გზებს ხომ ვერ გააკეთებს?

**ჩიორას**. სხვებს რომ ტარკორი ეგონოთ, ეს არ კმარა იმისათვის, რომ თქვენ შესძლოთ ეს მძიმე მოვალეობა. ჩვენი კარები ღიაა, მობრძანდით.

**შურდულს**. (გომი, ქუთ. მაზრა). სამაზრო ხელისუფლების საყურადღებოდ და ამ საქმის გამოსაკვლევად, თქვენი ლექსიდან ეს ადგილიც კმარა:

**ალმასკომის თავმჯდომარე**
**მე გახლავარ ვალოდია,**
**ჩემი ცუდი ყოფა-ქცევით**
**გლეხებს ადევს ქვა-ლოდია.**

**ჩაქვის „ჩითვერიანს"**. (ჩაქვი). სხვებს უსაყვედურებთ — სმას. მაგრამ, როგორც თქვენი ფსევდონიმიდან სჩანს, ნათზე მეტი თუ არა, ნაკლები მსმელი არც თქვენა ყოფილხართ. დავიწყეთ თქვენი გრძელი წერილის კითხვა და როცა წავაწყდით:

**დანარჩენი კიდევ არის**
**გიორგი და ტარასია,**
**მათი საქმეს რომ უყურო,**
**ვითომ კინო-პალასია,** — წავვიხდა კითხვის „ხალისი". (რა შუაშია აქ „კინო-პალასი"?) სწერეთ მოკლედ.

P. 4188



# ნაადრევი სიხარული

## კოლექტივის დაარსებამდე

— ჰმ! ესენი ააშენებენ სოციალიზმს?! ჩემთან რომ არ მუშაობდენ, სიმშილით დაიხოცებიან!

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია. გაზ. „მუშა"-ს გამოცემა. დაწუნებულ მასალებს რედაქცია არ ინახავს და არც ავტორებს უბრუნებს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; საჭიროა ავტორის ვინაობა. რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. № 4. ტელ. 18—90.

მთავლ. № 1473 პოლიგრაფ-ტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქ. 68.

კვირა, 20 ოქტომბერი 1929 წ. № 43 (227) ფასი 10 კაპ.

# ტარტაროზი



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | 1 | 6 | 11 | 16 | 21 | 26 |
| სამშაბათი | 2 | 7 | 12 | 17 | 22 | 27 |
| ოთხშაბათი | 3 | 8 | 13 | 18 | 23 | 28 |
| ხუთშაბათი | 4 | 9 | 14 | 19 | 24 | 29 |
| პარასკევი | 5 | 10 | 15 | 20 | 25 | 30 |



**ჩვენთვის განუწყვეტელი,**
**მტრისთვის წელში მწყვეტელი**

ტარტაროზი:—ამხანაგებო, აი გადავდივართ განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე და... ხუთწლიანი გეგმის შესრულებისას. ჩვენში არ უნდა დარჩეს არც ერთი მავნებელი.

# განუწყვეტელი სამუშაო დრო

ექვთიმე, ადგილკომის თავმჯდომარე, პირველი მიეგება ალტაცებით განუწყვეტელი სამუშაო კვირის შემოღებას.

— კარგია, თქვენ ნუ მომიკვდებით —ამტკიცებდა იგი— აქამდის იყო:

**„ექვსი დღე უღელში ები,**
**მეშვიდეს დაწექ მხარზედა...“**

ამიერიდან კი—იმუშავე ზედი-ზედ ოთხი დღე, ხოლო მეხუთე დღე კი მოიხმარე შენთვის, როგორც გინდა: დაისვენე, გაერთე, შესწირე გათვითცნობიერებას თუ რასაც კი მოისურვებ!..

— რას ამბობ?

მკაცრად უჭრიდა მას „ზავხოზი“, ფარსადან ფარიაშვილი.

— ყოველი მეხუთე დღე თუ დავისვენეთ, წელიწადში ჯერ ამ ანგარიშით ბარემ 70-ზე მეტი დასასვენებელი დღე ხვდება თვითეულ მუშა-მოსამსახურეს. ახლა მიდი ზედ ჩვეულებრივი დღე-უქმეებიც, რომელიც საერთო სახელმწიფოებრივ მაშტაბით, ალბათ, ყველასათვის სავალდებულო იქნება და გამოვა წლის თითქმის კაი ერთი მესამედი.

— ხა-ხა-ხა-ხა!..

სიცილით აყრიდა მას ქოქოლას ადგილკომის თავმჯდომარე.

— პირ იქით, ჩემო ფარსადან: ამ წესით თურმე სახელმწიფოც იგებს დროს და მუშა-მოსამსახურეებიც.

— როგორ? ამიხსენი ერთი კარგათ ეს, თორემ ჩემს „ზავხოზურ“ პრაქტიკაში ასეთი რამე სრულიად გაუგებარი რჩება. მე ასე მწამს: თუ, მაგალითად, საწყობში მიწყვია რაიმე რესურსი, რასაც ადრე-ადრე გავსცემ მას დასახარჯავათ, მით უფრო მალე გამომელევა ის.

— არა, ეს ასე არ არის, რა თქმა უნდა. ჩვეულებრივი ხარჯვა რომელიმე დოვლათისა და განუწყვეტელი საწარმოო კვირის რეფორმა ერთი და იგივე, სრულიადაც არ გახლავს. აქ თუ დიდდება საერთო რიცხვი დასასვენებელ დღეებისა,სამაგიეროთ, — მცირდება ძველი ჯამი ყოველნაირ კვირა-უქმეებისა და ეგრედ წოდებულ პარაზიტ-დღესასწაულებისა.

ეს ერთი.

მეორეც — განუწყვეტელ საწარმოო დროზე გადასვლა წარმოებისათვის დიდათ ხელსაყრელია: მანქანები სულ მოქმედებაშია, ისინი ნიადაგ დატვირთულნი არიან მუშაობით, რაც საგრძნობლად ადიდებს შრომის ნაყოფიერებას:

— მაინც არაფერი მესმის — გაიძახოდა სკეპტიკურად „ზავხოზი“ და ეკამათებოდა ადგილკომის თავმჯდომარეს არა მარტო კერძო საუბარში, არამედ იმ ოფიციალურ სხდომაზედაც, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო მათი დაწესებულების განუწყვეტელ საწარმოო დროზე გადასვლის საკითხიც.

მაგრამ, მიუხედავად „ზავხოზის“ ქინ-უხრელი სკეპტიციზმისა, განუწყვეტელ საწარმოო დროზე გადასვლა მაინც გადაწყდა, ხოლო მის ცხოვრებაში დაუყოვნებლივი გატარება „ზავხოზსაც“ ისევე დაევალა, როგორც სხვებს.

გავიდა ოთხი დღე და „ზავხოზი“ ისეთი სიამოვნებით შეუდგა ახალი დასასვენებელი დღით ნებივრობას, რომ ამასთან შედარებით ყოველკვირეული დასვენება ბუზადაც კი აღარ უჩანდა.

— კარგია, თქვენმა მზემ — იმეორებდა თავის გულში „ზავხოზი“ — ტყუილად ვედავებოდი და ვეწინააღმდეგებოდი ამაზე ექვთიმე გამრეკელაძეს, რომელსაც კარგათ არც კი ესმის დასასვენებელი დღის გემო. უწინ, როცა კვირა - უქმეები „ნაკლები“ იყო, მაშინაც კი ვერ სარგებლობდა იგი ამ დღეებით რიგიანად: ან კრებებზე კი მეეხეტებოდა, ან საშეფო სოფლისაკენ კი მიჩანჩალებდა, ან რაღაც კურსებისა თუ სამეცადინო წრეებისაკენ კი მიეხეტებოდა და დავიჯერო, რომ ახლა იგი ჩემზე უკეთესად მორთავს ამ უფრო გამრავლებული „უქმეებით“ სარგებლობას?!

ფარსადან ფარიაშვილი სავსებით მართალი აღმოჩნდა. ოთხი ჩვეულებრივი სამუშაო დღე გავიდა. დადგა ადგილკომის თავმჯდომარის დასასვენებელი დღე.

— იცი, მარიამ? — მიმართა მან დილით ცოლს.

— ჰო, რა იყო კიდევ? იქნება დღესაც არ გნებავს დამიტოვო სადილის ფული, ისე წაბრძანდე სამსახურში?

— არა, დღეს მე სამსახური კანონით და წესით არ მიწევს.

— როგორ? გამოგისტუმრეს თუ წმენდაში მოყევი?

— არც ერთი და არც მეორე!..

— მაშ?

— დღეს ჩემთვის დასასვენებელი დღეა. ხომ იცი, ჩვენი დაწესებულება განუწყვეტელ საწარმოო დროზე გადავიდა და ამიერიდან ყოველ ხუთ დღეში ერთი დასასვენებელი დღე მიწევს და ევთიმე გამრეკელაძეს ნაკლეზი დრო და ენერგია არ დახარჯვია, რათა მოეტეხა თავისი საკმაოდ ჯიუტი მეუღლე და დაემტკიცებია ამ უკანასკნელისათვისაც ისე, როგორც ეს მან დაუმტკიცა „ზავხოზს“, ფარსადან ფარიაშვილს, განუწყვეტელი საწარმოო დროს უპირატესობა ძველი წესის წინაშე.

—მაშ, რაღას უდგეხარ, გასწი დღევანდელი სადილისათვის სანოვაგე მოარბენინე.

— მაპატიე მარუს! დღეს დღეობით მე არ შემიძლია ხვედრი უქმით სარგებლობა, იმდენი გადაუდებელი საქმე არის. მართალია, ინდუსტრიალიზაციის დღე ჩავატარეთ, მაგრამ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის კამპანია განსაკუთრებულ სიძნელეებს იწვევს. მისი ჯეროვანად ჩატარება ძარღვების დიდ დაჭიმვას მოითხოვს ჩვენგან და ასეთ დროს ხომ იცი, მე მოსვენებაზე ფიქრიც კი არ შემიძლია.

მარო, ადგილკომის თავმჯდომარის ცოლი, მართალია, ჯიუტი და ქინუხრელი იყო, როგორც საზოგადოთ ყოველი ერთგული ცოლი, მაგრამ ქმრის მიერ მოყვანილ საბუთებს ამჟამად მაინც პატივი სცა და დიდი წინააღმდეგობა აღარ გაუწევია.

მაგრამ შემდეგ ხუთეული დღეების ანგარიშს კი მარო დიდის ინტენსივობით აწარმოებდა.

და აი, მოვიდა შემდეგი „მეხუთე დღეც“.

— დღეს შენ წახვალ, ექვთიმე, ბაზარში!

ისეთის სიმტკიცითა და დარწმუნებით კი წარმოსთქვა ეგ სიტყვები მარომ, რომ ექვთიმესთვისაც კი ცხადზე უცხადესი ხდებოდა წინააღმდეგობის გაწევის სრული უნაყოფობა.

— მეეე?!

გააგრძელა ექვთიმემ ეს შეკითხვა, თითქოს დანარჩენი საწინააღმდეგო სიტყვის გამოთქმისათვის უკვე ენა დაებაო.

— მაპატიე, მარუს, მაგრამ დღეს მე ფრიად გადაუდებელი საქმე მაქვს ადგილკომში...

და მაროს დანამზადები ჩაითა და საუზმით დაპურებული და დაწესებულებაში წასასვლელად აჩქარებული, ექვთიმე სალფეტკით ტუჩებს ილამაზებდა, როგორც კმაყოფილება მიღებულმა მამალმა ბეღურამ იცის ხოლმე შემდეგ ნისკარტის წმენდა ხისტოტზე.

— რაო, რაო?! „გადაუდებელი საქმეო!..“ „როცა დაწესებულება მუშაობს“!.. მაშ, შენი ფილოსოფიით, დაწესებულება რომ მთელი წლით გამუდმებით იმუშავებს, შენც გამუდმებით სამუშაოზე უნდა იარო?! ავადმყოფი კაცი. შენს ჯანზე მაინც არ ფიქრობ? ოხ, ქმარი მყავს მე? მეც სხვასავით ოჯახის პატრონი ქალი მქვია?! ოხ, ქმარი მყავს მე?მეც სხვასავით ოჯახის პატრონი ქალი მქვია?!

და სამსახურისკენ ჩქარი ნაბიჯით ასწრაფებულ ექვთიმეს, ქუჩაშიც კი კაი ხანს ესმოდა მაროს საყვედურები.

დაწესებულებაში მისულ ექვთიმეს წინ შემოხვდენ, „ზავხოზი“ და კომუჯრედის მდივანი ვანო ბრძოლაძე და ფარსადან ფარიაშვილი. პირველი პირზე მორეული მხიარული სიცილით უმტკიცებდა ექვთიმე გამრეკელაძეს განუწყვეტელ სამუშაო დროზე გადასვლის მთელს უპირატესობას, მეორე კი — უსაყვედურებდა მას, რომ ის თავისი ჯანმრთელობისათვისაც არ იყენებს დასასვენებელ დღეს.

ნარი.



# დამარცხებული „გამარჯვებულნი"

ამ სათაურში. გარეგნული შეხედულებით ლოღიკური წინააღმდეგობაა. მაგრამ ცხოვრება ძალიან ხშირად არ ემორჩილება ლოღიკურ კანონებს.

კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთმანეთში მუდამ ჰქონდათ და აქვთ მტრობა და ქიშპობა.

ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და სხვა კაპ. ქვეყნები ერთმანეთზე კბილს ილესავენ, ხშირად, ძალიან ხშირად ესენი ერთად იკრიბებიან სხვისას (ერთ რომელიმე მათგანისას ვერ ჰბედავენ, ეშინიათ) და გაჰკივიან მშვიდობიანობაზე. — რა საჭიროა მშვიდობიანობაზე ლაპარაკი, თუ გუნებაში ომი არა აქვთ?!).

ეხლახან დასრულდა ჰააგის (ჰოლანდია) კონფერენცია, სადაც ინგლისს მივლინებული ჰყავდა „მუშათა" მინისტრი სნოუდენი; საფრანგეთს — ბრიანი, ხოლო გერმანიას — აწ განსვენებული შტრეზემანი.

თავიანთი მთავრობები ამ დელეგატებს ავალებდენ სხვა სახელმწიფოების ხარჯზე თავისი სახელმწიფოსთვის რაიმეს გამორჩენას, სხვისთვის წალლეტას.

ამგვარად, ერთი რომელიმე მათგანის გამარჯვება, უდრიდა სხვების დამარცხებას.

მაგრამ...

როცა ჰააგიდან ლონდონში დაბრუნდა (ჯიბეში რამდენიმე მილიონით) სნოუდენი, მას ოვაციებითა და ქებადიდებით შეხვდენ და „გამარჯვებული" უწოდეს.

„დიდი ხანია ინგლისს ასეთი გამარჯვება წილად არ ხვდომია"-ო, — ხმაურობდენ ლონდონის გაზეთებში პირველი გვერდის ანშლაგები. ჰააგის შემდეგ ზურეუაზიაში „მუშათა მთავრობის" პრესტიჟმა ისე აიწია, რომ ბოლდუინი შუაზე დასტოვა. (ესეც დიდი „მიღწევაა").

თუ ლონდონი გამარჯვების, ზეიმს იხდიდა, პარიზი ტრაურში უნდა ყოფილიყო, რადგან ინგლისის გამარჯვება უდრის საფრანგეთის დამარცხებას.

მაგრამ....

საფრანგეთის პრესა იერიქონის საყვირივით გაჰკიოდა და აყრუებდა საფრანგეთს ბრიანის „გამარჯვებით".

„ევროპის შტატების დაარსება", — ეს ხომ საფრანგეთის ოქროპირისა და „პატენტოვან" პრემიერის ფანტაზიაა! (აფსუს, რომ ბრიანი პოეტი არ არის).

ერთი მონაზონის არ იყოს: „ჩემი კი ვქენი: მუგუზალი ხომ ვსტუცე ზღვაში, და აწი თუ ზღვა არ დაშრება, ჩემი რა ბრალია"-ო, — სწორედ ასეა ბრიანის საქმე.

თუ სნოუდენმა და ბრიანმა გაიმარჯვეს, მაშინ ხომ გერმანია ორჯერ მეტად დამარცხებული უნდა გამოსულიყო ჰააგის გაწამაწიადან? (ეს ასეც მოხდა!).

მაგრამ...

გერმანიის მონარქიულ რესპუბლიკის პრეზიდენტმა (ჰინდენბურგმა) გამარჯვება მიულოცა ჰააგის კონფერენციიდან დაბრუნებულ აწ განსვენებულ შტრეზემანს. (იმასაც კი ამბობენ, რომ შტრეზემანმა ისირცხვილა ასეთი „გამარჯვება" და ამიტომ გარდაიცვალაო. მაგრამ „მკვდარებზე ან კარგს იტყვიან, — ანდა — არაფერს". ამიტომ ჩვენც არაფერს ვამბობთ, რადგან კარგის თქმა ამ შემთხვევაში ტყუილი იქნებოდა).

პოლონეთის დელეგატიც რიხით დაბრუნდა ვარშავაში.

პილსუდსკიმაც მიულოცა მას „გამარჯვება" და განაცხადა: „თანამედროვე პოლონეთი გიგანტიური ნაბიჯით მიემართება წინ... (—დაღუპვისაკენ! — დავუმატებდით ჩვენ).

ამერიკის მეთვალყურესაც გუვერმა მხარზე ხელი დაჰკრა ნიშნად ჰააგის კონფერენციაზე გამარჯვებისა.

იტალიის წარმომადგენელს მუსოლინმა შუბლზე აკოცა და „გამარჯვება" მიულოცა.

კიდევ რამდენიმე ასეთი მათი „გამარჯვება" და.. მათი დამარცხება უზრუნველყოფილია.

**ისელი**

# დაზარალებული



მიკიტანი:—ეს ცეცხლი-ღა მაკლდა,,, კვირა დღეს მქონდა ჭარაქიანი ვაჭრობა—ყველა ერთად ჩამოდიოდა საქეიფოდ... მორჩა! ესეც მომისპეს... ეხლა მარტო დ ვინ-ღა მოვა?!.

## ხუთდღიანი კვირა

ხუთდღიან კვირაზე გადასვლამ ძალიან დამაფიქრა.

ყველაზე უფრო ჩემი მეგობარი ყლაპუაშვილი შეწუხდა.

— კაცო, — მითხრა მან,— შვიდი დღე არ გვყოფნიდა და ხუთი დღე რას იკმარებს? აქ ძალიან შეცდენ კომუნისტები.

— შენ რა გენაღვლება, ჩემო გიორგი, ყოველ მეექვსე დღეს დაისვენებ, ამდენ ხანს კი— მეშვიდე დღეს გიწევდა დასვენება! — ვუთხარი მე.

— კაცო, მე ჩემს თავს არ ვჩივი, სხვები მეცოდება, თორემ ისედაც ყოველ დღეს ვისვენებ. ამას რომ თავი დავანებოთ, ის რად ღირდა, რომ კვირას, როცა ყველა თავისუფალი იყო, შევიკრიბებოდით, ან ეტლით გავისეირნებდით, ან საქეიფოდ წავიდოდით. ყველაფერი სათქმელია, ჩემო ძმაო; კვირა რომ გათენდებოდა, აღდგომა იყო ჩემთვის. ჩამოუვლიდი ამხანაგებს და მთელ დღეს ქეიფში ვიყავით. ეხლა მოდი და იწერე შენ—რომელს როდის აქვს კვირა, ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს, ვერ მიხვალ, სირცხვილია, შაბათი და კვირა კი —აღარაა. ძალიან შორს დაუკარგეს ყველაფერს, ეხლა დღესასწაულებს არ იტყვი? ბიჭო, რჯული და ღმერთი, რომ აღარ არის, ეს კარგა ხანია ვიცი, მაგრამ ეს ქამა-სმა ხომ ჩვენი მოგონილია?, ამას მაინც ვცეთ პატივი!

ორი-სამი კაცი კიდევ შემხვდა უკმაყოფილო ხუთდღიან კვირაზე გადასვლით.

ყველას საკმაო საბუთები მოყავდათ ამ წესის წინააღმდეგ და აღნიშნავდენ, რომ ეს წესი არამც თუ ზიანს მოუტანს მარტო სახელმწიფოს, ჩვენშიც სრულიად წაალეკავს ერთმანეთისადმი სიყვარულსა და მეგობრობასო. მაგალითად: დღეს შენი კვირაა, ჩემი კი — სამუშაო დღე. ხომ ვერ მივედით ერთმანეთისას და ვერ გავატარეთ დრო? როდის უნდა მოვილხინოთ აბა? ხომ გაქრა ჩვენში ნაცნობობა?

შობაა, ან ნათლისღება, ან თავისკვეთა. მე ვმუშაობ, შენ დასვენებული ხარ. ხომ ვერ გავმართავთ დღესასწაულს? — მოიყვანა მეორე საბუთი ამყოლიაშვილმა.

— მაგალითებ, შეყვარებული ხარ, ერთი დღე გინდა გაისეირნო შეყვარებულთან ერთად: შენ ისვენებ სამშაბათს, ის კი ხუთშაბათს; როდის გინდა ისეირნო მასთან?

— კაცო, მაგალითებ ცოლი მყავს ლამაზი. ერთ კაცს თვალი უჭირავს მასზე. დღეს ის ისვენებს; მას საშუალება ეძლევა ჩემს სამსახურში ყოფნის დროს გაერთოს ჩემს ცოლთან. ამაზე რას გვეტყვიან კომუნისტები? — აღელვებულად სთქვა ეჭვიაშვილმა.

— ეს კიდევ არაფერია. ავიღოთ ასეთი მაგალითი: მე უცაბედად რევიზია დამეცა თავზე. შემოხარჯული მაქვს ფული. შენ ჩემი ამხანაგი ხარ — მეორე დაწესებულების მოლარეთ. იმ დღეს სწორედ შენი დასვენების დღეა. ერთი მითხარი, როგორ შეგიძლია შენ დამეხმარო მაშინ და შენს სალაროდან გადმომასესხო ფული?— დაათავა სიტყვა ქაფიაშვილმა.

ასეთები ბევრი არიან.

ფიქრობენ... ფიქრობენ და გამოსავალს ვერ ნახულობენ. ეგებ საბჭარატის გამწმენდმა კომისიამ უშველოს რაიმე ასეთ ხალხს!

პ. ობოლი.

ქვირას, 20 ოქტომბერს დღის 1 საათზე გაზ. „მუშა"-ს რედაქციაში შესდგება ჟურ. „ტარტაროზი"-ს თანამშრომელთა (ტარქორთა და მხატვართა) კრება. განსახილველია ფრიად **საყურადღებო საკითხები.**

**დასწრება ტფილისის ყველა თანამშრომლებთათვის სავალდებულოა.**

**დასწრება** შეუძლიათ აგრეთვე **დაინტერესებულ** პირებსაც.

# ხარისხი და თვითღირებულება ანუ თამბაქოსთან ბრძოლის უცნაური „მეთოდი“

— „ნუ სწევ თუთუნს, ნუ სწევ, ნუ სწევ, აბა რათ გსურს აბოლო?“... სწორედ ამ ხმაზე დაიწყო ღიღინი ბოლო დროს ერთმა ჩვენმა დაწესებულებამ, რომელსაც, ჰოი საკვირველებავ! თამბაქოს ტრესტი ეწოდება.

რასაკვირველია, ჩვენ არაფერი გვაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ მშრომელმა ხალხმა თავი დაანებოს თამბაქოს წევას. ეს იცოდეს ყველამ საერთოდ და თამბაქოს ტრესტმა — კერძოთ.

მეტსაც ვიტყოდით, ჩვენ მეტად მოხარული ვიქნებოდით, რომ თამბაქო, რომელშიაც შხამია მოკალათებული, სავსებით განიდევნებოდეს მშრომელი ადამიანის ცხოვრებიდან.

ხოლო თუ თამბაქოს ტრესტი მაინც კვლავ ჯიუტობს, წავალთ კიდევ და კიდევ შორს: მეტად სასურველია, თუ საერთოდ საერთაშორისო მუშათა კლასი უარს იტყვის თამბაქოს წევაზე. არ უნდა ლაპარაკი, რომ ეს ხელს შეუწყობს მისი ბრძოლის უნარის გადიდებას.

შეიძლება ტრესტის მუშაკებმა საყვედურით განაცხადონ, რომ მათ აზრათაც არ მოსვლიათ თამბაქოს განდევნა, რომ უაზრობაა იმ ტოტის მოჭრა, რომელზედაც ზიხართ, და სხვა ამისთანები.

მაგრამ შეიძლება ფაქტებით დამტკიცდეს, რომ თამბაქოს ტრესტი თამბაქოს ებრძვის. ტყუილად რათ ასავსავებთ ხელს ამხანაგნო, ტრესტის მუშაკნო?

ფაქტები, ფაქტები ავალაპარაკოთ:

დავიწყოთ „საბჭოთადან“. ყველას ახსოვს, თუ რა პოპულიარობა და ავტორიტეტი ქონდა მოპოებული „საბჭოთა“-ს („სოვეტსკის“). მომხმარებელთა მასა ფუტკარივით ეტანებოდა ამ მარკას.

„საბჭოთა“ იყო სტაბილური პაპიროსი.

„სტაბილიზაცია, სტაბილიზაცია და კვლავ სტაბილიზაცია“, — ასე ისმის სამეურნეო ორგანოთა დირექტივებში. მართლაც, თუ რომელიმე სტაბილიზაცია - ქმნილმა საქონელმა პოპულიარობა მოიხვეჭა, დაგვეთანხმება თვით ტრესტის სპეცებიც, რომ მისი გაფუჭება უაზრობაა.

მაგრამ ტრესტის მუშაკებს მოუვიდათ ორგინალური იდეა და „საბჭოთა“-ს ფორმა შეუცვალეს, თვით თამბაქოს ხარისხიც გააუარესეს.

ბუნებრივია, რომ მომხმარებელთა ტალღა ნამდვილ ტალღასავით დაირხა და „საბჭოთა“-ს აღარ მიკარებია.

კაცი აღარ ყიდულობდა ამ სახეცვლილ პაპიროსს.

მეპაპიროსენი უდროოთ დაქვრივებულივით იდგენ და ამაოდ ელოდენ მუშტარს.

— „სოვეტსკი“ გაქვთ?

— გახლავთ.

— ძველია?

— არა, ახალი.

— მაშ ახალი თქვენთან იყოს, თქვენ და ტრესტის მუშაკებმა მოსწიეთ. და მყიდველი „ბაქსოიუზით“ იტკბარუნებდა პირს.

ტრესტის მუშაკები თითქოს მიხვდენ, რომ იალღიში მოვიდენ და ისევ ძველი ფორმა დაუბრუნეს „სოვეტსკის“, თუმცა თამბაქოს ხარისხი გააუარესეს. მომხმარებელი შეურიგდა ამ მდგომარეობასაც და კვლავ დაუბრუნდა „სოვეტსკის“.

დრო გადიოდა და ტრესტიც, დირექტივების... წინააღმდეგ, აუარესებდა თამბაქოს ხარისხს (ალბათ, მასთან ბრძოლის მიზნით). ბოლოს სულ მოისპო „სოვეტსკი“ პაპიროსი, რამაც პანიკა გამოიწვია მომხმარებლებში.

კიდევ გავიდა ხანი და „სოვეტსკი“ გამოვიდა. გამოვიდა. მაგრამ რა თქვენი ბრძანებაა: სად ის ძველი „სოვეტსკი“, არომატით რომ გვატკბობდა და სად ეს, — უბრალო ქაღალდში შეხვევული, ყუდ-დაკუნტული პაპიროსი, რომელიც ძალიან ცოტათი განსხვავდება „მახორკისაგან“?!

მომხმარებელთა შორის პანიკა და სასოწარკვეთილებაა:

— იქნება, როგორმე, თუ ძმა ხარ, სადმე რამენაირათ ჩაგრჩა შემთხვევით და გულმავიწყობით ის ძველი „სოვეტსკი“... ემუდარება მომხმარებელი მეპაპიროსეს.

— თქვენ არ მომიკვდეთ, მე არ მოგიკვდეთ, არ მქონდეს...

— რავა დავიჯერო, ერთი კოლოფი მაინც ან თქვენ, ან თქვენს ნაცნობებს არ ქონდეს...

— ვაი, იმ ცხონებული სპეცის მადლი გამიწყრეს, რომელიც იმ ძველ „სოვეტსკის“ აკეთებდა, თუ მე თითონ არ მენატრებოდეს, მაგრამ სად არის!..

— მაშ ის მომეცით, „ბაქსოიუზი“, ან სოხუმის, ან ერევნის პაპიროსი, ისევ ამათ მოვწევ...

ასეთი მიღწევები აქვს ჩვენს ტრესტს სხვა მარკების პაპიროსის დარგშიაც. ეს მიღწევები მარტო თამბაქოს ხარისხის გაუარესებაში კი არ მდგომარეობს: ტრესტის მუშაკებმა გააძვირეს კიდეც თამბაქო: იგივე „სოვეტსკი“ 27 კაპეიკად იყიდებოდა, ახლა ფასობს 29 კაპეიკი, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გამყიდველს კაპეიკიანი ხურდათ უმთავრესად (და პრინციპიალურადაც) არა აქვს, გამოდის 3 კაპეიკი ზედმეტი.

ამრიგათ, თამბაქოს ტრესტი მცირეოდენი ცვლილებით ასრულებს უმაღლესი ორგანოების დირექტივას.

დირექტივაში ნათქვამია (ეს ყველამ იცის): „გააუმჯობესეთ ნაწარმოების ხარისხი და დასწიეთ მისი თვითღირებულება“.

ჩვენს თამბაქოს ტრესტს ეს დირექტივა ასე ესმის: „გააუარესეთ ხარისხი და ასწიეთ თვითღირებულება“

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხდება თამბაქოს განდევნის მიზნით? თუ ეს მართალია, მაშინ საჭირო იყო ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის სხვა ტრესტებთანაც მოლაპარაკება, რადგანაც ისინი იმდენათ ჯიუტები აღმოჩნდენ, რომ დირექტივას ასრულებენ: თამბაქოს ხარისხს აუმჯობესებენ და თვითღირებულებასაც არ ადიდებენ (თუ არ ამცირებენ).

ალლარ-ალლარხან.

## კვერცხის მოყვარული

ს. თიშოთი (ზუგდ. მაზ.)



— ბიჭებო, სკოლაში რად მიგაქვთ ამდენი კვერცხები?

— ჩვენს მასწავლებელთან მიგვაქვს, ვალენტინასთან, ისე სკოლაში არ მიგვიშვებს.

კორშუნი

# პატაკი ტარტაროზს

### მდგომარეობა „ჟაკტებში"

„ჟაკტ" № 10—11-ში
ძაან ბედოვლათია,
ვიგინდარა ვაჭართ დაცვა—
იმისი ადათია...,
მშრომელი ელემენტები
ფეხებზედა ჰკიდია...
თავის თავზე წარმოდგენა
იქ ყველას აქვს დიდია...

### სასამართლოები

საბინაო სასამართლო
საქმეს აზოზიალებს...
(მუშგლეხინი ნეტავი იქ
როდის შეიგრიალებს).
ერთ დღის საკეთებელ საქმეს
მთელი წლობით ათრევს.
(წმენდა „სამადლობელ ფურ-
ცელს"
ალბათ მალე მიართმევს).

### მოხეტიალე ძაღლები

ყველგან დაეხეტებიან
დღეს ქალაქში ძაღლები,
და ყველგან გააბინძურეს:
ქუჩა, ეზო, სახლები...
იშვიათი დაჭერის საქმე
როგორც უნდა—არ ხდება.
(—ეს საქმე ვისაც ეხება—
ეხლა მაინც მოხვდება)...

ტარზან.

## მიხვდენ

ამ ბოლო ხანებში მღვდლები მასიურად სტოვებენ მღვდლობას და იხდიან ანაფორას.



— უკუ ვაგდოთ, მამანო, ანაფორანი ჩვენი, რამეთუ ანაფორამან ჩვენმან უკუგვაგდო ჩვენ!

# გამფლანგველის აღსარება

სული წაუწყდეს გიორგი ერაძის მამას.

ერაძე მენშევიკების დროს შრომის მინისტრიც იყო და მომარაგებისაც. მომარაგების სამინისტრო ერთ და იმავე დროს ასრულებდა საგარეო და შინაური ვაჭრობის დაწესებულების ფუნქციებსაც.

იმ დროს ეს საოხრო საგარეო ვაჭრობის მონოპოლია არ არსებობდა. მთელი საქართველოს საზღვარ გარეთ გატანა რომ მოგესურვა, ამას ადვილად მოაწყობდი ეაძის სამინისტროში.

ნოხები, მატყლი, ნიგვზის ხეები, მარგანეცი, სამშიტი, თამბაქო და სხვა საექსპორტო საქონელი გადიოდა საზღვარ გარეთ— გემი გემზე.

ვისაც თავში ცოტა ჭკუა ჰქონდა და ჯიბეში ორიოდე შაური, სუყველანი ექსპორტიორები გახდნენ.

მე ვულახდილად უნდა ვსთქვა, არც საიმისო ჭკუა მქონდა და არც ჯიბე სქელი, მაგრამ ერაძის სამინისტრო ჩემი ძმა-ბიჭებით სავსე იყო.

ვთხოვე მათ დახმარება და მართლაც გამაკეთეს. ორი ვაგონი ნოხების გატანის ნებართვამ ფეხზე დამაყენა და ისე მაგრა დამაყენა, რომ ჩემი წაქცევა აღარ შეიძლებოდა.

ამ ორ ვაგონ ნოხებს მოჰყვა თან სხვა ვაგონებიც. ვზიდავდით საქართველოდან რაც კი რამ ხელში გვხვდებოდა (ერეკლე მეფის ხმალიც კი არ დაგვიტოვებია), ჩვენ პოეტებიც ნაწერებს, რომ გასავალი ჰქონოდა, იმასაც კი არ დავზოგავდით.

ფული დასტა - დასტა შემოდიოდა. ძმა-ბიჭები, ქეიფი, ზურნა-ნაღარა ყოველ დღე გვამხიარულებდა. ლეკურის ცეკვით თვეში სამ წყვილ წუღას ვცვეთდი. მუშტაიდის ბაღშიაც არ ჩამოვრჩებოდი ლალიძის დუქნის სხვა ბელადებს.

გამოიცვალა დრო. მენშევიკებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ისინი თითონ საექსპორტო გახდნენ — ისე გაცურდნენ შავ ზღვაზე, როგორც ცოცხალი მურწა ჩოფურაშვილის ბაღიდან.

ჩემნაირ „მოღვაწეებმა" მენშევიკებთან ერთად დატოვეს საყვარელი სამშობლო. მე კი ბოლშევიკების შემოსვლის დღეს მაგარი პახმელია გახლდით და ვერ მოვასწარი გაპარვა.

ჩემი ლირები, სტერლინგები, ლორიგან-კოვერკოტები ჩემთან ერთად დააპატიმრეს ჩეკაში, სადაც სამ თვეში

მომანელებინეს ის, რაც რომ ორ წელიწადში გიჭმელით.
— ჩეკიდან გამოველ იაქივით. გასაბჭოებულ საქართველოში ჩემ თავს ისე ვგრძნობდი, როგორ რობინზონ კრუზო კუნძულზე უპარასკევოთ.

საითაც კი რომ ხელი გავიშვირე, ყოველმხრიდან ხელში მიწკაპუნეს.

ბევრი ფიქრის შემდეგ გავქანდი კავკავში, სადა ჩემ ბიძაშვილ ლუარსაბს დიდი თანამდებობა ჩაეგდო ხელში.

რადგანაც სტაჟი კარგი მქონდა, მე ორ სამ დღეში უკვე ენეშტორგის პასუხისმგებელი მუშაკი შევიქენი.

კარგად ვჭამდი და სხვებსაც ვაჭმევდი. ჩემი გამგეც ჩემს ერთგულობას ისე აფასებდა, რომ — როცა ის თბილისში იქნა გადმოყვანილი, მეც თან წამომიყვანა.

ექვსი - შვიდი წელიწადი ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა კიდევ ძმა-ბიჭები, კიდევ ქეიფი, კიდევ ზურნა-დუდუკი, კიდევ ფაიტონები და ლამაზი ქალები.

ყველგან ისე მიღებული და პატივცემული გავხდი, რომ არც ერთი ნათესავი და მეგობარი არ დამჩა უადგილოდ და უსაქმოდ.

მაგრამ კიდევ გაუწყრა ღმერთი ჩემ ბედს. დააპატიმრეს ერთი ჩემი პროტეჟეთაგანი. გამოძიების დროს ჩემმა გვარმაც ამოყო თავი. ამას მოჰყვა ვიღაც რაბკორის წერილი ჩემს წინააღმდეგ. დაიწყო მუშმლეხინის გამოძიება, რომელსაც ხელი შეუწყო ფაბკომმა, უჯრედმა და აგრეთ წოდებულმა წარმოების აქტივმა.

ერთ კვირაში ისე გამაპუსტიაკეს, რომ ახლო მეგობარ-მეზობლებიც კი აღარ მცნობდენ. გაუწყრათ ყველას პურ-მარილიც და მეგობრობაც. ვინც რომ უწინ „დუშკა ვანიას" ალერსით მიწოდებდა, ეხლა მისთვის მე „რასტრაჩიკათ" და „ვზიატოჩნიკათ" გადავქცეულვარ; ისე გამირბიან, როგორც ხოლერას.

მენშევიკებო, აგიძაღლდეთ მამის სულიი. თქვენ მე იმნაირად აღმზარდეთ და იმნაირი „სტაჟი" მომეცით, რომ ქვეყანას სარგებლობას ვერ მოუტან. მე განწირული ვარ ყველას მიერ. ჩემი გონება, რომელიც წინად მატკბობდა ტკბილ რომანსებით, დღეს აი რას მიმღერის საიათნოვას ჰანგზე:

თუ მაგრე მალე გახუნდებოდი
ფაიტონში მალ-მალე რათა ჯდებოდი?
რაც არ შეგერგებოდა, რათა სკდებოდი?
უწინ ეტრფოდი ლამაზ ქალებსა,
არ აკლდებოდი ვეჩერ-ბალებსა,
მაშ არ იცოდი გახუნდებოდი?—
უწინ ხმა გქონდა სირინოზისა,
პალტოც ხომ გეცვა მერინოსისა!
ფული არა გაქვს პაპიროზისა,
მაშ არ იცოდი გახუნდებოდი?
უწინ გეგონა—ქვეყანა შენია,
ეხლა შაურად სწერ პრაშენიას,
ეგ არის გვარი დაგიმშვენია,
მაშ არ იცოდი გახუნდებოდი?

ცხონებულმა სიათიან-ნოვამ რა იცოდა, რომ 1929 წელში მე „რასტრატჩიკი" შევიქნებოდი?!

**დილხოშიანი.**

# მზადდება
## ოქტომბრის რევოლიუციის
## სპეციალური ნომერი
**თანამშრომლებს ვთხოვთ—მოგვაწოდონ მასალები**



# გაუფრინდა

**ხიდის-თავი (გურია)**

თემკომის მდივანი და ზოგი კომკავშირელები ქორ-მიმინოთი ნადირობენ მწყერებზე, და კრებას არ ესწრებიან. თემკომის მდივანს მოშინაურებული მიმინო გაუფრინდა.

მევალე.




— წაჩო, დიმიტრი; მაგ აწ აღარ დაგიბრუნდება, ისევ სჯობია ახალი დაიჭირო!

ტარტაროზის შენიშვნა: სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ დიმიტრი პარტიიდან გამოურიცხავთ. ასე, რომ მას მიმინოსთან ერთად პარტბილეთიც გაუფრინდა. გაფრენილის ისევ დაჭერა და დაბრუნება ძნელი საქმეა.

# მზადება წმენდისათვის




ᲒᲐᲛᲒᲔ: (დარაჯს):—ჩამოხსენი ყველა ეს წარწერები და შკაფში შეინახე
ᲓᲐᲠᲐᲯᲘ (თავისთვის):—ამით გინდა წმენდას გადაურჩე!.. არა მგონია!

# „ᲔᲚᲡᲛᲔᲜᲘ“

### (ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ)

— სადგური... სადგურია?! ქალო მიპასუხე დროზედ... მომეცით მილიციის პირველი განყოფილება...

— მზათ არის!..

— გისმენთ კანტორის გამგე.

— რაო! ვინ კანტორის გამგეო!? მე მილიციის პირველი განყოფილება ვსთხოვე! რაო?! მიეცით „ატბოი“.

— ცენტრალნაია... ქალო, მე მილიციის განყოფილება გთხოვეთ, თქვენ ფოსტის განყოფილებას მაერთებთ. რაო? ნომერი არ იცით?! მაშ მომეცით ცნობათა ბიურო.

— ბიუროა?! მომეცით მილიციის პირველი განყოფილების ელსმენის ნომერი.

—:—

— რაო? დამკრძალავი ბიურო...

ოი აიკვდილი და დაკრძალვა სადგურის თავს, მართლაც... მომეცით „ატბოი“.

— ცენტრალნაია... ჰა, სადგურია? გთხოვეთ ცნობათა ბიურო; თქვენ კი დამკრძალავ ბიუროს მაძლევთ. სიკვდილი ჯერ არ მიფიქრია, მომეცით ხოშტარია.

— ვინ არის? ხოშტარია?! ო, სალამი ამხ. კოწია! რაშია კაცო, საქმე? რა მოსდის ამ მორიგეებს ქსელში, ლამის მთელი ტფილისი შემომატარეს, სანამ მილიციის განყოფილებას შემიერთებდენ... რაო! რას იცინი? განა სასაცილოა! რაო? სოვპროფიო? შენ რომელი ხოშტარია ხარ კაცო!?

ო, დასწყევლოს ღმერთმა მაგათი თავი და ტანი, მე ქსელის გამგე ვთხოვე. მიეცით „ატბოი“.

— ცენტრალნაია... ქალო, მე თქვენ ქსელის უფროსი ხოშტარია გთხოვეთ, თქვენ კი სოვპროფს მაერთებთ... რაო? აზნეულია! აი აგებნათ თქვენ თავი, მომეცით „მეხანიკი“.

— ამხანაგო მექანიკო, რაშია საქმე რომ დომხალივით არეულია ეს ელსმენების ქსელი? მთელი საათია ერთ აბონემენტს ვერ შემაერთეს?—

რაო? რის „მეხან ზაოდია“, კაცო? მე მეხანიკი ვსთხოვე. ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა მაგათი სახელი... მომეცით „ატბოი“.

— სადგური... სადგურია?.. ქალო, გამიგონე! რას დამარბენიებ აქ ქალაქის ქუჩებში „სკორი პომოშჩის“ ავტომობილივით? მომეცით ან პირველი განყოფილება მილიციის, ან ქსელის უფროსი, ან მეხანიკი, ან ცნობათა ბიურო...

—:—

— ალო! საიდან? ვინ არის? ქსელის უფროსი?! მეხან ზავოდი?!. დამკრძალავი ბიურო?.. მილიცია? ფუი, დაგწყევლოთ ღმერთმა, ეხლა ყველა ერთად შემაერთეს, რომელს ველაპარაკო?.. არ მინდა თქვენი არაფერი.

—:—

— სიკო, ისევ შენი კურიერობა დაილოცა. აბა მოუსვი პირველ განყოფილებაში და მიიტანე ამის შესახებ ცნობა.

ᲒᲚ—ᲪᲘ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ყველა ტარკორებს
ყველა აგენტებს—
ზოგგან თუ მრავალს,
ზოგგან კი — კენტებს.

ზოგგან ერთია,
ზოგგან კი ბევრი.
(ხუთასამდეა
ტარკორთა წევრი)...

ბრძანება ესე
დღეს ეგზავნება,
(ალარც კი ვიცი
არის რომელი—

და ამიტომაც
ამა ბრძანებას
უწინდებურად
არ აქვს ნომერი).

დიდი ხანია,
ტარტარკორებო,
ჩემი ბრძანება
თქვენ არ გსმენიათ.

ეხლა კი...
სმენა!
სწორება აქეთ,
ვისაც ბრძოლები
არ მოგწყენიათ.

ლავ ჩვენს წინაშე
ალ-ახალი
კითხებია
ადასაჭრელი

და ამიტომაც
გვჭირია, ძმებო,
კალამ-ფანქარი
ბასრი და მჭრელი.

ვენ აგენტები
ვჭირია ყველგან
მ ჩვენი ქვეყნის
ოველ კუთხეში.

შემოიაროს
თავისი არე
ყოველდღე თუ არ,
ყოველ ხუთ დღეში.

რავალი არის
აჭირ-ბოროტო
კითხები და
რამე, ჭირი,

ასეთ საკითხებს
გვერდს ნუ აუვლით;
(თქვენ ნუ გგონიათ
ის იყოს ჩირი!).

ასწერეთ მხოლოდ
ქვენ თქვენს სოფელზე...
ადგილობრივი
მბები გვინდა.

სიყვარულზე და
მღვდელ-დიაკვანზე.
წერა და კითხვა
ყველას მოგვწყინდა).

მტრებზე გვექნება
ხშირად: თავდასხმა,
მოულოდნელი,
იერიშ-შეტევა.

(ეს საიდუმლოდ
უნდა ხდებოდეს,
არვინ იცოდეს
აგი შემთხვევა).

მალე დავნიშნავთ
წარმომადგენლებს—
ადგილობრივად—
ჩვენს თანამშრომლებს.

(ცხადია, იმათ,
ამის უნარი
და მარიფათი
ექნებათ რომლებს).

ამიტომ გმართებთ
გამოიჩინოთ—
მეტი უნარი
და მეტი ჯაფა—

გამოგვიგზავნეთ
ძლვნად და ფეშქაშად
ჩვენს მტრებით სავსე
ცხელ-ცხელი ტაფა.

სოფელში კულაკს
თვალს ადევნებდეთ—
არ დაიჩაგროს
რომ მისგან გლეხი.

(კულაკი ცდილობს
ღარიბ გლეხობას
შეადგას ზურგზე
თავისი კეხი).

ჰო-და, თქვენ ამას
უნდა ხედავდეთ—
მან არ გადადგას
აქეთკენ ფეხი.

ყოველ მათ მიზანს
და საწადელსა,
უნდა დაეცეთ
ვით რისხვა, მეხი.

ამხილეთ ყველა:
თემალმასკომი,
მისი წევრები
და თავმჯდომარე,

თუ სოფლის საქმეს
არ აკეთებენ—
არიან მუდამ
უქმად მჯდომარე.

არ მოერიდოთ
ვინც უნდა იყოს,
თუ იგი საქმეს
აკეთებს ავსა.

ამხილეთ ვინც კი
დღეს ცხვრის ქურქშია
და ქურქში მალავს
წარსულსა შავსა.

ეს თვითკრიტიკა
თქვენი ხმალია,
ხმალი მახვილი,
ბასრი და მკვეთრი,

მაგრამ ბრძოლაში
უნდა არჩევდეთ
რომელი არის
შავი და თეთრი.

პირად საქმის და
ანგარიშისთვის
არ მოიხმაროთ
ეს იარაღი,—

თორემ თვითონვე
თქვენ მოგეცხებათ
სასირცხვო შავი
ლაქა და ღ...

მიმდინარეობს
ორგვარი წმენდა,
(ერთი სრულდება
თუმცაღა ეხლა).

ახლა გვჭირია
თქვენი გმირობა
უცებ თავდასხმა,
იერიში, შეხლა!

თუ გაძვრა მაინც
ვინმე წმენდაში,
როგორც აბრამის
წმინდა ბატკანი,—

უნდა იცოდეთ,
რომ ჩვენს წინაშე
პასუხსა აგებთ
ყველა თქვენგანი.

სწერეთ სიმართლე
და მიუდგომლად;
სწერეთ მოკლეთ და
გარკვეულ ხელით;

თუ ვინაობა
არ მოაწერეთ, —
მაშინ დაბეჭდვას
თქვენ ნუღარ ელით

(უკანასკნელი
გვერდი იხილეთ—
მის შესახებ
ქაც ეწერია)

ყველა ლექსს ნუ სწერთ —
პროზა სჯობია...
მოგვბეზრდა ამბის
გრძელი სერია.

შალეთ ფრონტი
ქტევისათვის;
ვერ კიდევ მტრები
ბლომად არიან.

მაშ ასე...
სმენა!
სწორება აქეთ!
ფრთხილი ნაბიჯით
ყოველგან იარ!

ტარტაროზი.

# გენერალი ლა-ყი-ანი

გენერალმა ტუ-ჩი-ანმა „ზეციურ ძალთა“ შეწევნით ჩინეთის ძველი მმართველი დაამარცხა და შეუდგა ქვეყნის მართვას.

სამი წლის შემდეგ ტუ-ჩი-ანმა მოიწვია „ბრძენ“ მანდარინთა საბჭო და განაცხადა:

— წყალობითა ღვთისითა უკვე სამი წელია, რაც ჩემგან გაბედნიერებულ ჩინეთის ხალხს მშვიდობიანად გადააქვს ტანჯვა და შიმშილი, სისხლი და ცრემლი. მაგრამ დღეს გაჩნდენ მოღალატენი და ჩემს ერთგულ ჯარში აჯანყებას აწყობენ. მათი მეთაურის ჩი-ტუ-ანის ჯარები უკვე სატახტო ქალაქს უახლოვდებიან და ჩვენ არა გვაქვს საკმაო ძალა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. თქვენ უნდა მომცეთ რჩევა, თუ ვის მივმართო დასახმარებლად?

—მივმართოთ ინგლისელებს, — სთქვა უხუცესმა მანდარინმა,—მათი უზარმაზარი და მრისხანე კრეისერები გვიხსნიან დაღუპვისაგან. მხოლოდ ინგლისელები არიან ჩინეთის ხალხის ნამდვილი მეგობრები: არავის არ მოაქვს ჩინეთში ისეთი სურნელოვანი და საუკეთესო ხარისხის ბანგი, როგორც ინგლისელებს.

— მართალია, მართალი!.. — იგრიალეს ყველა დამსწრეებმა.

მართლაც ინგლისელებმა ხრა თუ აღუთქვეს დახმარება, პატიოსანი სიტყვაც კი მისცეს, რომ მომავალში რამოდენიმე ათას ტომარა ბანგს მიაწოდებდენ.

—:—

მიუხედავად ჩინეთის „მეგობრის“ —ინგლისელ კაპიტალისტების „კეთილგანწყობილისა“, ჩუ-ტი-ანმა ტუ-ჩი-ანი დაამარცხა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩუ-ტი-ანმა მოიწვია „ბრძენ მანდარინთა საბჭო“ და შეეკითხა:

— მოღალატე ცო-ფი-ანმა ჯარები ამიჯანყა. მისი ძალები ქალაქისაკენ მოიწევენ .ვის მივმართო დასახმარებლად?

— ინგლისელები თუმცა ძლიერია, მაგრამ ისინი შენს წინამოადგილეს მოეხმარენ და მაინც ვერ უშველეს. მივმართოთ იაპონელებს. ისინი ჩვენი მონათესავე ხალხია. მართალია, პორტ-ტური და სხვა ჩინეთის ქალაქები მიითვისეს, მაგრამ ასე მიტომ მოიქცენ, რომ ისინი სხვებს არ დარჩენოდათ.

—:—

ცო-ფი-ანმა გაიმარჯვა.

ორი წლის შემდეგ კი ყველაზე უფრო უხუცესი ბრძენი ეუბნებოდა მას:

—ინგლისელები ძლიერები არიან, მაგრამ მათი დახმარებით ტუ-ჩი-ანმა მხოლოდ სამ წელიწადს მოახერხა გამაგრება. იაპონელებიც ძლიერი არიან. მაგრამ მათ მხოლოდ ორ წელიწადს მოახერხეს ჩი-ტუ ანის დაცვა. მხოლოდ ამერიკელები არიან ყველაზე ძლიერები და მდიდრები. მათ მეტი ვერავინ დაგვიცავს. მართალია, ისინი ჩალის ფასად ყიდულობენ ჩვენში აბრეშუმს, რომელსაც თავიანთ ქვეყანაში ეზიდებიან, მაგრამ სამაგიეროდ სრულიად მუქთად და უფასოდ გვიგზავნიან ჩვენ მისიონერებს, რომელთა ხმა შაქარზე უფრო ტკბილია და ფარჩაზე უფრო ნაზად შრიალებს. მართალია, ისინიც ისეთივე მატყუარები არიან, როგორც იაპონელები და ინგლისელები, მაგრამ მათ მეტს ჩვენი დაცვა არავის შეუძლია.

—:—

მიუხედავად ამერიკელთა „შეწევნისა“, ცო-ფი-ანი ერთი წლის შემდეგ „გადაყირავდა“. გამარჯვებული გენერალი — ლა-ყი-ანი აღარ იწვევდა „ბრძენ მანდარინთა საბჭოს“, რადგან თავის თავიც დიდ ბრძენად მიაჩნდა და კარგად იცოდა, რომ არც ამერიკელები, არც ინგლისელები და არც იაპონელები არ იდებდენ თავს ჩინეთის დასახსნელად“.

—:—

ცო-ფი-ანსაც წყალი აემღვრა.

გზადაბნეული გენერალი გაემართა ერთი კაცისაკენ, რომელსაც არ აინტერესებდა ჩინეთის გენერლების კინკლაობა და არ სურდა მათ საქმეში ჩარევა.

— ჰოი, დიდებულო ელჩო დიადი ხალხისაო, ბრძენო კარახანო! შენ ხარ წარმომადგენელი ქვეყნის, რომელმაც გაინთავისუფლა თავი უცხოელთა ბატონობისაგან და რომელსაც აქვს იმდენი ძალა, რომ არ ეშინია ამერიკელების, ინგლისელების და იაპონელების. დამეხმარე, დიდებულო ელჩო; დამიცავი მტრებისაგან. მე მინდა საბჭოთა ქვეყანას დავეყრდნო და მათი დახმარებით ვმართო ქვეყანა.

— საბჭოთა ქვეყანა გენერლებს არ ეხმარება. ჩინეთის მართვა ისევ ჩინეთის ხალხს უნდა მიენდოს.

ეს პასუხი ლა-ყი-ანმა მანდარინებს გადასცა და მათში ყველაზე უხუცეს ბრძენს შეეკითხა:

— მირჩიე ბრძენო, როგორ უნდა მოვახერხო ჩინეთის ხალხის მართვა?

— არც ერთს ჩვენგანს არ შეუძლია მაგ საქმეში რჩევის მოცემა, რადგან ჯერ ჩინეთის არც ერთ მმართველი არ შერჩენია ტახტს; ჩინეთის არც ერთი მმართველი არ ყოფილა საკუთარ ხალხზე დაყრდნობილი, პირიქით: ისინი ხალხს მძიმე ტვირთად აჯდენ კისერზე.

—:—

გენერალი ლა-ყი-ანი ცოტა ხნით ჩაფიქრდა. შემდეგ ჯალათს დაუძახა. ბრძენისაკენ ხელი მიუშვირა და უთხრა;

— რა აზის მაგას კისერზე?

— თავი! — უპასუხა ჯალათმა.

— მოკვეთეთ ახლავე. მე მინდა, რომ არაფერი არ იჯდეს მაგის კისერზე.

—სამწუხაროთ ჩინეთში ათასი ბრძენის თავის მოკვეთა უფრო ადვილია, ვიდრე ერთ ქარაფშუტა დალაყე გენერალის, მაგრამ შენი სიკვდილის ცელიც გაილესება... — წაილაპარაკა ბრძენმა და თავი ჯალათს მიუშვირა.

მ—ზა.



— ჩემს ქმარს ჩამოშორდი, შე მახინჯო, თორემ...
— აბა რომელი ქმარი გაექცევა შენს მშვენიერებას?

# ახალგაზრდა მხატვართა გვერდი

შ. ნინუა, მარანი. სენ. მაზრა.



— რა იმედი უნდა მქონდეს, რომ ვალს გადამიხდი, როცა ქვეყნის ვალი გქონებია?!
— რას ამბობ? რის ქვეყანა! ისინი ერთ კაპიკსაც ვერ ეღირსებიან ჩემგან!

დ. ჯიქონაია. ს. ორულ-ერგეტა, ზუგ. მაზ.



— რატომ ვერ შეგიკეთებიათ სოფლის გზები?
ალმ. თავ-რე:—წვიმები იყო... ხოლო კარგ დარში ყველას თავისი სამუშაო აქვს ოჯახში!

დ. გახტაძე, ს. გომი, ქუთ. მაზ.



გლეხი (ფოსტის თანამშრომელს) — ბენია, რატომ არ მოგაქვს ჩემი გაზეთები?
— რამდენი ხნითა გაქვს გამოწერილი?
— ექვსი თვით!
— ორი თვე კიდევ დაიცადე, და ექვსივე თვისას ერთად მოგიტან.

ი. ბურდული, ტფილისი.



ნახალარატის წმინდის კანდიდატი.




ფოთის „ტრამვაი“

## ახალგაზრდა მხატვრების საყურადღებოდ!

ახალგაზრდა მხატვრებს ვსთხოვთ მოგვაწოდონ კარიკატურები ადგილობრივ ცხოვრებიდან. კარიკატურის ქვეშ, ანდა მეორე გვერდზე უნდა იყოს სურათის წარწერა და მხატვრის მისამართი. მასალა უნდა შეეხებოდეს სინამდვილეს. სხვა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოღებულ სურათებსა და წარწერებს რედაქცია არ მიიღებს.

ახლო ხანში გამოცხადდება შეჯიბრი ახალგაზრდა მხატვრებს შორის.

ლ. უსტვაცატუროვი, სიღნაღი.



— ამისთანა ამბავი გაგონილა! მოთხრობის პირველი ნაწილი გავგზავნე... ეხლა მინდა დავასრულო მეორე ნაწილი, მაგრამ მოქმედი პირები დამავიწყდა.

# შოლოხეთის ფურცხე

„კრინტი არავინ არ დასძრათ
და სუყველამ შეჩერდით!..
ქალს სიყვარულს ვუმტკიცებ
ალმასკომის ბეჭედით!“.

ნათელა.

წავიდა და გამოიცვალა დროება, თორემ ქალს რა-ტომ უნდა ეპარებოდეს ეჭვი ვაჟის (და ისიც ჯულაშის ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილის) სიყვარულში?

მაგრამ უიმედო გამიჯნებულა სიყვარულის დასა-მტკიცებლად ქალს შემდეგი ხელწერილი გაუგზავნა:



როგორი გავლენა იქონია ამ წერილმა ქალზე, ეს ჩვენ არ ვიცით და არც გვაინტერესებს.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ პატივცემული მო-ადგილე გლეხებს უხეშად ეპყრობა.

„მიჯნური შმაგსა გვიქვიან
არაბულითა ენითა,
მით, რომე შმაგობს მისისა
ვერ მიხვდომისა წყენითა“.

დიახ, ეს გლეხკომია
შიგ ჩხუბი და ომია...

გურული.

ბუკის-ციხეში (გურია, ოზურგ. მაზ.) როცა აყალ-მაყალისა და ჩხუბის ხმაური მოისმის, ყველამ იცის, რომ გლეხკომის სადადილოში:

მიხეილ და მათე შეიბნენ,
ამქრებმა მორთეს ღრიალი.
თავს დაუშინეს ბოთლები,
გლეხკომს გაჰქონდა გრიალი.

— ვის რა ეკითხება! ჩვენი თავები ტყდება, თორემ იმათი ხომ არა!—ამბობს სანდრო და მას უდასტურებენ: ოსონ, შალიკო, არტიმონ და ვახტანგი.

— თავების გატეხა არაფერია, თავები მორჩება, მა-გრამ ამ დამტვრეულ ჭურჭლეულობას რა ეშველება?—ამბობს გლეხკომის თავმჯდომარე თეოფილე, რომელიც იმათი „მამამთავარია“. — მარა,—თავს ინუგეშებს,—თუ არ გატყდა ჭურჭლეულობა, ტრესტს ხომ ნაკლები სამუ-შაო ექნება და წარმოება დაეცემა!

მართლაც კარგად ყოფილა თქმული სოფლელებს გლეხკომზე: „გლეხკომი კი არა, ქელეხკომიაო“.

გასაოცი ფაქტი
ნომერ ოცი „ფაქტი“

მართალია, ამ შემთხვევაში ლაპარაკია მე-20-ე „ფაქტზე“, მაგრამ რასაც აქ ჩვენ ვიტყვით, სხვებსაც ეხება.

ყოველმა შეგნებულმა მოქალაქემ იცის, რომ ბინის ქირის გადახდაზეა დამოკიდებული სახლის მოვლა და შეკეთება.

იციან ეს ამბავი მე-20-ე „ფაქტის“ გამგეობის თავ-მჯდომარემ, მისმა მოადგილემ და ფაქტის მდივანმა. ისი-ნი რიხით აცხადებენ საერთო კრებებზე, რომ:

— ამხანაგებო, ბინის ქირის დაგვიანება თუ გინდ ერთი თვითაც, იწვევს სახლის მოუვლელობას. ვინც არ დაემორჩილება საერთო დადგენილებას და ბინის ქირას დროულად არ გადაიხდის, სასამართლოში უჩივლებთო.

მაგრამ დავთარი რომ გადაშალოთ, ნახავთ, რომ პირველ მათგანს ბინის ქირის დავალიანება აქვს—120 მანეთამდე; მეორეს — 220 მანეთამდე, ხოლო მესამეს—90 მანეთამდე.

რა თქმა უნდა, ესენი ცხოვრებაში გაატარებდნენ საერ-თო დადგენილებას—სასამართლოს გადასცემდნენ საქმეს, მაგრამ უბედურობა შემდეგშია: თავისთავს ხომ ვერ უჩივ-ლებენ, სხვა კი, მესამე პირი, არავინ გამოჩნდა. ეგებ ალ-მასკომმა, ან და მუშგლეხინმა მიაქციოს მათ ყურადღება. (მორცხვი ხალხია, თვითონ ვერ მიდიან სასამართლო-ში!).

ცოლს არ აძლევს ერთ მანეთს,
თავში დასცხეს ერთმანეთს

პიმპილა.

არის შორაპანში საყუდის მუშების ერთი ჯგუფი, რომელსაც შეჯიბრი თავისებურად ესმის.

ესენი, როგორც კი ჯამაგირს აიღებენ, სახლში ცოლს მანეთსაც არ უტოვებენ და გარბიან კოვზირი-ძის *) სასადილოში, სადაც იმათება შეჯიბრი... ლ სმაში. შეჯიბრს ისე აღრმავებენ, რომ ღვინის შეჯ-დან გადადიან მუშტის შეჯიბრში. მართალია, მათ და „შეჯიბრს“ მსხვერპლად მიაქვს: ჭურჭლეულობა, გის დენიმე გატეხილი თავი, მოჭმული ცხვირი და ყ მაგრამ ამას არაფრად აგდებენ, რადგან ძალზე მთ ლეპი არიან. და მეორე დღეს ილვიძებენ სამილიციო სა-კანში, ან და-საავადმყოფოში.

აი, მაგარი და ღრმა ძილიც ამას ჰქვია! ქორხკომს ვერ აღვიძებს ასეთი აურ-ზაური და ხმაური.

„დღეს მივილე თკალოში,
და წაილე ქალო, შინ“

ალი.

შემოქმედის (გურია) კოოპერატივმა მიიღო კა-ლოშები და ასეთი მოწერილობა:

**ამასთანავე ერთად გეგზავნებათ 100 წყვილი კალო-ში, რომელიც უნდა გაანაწილოთ მუშა-მოსამსახურეებსა, ღრმა მოხუცებულებსა და ავადმყოფებზე...**

უკანასკნელი სიტყვები: **„მუშა - მოსამსახურეებსა, ღრმა მოხუცებულებსა და ავადმყოფებზე“** გამგემ წაშა-ლა და წითელი მელნით ზედ დააწერა: **„ოჯახის წევრებ-სა და ნათესავებს შორის“**. ამგვარი რედაქციით მოწე-რილობა ასეთი გამოვიდა: **„ამასთანავე ერთად გეგზავნე-ბათ 100 წყვილი კალოში, რომელიც უნდა გაანაწილოთ ოჯახის წევრებსა და ნათესავებს შორის“.**

გაინაწილეს კალოშები და... ყოველივე წაუგებრო-ბის თავიდან ასაცილებლად, თავი ასე ინუგეშეს:

— მუშა-მოსამსახურეები ხელფასს ღებულობენ და უჩვენოდაც იშოვიან კალოშებს. ღრმა მოხუცებულები სიცივესა და ავდარში ბინიდან არ უნდა გამოდიოდნენ, ხოლო ავადმყოფები ლოგინში უნდა იწვნენ. (ლოგინში კი კალოში არ არის საჭირო).

ასე ესმით განაწილება შემოქმედელ კოოპერატო-რებს.

*) ამ გვარს (კოვზირიძე) გამოკვლევა სჭირია, ალბად წარმოსდგება—„კოკვზი“-დან და „ძირი“-დან შებრუ-ნებით: „რიძი“, გამოდის კოვზირიძე.



— ხომ არ ვიხვით!.. რას მირეკავ ამ შუაღამისას?
— არა. მშვიდობაა. ხვალინდელ სადილის დახაკვეთად მოვედი.

# „გაწმენდილი"

ხალხის წინაშე არ მიძღვის ბრალი!
რა ვუყოთ მერე —ხშირად ვარ მთვრალი.
დარაჯს რომ ერთხელ ვაგინე დედა,
განა იმიტომ მხვდება გაწმენდა?!
რატომ გამწმინდეს?.. ჰო... აღარ ვიცი...
მწამს ღმერთი, ქრისტე და ხატთან ფიცი.
ერთ დღეს ქორწილში ვჭამე საცივი,
დღე იყო გრილი, დღე იყო ცივი,
ხშირად ქელეხში დავდივარ მშვიდათ,
თუმც იქ ქეიფმა ვერ დამამშვიდა.
მიყვარს ოჯახი, ცოლი და შვილი,—
მაგრამ, რომ მოვალ მე გალეშილი,
თუ ვსცემე სახლში ცოლ-შვილს და დედას,
ამისთვის წმენდას ვინ გამიბედავს?
რევოლვერს ხშირად ვსროლილობ სახლში
მაგრამ კაცურად თავს ვიჭერ ხალხში...

საქალდა.

# ადვილი გამოცანა

ახალი სენაკი

ამხანაგო, ამოსწერე ასოები დიდი...
შესახედად კარგი არის, გული კი აქვს ფლიდი.
ჯამაგირის მიღებისი დროს უყვარს ცივი ლუდი,
მუშკორები ეჯავრება, კაცი არის ცუდი.
მით უმეტეს ეჯავრება მას წითელი პრესა,
რადგან მისებრ დეზერტირებს აუტეხა კვნესა...
ვერ გაიგე გვარი მისი? ლანძღვა უყვარს მუშის.
ხომ გაიგე თუ ვინც არის?... ქარხანაში ნუ ზის.

მიხ. ვე—რელი.

# ჩოხატაურიდან ბუკის-ციხემდე

პარასკევი დღე იყო. დილით ჩოხატაურში ვიყავი, წამოსვლა მინდოდა, მაგრამ ბაზარზე იმოდენა ქალიშვილები ვნახე გამოსული (ალბად სა ქმროს ეძებდენ), რომ გული ამიცახცახდა და, სულო ცოდვილო, მეც მოვიცადე.

გავჩერდი ერთი დუქნის წინ. დიდი ქვა მოვნახე და შევდექი ზედ, თორემ მიწაზე რომ ვყოფილიყავი, ტალახში ჩავეფლებოდი.

სადილობამდე იქ დავრჩი.

ცოტა არ იყოს, მომშივდა და გადავწყვიტე გლეხკომის სასადილოში წასვლა. მივედი და თვალები დამიბნელდა: რკინის ბოქლომი ედო ზედ. რას ვიზამდი. შევედი ისევ იორდანეს დუქანში, მომიტანა ხარჩო და მჭადი. მეც შევექეცი. ღმერთმა ააშენოს იქაური მილიციონრები, თურმე ვინც იქ შედის თითო კვარტს ყველას ჩამოუსხამენ უფასოთ, როდესაც ანგარიში მოვითხოვე ვაი შენს მტერს, ფული რომ არ ამითავდა, პალტო დაიტია „ზალოგში". ვიფიქრე: აქ სულ გამატყავებენ მეთქი და დავაპირე ჩემ სოფელში, ბუკის ციხეში წასვლა.

გამოვედი გარედ, მაგრამ ვაი ასეთ გამოსვლას — დამეტაკა მ... ცინცაძის დიდი ღორი, შემისვა ზურგზე და ბაზრის თავში ამიყვანა.

მეც მადლობა გადავუხადე იქაურ აღმასკომს, რომ არ აკრძალა ღორების მოქმედება ბაზარში.

დავაპირე წამოსვლა, მაგრამ ვაი ასეთ წამოსვლას: დამხვდა ვიღაც წიქორია ყოფილა და მეუბნება — კაცო, ფეხით ვერ ახვალ, ცხენს გათხოვებ და წადიო. მეც დავუჯერე (რას იზამდი, საშველს მაინც არ მოგცემდა). შევჯექი მის ბედაურზე და წამოვედი.

მოვაწიე საყვავისტყის კოოპერატივს, თუ არა, ჩემი ცხენი გაჯიუტდა: არც წინ მიდის, არც უკან. რას ვიზამდი, ჩამოვხტი და შევედი კოოპერატივში. ვიფიქრე, აქ ჩამოსვლას ტყვილა არ გავაცდენიებ: სახლში მარილს და ნავთს წავიღებ მეთქი.

დახლზე ნოქარს ეძინა, დიდი წვალებით გავაღვიძე და მოვახსენე. მან გაბრაზებით მითხრა: რა დროს მარილი და ნავთია. თუ გინდა ოდეკოლონი და პუდრი იყიდე. სხვა ჩვენ არ გვაქვსო.

წამოვედი. ძლივს - ძლივობით მიდის ჩემი ბედაური. მაგრამ კიდევ მადლობის ღირსია, თორემ ჩქარა რომ წასულიყო, ფოსტის დამტარებელს რაც წერილები დაკარგოდა გზაში, იმას ვინ მოიტანდა ბუკის - ციხეში.

ავედი ბუკის-ციხის ფოსტაში. გამგე არ დამიხვდა. მისი ცოლი შიგ იყო და ტელეფონის ქვეშ კრუხს აჯენდა კვერცხებზე. წერილები დავტოვე და წამოვედი.

მივადექი კოოპერატივს. კოოპერატივში ვასილს ვიღაცა გლეხი გაელახა (მეტროს საზომი დაერტყა თავში: თავის გაზომვა თუ უნდოდა) და იქვე საექიმო პუნქტში მიეყვანათ დახმარების აღმოსაჩენად. საწყალი საშინლად იყო. ქუჩაში დაეწვინათ, რადგან საექიმო პუნქტს შენობა არ ჰქონდა.

დავაბი ჩემი ცხენი და დავისვენე. გავიდა ცოტა ხანი, მივიხედე, სად არის ჩემი ცხენი... თურმე თეოფილე მთვრალი ყოფილიყო, შემჯდარიყო ჩემ ცხენზე და გაექანებია. დავედევნე კვალს. დიდხანს ვეძიე და ბოლოს მივაგენი ერთ კუთხეში. ცხენს სიარული ვერ გაეგრძელებია და თეოფილეს რევოლვერით მოეკლა ის. შემოვიკარი თავში ხელი და გევიქეცი დასამალავად. ვიცოდი ცხენის პატრონი კარგ საქმეს არ მიზამდა. ერთხანს ვიმალე და ბოლოს გადავწყვიტე ტფილისში წამოსვლა.

რატატა.

## ხუცესი მილიციაში

**(ქოგულეთი)**

„ტარტაროზჯან, მილიციის
მოვისურვე ნახვა,
აღარ მქონდა მოსვენება,
გულში დარდათ ჩამყვა.
ერთ დღეს, დილის ათ საათზე
მივადექი კარებს,
აქ დარაჯი მეუბნება:
„ჯერ ვინ მიგიკარებს,
„ჯერ თორმეტი ხომ არ არის,
„რათ მოსულხარ ადრე?,
„აქ ასეთი წესი არის,
„გული გაიმაგრე.
ვფიქრობ: „ეს თანამშრომლები
ასე, რათ გვიანობს?!
თან ლოდინით გული მიწუხს,
გული ბრაზიანობს.
ამ ყოფაში, როცა ვიყავ,
წამს გაიღო კარი,
მოდის კაცი... (ინწკირველი
არის მისი გვარი!)
თან სიცილმა მომიმატა,
თან გავკვირდი მე და,
ოზურგეთელ ყოფილ ხუცესს
აქ რა უნდა, ნეტა?!
მითხრეს: თურმე საქმმართველათ
აქ მსახურობს დღეს ის;
(ოი, რამდენ მკვდრისთვის ძველათ
აუგია წესი!)
ხალხი ღელავს, ინწკირველს რომ
სამსახურში ხედავს,
მე კი ვფიქრობ: აწი ველარ
გადურჩება წმენდას!

ძირულელი თალ.

## უებარი წამალი

**ლანჩხუთი**



— ეგებ რამე წამალი იცი, უძილობა მჭირს!

— როგორმე ჩვენი სანიტკომისიაში აარჩევინე თავი და მერე სულ ძილის გუდათ გადაიქცევი!

## რამე-რუმე

**(ასკანისათვის — გურია)**

რაც რადიო დაგვიყრუვდა,
შესრულდება ორი წელი,
კულტსექციამ შეიძულა
და აიღო მასზედ ხელი.
სიცოცხლეში თავის დროზე
არ აღირსა მას წამალი,
იმათ უნდა მოეკითხოს,
მისი ცოდვა, მისი ბრალი.
ვანისქედში, უნდა გითხრათ,
გაგვიმწვავდა საქმე ცუდათ,
უკანავა გამოგვეყო
და შეგვყურებს განზე მრუდათ.
საჭკითხველო გაპარტახდა,
მძარცველები შეესია,
წიგნებს გვპარავენ, ველარ იცავს,
ვერც პავლე და ვერც ბესია.
სკოლას ყველა თვისკენ წიწავს
(ეს კუთხური შაირია)
ერთ დროს ძმვიდი ეს სოფელი
ნახეთ, როგორ აირია?!.

პომპოლიკი.

## ძნელი საქმე

**ახალდაბა**

ახალდაბას „ამშვენებს“
ეკლესია ქვისა...
რომ არა ხსნის,—აღმასკომს
თუ შიში აქვს ღვთისაო!
ერთი კლუბი არა გვაქვს
ამოდენა თემშია.
(ჩვენი დადგენილება
„განისვენებს“ ცენტრშია).
პევრჯელ „პლანი“ შესდგა და
პალარიჩიც დალიეს,—
მაგრამ ადგილს დაგეგმილს
დღესაც ვხედავთ ცარიელს.
ახალდაბის სადგური
განთქმულია ღორებით:
ძირს თუ დადგი კალათი,,
დაგტევრევენ გორებით.
სრული ასი პროცენტით
წესრიგია „დაცული“—
აქ ნუ კაცი მინახავს
ღორის დინგზე აცმული.
აქ გონცაძე ნავარდობს,
(ექიმბაში დაროა.
რა ჰქნას—ექიმბაშობა
შემოსავლის წყაროა).
ვანო მაინც არ იშლის
(ფოსტის დამტარებელი!)—
წერილებს ხსნის სხვისას და
ერ ჰყავს „დამრიგებელი“.

ტარკორი

## წერილი შვილთან

**ლანირ - ჭაგანიდან**

მივიღე შენი წერილი, შვილო იაკინთე!

გენაცვალოს მამაშენი. რა იქნა ბიჭო, რა დაგემართა! ისე წერილს არ მეიწერავ— არ მოაყოლო: „ბაბაია, ფული ამ წერილის მიღებისთანავე გამომიგზავნეო“. შე სულელო, სტანოკი ხომ არა მაქ მამაშენს ფულის საჭერი, რომ ყოველ კვირას ფულს იწერები? ჩამაგდე ცეცხლში ახლა და ეგია!

რა ვქნა, ბიჭო, არტემა რუხაძეს ყოველ თვეში თითო მანეთს ვაძლევ თუმანში. ირგვლივ ვალებში ვარ ჩაყურყუმალებული. ახლო - მახლო ერსად ვიშოვე და მითხრეს — ხონში ბერიძეა განთქმული მევახშე და იგი გასესხებსო. წევედი და ოცი მანეთი წემვვიღე. ზედ კაკალი ექვსი მანათი უნდა დაუყაჭო სარგებელში. იცოდე, შვილო, მეტის გამოგზავნის წელი არა მაქვს.

ახლა, შვილო, შენ აქოური საზოგადოების საქმე გაინტერესებდა და გწერავ. ვიცი გაგეხარდება.

ბიჭო აკინთია, შენც ქე იცი ჩვენსა და ლანირ-ქვიტირ შორის რა ამბავი იყო, რავა ძაღლებივით იყვენ გადაკიდებული აი ორი თემი. ახლა, რავარც იქნა, აქეთ ალექსანდრემ და იქეთ ბიკენტიამ თემები „დამოკიდებულად“ გამოაცხადეს. მერე არ იკითხავ რაფერ ხრიკაობს აი ჩვენი თავმჯდომარე. რაც ძველი აფიცრები, პრაპორჩიკები, თავადები, აზნაურები, მღვდლები და დიაკვნები იყვენ, ყველას მოუყარა თავი ლანირ-ჭაგანში: ვინიცობაა— ლანირ-ქვიტირმა რომ ომი გამომიცხადოს, ძველი მეომრები მეყოლება ხელშიო.

შვიდწლიან კლაში, ბიჭო, დომენტი ჩხაიძეა გამგეთ, ძველი მამა კურთხეული“, ბიჭო რავა არ გახსოვს შენ ერობის პრესედატელი რომ იყო მენშენიკების დროს და ანაფორით დაფრიალობდა აქანეი! მასწავლებლებათ ძველი მენშენიკები, კრასნი გვარდიის აფიცრები ავაკიე და პარმენი არიენ, ასე რომე ეს ყოფილი ხალხი რავაც უნდათ ისე აჭახრაკებენ საქმეს. ეგი ამბავი გაზეთშიც ქე იყო ჩაგდებული, უთუოდ ნახავდი მაქანე, მარა მაინც არაფელი გამევიდა.

საბჭოს წევრი რომაა ლუბაიე დანელია, ბიჭო, შვილებს უნათლავს თავმჯდომარე. ლუბას მოყვარეა დომენტი და აი მოყრობა და ნათლიმამობა ამაგრეს აი ხალხს კეტივით. ლუბაიეს სიძე რომაა, აპოლონე ჟღენტი, მთვრალი დეიარება თურმე კლაში და დედ-მამის სულს უტრიალებს ბალნებს.

ბიჭო, მართლა სერაპიონ ბალთეშე რომ იყო შენსობას, — ძმაბიჭობით ისევ კავშირში მიიღეს და ისევა თავის ადგილზე დასკუპეს. მის მოადგილე მასწავლებელი რო იყო ბარიშბა, შე რო იმაზე თვალი გექცოდა, ქე გოუშვეს აქედან. ყველას გული დაგვწყდა, მარა რას ვიზამდით...

გწერს მამაშენი სოფრომია ბრაგუნა

# ცნობათა მიღება

**გ. ქიქულს** (აქვე მალაკნის ქუჩა № 81):—ამავე ხანიტარის დაცვის მიზნით თქვენი ლექსი:

**მართლაც ასე ქნა მარიამ წმინდამ,**
**უსუფთაობა თვით აიშორა, —**
**მაგრამ მეზობელს სხვაგან წასულხა**
**მთელი ოთახი სულ აუშმორა,** — გადავაგზავნეთ ბ. სარედაქციო კალათაში.

**ჯიმითელს** (ს. ჯიმითი, კახეთი):—ხომ გაგიგონიათ: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“. ამიტომ არც „ოხ-ოინე“ მღვდელის საქციელი უნდა გაგიკვირდეს.

**კაცს აღარ მოსდის საკურთხი,**
**აღარ მყავს ი ვისი ჯორია,**
**მას დარჩენია: გინება,**
**სხვების ლანძღვა და ჭორია.**

**შოლტს** (ქ. გურჯაანი);—დღევანდელ „ტარტაროზი“ ს ნომერში ტფილისის ტელეფონის შესახებ დაბეჭდილია ასეთივე შინაარსის წერილი, რომელიც ახასიათებს თქვენს ტელეფონის სადგურსაც.

**წვენიას** (ს. კაკასხიდი, ზეკარი): ჩვენ გვგონია, რომ მევახშე და კულაკ სამსონის ალაგმვა ადგილობრივ ხელისუფლებასაც შეუძლია, თუ, რასაკვირველია, ეს უკანასკნელი მეტ უნარსა და ფხას გამოიჩენს.

**მარანჭალელს** (მარან-ჭალა): ექვი არ შეგვდის, რომ ეს ამბავი სიმართლეა:

**თამაშია ყოველ დღეს,**
**არის აურ-ზაური.**
**გაისმის ერასტი.**

— **მომეც ათი შაური!..**—და ერასტის ჰგონია, რომ თავის პროლეტარულ წარმოშობას თამაშშიაც არ ღალატობს, რადგან ის სხვებსავით აზარტად არ თამაშობს.

— მე, როგორც პარტიული კაცი და პროლეტარიატის ინტერესების დამცველი, — ამბობს ერასტი,—ათ შაურზე მეტს არ წავალ, რომ მემარჯვენე გადახრა არ გამომივიდესო!

ჩვენ გვაინტერესებს — გამწმენდმა კომისიამ პარტბილეთი დაუბრუნა თუ არა ერასტის?

**ტევრელს**: — თქვენს წერილს „ქე არ დევიღუპე“-ს მართლაც ასეთივე ბედი ეწია.

**ტინტილას.** გურული სცენის დასაწერად მარტო ის არ კმარა, რომ თქვენ გურული იყოთ. ხომ გაგიგონიათ: „პირში მოსულსა სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა?“.

**თრითინას** (ზესტაფონი): — ეს ლექსი რომ დავბეჭდოთ, ისე გრძელია, რომ მისი წაკითხვა სხვებს კი არა, თქვენაც დაგეზარებათ.

რაც შეეხება იმას, რომ:

**აქ დაიწყეს წასულ წელში**
**გაკეთება აბანოსი....**
**დამთავრება არ ელირსა,**
**(მოგიტანე ეს „დანოსი“)..**
**ისიც იცი ჭუჭყისაგან**
**თუ რამდენი კაცი კვდება.**

ეჰ, თქვენ რა გიჭირთ... როცა იქნება დაასრულებენ თქვენს აბანოს და ჭუჭყსაც მოიშორებთ თავიდან; ხოლო ჩვენ რა გვეშველება, როცა ასეთი წერილები ბლომად მოგვდის.

**შაში -ჩარს** (სოფ. ამაღლება, ქუთ. რაიონი): ეს თქვენი ლექსიც თქვენს რადიოსავით უვარგისია. გვპირდებით — შემდეგში უკეთესს დავსწეროო. ვნახოთ!

**დ. გო—კი—ლის.** შე კაი კაცო, ამას წინედ გიპასუხეთ „ცნობათა მიღებაში“. თუ კიდევ მოსვენებას არ მოგვცემთ, ავიღებთ და თქვენს ლექსს უცვლელად დავბეჭდავთ. (მერე სად გააჭყეტთ თვალს სირცხვილისაგან?).

თუ თქვენ გგონიათ, რომ დაბეჭდვის შემდეგ ლექსი უკეთესი გახდება, — ცდებით.

აბა ვსინჯოთ:

**თავში უგარი ადის,**
**საქმე უკულმა გარბის“.**

ამ თქვენი ლექსის სათაური მხოლოდ იმით არის შესაფერი, რომ ის კარგად ახასიათებს თავისს ავტორს.

თქვენ რომ მცირეოდენი ნიჭი მაინც გქონდეს ლექსის წერაში, ამ კუპლეტს:

**არავინმა გაბედოს**
**ჩემს მიმართო კრიტიკა,**
**თორემ იცოცხლოს კიკუამ**
**მას უჩვენოს ბინა, —**

ასე დავსწერდი მაინც:

**თვითკრიტიკა კიკუას**
**მიაჩნია ჭირადა.**
**მუშა - მოსამსახურეს**
**ის არ აგდებს ჩირადა.**

**ძველ ძმას** (ბათომი): — წვრილმანია, უმნიშვნელო.

**ლიფსიტაძეს.** ჩვენ არასოდეს უარი არ გვითქვამს თქვენთვის. თქვენი ლექსებისათვის მუდამ ღია არის კარები (ჩვენი სარედაქციო კალათისა). ვინაიდან ამ თქვენმა ლექსებმა მაშინ მოგვისწრეს, როცა ჟურნალის ყველა გვერდები შეკრული იყო, გარდა ამ ერთი გვერდისა, ამიტომ ვბეჭდავთ ამ გვერდზე:

**ტ ყ ე შ ი**

**უღრან ტყეში ვარ, შორს, შორს სოფლიდან**
**აქ მგონი ჯერ კაცს არ გაუვლია.**
**ფეხებზე ამდის სუნი ოფლიდან,**
**დავჯექ და ვხედავ: იქ აულია.**
**მომესმა ყურში ძაღლების ყეფა,**
**რომელსაც აჰყვა ხმა პიანინოს.**
**მე ამექავა რატომღაც კეფა,**
**ეხლა ვნატრულობ აქ სატრფო ნინოს.**
**არ დაავიწყდა მწყემსს სალამური,**
**ვილაცამ სკრიპკა, ჰა, ააკვნესა.**
**თავიდან ამდის ორთქლის ალმური,**
**ნეტა ვიცოდე — რა არის ესა?**

ჩვენც არ ვიცით რა არის ეს! უღრან ტყეში: პიანინო! სკრიპკა!..

**ზ ღ ვ ა ზ ე**

**არსად არ ჩანს ზღვას დასასრული,**
**არ სჩანს ხმელეთი, არცა — ქალაქი.**
**არ ეკარება თვალს ძილის ლული..**
**თმას გავიკრეჭდი — იყოს დალაქი.**
**ჩამომიარა გემმა მახლობლად,**
**იგიც ჩემსავით დაკარგულია.**
**ზღვაში ორივე დავსცურავთ ობლად,**
**ზღვა ყვავილებით მოქარგულია...**
**უდაბნო არის ზღვა ამოდენა.**
**ხმა რომ მოისმის, — ხალამურია.**
**ამდენი ცხვრები აქ ვინ მოდენა?**
**ისმის ძახილი: „ეცი მურია“!**
**ზღვის ტალღა არხევს მწყემსების ქარვებს**
**ცეცხლი უნთიათ მათ შუა ზღვაში,**
**აქაც დარდს ვერვინ ვერ გამიქარვებს..**
**ოხერი თავი დავმალო რაში...**
**მომართვით რაში... მითხარით: „აში“,**
**დამჭკარით ტაში... გამიშვით ცაში**
**თუ გამოვდგები ლექსის წერაში,**
**ისე არ ვარგვარ არაფერ სხვაში!**

წასული ყოფილა თქვენი საქმე.

P-7188

# ბიუროკრატიზმის გარეშე




მთხოვნელები:—სად არის ამდენხანს გამგე? რატომ არ გვღებულობს?
დარაჯი:—დაიცადეთ! ნუ ღელავთ! მოვა და ყველას ერთად გაგისტუმრებს—უარს გეტყვის!

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია. გამომცემელი—გაზ. „მუშა“. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. საჭიროა ავტორის ვინაობა. დაწუნებულ მასალებს რედაქცია არ ინახავს და არც ავტორს უბრუნებს.

მთავლიტი № 1473, პ-ტ. მე-5 სტამბა კამოს. ქ. № 68.

კვირა, 27 ოქტომბერი 1929 წ. № 44 (228) ფასი 10 კაპ.

# ტარტაროზი

## ბაბუა და შვილიშვილი



ბაბიკა, რატომ ურევ ერთმანეთში „შ“-ს და „ჭ“-ს? კიდევ რომ შეცდეს, მერე ყურსაც აგიწევ!

# ლიკვიდაცია

თუმცა „სოფლისა და ქალაქის კავშირის საზოგადოების“ წევრად ვითვლები, ერთ-ერთი სოფლის საშეფო კომისიის თავმჯდომარეც ვარ და ამასთანავე „პირი სოფლისაკენ“ სომ მუდამ პირზე მაკერია, მაგრამ, მაინც არ იქნა და წრევანდლამდის ტფილისის საზღვრებს ვერ გავცილდი.

ოცი წელიწადია ჩვენი სოფელიც არ მინახავს.

ნურავინ გაიკვირვებს და ცოდვათ ნუ ჩამომართმევს.

ცოლშვილის პატრონი ვარ. ჩემი ცოლი ჯიუტი ადამიანია, რომელმაც თუ რამე აიჩემა, უეჭველია თავისი უნდა გაიტანოს. ამასთანავე სამსახურის კაცი ვარ. სამსახურში მაინც და მაინც საქმე მაგრათ არა მაქვს...

ერთ-ერთ დაწესებულებაში ბუღალტრად ვმსახურობ, მაგრამ, ჩვენ შორის დარჩეს და, ბუღალტერიის ისე მესმის, როგორც ჩინეთის და ავღანისტანის ამბები. ასეთ პირობებში, ერთი მიბრძანეთ, როგორ შეიძლება ერთი დღითაც დავტოვო სამსახური, რომელსაც კრუხივით ვაზივარ. ასე მგონია, ერთ დღეს რომ სამსახურში არ მივიდე, ჩემს მაგიერ სხვა დამიხვდება.

წრეულს კი სულ სხვაგვარად დატრიალდა საქმე. ცოლმა კატეგორიულად მომთხოვა — აგარაკზე წაგვიყვანე. უარის თქმა აბა როგორ შემეძლო. ერთი თვის შვებულებაც მიწვდა. ავდექი და ცოლ-შვილით ჩვენს სოფელში წავედი.

მართალია, ჩვენი სოფელი აგარაკად არ ითვლება, მაგრამ ცოლს წინააღმდეგობა არ გაუწევია...

სოფელში ბაბუას და ბებიას ვესტუმრეთ, რომლებმაც აღტაცებით მიგვიღეს. სოფლელებს პირველად ჩემი ნახვა გაუხარდათ.

— როგორ დაგვივიწყე, არა გრცხვენია? — მისაყვედურა ერთმა.

— არა უშავს, ერთ თვეს მაინც ჩვენთან იქნება, დახმარებას გაგვიწევს, დაგვარიგებს — სიტყვა შეურთო.

რამდენიმე დღის შემდეგ მართლაც მოვიდნენ ჩემთან და სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე მოსაზრების გაზიარება მომთხოვეს.

— ვაი, ამ საქმეს! — გავიფიქრე მე და ავადმყოფობა მოვიმიზეზე.

ერთ დღეს სკოლის ეზოში კრება მოეწყოთ, რომელსაც მეც დავესწარი.

— ამხანაგებო! დაიწყო თავმჯდომარემ! — თქვენ ყველას გაგიგონიათ „ცოდნა სინათლეა, უცოდინარობა კი სიბნელე“. ნაკლოვანებას ძველად ჩვენ არ ვაქცევდით, რადგან ხალხის სიბნელე მათთვის საჭირო იყო. აბა, ვინ იცოდა მაშინ წერა-კითხვა? არავინ. დღეს კი ჩვენი მთავრობაა, რომელსაც ხალხის სინათლე უნდა. ამიტომაც არის, რომ ჩვენი ბავშვები იზრდებიან სკოლებში.

მაგრამ ჯერ კიდევ ჩვენში ბევრი არიან უსწავლელები. აბა, აწიეთ ხელი, რომლებმაც წერა-კითხვა იცით! აი, ხომ ხედავთ, ამდენ ხალხში რამდენიმემ აწია ხელი, დანარჩენმა კი წერა-კითხვა არ იცოდნია! — და თავმჯდომარემ დიდხანს ილაპარაკა წ.-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის შესახებ და ბოლოს მოუწოდა ყველას ესწავლათ წერა-კითხვა. მისი სიტყვის შემდეგ ილაპარაკეს სხვებმაც. ყველა საჭიროთ ცნობდა წ.-კ.-ის უცოდინარობის მოსპობას.

მთხოვეს მეც მელაპარაკა. უარის თქმა არ შემეძლებოდა. ავდექი და მეც დავიწყე. მე არ ვიცოდი რაზე ვლაპარაკობდი. ხალხი არ მისმენდა. სიმწრის ოფლში ვიწურებოდი, პაპუკებს თავი ვერ ვუყარე. მივხვდი — საქმე ცუდათ იყო და სიტყვა ასე დავასრულე:

— ამხანაგებო, საჭიროა წერა-კითხვის ლიკვიდაცია. გაუმარჯოს წერა-კითხვის ლიკვიდაციას!

ხალხში სიცილი შეიქნა.

წამოდგა ერთი ახალგაზრდა და ხმამაღლა დაიძახა:

— ამხანაგი შეცდა. გაუმარჯოს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

თავმჯდომარემ კრება დახურა.

მე და ბაბუაჩემი ერთად მოვდიოდით სახლში.

გზაში ის შემეკითხა:

— შვილო, რას ნიშნავს ლიკვიდაცია?

— ლიკვიდაცია, ბაბუ, მოსპობას ნიშნავს. — მოკრძალებით უპასუხე მე.

— ჰო, ლიკვიდაცია მართალია კარგი სიტყვა ყოფილა, მარა ჩვენ წერა-კითხვა გვინდა და არა მისი ლიკვიდაცია.

სთქვა მან და ჩუმად ულვაშებში ჩაიცინა.

ნიანგი.

# შეფი სოფლად



— ჩემს რაიონში არ შეიძლება წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის ჩატარება?

— რატომ?

— იმიტომ რომ უდიდესი ნაწილი წ.-კ. უცოდინარია.

# „ᲐᲦᲐᲠ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ"

**ᲡᲝᲤ.** შუქნარში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლის დაარსებამ მთელი სოფელი აალაპარაკა.

გლეხობა აღტაცებითა და სიხარულით შეხვდა ამ ამბავს.

მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც თავზარი დასცა და ყურები ძირს ჩამოაყრევინა ამავე ამბავმა. ესენი იყვნენ: მამაო ათანასე, კულაკი ამბაკო, ჩარჩი ალფესა და ექიმბაში სოფიო.

***

— **ᲐᲙᲘ** გეუბნებოდი, შე გამოყეყეჩებულო, რომ ანაფორა გაიძვრე და მაგ გაბურძნული თმა-წვერი გაიკრიჭე-მეთქი?!—უსაყვედურებდა ათანესს ფოფოდია. — რაღაც ორი-სამი მორწმუნე გყავდა, და ეხლა ისინიც შემოგეცლებიან.

— ენა დააჩუმე, თორემ, რომ ავიღებ ამ ჯვარს, ზედ თავში გთხლიშავ. მთელი სოფელი რომ დამცინის ისიც მეყოფა და შენ კიდევ-ნუღარ მიმატებ!— შეუტევდა ათანასე და რომ მდგომარეობა კიდევ უფრო არ გამწვავებულიყო ცოლსა და მის შორის, სახლიდან მიდიოდა.

— ივანე, შენგან არ მიკვირს ასეთი ბავშური საქციელი!?—უთხრა ათანასემ ერთ გლეხს, რომელსაც წიგნები იღლიაში ამოეჩარა და სალიკვიდაციო სკოლისაკენ მიდიოდა.— რატომ ჰკარგავ ცხოვრებას მშვენიერ სამოთხეში? განა არ იცი, რომ მაგ წიგნებში ღვთისა და სარწმუნოების გმობას გარდა, არაფერია შიგ? თუ ის გგონია, რომ ღმერთი მაინც სამოთხეში მიგიღებს? მაგ წიგნებმა ჰქნეს, რომ ქვეყანა არიეს: მეფე და ღმერთი ჰგმეს. თავი გაანებე მაგ მაცდურსა და ბოროტ საქმეს, თორემ ჯოჯოხეთი არ აგცდება. მერე ჩემი ბრალი არ იყოს, რომ ღმერთმა არ შეგიბრალოს.

— რაკი შენ ასე მეუბნები, მართლაც ძალიან საჭირო ყოფილა წერა-კითხვის ცოდნა და ყოველივე ძალღონეს ვიხმარ, ვისწავლო!—უთხრა ივანემ და სკოლის ეზოსკენ გადაუხვია.

ათანასე დაიბნა. ვერ გაეგო ივანეს სიტყვები. ერთხანს გაშტერებული უცქერდა სკოლის ეზოში მიმავალ ივანეს, ბოლოს თითქოს გონს მოვიდაო, ზეცისკენ აიხედა და ბრაზისაგან ღმერთს შეუკურთხა:

— შენი ღმერთობაც კი შევარცხვინე! ღმერთი კი არა, მთხლე ხარ, მთხლე.

— **ᲐᲦᲐᲠ** იცხოვრება და ეს არის!— ფიქრობდა კულაკი ამბაკო.— ესენი, რომ წერა-კითხვას შეისწავლიან, მოსავალიც მეტი ექნებათ, რადგან წიგნებიდან გაიგებენ, თუ როგორ უნდა მიწას დამუშავება. ყველა კოლექტივში ჩაეწერება და ისე შემავიწროვებენ, რომ გასაქანი აღარ მექნება. მოჯამაგირე რომ წერა-კითხვას შეისწავლის, ის გამიჩერდება მე ასეთ პირობებში? სწორედ, რომ მეორედ მოსვლაა! გაგონილა ოდესმე ასეთი ამბავი?!

— **ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲣᲚ** ქალს ცხოვრების საშუალებას არ მაძლევენ. აღარ იცხოვრება ამ ქვეყნად,რად უნდა სოფელს წიგნი? გლეხი რომ წიგნს ისწავლის, მერე ჩემთან აღარ მოვა. გაიგებს ჩემს ოინებს და მატყუარობას. ავადმყოფობის დროს, ექიმს მიმართავს. ვაი, ჩემო კარაბადინო!— მოსთქვამდა ექიმბაში სოფიო.— გაირყვნა სოფელიც... წახდა დროება!

— **ᲐᲦᲐᲠ** იცხოვრება, არა, და ის არის, ქალაქში ტყავი გადასახადებით ისე გამაძვრეს, როგორც მე ვაძრობდი დღემდე აქ სოფლელებს. გლეხი რომ წერა-კითხვას ისწავლის, მერე მე მოვატყუებ მას? აფსუს, რა დრო დგება!.. ჩემებურად ვუანგარიშებდი, სჩოთქზე გავკრავ-გამოვკრავდი: აბაზი და შვიდი კაპეიკი, ესეც შენი სამი აბაზი და ცხრა კაპეიკი-მეთქი ვეტყოდი და მასაც სჯეროდა. ბუფბუტებდა ჩარჩი ალფეზა.

— აღარ იცხოვრება, — ამბობდენ გლეხებიც,— თუ კაცმა ეხლა წერა-კითხვა არ იცი. სირცხვილიც არის, რომ არ ვისწავლოთ. უცოდინარი იმიტომ ვართ, რომ უწინდელი მთავრობები საშუალებას არ გვაძლევდენ — გვესწავლა. ეხლა კი ჩვენი მთავრობაა. თვითონ მთავრობა მოდის და გვასწავლის; გვეუბნება — ისწავლეთო.

— **„თუ კაცსა ცოდნა არა აქვს**

**გასტანჯავს წუთი-სოფელი!** — დაუმატა ჰალარა მოხუცმა, რომელსაც ცალ ხელში წიგნი და ფანქარი ეჭირა, ხოლო მეორეში — გრძელტარიანი ჩიბუხი. **Ი—Ი.**



# ლიკვიდაცია

თუმცა „სოფლისა და ქალაქის კავშირის საზოგადოების“ წევრად ვითვლები, ერთ-ერთი სოფლის საშეფო კომისიის თავმჯდომარეც ვარ და ამასთანავე „პირი სოფლისაკენ“ ხომ მუდამ პირზე მაკერია, მაგრამ, მაინც არ იქნა და წრევანდლამდის ტფილისის საზღვრებს ვერ გავცილდი.

ოცი წელიწადია ჩვენი სოფელიც არ მინახავს.

ნურავინ გაიკვირვებს და ცოდვათ ნუ ჩამომართმევს.

ცოლშვილის პატრონი ვარ. ჩემი ცოლი ჯიუტი ადამიანია, რომელმაც თუ რაიმე ამოიჩემა, უეჭველია თავისი უნდა გაიტანოს. ამასთანავე სამსახურის კაცი ვარ. სამსახურში მაინც და მაინც საქმე მაგრათ არა მაქვს...

ერთ-ერთ დაწესებულებაში ბუღალტერათ ვმსახურობ, მაგრამ, ჩვენ შორის დარჩეს და, ბუღალტერიის ისე მესმის, როგორც ჩინეთის და ავღანისტანის ამბები.. ასეთ პირობებში, ერთი მიბრძანეთ, როგორ შეიძლება ერთი დღითაც დავტოვო სამსახური, რომელსაც კრუხივით ვაზივარ. ასე მგონია, ერთ დღეს რომ სამსახურში არ მივიდე, ჩემს მაგიერ სხვა დამიხვდება.

წრეულს კი სულ სხვაგვარად დატრიალდა საქმე. ცოლმა კატეგორიულად მომთხოვა — აგარაკზე გაგზავნა. უარის თქმა აბა როგორ შემეძლო. ერთი თვის შვებულებაც მიწევდა. ავდექი და ცოლ-შვილით ჩვენს სოფელში წავედი.

მართალია, ჩვენი სოფელი აგარაკათ არ ითვლება, მაგრამ ცოლს წინააღმდეგობა არ გაუწევია...

სოფელში ბაბუას და ბებიას ვესტუმრეთ, რომლებმაც აღტაცებით მიგვიღეს. სოფლელებს პირველად ჩემი ნახვა გაეხარდათ.

— როგორ დაგვივიწყე, არა გრცხვენია? — მისაყვედურა ერთმა.

— არა უშავს, ერთ თვეს მაინც ჩვენთან იქნება, დახმარებას გაგვიწევს, დაგვარიგებს —სთქვა მეორემ.

რამდენიმე დღის შემდეგ მართლაც მოვიდენ ჩემთან და სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე მოხსენების გაკეთება მომთხოვეს.

— ვაი, ამ საქმეს! — გავიფიქრე მე და ავადმყოფობა მოვიმიზეზე.

ერთ დღეს სკოლის ეზოში კრება მოეწყვიათ, რომელსაც მეც დავესწარი.

— ამხანაგებო! დაიწყო თავმჯდომარემ! — თქვენ ყველას გაგიგონიათ: „ცოდნა სინათლეა, უცოდინარობა კი სიბნელე“. ნიკოლოზის დროს ჩვენ არ გვასწავლიდენ, რადგან ხალხის სიბნელე მათთვის საჭირო იყო. აბა, ვინ იცოდა მაშინ წერა-კითხვა? არავინ. დღეს კი ჩვენი მთავრობაა, რომელსაც ხალხის სინათლე უნდა. ამიტომაც არის, რომ ჩვენი ბავშვები იზრდებიან სკოლებში..

მაგრამ ჯერ კიდევ ჩვენში ბევრი არიან უსწავლელები. აბა, ასწიეთ ხელი, რომლებმაც წერა - კითხვა იცით! აი, ხომ ხედავთ, ამდენ ხალხში რამდენიმემ ასწია ხელი, დანარჩენს კი წერა - კითხვა არ სცოდნია! — და თავმჯდომარემ დიდხანს ილაპარაკა წ.-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის შესახებ და ბოლოს მოუწოდა ყველას ესწავლათ წერა - კითხვა. მისი სიტყვის შემდეგ ილაპარაკეს სხვებმაც. ყველა საჭიროთ ცნობდა წ.-კ.-ის უცოდინარობის მოსპობას.

მთხოვეს მეც მელაპარაკა. უარის თქმა არ შეიძლებოდა. ავდექი და მეც დავიწყე. მე არ ვიცოდი რაზე ვლაპარაკობდი. ხალხი არ მისმენდა. სიმწრის ოფლში ვიწურებოდი, ბაბუაჩემს თავი ჩაღუნა. მივხვდი — საქმე ცუდათ იყო და სიტყვა ასე დავასრულე:

— ამხანაგებო, საჭიროა წერა = კითხვის ლიკვიდაცია. გაუმარჯოს წერა კითხვის ლიკვიდაციას!

ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა.

წამოდგა ერთი ახალგაზრდა და ხმამაღლა დაიძახა:

— ამხანაგი შეცდა. გაუმარჯოს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

თავმჯდომარემ კრება დახურა.

მე და ბაბუაჩემი ერთად მოვდიოდით სახლში.

გზაში ის შემეკითხა:

— შვილო, რას ნიშნავს ლიკვიდაცია?

— ლიკვიდაცია, ბაბუა მოსპობას ნიშნავს. — მორცხვათ უპასუხე მე.

— ჰო, ლიკვიდაცია მართლა კაი სიტყვა ყოფილა, მარა ჩვენ წერა-კითხვა გვინდა და არა მისი ლიკვიდაცია.

სთქვა მან და ჭაღარა ულვაშებში ჩაიცინა.

ნიანგი.

# შეფი სოფლად




— ჩემს რაიონში არ შეიძლება წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის ჩატარება?

— რატომ?

— იმიტომ რომ უდიდესი ნაწილი წ.-კ. უცოდინარია.

# „ალარ იცხოვრება"

**სოფ.** შუქნარში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლის დაარსებამ მთელი სოფელი აალაპარაკა.

გლეხობა აღტაცებითა და სიხარულით შეხვდა ამ ამბავს.

მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც თავზარი დასცა და ყურები ძირს ჩამოაყრევინა ამავე ამბავმა. ესენი იყვნენ: მამაო ათანასე, კულაკი ამბაკო, ჩარჩი ალფეზა და ექიმბაში სოფიო.

***

— **აკი** გეუბნებოდი, შე გამოყეყეჩებულო, რომ ანაფორა გაიძრე და მაგ გაბურდნული თმა-წვერი გაიკრიჭე-მეთქი?!—უსაყვედურებდა ათანეს ფოფოდია. — რაღაც ორი-სამი მორწმუნე გყავდა, და ეხლა ისინიც შემოგეცლებიან.

— ენა დააჩუმე, თორემ, რომ ავიღებ ამ ჯვარს, ზედ თავში გთხლიშავ. მთელი სოფელი რომ დამცინის ისიც მეყოფა და შენ კიდევ-ნუღარ მიმატებ!— შეუტევდა ათანასე და რომ მდგომარეობა კიდევ უფრო არ გამწვავებულიყო ცოლსა და მის შორის, სახლიდან მიდიოდა.

— ივანე, შენგან არ მიკვირს ასეთი ბავშური საქციელი!?—უთხრა ათანასემ ერთ გლეხს, რომელსაც წიგნები იღლიაში ამოეჩარა და სალიკვიდაციო სკოლისაკენ მიდიოდა.— რატომ ჰკარგავ ცხოვრებას-მშვენიერ სამოთხეში? განა არ იცი, რომ მაგ წიგნებში ღვთისა და სარწმუნოების გმობას გარდა, არაფერია შიგ? თუ ის გგონია, რომ ღმერთი მაინც სამოთხეში მიგიღებს? მაგ წიგნებმა ჰქნეს, რომ ქვეყანა არიეს: მეფე და ღმერთი ჰგმეს. თავი გაანებე მაგ მაცდურსა და ბოროტ საქმეს, თორემ ჯოჯოხეთი არ აგცდება. მერე ჩემი ბრალი არ იყოს, რომ ღმერთმა არ შეგიბრალოს.

— რაკი შენ ასე მეუბნები, მართლაც ძალიან საჭირო ყოფილა წერა-კითხვის ცოდნა და ყოველივე ძალღონეს ვიხმარ, ვისწავლო!—უთხრა ივანემ და სკოლის ეზოსკენ გადაუხვია.

ათანასე დაიბნა. ვერ გაეგო ივანეს სიტყვები. ერთხანს გაშტერებული უცქერდა სკოლის ეზოში მიმავალ ივანეს, ბოლოს თითქოს გონს მოვიდაო, ზეცისკენ აიხედა და ბრაზისაგან ღმერთს შეუკურთხა:

— შენი ღმერთობაც კი შევარცხვინე! ღმერთი კი არა, მთხლე ხარ, მთხლე.

— **ალარ** იცხოვრება და ეს არის!— ფიქრობდა კულაკი ამბაკო.— ესენი, რომ წერა-კითხვას შეისწავლიან, მოსავალიც მეტი ექნებათ, რადგან წიგნებიდან გაიგებენ, თუ როგორ უნდა მიწას დამუშავება. ყველა კოლექტივში ჩაეწერება და ისე შემავიწროვებენ, რომ გასაქანი აღარ მექნება. მოჯამაგირე რომ წერა-კითხვას შეისწავლის, ის გამიჩერდება მე ასეთ პირობებში? სწორედ, რომ მეორედ მოსვლაა! გაგონილა ოდესმე ასეთი ამბავი?!

— **მოხუცებულ** ქალს ცხოვრების საშუალებას არ მაძლევენ. ალარ იცხოვრება ამ ქვეყნად,რად უნდა სოფელს წიგნი? გლეხი რომ წიგნს ისწავლის, მერე ჩემთან აღარ მოვა. გაიგებს ჩემს ოინებს და მატყუარობას. ავადმყოფობის დროს, ექიმს მიმართავს. ვაი; ჩემო კარაბადინო!— მოსთქვამდა ექიმბაში სოფიო.— გაირყვნა სოფელიც... წასდა დროება!

— **ალარ** იცხოვრება, არა, და ის არის, ქალაქში ტყავი გადასახადებით ისე გამაძვრეს, როგორც მე ვაძრობდი დღემდე აქ სოფლელებს. გლეხი რომ წერა-კითხვას ისწავლის, მერე მე მოვატყუებ მას? აფსუს, რა დრო დგება!.. ჩემებურად ვუანგარიშებდი, სიოთქზე გავკრავ-გამოვკრავდი: აბაზი და შვიდი კაპეიკი, ესეც შენი სამი აბაზი და ცხრა კაპეიკი-მეთქი ვეტყოდი და მასაც სჯეროდა. ბუფბუტებდა ჩარჩი ალფეზა.

— ალარ იცხოვრება, — ამბობდენ გლეხებიც,— თუ კაცმა ეხლა წერა-კითხვა არ იცი. სირცხვილიც არის, რომ არ ვისწავლოთ. უცოდინარი იმიტომ ვართ, რომ უწინდელი მთავრობები საშუალებას არ გვაძლევდენ — გვესწავლა. ეხლა კი ჩვენი მთავრობაა. თვითონ მთავრობა მოდის და გვასწავლის; გვეუბნება — ისწავლეთო.

— **„თუ კაცსა ცოდნა არა აქვს**

**გასტანჯავს წუთი-სოფელი!** — დაუმატა ჭაღარა მოხუცმა, რომელსაც ცალ ხელში წიგნი და ფანქარი ეჭირა, ხოლო მეორეში — გრძელტარიანი ჩიბუხი. **ი—ი.**



# შეფი სოფლად




— ჩემს რაიონში არ შეიძლება წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის ჩატარება?

— რატომ?

— იმიტომ რომ უდიდესი ნაწილი წ.-კ. უცოდინარია.

# ლიკვიდაცია

თუმცა „სოფლისა და ქალაქის კავშირის საზოგადოების" წევრად ვითვლები, ერთ-ერთი სოფლის საშეფო კომისიის თავმჯდომარეც ვარ და ამასთანავე „პირი სოფლისაკენ" ხომ მუდამ პირზე მაკერია, მაგრამ, მაინც არ იქნა და წრევანდლამდის ტფილისის საზღვრებს ვერ გავცილდი.

ოცი წელიწადია ჩვენი სოფელიც არ მინახავს.

ნურავინ გაიკვირვებს და ცოდვათ ნუ ჩამომართმევს.

ცოლშვილის პატრონი ვარ. ჩემი ცოლი ჯიუტი ადამიანია, რომელმაც თუ რაიმე ამოიჩემა, უეჭველია თავისი უნდა გაიტანოს. ამასთანავე სამსახურის კაცი ვარ. სამსახურში მაინც და მაინც საქმე მაგრათ არა მაქვს...

ერთ-ერთ დაწესებულებაში ბუღალტერათ ვმსახურობ, მაგრამ, ჩვენ შორის დარჩეს და, ბუღალტერიის ისე მესმის, როგორც ჩინეთის და ავღანისტანის ამბები.. ასეთ პირობებში, ერთი მიბრძანეთ, როგორ შეიძლება ერთი დღითაც დავტოვო სამსახური, რომელსაც კრუხივით ვაზივარ. ასე მგონია, ერთ დღეს რომ სამსახურში არ მივიდე, ჩემს მაგიერ სხვა დამიხვდება.

წრეულს კი სულ სხვაგვარად დატრიალდა საქმე. ცოლმა კატეგორიულად მომთხოვა — აგარაკზე გაგზავნა. უარის თქმა აბა როგორ შემეძლო. ერთი თვის შვებულებაც მიწევდა. ავდექი და ცოლ-შვილით ჩვენს სოფელში წავედი.

მართალია, ჩვენი სოფელი აგარაკათ არ ითვლება, მაგრამ ცოლს წინააღმდეგობა არ გაუწევია...

სოფელში ბაბუას და ბებიას ვესტუმრეთ, რომლებმაც ალტაცებით მიგვიღეს. სოფლელებს პირველად ჩემი ნახვა გაეხარდათ.

— როგორ დაგვივიწყე, არა გრცხვენია? — მისაყვედურა ერთმა.

— არა უშავს, ერთ თვეს მაინც ჩვენთან იქნება, დახმარებას გაგვიწევს, დაგვარიგებს —სთქვა მეორემ.

რამდენიმე დღის შემდეგ მართლაც მოვიდნენ ჩემთან და სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე მოხსენების გაკეთება მომთხოვეს.

— ვაი, ამ საქმეს! — გავიფიქრე მე და ავადმყოფობა მოვიმიზეზე.

ერთ დღეს სკოლის ეზოში კრება მოეწყვიათ, რომელსაც მეც დავესწარი.

— ამხანაგებო! დაიწყო თავმჯდომარემ! — თქვენ ყველას გაგიგონიათ: „ცოდნა სინათლეა, უცოდინარობა კი სიბნელე". ნიკოლოზის დროს ჩვენ არ გვასწავლიდნენ, რადგან ხალხის სიბნელე მათთვის საჭირო იყო. აბა, ვინ იცოდა მაშინ წერა-კითხვა? არავინ. დღეს კი ჩვენი მთავრობაა, რომელსაც ხალხის სინათლე უნდა. ამიტომაც არის, რომ ჩვენი ბავშვები იზრდებიან სკოლებში..

მაგრამ ჯერ კიდევ ჩვენში ბევრი არიან უსწავლელები. აბა, ასწიეთ ხელი, რომლებმაც წერა - კითხვა იცით! აი, ხომ ხედავთ, ამდენ ხალხში რამდენიმემ ასწია ხელი; დანარჩენს კი წერა - კითხვა არ სცოდნია! — და თავმჯდომარემ დიდხანს ილაპარაკა წ.-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის შესახებ და ბოლოს მოუწოდა ყველას ესწავლათ წერა - კითხვა. მისი სიტყვის შემდეგ ილაპარაკეს სხვებმაც. ყველა საჭიროთ ცნობდა წ.-კ.-ის უცოდინარობის მოსპობას.

მთხოვეს მეც მელაპარაკა. უარის თქმა არ შეიძლებოდა. ავდექი და მეც დავიწყე. მე არ ვიცოდი რაზე ვლაპარაკობდი. ხალხი არ მისმენდა. სიმწრის ოფლში ვიწურებოდი, ბაბუაჩემს თავი ჩაეღუნა. მივხვდი — საქმე ცუდათ იყო და სიტყვა ასე დავასრულე:

— ამხანაგებო, საჭიროა წერა - კითხვის ლიკვიდაცია. გაუმარჯოს წერა კითხვის ლიკვიდაციას!

ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა.

წამოდგა ერთი ახალგაზრდა და ხმამაღლა დაიძახა:

— ამხანაგი შეცდა. გაუმარჯოს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

თავმჯდომარემ კრება დახურა.

მე და ბაბუაჩემი ერთად მოვდიოდით სახლში.

გზაში ის შემეკითხა:

— შვილო, რას ნიშნავს ლიკვიდაცია?

— ლიკვიდაცია, ბაბუა მოსპობას ნიშნავს. — მორცხვათ უპასუხე მე.

— ჰო, ლიკვიდაცია მართლა კაი სიტყვა ყოფილა, მარა ჩვენ წერა-კითხვა გვინდა და არა მისი ლიკვიდაცია.

სთქვა მან და ჭალარა ულვაშებში ჩაიცინა.

ნიანგი.

# „აღარ იცხოვრება"

**სოფ.** შუქნარში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლის დაარსებამ მთელი სოფელი აალაპარაკა.

გლეხობა აღტაცებითა და სიხარულით შეხვდა ამ ამბავს.

მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც თავზარი დასცა და ყურები ძირს ჩამოაყრევინა ამავე ამბავმა. ესენი იყვნენ: მამაო ათანასე, კულაკი ამბაკო, ჩარჩი ალფეზა და ექიმბაში სოფიო.

***

— **აკი** გეუბნებოდი, შე გამოყეყეჩებულო, რომ ანაფორა გაიძვრე და მაგ გაბურდნული თმა-წვერი გაიკრიჭე-შეთქი?!—უსაყვედურებდა ათანესს ფოფოდია. — რაღაც ორი-სამი მორწმუნე გყავდა, და ეხლა ისინიც შემოგეცლებიან.

— ენა დააჩუმე, თორემ, რომ ავიღებ ამ ჯვარს, ზედ თავში გთხლიშავ. მთელი სოფელი რომ დამცინის ისიც მეყოფა და შენ კიდევ-ნუღარ მიმატებ!— შეუტევდა ათანასე და რომ მდგომარეობა კიდევ უფრო არ გამწვავებულიყო ცოლსა და მის შორის, სახლიდან მიდიოდა.

— ივანე, შენგან არ მიკვირს ასეთი ბავშური საქციელი!?—უთხრა ათანასემ ერთ გლეხს, რომელსაც წიგნები იღლიაში ამოეჩარა და სალიკვიდაციო სკოლისაკენ მიდიოდა.— რატომ ჰკარგავ ცხოვრებას მშვენიერ სამოთხეში? განა არ იცი, რომ მაგ წიგნებში ღვთისა და სარწმუნოების გმობას გარდა, არაფერია შიგ? თუ ის გგონია, რომ ღმერთი მაინც სამოთხეში მიგიღებს? მაგ წიგნებმა ჰქნეს, რომ ქვეყანა არიეს: მეფე და ღმერთი ჰგმეს. თავი გაანებე მაგ მაცდურსა და ბოროტ საქმეს, თორემ ჯოჯოხეთი არ აგცდება. მერე ჩემი ბრალი არ იყოს, რომ ღმერთმა არ შეგიბრალოს.

— რაკი შენ ასე მეუბნები, მართლაც ძალიან საჭირო ყოფილა წერა-კითხვის ცოდნა და ყოველივე ძალღონეს ვიხმარ, ვისწავლო!—უთხრა ივანემ და სკოლის ეზოსკენ გადაუხვია.

ათანასე დაიბნა. ვერ გაეგო ივანეს სიტყვები. ერთხანს გაშტერებული უცქერდა სკოლის ეზოში მიმავალ ივანეს, ბოლოს თითქოს გონს მოვიდაო, ზეცისკენ აიხედა და ბრაზისაგან ღმერთს შეუკურთხა:

— შენი ღმერთობაც კი შევარცხვინე! ღმერთი კი არა, მთხლე ხარ, მთხლე.

— **აღარ** იცხოვრება და ეს არის!— ფიქრობდა კულაკი ამბაკო.— ესენი, რომ წერა-კითხვას შეისწავლიან, მოსავალიც მეტი ექნებათ, რადგან წიგნებიდან გაიგებენ, თუ როგორ უნდა მიწას დამუშავება. ყველა კოლექტივში ჩაეწერება და ისე შემავიწროვებენ, რომ გასაქანი აღარ მექნება. მოჯამაგირე რომ წერა-კითხვას შეისწავლის, ის გამიჩერდება მე ასეთ პირობებში? სწორედ, რომ მეორედ მოსვლაა! გაგონილა ოდესმე ასეთი ამბავი?!

— **მოხუცებულ** ქალს ცხოვრების საშუალებას არ მაძლევენ. აღარ იცხოვრება ამ ქვეყნად,რად უნდა სოფელს წიგნი? გლეხი რომ წიგნს ისწავლის, მერე ჩემთან აღარ მოვა. გაიგებს ჩემს ოინებს და მატყუარობას. ავადმყოფობის დროს, ექიმს მიმართავს. ვაი, ჩემო კარაბადინო!— მოსთქვამდა ექიმბაში სოფიო.— გაირყვნა სოფელიც... წახდა დროება!

— **აღარ** იცხოვრება, არა, და ის არის, ქალაქში ტყავი გადასახადებით ისე გამაძვრეს, როგორც მე ვაძრობდი დღემდე აქ სოფლელებს. გლეხი რომ წერა-კითხვას ისწავლის, მერე მე მოვატყუებ მას? აფსუს, რა დრო დგება!.. ჩემებურად ვუანგარიშებდი, სჩოთქზე გავკრავ-გამოვკრავდი: აბაზი და შვიდი კაპეიკი, ესეც შენი სამი აბაზი და ცხრა კაპეიკი-მეთქი ვეტყოდი და მასაც სჯეროდა. ბუფბუტებდა ჩარჩი ალფეზა.

— აღარ იცხოვრება, — ამბობდნენ გლეხებიც.— თუ კაცმა ეხლა წერა-კითხვა არ იცი. სირცხვილიც არის, რომ არ ვისწავლოთ. უცოდინარი იმიტომ ვართ, რომ უწინდელი მთავრობები საშუალებას არ გვაძლევდნენ — გვესწავლა. ეხლა კი ჩვენი მთავრობაა. თვითონ მთავრობა მოდის და გვასწავლის; გვეუბნება — ისწავლეთო.

— **„თუ კაცსა ცოდნა არა აქვს**

**გასტანჯავს წუთი-სოფელი!** — დაუმატა ჭაღარა მოხუცმა, რომელსაც ცალ ხელში წიგნი და ფანქარი ეჭირა, ხოლო მეორეში, — გრძელტარიანი ჩიბუხი. **Ი—Ი,**



# სოფლად

„ტარტაროზის“ დავალებით სოფლებში გავემგზავრე. დავალება ასეთი მქონდა: გამომეკვლია, თუ რამდენად წარმატებით მიდიოდა სოფლებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ტფილისიდან დილით წასულმა შუადღისას მივაღწიე ერთ სოფელში და პირდაპირ ლიკპუნქტისაკენ გავეშურე.

პუნქტთან რამდენიმე ათეული გლეხი შეკრებილიყო და ტკბილად მასლაათობდენ.

— გამარჯობათ თქვენი,—გადავძახე ყველას.

— გაგიმარჯოს!

— მე მოვედი გამოვარკვიო, რამდენად წარმატებით მიდის თქვენთან წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

— ძალიან კარგად, შენი ჭირიმე,—წამოიწია წინ ერთი გლეხი,—ხოლო ცოტა რამ გვაკლია. — და, ულვაშებში გაიღიმა.

— მაინც რა?

— ისა, რომ წიგნები გვაქვს, პუნქტი გვაქვს, ხოლო მასწავლებელს უცდით, ეს ორი თვეა არსად არა სჩანს.

ჩემთვის საკმარისი იყო ეს პასუხი. ყველაფერს მივხვდი. ჩავსწერე ბლოკ-ნოტში და გავსწიე მეორე სოფლისკენ.

* * *

მეორე სოფელში, როცა გლეხებს შევეკითხე:—გაქვთ ლიკპუნქტი თუ არა,—ერთმანეთს გადახედეს და სიცილი დამაყარეს:

— ეეე, შენ ფრანცუცულად კი ნუ ლაპარაკობ შვილოსა, ჩვენებურად სთქვი.

— აი, მე ის მინდა გავიგო—წერა-კითხვას თუ გასწავლიან?

— ჰოო, აი ეგრე თქვი. წერა-კითხვას გვასწავლიან, ხოლო კარგ დარში.

— როგორ კარგ დარში?—ვკითხე გაკვირვებულმა.

— როგორ და იმიტომ, რომა, აი, შენობა არა გვაქვს... და გარედ გვასწავლიან.

* * *

მესამე სოფელში გადაველი. ლიკპუნქტი ვიკითხე, ხოლო ფრთხილად, სიცილი რომ არ გამოიწვია. მიმიყვანეს და მაჩვენეს, ლიკპუნქტთან ოციოდე კაცი იდგა რიგში.

— რა ამბავია? რისია ეს რიგი?—ვიკითხე.

— ესა, ამხანაგო იმისაა, რომ ჩვენ წერა-კითხვას ვსწავლობთ და ამ სოფელში მხოლოდ ერთი წიგნია. ამიტომ რიგში ვდგევართ და რიგრიგობით გვასწავლის ჩვენი მასწავლებელი.

* * *

მეოთხე სოფელში შესანიშნავი ლიკპუნქტი დამხვდა. შევედი შიგ. აუარებელი წიგნები, პლაკატები და საგლეხო ლიტერატურა იყო. ვიღაცას მაგიდაზე ჩამოძინებოდა. ფრთხილად გავაღვიძე. უცებ წამოვარდა. შემხედა და გაიღიმა:

— ჰოო, თქვენ წერა-კითხვის უცოდინარი ხართ? მაშ დაბრძანდით, შეუდგეთ მეცადინეობას. ეს არის ა...

— მოითმინეთ, უკაცრავად. წერა-კითხვის უცოდინარი კი არა ვარ, მე „ტარტაროზის“ კორესპონდენტი გახლავართ. მინდა გავიგო—თქვენ სოფელში როგორ მიდის წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის საქმე? თუ რაიმე გაკლიათ მაგ დარგში?

— ჰოო, მაგ დარგში რა მოგახსენო. არაფერი არ გვაკლია. წიგნი ბლომად გვაქვს, ლიკპუნქტიც, მასწავლებელიც მე გახლავართ, ხოლო ცოტა რამ გვაკლია.

— მაინც.

— ისა, რომ ამ სოფელში წერა-კითხვის უცოდინარი არავინა გვყავს!—გულდაწყვეტით მიპასუხა მასწავლებელმა.

დარჩუნა.

## სიცრუეს




მღვდელი (გლეხს):—აი, ჩემო დავით, აკი გეუბნებოდი, რომ კომუნისტებიც მოვლენ ჭკუაზე და ღმერთს იწამებენ - მეთქი? მარა ეხლა გვიანია... ხომ დამარცხდენ!.. ყველას ომი გამოუცხადებია ამათთვის... მოდიან, მოდიან ჩვენები!

## პირის გემო

### ამაღლება, (გურია)

თურმე გლეხკომს გასახრავად
შეპარვია ვინმე მელა,
და ქანქარი ექვსასამდე
შეუსანსლავს ნელა-ნელა.

ბოლოს დახე, მთელად შთანთქასაით, სიდან.. გაჩნდა ტურა,
და დოვლათი მშრომელების
ცეცხლის ალში შეაცურა.

თუ სამება ეტლს მოელის, —
აქ მელიტონს მოყავს ავტო
არ იფიქროთ—მის ეზოში
ჩაივლიდეს იგი მარტო.

საკეციეს თავზე, გავლით
შეუდგება მაღლა მთაში
თუ ნოე არ შეეფეთა,
თავს ამოყოფს ჯაპანაში.

ვერ გავიგეთ ვინ განაგებს
სალამოებს, თუ ალეგრას,
არც დეფიციტს უჩანს ბოლო,
არც ზურგების ხშირ „მოლენგვრას“.

გლეხებს მოაქვთ ალეგრისთვის
წიწილები შენაწირი,
მაგრამ მაინც ვახშმებზე სულ
თანხა რჩება მეტად მცირე.

„უჩინ-მაჩინი“.

# მოკლე ფეხები აქვს



**დავითი:**—როგორ მატყუილებდა ჩვენი ხუცესი, როცა წერა-კითხვა არ ვიცოდი? თურმე ყველაფერს პირიქით მეუბნებოდა!

# ახალი საწარმოო კვირა

შვებულებიდან დაბრუნდა თუ არა ტრესტის დირექტორი არხიპო, შეუდგა თავისი მოვალეობის „პირნათლად“ შესრულებას.

— ამხანაგებო,— განუცხადა მან თავის თანამშრომლებს,—თქვენ ალბად მოგეხსენებათ, რომ პარტია და ხელისუფლება დიდი ყურადღებით ეპყრობა აპარატის წმენდის საქმეს. ამასთან ერთად იგიც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ, თუმცა გავიარეთ წმენდა და ბევრი ჩვენგანი წყალიდან მშრალი გამოვედით, მაგრამ მაინც დიდი სიფრთხილე და სტრატეგიული თავდაჭერილობა გვმართებს ყოველ უბრალო მოქალაქის მიმართაც კი.

მოსალოდნელია ამ დღეებში თავს დაგვესხას მსუბუქი კავალერია.

ისინი ხომ ნამდვილად გულთმისნები არიან, თორემ საიდან შეიტყვეს, რომ მე თერთმეტ საათზე მოვდივარ სამსახურში. ან კიდევ, როგორ გაიგეს, რომ მე ჩვენი კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია დავარბიე?! ვერ წარმოვიდგენდი, თუ იმასაც შეიტყობდენ, რომ მე კუთვნილ შვებულებას ორი კვირით გადავაშორე. ან ეს საიდან დაესიზმრათ, რომ 1500 მ. ვალად მედება ადგილობრივ სალაროდან?!

ჰოდა, ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ... ის მინდოდა მეთქვა... რა უნდა მეთქვა?.. მაგრამ მგონი თორმეტი დარეკა, სხდომას ვწყვეტ რამოდენიმე საათით, ბუფეტში მიმეჩქარება... გადაუდებელი საქმე მაქვს.

გადადგა ნაბიჯი არხიპომ თუ არა, წინ მუშა შეეჩეხა.

— თუ შეიძლება ერთი წუთით, ამხანაგო, დირექტორო!— მიმართა მან არხიპოს.

— რა გინდათ, მოქალაქე?

— მე თქვენთან მოსალაპარაკებელი მაქვს სოცშეჯიბრების შესახებ... ახალი ხელშეკრულებას გთხოვთ დავსდოთ...

— რა დროს ეს არის, შე მამაცხონებულო? ხელშეკრულება ახალი კი არა, ძველი ვერ შევასრულებია. ვის აქვს მაგის თავი? დატვირთული ვართ ყელამდე, ახლახან მივიღეთ მუშგლეხინიდან ახალი ინსტრუქცია განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის შესახებ.

— მაშ როგორ მოვიქცე?

— შემოიარეთ ხვალ.

მეორე დღეს არხიპოს მუშებთან გაერთიანებული კრება ჰქონდა, სადაც ის მოხსენებით გამოვიდა.

— ამხანაგო, დაიწყო მან,—თანახმად მუშგლეხინის ინსტრუქციისა, რამოდენიმე წარმოება - დაწესებულება უკვე გადავიდა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე... ჰოდა, ამხანაგებო, ეს ახალი საწარმოო კვირა ხუთ წლიან გეგმის წარმატებითი შესრულების საწინდარია. განუწყვეტელ საწარმოო კვირით ჩვენ ავწევთ შრომის ნაყოფიერებას, განუწყვეტელ საწარმოო კვირით ჩვენ მოვსპობთ და ძირში აღმოვფხვრით ლოთობას, სიმულიაციას, შრომის დეზერტირობას და ყოველივე დაუდევრობას. მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლება გიგანტიურ აღმშენებლობის წარმოება.

— კი, მაგრამ ხომ დავიხოცებით განუწყვეტელ მუშაობით?— იკითხა ვილაცამ.

— ამხანაგებო, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მე საჭიროთ მიმაჩნია რამდენიმე სიტყვის თქმა განმარტებისათვის. ჩვენ გვექნება, ამხანაგებო, დასასვენებელი დღეები. თითეული ჩვენგანი 6 დღის ნაცვლად იმუშავებს ხუთ დღეს.

* * *

დილის 10 ს. იქნებოდა, როცა არხიპომ შეაღო კაბინეტის კარები, პორტფელი უგულოთ მიაგდო, და შეუდგა გაზეთის კითხვას.

დარაჯი და დამლაგებელი ქალი გასაღების ჭუჭრუტანიდან იცქირებოდენ, უნდოდათ შიგ შესვლა, მაგრამ ვერ ბედავდენ.

— შენცი ბარემ და გაიგე, რომელია ჩვენი დასასვენებელი დღე, თორემ ვინ იცის, ამ კვირაში სულაც არ მოვიდეს. მას შემდეგ რაც ჩვენი ტრესტი განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადავიდა, სამ დღეში ერთხელ თუ შემოიხედავს, თორემ დანარჩენ დღეებში კაბინეტი ობლად არის მიტოვებული.

— ოთხ-ხუთ დღეს კვირაში წინედაც ქე აცდენდა ბერა.—ამბობს დამლაგებელი.

— შე ქალო, წინანდელ კვირაში შვიდი დღე იყო, ახლანდელ კვირაში კი ხუთი დღეა. ხუთივე თუ გააცდინა, როგორ უნდა აწიოს შრომის ნაყოფიერება?

ამ დროს შემოვიდა სპეცხალათიანი და პირდაპირ დირექტორის კაბინეტისაკენ გაემართა.

— დირექტორს არ სცალია, ამხანაგო.—გადაეღობა წინ დარაჯი:

— მე საქმეზე ვარ.

— ასე აქვს, ბატონო ნაბრძანევი, რომ არავინ შემოუშვათ.

—:—

სპეცხალათიანი დირექტორის წინაშე სდგას.

— ხვალ!—მიმართა სპეცხალათიანს თავაუღებლივ დირექტორმა.

— ხვალ კი არა, დღესვე უნდა დამითომ, მოქალაქე, ეს თქვენი თანამდებობა.

— ჰა, რაო?—არხიპოს გაზეთი ხელიდან გაუვარდა.

— დიახ, ამხანაგო, ახალი საწარმოო კვირა, ახალ მუშაკს ითხოვს.

**დონ-კიხოტი.**

# ყალბი შეხედულება

ადექი, კაცო. არ გესმის ქარხნის საყვირი? არ მიდიხარ სამუშაოთ, რომ ასე უდარდელათ ხვრინავ?

— მაცალე, ქალო, ძილი. დღეს არ მივდივარ.

— რატომ არ მიდიხარ?

— იმიტომ, რომ განუწყვეტელ საწარმოვო კვირაზე გადავედით და დღეს ჩემი დასვენების დღეა.

— რა მოუსაზრებელი კაცი ხარ, შე საცოდაო. დღეს მეც ვისვენებ; შენ სხვა დღე აგერჩია!

—ვითომ, რატომაო?.. უკეთესი არ არის, რომ ორივე ერთად ვისვენებთ?

— არ არის უკეთესი. დღეს მე ვისვენებ, მე ვარ თავისუფალი, ბავშვა და ოჯახს დღეს მე მოუვლიდი, ხვალ შენ დაისვენებდი და შენ მოუვლიდი.

— მხოლოდ ამისთვის?

— დიახ, ამისთვის.

— აბა, ერთი მითხარი, რა ვაჟკაცის საქმეა ბავშვის და ოთახის მოვლა? მაგისთვის ხომ ქალები ხართ გაჩენილი.

— როგორ? ქალებმა ქარხანაში და ოჯახშიც უნდა იმუშაონ?

— რა შრომათ უნდა ჩავთვალოთ ბავშვისა და ოჯახის კოვლა?

— არაფერია ხომ?

— არაფერი.

— კარგი აბა... ვნახოთ!

—:—

—სად მიდიხარ ქალო. გაგავიწყდა, რომ დღეს დასვენების დღე გაქვს? უთხრა დათიკომ ცოლს, როცა უკანაკელი ქარხნის საყვირზე სასწრაფოდ წამოდგა.

— დღეს აღარ ვისვენებ. ხვალ არის ჩემი დასასვენებელი დღე. ბავშვს კარგად მოუარე, ოთახი მიალაგე, სადილი მზად დამახვედრე!—დაუბარა ცოლმა დათიკოს და ქარხნისაკენ გაეშურა.

—:—

— დეეედააა... დაიწყო ბავშვმა ტირილი და ლოგინზე წამოჯდა.

— დაიძინე გენაცვალე, ჯერ ადრეა!

დათიკომ დააწვინა ბავში და თვითონაც მიწვა დასაძინებლად, მაგრამ ბავშმა ტირილს უმატა, ბრაზისაგან საბანი იატაკზე გადმოაგდო და ლოგინიდან ტიტველა ჩამოვიდა.

— რა გიქირდა, ბიჭო, გეცლია ამ ტილით ძილი!—უსაყვედურა დათიკომ ბავშს და ტანზე ჩაცმა დაუწყო.

— მშია, მამა.—ტირილითვე წარუდგინა მოთხოვნილება ბავშმა დათიკოს.

დათიკომ გამოიღო შკაფიდან პური და ყველი და მიაწოდა ბავშვს. ბავშმა დაიწუნა, გამოართვა, იატაკზე გადააგდო და განგრძო ტირილი.

— ჩაი, მინდა, ჩაიიი.

— ოოო, რა მოთხოვნილებების კაცი ყოფილხარ!—ჩაილაპარაკა დათიკომ და შეუდგა „კეროსინკის" ანთებას. როგორც იყო ბავშს ჩაი დაალევინა.

ოთახების დალაგება, დაგვა-დასუფთავებ: დიდი ვაი-ვაგლახით შეასრულა.

დათიკომ გადასწყვიტა „ცოლის ჯინაზე" დაემზადებინა სადილი, მაგრამ როდესაც წარმოიდგინა, რომ სანოვაგის საყიდლათ უნდა ბაზარში წავიდეს ბავშით ხელში (ბავში სახლში მარტოთ არ მოიცდიდა), შემდეგ სანოვაგის დარჩევა, დამზადება და, ერთი სიტყვით, დაუსრულებელი მუშაობა, თავბრუ დაესხა, ხელი ჩაიქნია და სთქვა:

— არა, ეს მე არ შემიძლია. ვაჟკაცები ჩვენი მუშა ქალები ყოფილან და არა ჩვენ მამაკაცები!

—:—

ცოლი დაბრუნდ

— რა ჰქენი, დათიკო? ოთახი კი ჰიგილაგებია რაღაც გაჭირვებულათ, მაგრამ სადილი სად არის?

— უნდა გამოგიტყდე, რომ ამდენ ხანს არ ვაფასებდი თურმე შენს შრომას ოჯახში. ამიერიდან კარგად მეცოდინება, რომ ქალი მამაკაცზე მეტს მუშაობს და მამაკაცები უმადურნი ვართ.

— ეხლა გაიგე?

— ეხლა გავიგე, მაგრამ ნამდვილად გავიგე!

ტოქსინი.

# „ეჭვიანი გასაწმენდი"

წმენდის დაწყების დღიდან კოტე ბიუროკრატიაძეს მოსვენება დაეკარგა.

— საშინელი სიზმარი ვნახე დღეს; ალბად, არა სასიამოვნო ამბავს გავიგებ!— უთხრა მან ერთ დილას ცოლს.

— ეხ, შენც მოგცლია, რომ სიზმრების გჯერა ირინე მონაზონივით. ბოლოს და ბოლოს სამსახურიდან დაგითხოვენ მეტი რა იქნება!— დაამშვიდა ცოლმა.

— მერე და ეს არ კმარა, ქალო?

— შენ ფიქრი ნუ გაქვს; იმ დაწესებულებებიდან გამოგაგდებენ, მეორეში მოეწყობი; სანამ მე კარგად გაყოლები, შენ ნურაფრის გეშინია.

— არ ვიცი რისი იმედი გაქვს? შენი მეგობარი ივან პეტროვიჩი პარტიიდან გააძევეს, შენ ძველ ნაცნობებს ეხლა გასავალი არა აქვთ...

— დაბერდი კაცი და ჭკუა მაინც არა გაქვს: რატომ ამდენხანს არ იცი, რომ პროტექცია მუდამ იქნება?

— არა, ამ ბოლო დროს ძალიან დიდი იერიშებია მიტანილი პროტექციონიზმის წინააღმდეგ, ვინ არ გინდა, რომ მას არ ებრძოდეს?

ეს რაღაც ოხერი კავალერია რომ მოიგონეს, იმან ხომ სულ ძალა წაიღო.

— კავალერია! „პადუმაეშ!".

— არა, ძალიან საშიში ხალხი ყოფილან თურმე ეხლანდელი კავალერისტები, ვაი იმის ბრალი, ვისაც ეგენ გადაეკიდებიან... ხო, მართლა კავალერისტზე გამახსენდა, ვინ იყო გუშინ ის შენი „კავალერი" რომ ისე ახლოს გაგიარეთ და ვერც კი შემნიშნე? ქალო, შენ ასე თვეს აღარ იმლი? რატომ მკრი თავს? რატომ მარცხვენ ხალხში!?

— რაო? ეჭვიანობაც დაიწყე განა?

— არა, ასე ვსთქვი, სიტყვას მოყვა.

— ვისი წყალობით ხარ შენ დღეს სამსახურში? ვინ გაჭმევს პურს, თუ არა მე?

— ვინ და ჩემი თავი. ვმსახურობ, ჯამაგირს მაძლევენ და ვცხოვრობ!—გაბედა ცოლისათვის სიტყვის შებრუნება კოტემ.

— ვინ გიშოვნა ეს სამსახური?

— ხო, ეგ მართალია, შენ მომიხერხე, მაგრამ...

— ხო და ეხლა რომ იქიდან გამოგაგდებენ, თუ ნიადაგი მზათ არ იქნა ახალი სამსახურისათვის, ხომ ამოვწყდით სიმშილით? რატომ მაზე არ ფიქრობ შე ღვთის გლახა?

— თუ საჭირო ვინმეა, თუ გინდ დღე და ღამე იყავი იმასთან.

— დიახ, დიახ, ის ტრესტის ახალი გამგე გახლავთ, მეტად თავაზიანი და ზრდილობიანი კაცი... რასაც მიბრძანებ, ყველაფერს აგისრულებო!

— ააშენოს ღმერთმა, კეთილი კაცი ყოფილა, მაგრამ ჯერჯერობით შენ იმას ასე ძალიან მაინც ნუ დაუახლოვდები...

— რატომ ვითომ?

— იმიტომ, რომ მე მგონია, არ გამჩისტავენ: ან რას მერჩიან, რა ვიცი. მართალია, ძველათ ნიკოლოზის ოფიცერი ვიყავი, შემდეგ „პრისტავი", მენშევიკების დროს საგანგებო რაზმის აგენტი, მაგრამ რა უყოთ მერე! ხომ მინდოდა ცხოვრება? აა, რას იტყვი შენ?

— „მე რა ვიცი, ეგ გამწმენდ კომისიის საქმეა!

— მართალია, კომისიის საქმეა, მაგრამ ის შენი ახალი მეგობარი თუ ვარგა, მას შეუძლია მოაკვარახჭინოს საქმე!

— აპა, აპა, აპა! ამ ოხერ კომისიებს კაცი ვერ მოუდგება თურმე; რამდენი ეცადა ნინა პავლოვნა, მაგრამ ახლოც არ მიიკარეს.

ძველი.

# „По случаю"

მოვრჩი სამსახურს თუ არა, გავსწიე სასადილოსაკენ, სადილის საჭმელად.

კერძო სასადილოები, მართალია, არც ისე ცოტაა ბათომში, მაგრამ მაინც არ დავდივარ შიგ.

გზაზე ჩემი ამხანაგი მონასე შემომიერთდა და ჩემთან სადილობის სურვილი განაცხადა.

— ბიჭო, მანდ პურით ვერ გაგვაძღებენ და მოდი აგერ პური ვიყიდოთ!—მითხრა მონასემ.

ფურნეს მივადექით.

„პო სლუჩაი პერეუჩოტა, ზაკრიტ". ეწერა კარებზე.

— ჯანდაბას მაგათი თავი. — ჩავილაპარაკეთ ჩვენ და უკან გამოვპრუნდით.

„წლიურ ანგარიშის გამო, სასადილო დაკეტილია". დიდი ასოებით ეწერა სასადილოს კარებზე, რომელსაც ჩვენ მივადექით.

— წავიდეთ მეორეში. —სთქვა მონასემ და გამოვბრუნდით.

როცა მეორე სასადილოს მივუახლოვდით, ის იყო კარები დაკეტეს და კარებზე ისეთივე „პო სლუჩაი პერეუჩოტა" მიაკრეს.

— არა, რა პერეუჩოტი მოუვიდათ მაგ ოჯახქორებს! — სთქვა მონასემ და გამოვბრუნდით.

— იქიდან სხვა სასადილოებში მივედით, მაგრამ ზოგან „პო სლუჩაი" ეწერა და ზოგან „წლიურ გადაანგარიშების გამო".

— წავიდეთ ისევ მალაქიასთან!— მირჩია მონასემ, როცა ყველა სასადილოები შემოვიარეთ. მას არც „პოსლუჩაი" სწამს და არც „პერეუჩოტი".

ბათომში მალაქიას ვინ არ იცნობს. მისი პატარა სასადილო დღეში ხუთას - ექვსას კაცს ისტუმრებს. ვინ იცის რამდენი სადღეგრძელოები ისმება იქ. რამდენჯერ ხასიათდება ესა თუ ის პასუხისმგებელი ამხანაგი. რამდენს უკეთდება „ვიდვიჟენია" და რამდენი სტოვებს ადგილს. ყველა ეს საკითხები იქ წყდება... :

მივედით... მაგრამ...

„პო სლუჩაი რემონტა". სტოლოვაია ზაკრიტა".—ასე ეწერა კარებზე. ამ მოდამ დაუკეტავ დუქნის დარაბები, დაკეტილი იყო.

გადავწყვიტეთ მუშკოოპში გვეყიდა ძეხვი, ყველი და იმით გვესადილა, მაგრამ რაკი მუშკოოპის თითქმის ყველა მაღაზიებს ისეთივე „პოსლუჩაი პერეუეჩოტა" ჰქონდა აკრული, უსადილოთ დავრჩით.

მეორე დღეს აფთიაქის კარებს მივადექით წამლებისათვის და იქაც „პო სლუჩაი" რომ დავინახე, ძალიან გამიკვირდა.

— ნუ თუ არ შეიძლება სხვანაირად?— ამეკვიატა ეს ფიქრი.

პ. იმბოლი.

# ძალაუნებურად

საბჭოთა ჰაეროპლანს, რომელიც ამჟამად აწარმოებს დედა-მიწის გარშემო გადაფრენას, ყველგან დიდი ალტაცებით ხვდებიან.

დეპეშებიდან.



— ეს ისეთი პროპაგანდაა, რომლის აკძალვა შეუძლებელია!

# პარად ალე

მარანი (სენაკის მაზრა)

სკოლა ახალგაზრდობის
ვნახე ცრემლმორეული;
გამგე ალექსანდრე კი,
ძიმალულა წყეული.

როცა გული ალერსში
ლეს უტოკდებოდა,
საქმეს გვერდზედ სტოვებდა,
თამროს ტრფობით კვდებოდა.

სკოლის სიმინდ-ნიგოზი
სადღაც უგზოდ ქრებოდა.
თურმე „საშას" ბედელი,
მისთვის ილომებოდა.

შეცდომებით სავსეა
ორდერების სერია,
გაცემულს და მიღებულს
თანხა სხვა უწერია,

ორმოც ფუთი სიმინდი.
ნეტავ რაღამ დალია?
(სკოლის შემოსავალში
აღარ უჩანს კვალია).

ფულიც გაფლანგულია
მისგან ბევრი მანეთი,
სკოლას არ მოხმარია
საქმისათვის არც ერთი.

ალის ინტრიგანობით
საქმის კეთილ მდომები,
სკოლას აღარ რჩებოდენ
დიდხანს აგრონომები.

ალავიძე აგრონომს
ეუტეხა შარია,
კააქცია ივნისში,
აქეთ არივ-დარია.

პენნიკური მუშათი,
„გაცოდვილდა" ის წელში.
და ორმაგსა ჯამაგირს,
ივათონ იდებს ჯიბეში.

კითომც მან შეასრულა
აგრონომის ვალია,—
მაგრამ სად გაგონილა
აქლემში და გალია?

ლიუბიმოვი.

# ასე იყო



## ჰმ!

ეს არ იყო ისტორიული დღე კაკობრიობის ცხოვრებაში: პირიქით, ეს გახლდათ ჩვეულებრივი დღე, მაგრამ უკანასკნელი მოგიკანი,— კვირა. უკანასკნელი იმიტომ, რომ, როგორც ყველას კარგათ მოეხსენება, კვირას ჩვენ უკვე აუკარით გუდა-ნაბადი და არქივს ვაბარებთ.

მაგრამ ამჟამად თემად აღებულია არა განუწყვეტელი საწარმოო კვირა, არამედ ჭიათურის რაიონის ზოგიერთი მომენტები.

დიაღ, გახლდათ კვირა დღე, დილა.

— მოვედი, მოვედი!—კიოდა „კუკუშკა“ მატარებელი.

როგორც ეს წესია და ისიც საერთოდ მიღებული, ჩვენ შეუხვიეთ მუშათა კლუბის სასადილოში.

— აბა, ერთი გვიშველეთ!

— რა მოგართვათ?

— მწვადი შეწვით (მადა, ხომ იცით უჭმელობის დროსაც მოდის ხოლმე).

— სამწვადე არ არის.

— მაშ. ისე ხორცი იყოს.

— ხორცეული არა გვაქვს...

— აბა, ერბო-კვერცხი გააკეთეთ.

— კვერცხი არ არის და ესეც რომ ვიშოვოთ, ერბო არა გვაქვს.

— მაშ, მოიტანეთ რაც გეშოვებათ.

— საჭმელი არაფერი არ გვაქვს...

— მაშ, რით ვაჭრობთ, ამ სასადილოში წაღებს ხომ არ კერავთ?

— რატომ წაღებს? წაღებს ჩვენ კი არა, ჩვენი მუშკოოპი ვერ შოულობს.

გამოვედით, გავიარეთ, წინ ერთი წელში მოხრილი შენობა გამოჩნდა.

[illegible]

— მუშათა საერთო საცხოვრებელი.

ეს საცხოვრებელი შენობა იდგა ქუდ-მოხდილი და ბოლო-მოგლეჯილი. სახურავი თითქმის გადახდილი ქონდა და მთელი შენობა გაშლილი იყო, როგორც სუფთა ჰაერისთვის, ისე წვიმის, ქარის და ბუნების სხვა მოვლენებისთვის.

— ეს რაიმე ახალი ტიპის შენობა ხომ არ არის?

— არა, შენობა სავსებით ჩვეულებრივია, მაგრამ ტრესტის ადმინისტრაციამ მუშების გასახლება მოინდომა და რადგანაც მათ ჯიუტობა გამოიჩინეს და ნებით არ გავიდენ, ამიტომ ადმინისტრაციამ სახურავი გადაართვა სახლს.

— ჰმ!

— ქვევით ჩავიარეთ.

— პური გეშოვებათ?

— პური საკმაოდ მოგვდის, როგორც სამრეწველო რაიონს, მაგრამ ჭიათურის მუშკოოპის წყალობით 3—4 საათი და ხან მეტი გვიხდება რიგში დგომა,— სთქვეს მაღაროს მუშებმა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მუშკოოპს ეზარება პურის სავაჭრო დუქნების მოწყობა მაღაროებთან, ისე, რომ რიგში დგომა აღარ მოგვიწიოს. ამიტომ ზოგიერთი ჩვენგანი ღამე მუშაობის გათავების შემდეგ, ღამის 2 საათიდან მუშკოოპის პურის დუქნის წინ იძინებს, რომ დილით ადრე მიიღოს პური.

— ჰმ! — მუშათა სასადილოები არის მაღაროებთან?

— არის რამოდენიმე, მაგრამ როცა გშია, შიგ არაფერია.

— მუშკოოპს სანოვაგე ეშოვება?

— როგორ არა, ხორცის, ყველის, კარტოფილის, მწვანილის და სხვა ასეთების გარდა...

# ასე არის



— რატომ, რატომ?

— მაგას ალბად, მუშკოოპის მუშაკები გეტყვიან, ჩვენ ამის მეტი არაფერი ვიცით.

— ჰმ!

— მუშათა საქმიანი წინადადებების საქმე როგორ არის?

— კარგათ: მუშებს შეაქვთ ასეთი წინადადებები.

— ადმინისტრაცია?

— ზოგს ატარებს, ზოგს არა.

— დაჯილდოების საქმე როგორაა?

— ო-ო! უკვე სამი დააჯილდოვეს 600 მანეთით (ყველა), ხოლო მუშათა წინადადებებით წარმოებამ მოიპოვა 800.000 მანეთის ეკონომია.

— მერე ასე ცოტა ჯილდო? ეს არის წახალისება?

— ალბად, ეს არის, მაშ სხვა რა იქნება! მართალია, ამდენი ეკონომიისთვის მეტი უნდა გაცემულიყო მუშებზე მაგრამ, ტრესტს ურჩევნია, თუ უფულოდაც წავახალისებით.

— ჰმ! —შრომის დაცვის საქმე ხომ არ მოიკოჭლებს?

— მოკოჭლებით არა,— პირდაპირ კოჭლობს.

— რატომ, სპეცტანისამოსს, მაგალითად ხომ იღებთ თავის დროზე?

— თავის დროზე არა და ისე ხანდისხან ვიღებთ.

— მაღაროები განათებულია?

— არც უმაგისობაა, თუმცა ბევრ ადგილას ბნელშიაც მუშაობენ.

— წყალი ხომ არ დგას მაღაროებში?

— თუ სადმე გამოდის, დგას, ხოლო სადაც არ გამოდის, იქ შედარებით სიმშრალეა.

— პირის დასაბანი წყალი, საპონი ხომ გეძლევათ?

— გვეძლევა კოლხელშეკრულების ძალით, ისე ჯერ არ მიგვიღია. ალბად, ტრესტი ფიქრობს, რომ ხელის დაბან წყალს ჩვენითაც კარგათ მოვძებნით.

— ჰმ!—ლოთობა მოისპო?

— თითქმის ასი პროცენტით,— ჩქარობს პროფმუშაკი.

წავედით ბაზრისკენ, წინ რამოდენიმე კაცი შეგვეფეთა. სახე აწითლებული ქონდათ.

— დღეს ხომ კვირაა, ეგენი სად დაითვრენ?

— კვირას, მართალია, ღვინით ვაჭრობა აკრძალულია, მაგრამ წვრილ - ბურჟუაზიული განხრის მატარებელი მიკიტნების ამბავი ხომ იცით... მაინც ყიდიან ჩუმად ღვინოს, რასაც ალვირი უნდა ამოედოს,— ამბობს მეორე პროფმუშაკი.

— მილიციამ არ იცის ეს ამბავი?

— იცის, მაგრამ ხომ იცით, უბერხულია ყოველთვის ჯარიმის გადახდევინება.

— ჰმ!

სამიკიტნოში:

— სადილი გაქვთ?

— როგორ არა!

— მოიტათ და ცოტა ღვინოც მოაყოლეთ.

მიკიტანმა ჩაგვათვალიერა. მიხვდა უცხონი ვიყავით.

— დღეს ღვინო არ შეიძლება, კვირაა.

— რა გაეწყობა.

ჩვენს გარშემო ხალხი იჯდა. ლიმონათის ბოთლებით სავსე იყო მაგიდები, სახე ყველას ქარხალივით ქონდა, თვალები ამღვრეული.

„ნუ თუ ლიმონათი აქაურებზე ასე მოქმედობს?“ მერე კიდევ, ნუ თუ ლიმონათით სადღეგრძელოების სმა შეიძლება? ან რატომ არ შუშხუნებს აქაური ლიმონათი“?.

თურმე ნუ იტყვით, ადგილობრივი ხელისუფლების თვალის „ასახვევად“ აქაურ სასადილოებში ლიმონათის ბოთლებით იყიდება კვირაობით ღვინო. ამიტომაა, რომ ჭიათურაში ლიმონათის ბოთლების არაჩვეულებრივი მოთხოვნილებაა.

— ჰმ!

ახლა ადვილი ასახსენია, თუ რატომ იზრდება ჭიათურაში ლიმონათის ბოთლების იმპორტი.

— ჰჰჰმ!

ტერსიტი.

# თვითკრიტიკის რაციონალიზაციისათვის

## (უპარტიო საველ ოქტიაბრევის მოსაზრებანი)

ზოგიერთები იმდენად გაკადნიერებულნიც კი არიან, რომ თვითკრიტიკის წინაამდეგ აშკარად ილაშქრებენ.

მაგრამ, რამდენადაც თვითკრიტიკა დირექტიულ წესით აღიარებულია და შესაფერ დადგენილებითაც დამტკიცებულ - განმტკიცებული, იმდენად მის წინააღმდეგ გამოლაშქრება, ჩემის აზრითა და ღრმა რწმენით, შეუფერებელი და უმართებულოა.

ამიტომაც, სავსებით და მთლიანად ნიველსამებით რა თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის აუცილებლობას, მინდა იმავე დროს ისევ და ისევ საქმის ინტერესისათვის საკითხის რაც შეიძლება კიდევ უფრო გარკვევა, გაღრმავება და გაფართოება.

თითქმის უკანასკნელ ხანებამდის თვითკრიტიკა წარმოადგენს რაღაც ჯერ კიდევ სავსებით ჩამოუყალიბებელ და უსისტემო მოვლენას.

ბევრ ადგილას ჩვენ საქმე გვაქვს თვითკრიტიკის სტიქიურ მოწოლასთან. რომელიც ჯერ კიდევ ვერ არის მოქცეული სათანადო კალაპოტში. და მე ვფიქრობ, რომ აღნიშნული სტიქიის სათანადო კალაპოტში მოქცევა, ესე იგი, თვითკრიტიკის ორგანიზაცია და მისი რაციონალიზაცია არის მიმდინარე პოლიტიკური დღის წესრიგის ყველაზე უფრო გადაუდებელი და საშური საკითხი.

რა წინადადებას ვიძლევი მე ამ მიმართულებით პირველ რიგში?

უპირველეს ყოვლისა და უთეთრესად თოვლისა, ვფიქრობ მე, რომ აუცილებელია დაარსება თვითკრიტიკის საქმეთა მთავარ კომიტეტისა, ანუ შემოკლებულად — **მთავთვითკრიტკომის**, ანუ კიდევ უფრო მოკლედ — **მთავთვითკრიტიკის**.

ამით ჩვენ უმთავრესად ავლაგმავდით სტიქიას.

შემდეგი ნაბიჯები კი ამ მიმართულებით იქნებოდა უკვე შემდეგი ჩამოკალაპოტ - ჩამოყალიბება, ჩაღრმავებ - ჩამახვილება, ჩაგდებ-ჩაკარაბაკება და ამრიგათ ცხოვრების ჯვეულებში ჩაწვნა-ჩაგრება, ჩაქსოვ-ჩაქარგვა-ჩაკვაჭახვინება თვითკრიტიკის სტიქიურ ნედლეულ მასალისა.

გუბერნიებსა, ოლქებსა და მაზრებში წესი და რიგი იქნებოდა დაგვეარსებინა მთავთვითკრიტკომის გუბ-ოლქ თუ მაზ-განყოფილებანი. წარმოებებში კი უნდა შევქმნათ საგანგებო კომისიები თვითკრიტიკისა, ანუ შემოკლებით თვითკრიტიკომები, იგივე— თეკაკები, რომელთა წევრებად უნდა შეყვანილ იქნან: ერთი—მუშათა წარმომადგენელი, ერთი — ადმინისტრაციისა და ერთიც — თვითკრიტიკის ადგილობრივ განყოფილებათა.

მუშებისა თუ თანამშრომელთა სათვითკრიტიკო მასალებს თუ წინადადებებს თეკაკები, საზოგადო კრებებზე მათ გამოტანამდის, წინასწარ თვითონ განიხილავენ თავიანთ სხდომებზე და გამოიტანენ მათ შესახებ ამა თუ იმ გადაწყვეტილებებს.

მაგრამ თუ რომ ეს გადაწყვეტილებანი არ აკმაყოფილებენ მუშებსა და მოსამსახურეებს, მაშინ ამ უკანასკნელთ ნება ეძლევათ აღძრული საკითხი ისევ აღძრან და გადაიტანონ **სამაზთვითკრიტიკკომში**.

სავალდებულო არც **სამაზთვითკრიტკომის** გადაწყვეტილება გახლავთ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის. და აქედან აღნიშნული არადამაკმაყოფილებელ გადაწყვეტილებასაც უკმაყოფილო მუშები და მოსამსახურეები ისევე გადაიტანენ **საოლქო თვითკრიტიკკომში**, როგორც პირველ ამათგანში გადმოიტანეს ის **თეკაკადგან**.

მაგრამ ნუ ვინ იფიქრებს წინდაწინ, რომ საკითხი **საოლქო-თვითკრიტიკკომში** გადატანით იწურებოდეს.

სრულიადაც არა. მაშ, უქმად და უსაქმოდ ხომ არ უნდა იჯდეს **გუბთვითკრიტიკკომი**?

მაგრამ მოხდა, ვსთქვათ, ისე, რომ მუშები და მოსამსახურეები ვერც **გუბ-თვითკრიტიკკომის** გადაწყვეტილებამ დააკმაყოფილა. მაშინ ხომ არ არის საფრთხე იმისა, რომ საკითხი ჩიხში მომწყვდეულად დარჩება და მასზე ვერ ეღირსებიან ღირსეულ პასუხს დაინტერესებული პირები, ესე იგი, მუშები და მოსამსახურეები?!.

არა, არ არის, და რომ არ არის, ამისი უტყუარი საწინდარი გახლავთ **მთავთვითკრიტკომის** არსებობა, რომელსაც ერთად ერთს აქვს უფლება საკითხზე ავტორიტეტულ გადაწყვეტილების მიღებისა.

მაგრამ რომ მოხდეს ისეც, რომ **მთავთვითკრიტიკკომმაც** ვერ გასცეს ჯეროვანი პასუხი აღძრულ საკითხს, იგი ისევ შეიძლება გადატანილ იქნას წარმოებაში, ესე იგი დაუბრუნდეს ისევ **თეკაკას**, შემდეგ — **სამაზთვითკრიტკომს**, შემდეგ — **საოლქოს, საგუბერნიოს** და ასე დაუსრულებლივ...

მაგრამ **მთავთვითკრიტკომის** როლი მარტო ამით არ განისაზღვრება, ჩემი პროექტით მას ენიჭება აგრეთვე საერთო რეგულიატორისა და ხელმძღვანელის როლიც საერთოდ თვითკრიტიკის წარმოებაში, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. ის იმუშავებს თვითკრიტიკის წარმოების ფორმებს, მეთოდებს, შინაარსს, განსაზღვრავს მის საზღვრებს, ჩარჩოებს, როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მასსებისათვის, ადგენს შესაფერ ცირკულიარებს, მიმართვებს, მომართვებს, ანკეტებს, ანგარიშებს, დროსა და ადგილების ნუსხებს, გეგმებს, თემებს, კვარტალებს და ინტერვალებს.

**გუბ-ოლქ** და **მაზ-თვითკრიტკომები**, თავის მხრით, განაგრძობენ ამავე საქმეს ადგილებზე, მხოლოდ ისე კი, რომ ხელმძღვანელობდენ თავიანთ მოქმედებაში მთლიანად და სავსებით **მთავთვითკრიტკომის** ინსტრუქციებითა და მითითებებით:

ასეთი წესით თვითკრიტიკა, რაღა თქმა უნდა, ჩაგდება მკვიდრ და მშვიდ კალაპოტში, მოწესრიგდება როგორც მთლიანად, ისე სავსებით, და მიიღებს შესაფერ დასრულებულს ფორმებს.

რაც შეეხება თვითკრიტიკას პრესაში, ჩემი პროექტის ცხოვრებაში გატარების შემდეგ, ისიც შემსუბუქდება და განთავისუფლდება ყოველგვარი გაუგებრობისაგან, ვინაიდან თვითკრიტიკის გატარება **მთავთვითკრიტკომის** ორგანოებში უკვე გულისხმობს, რომ აქ თავს მოიყრის, რეგისტრაციაში გატარდება (ანკეტებიც, თუ საჭირო დარჩა) და ჩამოყალიბდება ყოველნაირი თვითკრიტიკული გამოსვლანი. აქედან ცხადია, ისიც, რომ **მთავთვითკრიტკომის** ორგანოები თვითონ მიაწვდიან ჟურნალგაზეთებს ყოველგვარ თვითკრიტიკოებრივ საბეჭდ მასალას, რაღა თქმა უნდა, სათანადო ბრძმედში გატარებულს, ვისგანაც ეს საჭიროა, ვიზადებულს, და ამგვარად ყოვლად მასალებს დასაბეჭდათ და გამოსაქვეყნებლად.

ვფიქრობ, რომ ჩემი პროექტი მოიხვეჭს საყოველთაო პატივისცემას და ცხოვრებაში მალე გატარების ძლიერს სურვილს ყველასაგან.

უღრმესი პატივისცემით, უპარტიო

საველ ოქტიაბრევი.

(გადმოღებულია რუსულიდან)

---

**მზადდება სპეციალური ნომრები:**

№ 46--ოქტომბრის რევოლიუცია

№ 47-- საიუბილეო--,,ტარტაროზი''-ს ხუთი წლის თავი

თანამშრომლებს ვთხოვთ დაჩქარებით მოგვაწოდონ მასალები.

# რუსულ ჟურნალებიდან



— ბატონო ჩემო, ბოლოს და ბოლოს ჩემს ადგილს როდის დამიბრუნებთ?
— დაიცადე კიდევ ორი-სამი დღე, ეს ერთი-და დაწინაურებული შეგვრჩა, რადგან ძალიან მაგარი გამოდგა, მაგრამ მალე მასაც ავუკრავთ ბარგ-ბარხანას.

„კროკოდილ"



ᲓᲐᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣ-ᲜᲔᲑᲣᲚᲘ:—ეხლა, ამხანაგებო, თქვენი ჯერია — წახვიდეთ დასასვენებლ სახლში...მე კი ვუდგები მოვალეობის შესრულებას— მე დასვენება მჯირია!

„კროკოდილ"



— ბიუროკრატები ხართ აქ!
— ვის შეურაცყოფ შენ! როგორ თუ ბიუროკრატი ვარ, როცა წმენდა გავიარე და გადავრჩი?

„ლაპოტ"

სამხ. ამერიკაში ასამართლებდენ გაფიცულ მუშებს. ერთი მოსამართლე სასამართლოს პროცესის დროს ჭკუიდან შეიშალა.



ᲚᲛᲔᲠᲗᲘ: — შიგ არაფერი აქვს და რამ გადარია ნეტავი?

„ბეზბოჟნიკ"



სად მიდიხარ, კაცო? სმა ეხლა იწყება!
დამაცადეთ! ამ პარტბილეთს სახლში დავტოვებ და ამ წუთში აქ გავჩნდები!

„ლაპოტ"



— აი ამ კაცს ჩვენს რედაქციაში მუდამ ექნება სამუშაო, რადგან ის წერილებსს წერს მხოლოდ ბიუროკრატიზმზე.

„ჩუდაკ"



— მეეზოვედ გამგზავნეს! განა კაცი ეხლა თავის სპეციალობაზე მოეწყობა?
— თქვენ რა სპეციალობა გაქვთ?
— ქალაქის თავობა!

„ჩუდაკ"

## წმენდამდი

— სად მიგაქვთ ეგ ლოგინი?
— განსახკომში. პროვინციიდან ჩამოვედი; სანამ ვინმეს ვნახავდე და გარკვეულ პასუხს მივიღებდე, ათითორმეტი კვირა მაინც გაივლის და ცარიელ იატაკზე ხომ ვერ დავწვდები?

ᲡᲘᲛᲘ.

## კრებაზე



**მომხსენებელი:**—ვინ არის მომხრე, რომ მოხსენება ისევ გაგრძელდეს?

**ახალმოსული:**—თანახმა ვარ... სახლში ბავშებმა არ დამაძინეს, და აქ მაინც გამოვიძინებ.

# ნამდვილი ამბავი

ოთხ საათზე დარაჯმა ზარი შემოკრა და ასოთ-ამწყობი მანჯგალაძე სტამბიდან გამოვიდა და მბეჭდავთა კლუბში გამოკრული აფიშა წაიკითხა:

**— დღეს მბეჭდავთა კლუბში გაიმართება მომღერალ როგატინის საღამო. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

— ახლა მაინც კი მოვიგე ჩემი ცოლის გული! — სთქვა მან და აჩქარებული დაეშვა შინისკენ.

საღამო 7 საათზე მანჯგალაძე თავის ცოლით შევიდა კლუბში.

— **8 საათზე დაიწყება, 11-ზე სახლში ვიქნებითო** — გამოიანგარიშა მან.

გავიდა 8—9—10 საათი, მაგრამ საღამოს დაწყებას არვინ ფიქრობს. დაღლილ მუშებს მთქნარება აუტყდა. ნერვიულობა დაეტყოთ. კლუბს უამრავი ხალხი მოაწყდა. დარბაზში ტევა აღარ იყო.

— ამხანაგო, მიიწიე ცოტა.

— სად უნდა მივიწიო, თავზე ხომ ვერ დაგიჯდებ.

— მიშველეთ, ბავში დამეხრჩო.

— გამჭყლიტეს.

— ვაიმე, ფეხი!

ასეთი ჩოჩქოლი იყო დარბაზში, რომ ამ დროს სცენას ფარდა ახადეს.

— კერიას ნახრიში! — იგრიალა ხალხმა.

— პატივცემულო და საყვარელო საზოგადოებავ, ვინაიდან, რადგან, იმიტომ, რომა, თქვენ დიდხანს მოგიწიათ ჯდომა, ამალამ ჩემი მხურვალე ბოდიში. სამაგიეროთ თქვენ დატკბებით, როგატინი ხომ გაგიგონიათ, — ჯერ მწარე სჭამე, კვლავ ტკბილიო. მართალია, დარბაზში ვერ ვეტევით, მაგრამ... ხო, იმას ვამბობდი, პირველ ნომერს შეასრულებს სკრიპაჩი. უკაცრავად შემცდა, სკრიპაჩი კი არა პიანისტი... განაცხადა კლუბის მესვეურმა, გალსტუკი გაისწორა და ფარდა ჩამოუშვა.

მანჯგალაძე ცალი თვალით ცოლს შესცქეროდა, რომელიც ისე იყო გაკვეხებული ხალხში, რომ სულს ძლივს-და ითქვამდა.

— ბოშო, ვალერიანის წვეთების წამოღება რად დაგავიწყდა? — ნელი ხმით უთხრა ცოლმა მანჯგალაძეს.

როგორც იქნა დაიწყო საღამო.

როგატინი მართლაც დიდი მომღერალი ყოფილა. მისმა ტკბილმა და მოხდენილმა ხმამ მაყურებელთ სრულიად დაავიწყა ის ტკივილები, რაც იქ მიიღეს.

დილის ოთხი საათი დაწყებული იყო, როცა მანჯგალაძე შინ მოვიდა. 6 საათზე სტამბაში უნდა წასულიყო. ცოლს დაჟეჟილი გვერდები იოდით დაუზილა და პირდაპირ სტამბაში წავიდა.

გზაში ფიქრობდა:

— როცა საღამოს გამართავენ, ბარემ დილის ექვს საათზე გაათავონ. რომ იქიდან პირდაპირ სამუშაოზე წავიდე!

გამგეობა, ალბად, დააკმაყოფილებს მანჯგალაძის თხოვნას. ეს მას არ გაუჭირდება, რადგან მბეჭდავთა კლუბში საღამოების გვიან დაწყება და გათენებისას გათავება, ჩვეულებრივი მოვლენაა.

**ივანიკა.**

# „შეჯიბრი“

### ჭიათურა

მოვნახე საპატიო და მაღლობი ადგილი, კლუბის გვერდით, საქათმის ახლოს. მოვნახე და... ვით ნერონი ტრაღიკულად გადავხედე ჭიათურის სივრცეს.

მთელი ქალაქი სიჩუმის ხავერდში იყო გახვეული. (ბოდიშს ვიხდით — პოეტური თქმაა). ზოგან მყრალი სიბინძურის სუნი შხამავდა სუფთა ჰაერს, მაგრამ სანიტ - განყოფილების გამგეს კლდიაშვილს ამისთვის არ ეცალა — ლოგინში კედლისკენ გადაბრუნებულიყო და არხეინად ხვრინავდა.

უცბად იქვე ახლოს დაბლობში თედორეს უპატენტო სამიკიტნოდან ტკბილი „მაყრული“ მომესმა. ჩვენი ამხანაგები იყვნენ. გაცხარებულ სოც... უკაცრავად, მამაპაპურ შეჯიბრს აწარმოებდენ ნუნუას ყლაპვაში. რადგანაც შეჯიბრი ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა და არავის რომ ხელი არ შეეშალა, თედორემ წყნარად და ნაზათ შემოხურა დუქნის დარაბა, და შეუდგა მოჯიბრეთა შორის დალეულ ღვინისა და სანოვაგის სტატისტიკურ ცნობათა შედგენას, ნუნუამ არ მოიშალა თავისი უკუღმართი ჩვეულება და „ზვითმფრინავ“ „ცეპელინივით“ ორთქლად შეიჭრა გოგრაში, რასაც თან ბოყვა სავსე ჭიქების, ჰაერში ფრენა. ჭიქების ფრენამ ბოთლებიც გაახურისა...

შედეგს შემდეგში გაცნობებთ.

**შაკო.**

# წერილი ტარტაროზს

### ლანჩხუთი

აუ ლანჩხუთში ჩამოხვიდე
სამხრეთისკენ წადი.
ბაზრის ახლო მდებარეობს
კინო „განთიადი“.
„მომკალი და გამომიწყდი“
ებრალიძე ესეც.
ეს რა წესი შემოიღე,
ეს რა დაგვიწესე?
გვითხარ ერთი: რასა შვრები,
ან აკეთებ რასა?
ან ჩვენ, ძმაო, რას გვატყუებ
ან შენს შექმნილ დასსა?
წელი გადის, რომ პიესა
დადგი ორჯერ-ორი...
(ტარტაროზო, ესეც არის
მაგრად გასაჯორი).
ეპოს გამგე ებრალიძე
გაგვისუქდა ისე,—
ფეხზე დგომა ველარ ძალუძს.
ძლივს იბრუნებს კისერს.
ესე ხშირი მივლინების
არის მოხალისე.
როგორც წავა ცარიელი,
დაბრუნდება ისე.

ბაზარი გვაქვს შესაზარი,
აღარაფერს არ ჰგავს:
სიბინძურეს შეუპყრია
დაუძირავს ნავავს. **ლია-ლუაა.**



განაპირა უბნებში.

# მკითხველებს

ამოსჭერით ეს ადგილი, შეავსეთ და გამოგვიგზავნეთ:

1. გაკმაყოფილებთ თუ არა ჟურნალის შინაარსი (ტექსტი და მხატვრობა)?

2. რას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება?

3. კიდევ რა განყოფილებებია ჟურნალში საჭირო?

4. როგორია ჟურნალის ტეხნიკური მხარე?

5. რა აზრისა ხართ ახალგაზრდა მხატვართა გვერდზე?

6. თქვენი საერთო შეხედულება ჟურნალის ავ-კარგიანობაზე.

## ჩემი მგზავრობა

### საჯავახო — ბერძნის-წყარო

5 წელიწადი დაკანკალდა, რაც გურიაში არ ვყოფილვარ. არც ძალიანი საჭმელი, არც ჰყინტი ლობიო, არც ნიორი-წყალი, არც ადესეს ღვინო და არც ფქვილისლომი და ყველი—ამ ხნის გასვლაში ჩემ პირში არ ჩასულა.

იმ დღეს ევიღე თვარა ოტპუსკი, ფხეკა მუადინე საჯავახოში.

ამას თქვენთან ვამბობ, ცოტა გამოცვლილი გახლდით კაცი. კვირეს ამერიკულში ერთი სერთუკი და ერთი გალსტუკი ვიყიდე (ჩვენებურად ხამუთს რომ უძახიან). ჩევედი სტანციაში,.

სწორედ ეს მინუთები გახლდა ჩვენი საბედისწერო, „ისბოშჩიკებმა“ უმოწყალოთ დოუწყეს ტყავება ხალხს. მეც ვთქვი — ხუთი მანეთი ჩემი ჯამაგირის მეექვსედიამეთქი და გოუყევი ნელნელა ბერძნის-წყაროსაკენ.

ბერძნის-წყაროზე ჩემი ჩასვლის ამბავი ყველას მოდებოდა. ნემეტარი აპირპირებული იყო ვალოდიე ძნელაძე, რომელიც ორჯერ ზედიზედ მყავდა „ტარტაროზში“ გაწერილი. შემომხედა თვარა ვალოდიამ, შემომიკურთხა და შემომიკურთხა: „ჯერ იმას ამოუწყდეს და გადეებუგოს ოჯახი, ვინცხამ შენ წერა გასწავლა. მერე და ქვეყანაში რომ თავი მომჭერი: ვალოდიეს სამიკიტნო ხალხს ტყავს აძრობსო, ახლაც გააგებიე ქვეყანას, რომ ვალოდიე გააკოტრა ნისიებმა და ნალოგებმა და დუქანიც „მიპეჩატებულია-თქვა“.

მივედი სახლში.

ჩემმა ძმამ ერთი კი მაკოცა, მარა რომ მნახა ხელიჩაწროთ ჩევედი, მერე ზედაც არ შემომხედა.

გზის გაკეთების კვირეული გამიეცხადებიენ. გლეხებმა ეზოში დამინახეს თუ არა, გამიგდეს წინ და იმ ერთ კვირეს სიქა გამართვეენ. მერე იცოცხლე მოუსვი ტფილისში მარა წელები ეხლაც მტკივა.

**ძნელ-ოლლი.**

---

## ოზურგეთი

### ეპოს სასადილო

სტოლი, სკამი არეული, თუ დაჯექი ისიც, კმარა.
ერთი კვირა რომ უცადო, არვინ გაჭმევს სადილს, არა.
თუ გეღირსა მოიტანეს კერძი: ხარჩო ანდა ბორში,
ფულზე არვინ შეგაწუხებს, ადექი და წადი, მორჩი.
მომტანი არ გეკარება, ბევრს დაუცდი, ყლაპავ ბუზებს,
ჩვენი ფული ვას რად უნდა, ევლებიან თავზე
„ტუზებს“.

### ცენტრალური მაღაზია

ვით ქაოსი, თუ ბუროსი არეულა ყველაფერი,
ვხედავ—გამგეს დაჰკარგვია შიშისაგან სახის ფერი,
შეკერილი არა სჩანა, არც ჩეკია, არცა ფული;;
ვინ მოიგო, მან წაიღო, პალტო არის დაკარგული.
ჰო-და, ძმაო ტარტაროზო, გთხოვ, რომ ნახო ჩვენი
„ეპო“:
ძველი ფლანგვა და ზარალი, რაც ვითმინეთ კმარა,

**ინანო.**

---

### გამოკვლევაზე

ცენტრიდან ინსტრუქტორი ჩავიდა სოფლად გამოკვლევაზე. თავი მოიწონა და რუსულად კითხა გიორგი ცინცაძეს:

— უ ვას კრუჟკოვ ესტ?

გიორგიმ ბევრი იფიქრა, რომ გაეგო შეკითხვა და ბოლოს უპასუხა:

— კურუშკა ვიყიდე, მაგრამ ვილაცამ მოიპარა. ახლა წყალი კი კარგი მაქვს.

**ივ.**

## პატაკი აბაშიდან

ჰო, იმედია, ტარტაროზ, ამაში დამეთანხმები,
რას გავს აბაშის სადგური, რას ხედავს ჩემი თვალები?
უსაქმოდ დაყიალობენ ყოველდღე „ახალგაზრდები“,
ჩხუბს არავინ ერიდება: ჰაერში ფრინავს კვარტები!
პარასკევი დღე, მზიანი, როცა დადგება დაბაში.
გაიძვერები ილვიძებს; გლეხს მანეთს ართმევს აბაზში:
ლატარიები თუ გინდა, აქ იმდენია ძამია,
მგონი, იმდენი დაბაში ტყემალიც არ მიჭამია,
მერმე თუ გინდა ფართალი: ჩითი, მიტკალი; ნარმაო,
ყობოს და კონდრას; დუქანში იკითხეთ მსგავსი რამაო
მასიურია ბაზარში პირუტყვთა აჯანყებაო:
ღორს მიაქვს ყველი კალათით, პატრონი იგინებაო,
აქვეა წივილ-კივილი, ძაღლები მეტად მკაცრია;
ნეტავ ვიცოდე რას შვება ბაზრის ადმინისტრაცია?
თუ კი მოგინდათ, სადილი, ხარჩო ან მოხრაკულიო,
მებონეასთან იკითხეთ და აგერევათ გულიო.
„გრანდიოზული სალამო“ პარასკეობით იციან,
ფოსტა მოფრინავს წერილით, იქვე ქალები უცდიან.
„მფრინავი ფოსტა“ მოფრინავს, სალამო გამართულია;
ქეიფი, დოლი, გიტარა, სუფრაზე ბუქნას უვლიან.
ერთი კლუბია დაბაში, მოდაზე აშენებული,
კილო ბოქლომი ადვია, ისეა მიძინებული...

**საველ გოგია.**

---

### „მეცნიერი“.

— რას ჩაჰკირკიტებთ მაგ წიგნს მეგობარო?

— თარგმნას ვაპირებ.

— მერე გამოსცემენ?

— მაგ არ მაინტერესებს. უნივერსიტეტში მინდა წარვადგინო და დოქტორის ხარისხს მომცემენ.

— სხვის ნაშრომში?

— მაგას ვინ დაგიდევს, შრომა თუ სხვისოა, თარგმანი ხომ ჩემი იქნება?

### შეჯიბრი

— რატომ გაქვთ ამხანაგო თავი შეხვეული?

— გუშინ ღვინის სმაში შეჯიბრი ჩავატა. კთ. მე გავიმარჯვე და შურიანმა ამხანაგებმა კეტით თავის გამიტეხეს.

**სიმი.**

---

## წერილი მასწავლებლისადმი

### (გოსლევი)

ბატონო ბიქტორ, მოგილოცავთ უბედნიერეს დღეს, რომ ჩისტკას გადარჩით. სანამ სასწავლებელში თქვენთან დავდიოდი, საცოდავი ოთხი წელი მომწყვიტა დოქისა და ხაჭაპურების თრევამ ხუთი ვერსტის მანძილიდან. გაკვეთილი რომ დაიწყებოდა, უპირველესად იმას მიხსენებდი: „ბლარო, დოქი სად შეინახეო“. თუ ვერაფერს ვისწავლიდი, ფეხებზე მეკიდა, დარჩენით მაინც არ დავრჩებოდი ქე ვიცოდი მე თვალდამსილმა და ამის მეტი რა ჯანდაბა მინდოდა. მე თუ არ ვისწავლიდი, ჩემი შვიდჩარექიანი დოქი ხომ სწავლობდა!

ბიქტორჯან, როდესაც ღვინის [illegible] მეუბნებოდი: ფული მოიტანეო.

რას ვიზამდი, უნდა მომეტანა, თორემ სკოლიდან გამორიცხვაც მომელოდა. დედა რავა დევილუპე. რავა ტყუილად შეგაჭამე ამდენი ღვინო და ქათამი... ამდონი ფული და ღვინო დაგახარჯე, და სამს რომ სამი მიუმატოთ, ესეც არ ვიცი რამდენი იქნება. ოთხი კლასის დამთავრების მოწმობა ქე მომეცი.

დეილოცა ჩისტკა, ვენაცვალე იმის მომგონს ამომყარა შენი გულის ჯავრი. ასე იცის ჩემმა მოტანილმა ხაჭაპურებმა, ხომ ჩაგამწარეს . ოი, დეილოცა იმ ჩისტკის სახელი. სცენაზე რომ გამოგიყვანეს და გაგაწითლეს პიმპილასავით და ჩამოგითვალეს შენი კარგი საქმეები. აბა, რავა გეგონა.

**გწერს თქვენი ყოფილი მოწაფე ხაჭაპურაშვილი.**

## ბინის კრიზისი (ქუთაისი, სასკ.სამ. საკრედიტო ამხ.-ბა)



თამაში არ გეგონოთ!... მუშაობენ!

# ცნობათა მიღება

**ბუჭას (აქვე).** თქვენი მოთხრობა იმდენად სერიოზული და ტრაგიზმით სავსე აღმოჩნდა, რომ მის წაკითხვის დროს ტარტაროზს გულის ფრიალი აუვარდა, თვალები მიელულა და, რომ გაწმენდილ ბიუროკრატის ქონით შეზავებულ „ჯოჯოხეთის კაპლებით" არ მოგვებრუნებია, „სასწრაფო დახმარების" გამოძახება დაგვჭირდებოდა. იმითაც დაკმაყოფილდით, რომ პროკურატურას გადაურჩით.

თქვენ იწერებით, რომ თქვენში დიდი პოეტური ნიჭი არის: დღეში ასი ლექსის დაწერა შეგიძლიათ, მხოლოდ საჭიროდ სთვლით თანაგრძნობას და მაგ „მაღალ ნიჭის" თანდათანობით განვითარებას.

ნიჭის არსებობის რა მოგახსენოთ, და ქართულ ზეპირ-სიტყვიერებაში არის ასეთი ანდაზა:

აფრინე ალალიო,
რაც არ არი, არ არიო.

**მ. ვილ. პირელს** ((ახალ-სენაკი) — ზაქარია ხაჟალიას შესახებ გვატყობინებთ:

ძველად იყო ჩინოვნიკი,
ახლაც არის კაცი დიდი,
სასამართლოში მსახურობს,
— გაიძვერა, კუშტი, ფლიდი.
ატყავებდა უწინ გლეხებს,
ქონდა მეფის პაგონები,
მას არ მოსწონს ახლანდელი,
კანონი, თუ „ზაკონები".

ასეთ კაცს რომ ახლანდელი „ზაკონები" არ მოსწონდეს— ბუნებრივია, მაგრამ ის მოვლენა, რომ ზემოაღნიშნული:

„სასამართლოში მსახურობს
და მფარველობს „ანგელოზი".—

არანორმალურია და თუ ტყავთან ერთად გულიც არ შეიცვალა, მალე გაფრინდება თავის „მფარველ ანგელოზთან" ერთად.

**მიტრო გოგიას** (ახალ-სენაკი). თქვენგან გამოგზავნილ წერილში აღნიშნულ მისამართს ასე ამთავრებთ: „მიერთვას მიტრო გოგიას".

ტარტაროზიც ასრულებს თქვენს დავალებას და.... მოგართმევს პასუხს თქვენს წერილზე:

გოგიავ მიტრო,—
სჩანს მუზამ გიმტრო.

**სერიოჟა მინასოვს** (თელავი). თქვენს წერილში ვკითხულობთ:

„თელავის ძაფსახვევი ქარხნის კომკავშირის უჯრედს უნდა ჩაეტარებინა ორკვირეული სოფ. ნაფარეულში... გამოცხადებული იყო სალამო-წარმოდგენა, რომელიც არ შესდგა. მოვიდა მხოლოდ სასულე ორკესტრი, გლეხები გადავიდენ საცეკვაოთ და ითხოვეს დაეკრათ ლეკური.

— ლეკური არ ვიცით. — უპასუხეს მათ
— შამილი დაუკარით.
— არც შამილი ვიცით.
— აბა „ნაურსკი" დასცხეთ.
— არც „ნაურსკი" ვიცით..

ჩვენის აზრით, ისეთ გუნდს და მის მეთაურს თავში ტარტაროზის ჩანგალი უნდა დაეცხოთ.

**ნ-ს** (ქუთაისი)— თქვენი წერილი ასე თავდება:

... დაწინაურება ვერსად ველარ მივიღე. მარა ერთი უყური უნდა ამ აპარატის წმენდას... ყოველ შემთხვევისათვის მზად უნდა ვიყო — თუ სადმე კი გამოჩნდა, კარგი ადგილი, ვეფხვივით დავებდღნები თავზე....

ხომ გაგიგონიათ: „საქონელი პატრონს ემგვანებაო" და თქვენი წერილიც სარედაქციო კალათის გოდორს ვეფხვივით დაებღლვნა.

**ბულოს** (აქვე)— როდესაც ტარტაროზმა გადაიკითხა თქვენი „ზეშთაგონებული" თქმულება, პირველად დააპირა მსოფლიო ენათ - მეცნიერთა კონგრესის მოწვევა ზოგიერთ თქვენ მიერ ხმარებულ სიტყვების მნიშვნელობის გამოსარკვევად, ტარტაროზი მწუხარებამ მოიცვა. საბედნიეროდ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

„რაკი მსგავსი ჩვენ მასალა
დასტამბული გვაქვს წარსულში,
პლაგიატად ჩაგეთვალოს,
„გენაცვალე კაკალ გულში".

**მ-ს** (აქვე). თქვენს გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ:

ცოლი გამექცა და სხვა ქმარს გადაყვა. რა არის მიზეზი და როგორ მოვიქცე?

პირველი საკითხის შესახებ მოგახსენებთ, რომ „ტარტაროზის" რედაქციასთან ჯერ კიდევ არ არის დაარსებული „ცოლის გაქცევის მიზეზების გამომრკვევი ბიურო".

**მ. მთიელს** (სენაკი). მოგვყავს ზოგიერთი ადგილები თქვენი „სიზმრის ახსნიდან":

„ბორისი სერგია რომ ნახოთ სიზმარში, ცხვირი მეტრო გაგეზრდებათ და ყოყოჩა გახდებით.

იპოლიტე როგავა რომ ნახო — მეორე დღეს აუცილებლად პორთფელს შეიძენთ.

ჩვენ, თუმცა არც სიზმარი გვწამს და არც მისი ტრადიციული „ახსნები", მაგრამ თქვენს „სიზმრის ახსნას" კიდევ დაუმატებთ:

ტარტაროზი ნახო სიზმარში — ქალალდი და მარკის ფული გეზარ_'ათ!

# „უსაშიშრესი საფრთხე", ანუ უცხოელი ჩვენში



— ტყუილი იმედი გვაქვს, რომ მომავალი თავისთავად დაამარცხებს საბჭოთა კავშირს!

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია გაზ. „მუშა"-ს გამოცემა.

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქ., № 68. მთავლიტი № 1645.